

ე. ვ. ვ. ჯ. ე. რ. ა. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი.

# უ დ ი უ რ ი ე ნ ა

გ რ ა მ ა ტ ი კ ა . კ რ ე ს ტ რ ი გ ა თ ი ა .  
ლ ე ჰ ს ი კ რ ე ნ ი



თ ბ ი ლ ი ს ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს ბ ა მ რ მ ც ე მ ლ რ ბ ა  
თ ბ ი ლ ი ს ი 1971

## წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ზ ა

„უ დ ი უ რ ი ე ნ ა“, რომელიც მოიცავს ქრესტომათიას, ლექსიკონსა და გრამატიკულ მიმოხილვას (ფონეტიკას, მორფოლოგიას, სინტაქსს), წარმოდგენს სახელმძღვანელოს ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების სტუდენტთათვის. ავტორის აზრით, ამ წიგნს მასში თავმოყრილი საკითხებისა და გაანალიზებული მასალის ხასიათის მიხედვით შეუძლია ერთგვარი სამსახური გაუწიოს უდიური ენით დაინტერესებულ სხვა პირებსაც.

ამ წიგნის როგორც პირველ (ქრესტომათიის), ისე მეორე (გრამატიკულ) ნაწილში საანალიზოდ გამოყენებულია: 1) ავტორის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებისაგან ადგილზე შეკრებილი მასალა, 2) სახალხო მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის თევდორე ჭეიზანიშვილის მიერ 1895—1934 წლებში სოფ. ვართაშენში, ოქტომბერსა (ზინობიანსა) და ნიჯში ჩაწერილი დიდძალი მასალა, აგრეთვე მის მიერ შედგენილი საანბანო-საკითხავი წიგნი; 3) უდი მ. ბეჟანოვის მიერ თარგმნილი და 1902 წელს გამოქვეყნებული უდიური „ოთხთავი (სახარება)“—უდიურულსული პარალელური ტექსტი; 4) ტექსტები, რომლებიც დართული აქვს ა. შიფნერისა და ა. დირის ქვემოთ დასახელებულ შრომებს (ა. შიფნერს უდიური ტექსტები და სალექსიკონო მასალა მიაწოდა გ. ბეჟანოვმა, ხოლო ა. დირს ასეთი მასალა ჩაწერილი აქვს ს. ვართაშენში); 5) გ. ბეჟანიშვილის

მიერ 1956 წელს ჩაწერილი ეთნოგრაფიული ხასიათის ზოგი მასალა.

ეს წიგნი წარმოადგენს უდიური ენის ქრესტომათიის, უდიურ-ქართული და ქართულ-უდიური ლექსიკონის შედგენისა და საერთოდ ამ ენის სახელმძღვანელოს დაწერის პირველ ცდას. ამიტომ ბუნებრივია, ნაშრომი უნაკლო არ იქნება. ავტორი მკითხველებსაგან მაღლობის დიდი გრძნობით მიიღებს სასიკეთო შენიშვნებს.

## მ ე ს ა ე ა ლ ი

უდი ხალხი. უდიურო ენა. უდი ხალხი კომპაქტურად სამ სოფელშიდა მოსახლეობს: ვ ა რ თ ა შ ე ნ შ ი, ნ ი ჯ ს ა (აზერბაიჯანის სსრ) და სოფ. ოქტომბერში — ყოფილ ზ ი ნ ო ბ ი ა ნ შ ი (საქართველოს სსრ). სოფლები — ვართაშენი და ნიჯი აზერბაიჯანში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ნუხის მაზრაში (განჯის გუბერნიაში) შედიოდა. ეს სოფლები ნუხიდან 50 კმ-ის სიშორეზეა მის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, ერთმანეთს კი 34—40 კმ-ითაა დაშორებული. ახლა ვართაშენი რაიონის ცენტრია, ხოლო ნიჯი კუტკაშნის რაიონში შედის. სოფ. ოქტომბერი კახეთშია, ყვარლის რაიონში. ოქტომბერში მცხოვრები უდი ხალხი ვართაშენიდანაა (1920—1922 წლებში) გადმოსახლებული. ამ სოფელს ჭერ, როგორც აღინიშნა, ერქვა ზ ი ნ ო ბ ი ა ნ ი, რაც ამ ხალხის წინამძღოლისა და აზერბაიჯანიდან საქართველოში გადმოსახლების თაოსნის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწისა და ცნობილი კულტურტრეგერის ზინობი სილიკაშვილის (1890 — 1938) სახელს უკავშირდება. ეს სოფელი დაარსდა ყვარლიდან 14 — 15 კმ-ის სიშორეზე მდებარე, იმხანად თელავის მაზრაში შემავალ და ჩანთლიყურედ წოდებულ ადგილას.

უდი ხალხი ცნობილია შრომისმოყვარეობითა და მუყაითობით. უდიები ოდითგან მისდევენ მებაღეობა-მევენახეობას, მებოსტნეობას, მემინდვრეობას (მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ფეტვი, სიმინდი; ადრე მოჰყავდათ ბრინჯიც), მესაქონლეობას (უფრო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ); ხელოსნობაც ეხერხებათ, განსაკუთრებით — ქსოვა და ქარგვა (ქალებს), დურგლობა და ხუროთსაქმე (კაცებს); ემარჯვებათ ხე-ტყის დამზადება და აგურ-კრამიტის გამოწვის საქმეც, მკვდლობაც.

დასახლებულ სოფლებში მცხოვრები უდი გლეხები გაერთიანებულნი არიან კოლმეურნეობაში.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავისთვის უკვე ყველა უდი წერა-კითხვის მცოდნე გახდა. ამ ხალხს ჰყავს თავისი ინტელიგენცია — უმაღლეს და საშუალო სკოლადამთავრებული სპეციალისტები: მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ეკონომისტები და სხვ. სოფ. ვართაშენსა და ნიჯში არის სრული საშუალო სკოლა (ათწლედ). ხოლო ოქტომბერში — არასრული საშუალო სკოლა (რეაწლიანი). აზერბაიჯანში უდი ბავშვები რუსულად სწავლობენ, ხოლო აქ, კახეთში, — ქართულად.

სოფ. ვართაშენისა და, მამასადამე, ოქტომბრის (ყოფ. ზინობიანის) მკვიდრნი მართლმადიდებელი ქრისტიანები (დიოფიზიტები), ხოლო ნიჯისა გრიგორიანი ქრისტიანები (მონოფიზიტები) იყვნენ.

უდი ხალხი, რომელიც ამჟამად კავკასიის ერთ ძალიან მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს შეადგენს<sup>1</sup>, დიდი ხანია იქცევს კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთა ყურადღებას. ამ მკვლევართა მეტი ნაწილის მიერ უდი ხალხი მიჩნეულია კავკასიის ისტორიული ალბანეთის (ქართული წყაროების მიხედვით — ჰერეთის) ერთ-ერთ (ზოგის აზრით, ერთადერთ) გადარჩენილ ტომად, რომელსაც ძველად გავრცელების დიდი არე ჰქონდა. აპსთან, ეს ტომი ძველი დამწერლობის მქონეც უნდა ეოფილიყო<sup>2</sup>. კავკასიის ისტორიულ ალბანელებთან (ან პერებთან) resp. უდიელებთან (ანუ უტიებთან თუ ოტენებთან) დაკავშირებით მრავალი საგულისხმო ცნობა მოიპოვება ძველ ბერძნულ, რომაულ, ქართულ, სომხურ, არაბულ და სხვა წერილობით ძეგლებში. ამ უძველეს წყაროთა შესწავლა უწინარესად ეთნოლოგ-ისტორიკოსთა საქმეა და იგი მათს ამოცანას შეადგენს.

უდიური ენა, რომლის გავრცელების არე, როგორც ითქვა, ამჟამად ძალზე მცირეა, იყოფა ორ დიალექტად — ვართაშნულ-ოქტოშნულ და ნიჟურ დიალექტებად. კილოური სხვაობა თავს იჩენს ენის ყველა კომპონენტში: ლექსიკაში, ფონეტიკურ სისტემაში და მორფოლოგიურ-სინტაქსურ წყობაში.

უდიური ენა სტრუქტურულად და ლექსიკურად იბერიულ-კავკასიური წრის ენათაგან ყველაზე ახლოს დგას წახურთან, მუხადურთან (რუთულურთან), ლეზგიურ ანუ კიურულ ენასთან, ალღურთან, თაბასარანულთან, აგრეთვე — ე. წ. შახ-დაღის ენებთან: ბუღუზურთან, ჭეკურთან და კრიშტლთან. ამ ენათა აგებულების სიღრმეში ჩახედვით, მათი ბუნებისა და თვისების უფრო და უფრო ახლოს გაცნობით სარწმუნო ხდება, რომ სტრუქტურულად-ახლოს მდგომარეობაში ეს ენები ერთი წარმოშობისანი, თვისტომნი, უნდა იყვნენ.

ცნობები უდიური ენის შესწავლის ისტორიიდან (მოკლე მიმოხილვა<sup>3</sup>). უდიური ენის მეცნიერული შესწავლა XIX საუკუნიდან იწყება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ა. შიფნერის გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფია — „Ueber die Sprache der Uden“, რომელიც დაიბეჭდა 1863 წელს პეტერბურგში საიმპერატორო აკადემიის „მემუარებში“ — Mémoires de l'Académie impériale des sciences de St.-Petersbourg, VII<sup>e</sup>S. P. VI, № 8 (შრომა დაიწერა 1862 წელს). უდიურის შესახებ მეორე სპეციალური შრომა (დაწერილი რუსულ ენაზე) ეკუთვნის ა. დირს; ესაა მისი „უდიური ენის გრამატიკა“ (Грамматика удинского языка), რომელიც ჯერ, 1903 წელს, ცალკე გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ, 1904 წელს, — კრებულში: „Сборник материалов для описания местнос-

<sup>1</sup> ადგილობრივ მოპოვებული ცნობების მიხედვით. მათი რაოდენობა უდრის დაახლ. 4500 კაცს, ხოლო 1959 წლის საკავშირო აღწერის თანახმად — 3700-ს.

<sup>2</sup> ამჟამად უდიური დამწერლობა ენაა. ამ საუკუნის 30-იან წლებში, სხვა ახალი დამწერლობის ენათა მსგავსად, უდიურისთვისაც შემოღებულ იქნა ლათინიზებული ანბანი. ამ შრიფტით დაიწერა და 1934 წელს გამოქვეყნდა კიდევ ამ ენის ერთი სასკოლო სახელმძღვანელო (საანბანო-საკითხავი წიგნი), მაგრამ შემდეგ (ალბათ იმის გამო, რომ მშობლურ ენაზე აღარაფერი ისწავლებოდა) ეს საქმე უდიურის ხაზით წინ აღარ წაწეულა.

<sup>3</sup> უდიურის შესახებ არსებულ ნარკვევთა სია, რომელიც მოცემულია აქ, რა თქმა უნდა, სრული არ არის. მიმოხილვის ამ ნაწილში დასახელებულია მხოლოდ ის შრომები, რომლებსაც, ერთი მხრივ, მეტი ღირებულება აქვთ ამ ენის შესწავლის ისტორიისათვის, ხოლო მეორე მხრივ, უფრო მეტად გამოადგებათ ამ სახელმძღვანელოს მკითხველებს.

თეი и племён Кавказа“, выпуск XXXIII, отд. IV. შესაბამისი მონოგრაფია, რომელიც სპეციალურად უდიური ენის გრამატიკული წყობის საკითხებს დაეთმო, არის ვ. დანჩიძის სადოქტორო დისერტაცია—„უდიური ენის გრამატიკული ანალიზი“ (რუსულ ენაზე გამოქვეყნებულია საწერ მანქანაზე ნაბეჭდი ამ ლიტონიანი შრომის 17-გვერდიანი ავტორეფერატი—*Грамматический анализ удийского языка. Тбилисский государственный университет, 1949.*). ამ შრომაში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს, უმთავრესად კი 1937—1948 წლებში, გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, რომელთაგან ზოგი დასახელებულია ამ წიგნის ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიაში. უდიური ენის ნიჭურ კილოს სპეციალურად ეხება ვორ. გუკასიანის საკანდიდატო დისერტაცია წარმოდგენილი რუსულ ენაზე „უდიური ენის ნიჭური დიალექტი. ფონეტიკა, მორფოლოგია“ (საწერ მანქანაზე ნაბეჭდი)—*Инджский диалект удийского языка, 1964* (ავტორეფერატი, 1965 წ.).

კავკასიური წრის სხვა ენებთან ერთად უდიურის შესახებ ცნობებს ვაწვდიან ფრ. შაულერი—„ენათმეცნიერების საფუძვლები“ (*Grundriss der Sprachwissenschaft, III, 1884*); რ. ერკერტი—„კავკასიური წარმომავლობის ენები“ (*Die Sprachen des kaukasischen Stammes, 1895*); ჰ. შუხართი—„კავკასიურ ენათა გარდამავალი ზნის პასიურობის შესახებ“ (*Ueber den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, 1895*); გ. დამევილი—„ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის შესავალი“ (*Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord, 1933.*); ნ. ტრუბეცკოი—1) „შენიშვნები ჩაჩურ-ლუზგიურ ენათა ზნის დაბოლოების შესახებ“; 2) „აღმოსავლეთ-კავკასიური ენების თანხმობათა სისტემა“; 3) ჩრდილო-კავკასიურ ენათა ლექსიკური ფარდობა. (1) *Notes sur les désinences du verbe dans les langues tchéchéno-lesghiennes, 1929*; (2) *Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, 1931*; (3) *Nordkaukasische Wortgleichungen. Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes. Bd. XXXVII, H. 1—2, 1930*; ი. მეშჩანინოვი—1) „ენის შესახებ ახალი მოძღვრება“; 2) „ზოგადი ენათმეცნიერება“ (*Новое учение о языке, 1936*; *Общее языковедение, 1940*); კ. ბოუდა—„ცნობები უდიურის შესახებ ახალ ტექსტზე დაყრდნობით (*Beiträge zur Kenntnis des Udischen auf Grund neuer Texte, 1939*—რეცენზია უდიურ სასკოლო-საანბანო წიგნზე); ა. ღირი—კავკ. ენათა შესწ. შესავალი (*Einführ. in das Studium der kaukas. Sprachen, 1928*); რ. ლაფონი—„ნარკვევები ბასკურისა და კავკასიური ენების შესახებ“ (*Études basques et caucasiqnes, 1952*) და სხვ.

უდიური ენის მორფოლოგიურ ანალიზს გარკვეული ადგილი დაუთმო აკად. ივ. ჯაეახიშვილმა თავის კაპიტალურ გამოკვლევაში — „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937). სახელოვანმა მეცნიერმა ამ წიგნში უდიურს (თვისტომ ენებთან ერთად) ალბანური უწოდა. უდიურს resp. ძველ-უდიურს ალბანურად (პერულად) მიიჩნევენ აკად. აკ. შანიძე და აკად. არნ. ჩიქობავა. აკ. შანიძემ ამ ენის ლექსიკის, მორფოლოგიისა და დამწერლობის საკითხებს მიუძღვნა სპეციალური შრომები, კერძოდ, „Язык и письмо кавказских албанцев“ (1960) და სხვ. (იხ. ბიბლიო-

გრაფია). ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ლექციებსა და გამოკვლევებში იბერიულ-კავკასიური წრის სხვა ენებთან ერთად საანალიზოდ ხშირად იყენებს უდიურ მასალას.

სხვადასხვა დროს დამუშავებული და გამოქვეყნებული გვაქვს ნარკვევები, რომლებშიც განხილულია საკითხები უდიური ენის ფონეტიკიდან, გრამატიკიდან და ლექსიკიდან. აღნიშნულ ნარკვევთა ერთი ნაწილი დასახელებულია ამ წიგნის ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიაში.

უდიური ენა — როგორც სპეციალური სასწავლო საგანი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების<sup>1</sup> სამუშაო გეგმაში შევიდა და ისწავლება 1938—1939 აკად. წლიდან<sup>2</sup> (ლექციებს ამ საგანში 1942-43 სასწ. წლამდე კითხულობდა ვლ. ფანჩიძე, ხოლო შემდეგ — 1943-44 სასწ. წლიდან დღემდე კითხულობს ევგ. ჭიკაბაძე). დაახლ. 1930 წლიდან უდიურის მეცნიერული შესწავლა წარმოებდა აგრეთვე კავკასიის სოციალური ინსტიტუტში, სადაც სხვა კავკასიურ ენათა სექციებთან ერთად ჩამოყალიბებული იყო უდიურის შემსწავლელი სექციაც. ეს ინსტიტუტი, როგორც ცნობილია, რეორგანიზებულ იქნა ჯერ სსკ-ის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტად, ხოლო შემდეგ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტად. აღნიშნული ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილების საკვლევადიებო საქმიანობაში თავის დროზე გარკვეული ადგილი დაეთმო უდიურ ენასაც.

უდიური ენის სტრუქტურის (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის) საკითხთა ძიება ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის თემატიკური გეგმისა და პრობლემატიკის შესაბამისად.

ზოგი ტერმინის საკითხი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე დამკვიდრებული იყო ტერმინი უ დ უ რ ი (უდიური ენა), ხოლო რუსულში УДИН-СКИЙ ЯЗЫК (ა. დირი, ნ. მარი, ი. მემჩანინოვი და მომდევნო თაობათა ყველა სხვა ძველევარი). ალბათ რუსული ენის მეშვეობით იყო, რომ ერთ დროს ქართულადაც თქმობდა „უდინი“ — „უდინური ენა“, მაგრამ ზემოთ აღნიშნულმა ვარიანტმა თანდათან განდევნა ეს ტერმინი (უდინი, უდინური) და თვითონ დამკვიდრდა. ზოგ მკვლევარს რუსულადაც ნახმარი აქვს ტერმინი УДСКИЙ ЯЗЫК (მაგ., პ. უსლარს...). როგორც ჩანს, ა. შიფერსაც უდ ფუძიდან (!?) აქვს ნაწარმოები ტერმინი Uden — შდრ. თუნდაც ზემოთ დასახელებული მისი გამოკვლევის სათაური „Versuch über die Sprache der Uden“.

უცხოელი მკვლევრები (მაგალ., ნ. ტრუბეცკოვი, ე. დამუმეზილი, კ. ბოუდა, რ. ლაფონი და სხვები) ამ ენის სახელად ხმარობენ პირდაპირ ეთნონიმს უდი-ს (udi); გერმანულად გამოქვეყნებულ ზოგ შრომაში ეხვდებით ასეც: udische Sprache (პ. შუხართი...).

<sup>1</sup> რომელიც დაარსდა 1933 წელს აკად. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს თაოსნობით.

<sup>2</sup> უდიური ენის შესწავლით ჯერ კიდევ ადრე დაინტერესდა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტრი მგელაძე, რომელმაც 1922-24 წლებში რამდენიმე საექსპედიციო მუშაობა ჩატარა ადგილზე — საქართველოში (ყაბუში) ახალგადაშობილი უდიების სოფელ ზინბანში (ამჟამად სოფ. ოქტომბერში). — იხ. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწადური“, I—II, 1923—1924, გვ. 353—354; 1923 წლის 4 ნოემბრის საჯარო სხდომაზე ოქმი № 13.

სწორია თუ არა ქართული ტერმინი „უღუერი“ ან რუს. удский? ამის დასადგენად საჭიროა ვიცოდეთ ადვილობრივ ხმარებული სატომო სახელი, რომ ამაზე დაყრდნობით სწორად ვაწარმოთ ადიექტიური ფორმით გამოხატული (ამ ენის აღმნიშვნელი) ტერმინი. თავად ეს ტომი თავის თავს უღის უწოდებს. უ დ ი ბოლოხმოვნიაანი ფუძეა; ეს ფუძისეული ბოლო ხმოვანი ი მახვილიანია<sup>1</sup> და იგა ფორმათა ცვლის დროს არასოდეს არ იკვეცება; შდრ., მაგალ., მრავლ. რიცხვის ფორმები უ დ ი-უხ (უღიები), უ დ ი-ლონ—უღი-უხ-ენ (უღიებმა), უღ-ი-ლოჟ—უღი-უხ-აჟ (უღიების), უღ-ი-ღ-ოხ—უ დ ი-უხ-ახ (უღიებს); მხოლოდ. რ. ფორმები: უღი (სახელობ.), უღი-ნ (უღის)<sup>2</sup>, უღ-ი-ნ-ენ (უღიმ), უღი-ნ-ახ (უღის), უ დ ი-ნ-ახ-ო (უღისგან); თანდებულიანი ფორმები: უ დ ი-ნ-ენ-კ (უღისთვის), უ დ ი-ნ-აჟ (უღისკენ), უ დ ი-ნ-ას-ტა (უღისთან), უ დ ი-კენა (უღივით); ნაწილაკიანი ფორმები: უ დ ი-ალ (უღიც), უ დ ი-უხ-ალ (უღიებიც); უ დ ი-ყან — გუჯი (უ დ ი-ც — ქართველი-ც resp. უღი და ქართველი); განყენებული ფორმა: უ დ ი-ლულ (უღიობა, უღიად ყოფნა); უარყოფითი ფორმა: უ დ ი-ნუთ (უუღიოდ, უღის გარეშე) და ა. შ.

ამგვარად, უ დ ი ბოლოხმოვნიაანი და ფუძეუკვეცილი სატომო სახელია და მისგან ნაწარმოები ტერმინული მნიშვნელობის ზედსართავი სახელი უნდა იწარმოებოდეს ასე: ქართულად უ დ ი უ რ ი და არა „უღუერი“, რუსულად удийский და არა удский ან, თუნდაც, удинский. — შდრ. აგრეთვე ამ ტომის ჯველ წერილობით (ისტორიოგრაფიულ) ძეგლებში შემონახული სახელი ა) ბერძნულად ὑδιαι (უიტიოი), ბ) სომხურად ուտր, ուտրք (უტი, უტიქ) ...

ტერმინი უ დ ი უ რ ი (უღიური ენა) ან რუს. удийский (უდიისкий язык) უნდა იწარმოებოდეს ისევე, როგორც, მაგალითად, ლ ე ზ გ ი უ რ ი лезгийский (სატომო სახელისაგან ლ ე ზ გ ი), ან დ ი უ რ ი андийский (სატომო სახელისაგან ან დ ი), ბ ა ც ბ ი უ რ ი бацбийский (სატომო სახელისაგან ბ ა ც ბ ი) და მისთ.

<sup>1</sup> უღიურში, როგორც წესი, მახვილი დაისმის სიტყვის ბოლო ხმოვანზე.

<sup>2</sup> მაგალ., უ დ ი ნ მუხ „უღიური ენა (სიტყვა-სიტყვით: უ დ ი ს ენა)“...



## უ მ ნ ე მ ი კ ა

### გზერიტი შეფხენილოვა

უდიურს მოეპოვება ყველა ის ბგერა, რაც. მაგალითად, — ქართულს. იმ ენას აქვს აგრეთვე თავისებური ხმოვნები და თანხმოვნები. ამასთან საგულისხმოა. რომ უდიურს არ მოეპოვება: 1) სპეციფიკური (რთული) ლატერალური თანხმოვანი, რომლის რამდენიმე სახეობა გვხვდება, კერძოდ, მთის კავკასიურ ენათა გარკვეულ ჯგუფში; 2) ამავე ენათა უმეტესობაში დამოწმებული ფარინგალური მჟღერი ხშული და სპირანტი; 3) ე. წ. პრერუპტივი (ნახევრად-აბრუპტიული თანხმოვანი); 4) თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, წინა და უკანა რიგის მყოვარი (ინტენსიური) თანხმოვნები; აგრეთვე 5) უდიურში სუსტადაა დაკული ლაბიალიზებული თანხმოვნები.

**ხმოვნები.** უდიური ენა, როგორც აღინიშნა, მდიდარია ხმოვნებით. ამ ენას, ეუ სათვალავში არ ჩავაგდებთ დიფთონგებს, აქვს ცამეტი ხმოვანი, რომელთაგან ხუთი მარტივია, სამი — პალატალიზებული (უმლაუტი) და ხუთი — ფარინგალიზებული<sup>1</sup>.

	მარტივნი		პალატალიზებულნი	ფარინგალიზებულნი	
ბალაი აწევისა	o	უ	ჟ	ოხ	უხ
საშუალო აწევისა	მ	ლ	ლ	მხ	ლხ
დაბალი აწევისა		ა	ა		აზ

<sup>1</sup> ყველა ეს ხუთი ხმოვანი წარმოადგენს დამოუკიდებელ, წმინდა ხმოვნებს და არა ნაინდამინტ თანხმოვანთა რეფლექსებს (როგორც ამას, კერძოდ, ნ. ტრუბეტკოი და კ. ბოლდაიჩიჩი წინადასტოვებენ). ამასთანავე ექსპერიმენტი (რენტგენოგრაფია) გვიჩვენებს, რომ ამ ხმოვანთა სპეციფიკის ქმნის ხახა (ფარინგსი), რამდენადაც მათი წარმოქმნის დროს ფარინგალიზების ელფერი ექმნება ხახის კედელთან ენისძირსზედა ნაწილის მიხლოებით. აღნიშნულ ხმოვანთა წარმოქმნაში აღსანიშნავია შემართვის მომენტისათვის პირის ღრუს ღიაობა და ენის მდგომარეობა თითქმის ისეთივეა, როგორც მარტივი ხმოვნებისა, ოღონდ ამ ხმოვანთა წარმოქმნის დროს ენა უფრო ჩაზნექილია და უკან გადაწეული, ენის კიდეები თითქოს ებჯინებიან გვერდით კბილებს, ენის უკანა ნაწილი ოდნავ აწეულია და უახლოვდება რბილ სასას; სახმო სიმები დაძაბულად უდვრენ; რეზონატორია ფარინგსი (ხახა); აქვს ბგერის ერთგვარი სიძლიერის ეფექტი. ამ ხმოვანთა შესახებ ა. შიფერის, ა. დირის, ვ. ფანჩიძის, ნ. აუშმანის, შ. ვაჭინაშვილისა და სხუ. შრომებში გამოთქმულია ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებები (შდრ.!), რაც ძირითადად განსხვავდება აგრეთვე ჩვენი განმარტებებისაგან (იხ. ევგ. ჭიკიანი-შვილი — ფარინგალიზებული ხმოვნები წახურულ-რუთულურსა და უდურ ენებში". კრებ. „ობერ.-კავკას. ენათმეცნიერება", ტ. XI, 1959, გვ. 339—359).

ყველა დასახელებული ხმოვანი იხმარება: 1) სიტყვის ყველა პოზიციაში (თავში, შუაში, ბოლოში) — როგორც დახურულ, ისე ღია მარცვალში; 2) ბგერათა ყოველგვარ კომპლექსში — უკანა და წინა რიგის თანხმოვანთან; 3) საკუთარ და ნასესხებ სიტყვებში — მეტყველების თითქმის ყველა ნაწილში; 4) ერთ-და ერთზე მეტ მარცვლიან ფუძეებში.

გარდა უმლაუტის პროცესის (პალატალიზაციის) შედეგად განვითარებულა ხმოვნებისა, ყველა სხვა ხმოვანი უდიურში წარმოადგენს ფონემას; ამას გვიჩვენებს მათი აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური ბუნება, არტიკულაციის ხასიათი (წარმოადგენენ წმინდა ხმოვნებს) და, ბოლოს, — ისიც, რომ ამ ხმოვანთა ცვლა იწვევს სიტყვის მნიშვნელობის ცვლას; მაშასადამე, მათ აქვთ მნიშვნელობის განმასხვავებელი, დისტინქციური, ფუნქცია.

ხმოვანთა ალტერნაციით სიტყვის მნიშვნელობის ცვლის ნიმუშები:

### 1) მარტივ ხმოვანთა

- ა) მ ა კ (სარი) — მ ე კ (მატლი, ჭია) — მ უ კ (ფრჩხილი);  
 მ ა რ (ჩირქი) — მ ე რ (ასე, ამნაირად) — მ უ რ (ღერძი);  
 კ ა მ (დაჩამიჩებული) — კ ე მ (კუჭყი) — კ უ მ (სარეველა);  
 ხ ა (მატყლი) — ხ ე (წყალი) — ხ ო (ცვარი);  
 კ ა ჯ (ვარცილი) — კ ო ჯ (სახლი, ოთახი);  
 ჩ ა ლ (ღობე) — ჩ ი ლ (მძივი); ჩ ა ლ-ჩ ა ლ (ღობე-ღობე) — ჩ ი ლ-ჩ ი ლ (კრელ-კრელი)...

- ბ) ა ხ (შორისდ.: ახ!) — ე ხ (სამკალი) — ი ხ (მეხსიერება) — ო ხ (სავარცხელი);

აშ (საქმე<sup>1</sup>) — ე შ (ვაშლი) — ი შ! (შორისდ. უღელში შებმულ პირ-უტყვს ეტყვიან — აქვს ქართ. „ხიო“-ს მნიშვნელობა) — ო შ (ბოლო, ნაპირი);

ც ა ფ ს უ ნ (ცელვა, თიბვა) — ც ი ფ ს უ ნ (ღვრა, ყრა, ფანტვა);

- ქ ა ლ ლ ე ს უ ნ („ადუღება“: ქ ა ლ ლ ე დ ე ს ა „ადუღებს“) — ე ი ლ დ ე ს უ ნ („არეულობის, შფოთის გამოწვევა“: ე ი ლ დ ე დ ე ს ა „რევს“, „შფოთის იწვევს“) — ე ო ლ დ ე ს უ ნ („დაცობა“);

ქ ა ლ ფ ე ს უ ნ (დუღილი: ქ ა ლ ლ ე ხ ა „დუღს“) — ე ი ლ ფ ე ს უ ნ („შფოთი“: ე ი ლ ლ ე ხ ა „შფოთავს“, „ირევა“)...

### 2) ფარინგალიზებულ და მარტივ ხმოვანთა

- ა) მ ა ა (ტინი) — მ ა (სად); ხ ა ა (ძალი) — ხ ა (მატყლი), ხ ო ო (ცური) — ხ ო (ცვარი) ...

ქ ა ა მ (განავალი) — ქ ა მ (ნაკლული), მ ა ა ე (მუხა, რკო) — მ ა ე (სარი) ...

ტ ა ა პ ა ა კ (ბრტყელი) — ტ ა პ ა კ (ტაბაკი), ვ ა ა ხ (თქვენ) — ვ ა ხ (შენ) ...

- ბ) ო ა ე (უღელი) — ო ე (ძირი, ფსკერი), ყ ო ა რ (თიაქარი) — ყ ო რ (კვარტლი) ...

გ) უ ა ე (ეჭყი) — უ ე (მდინარე), მ უ ა ე (მხიარული) — მ უ ე (ფრჩხილი) ...

<sup>1</sup> ნასესხები სიტყვაა.

ნახევარხმოვნები. უდიურს მოეპოვება აგრეთვე 1) ა და 2) ე ნახევარხმოვნები, რომლებიც დამოუკიდებელ ფონემებს ა რწარმოადგენენ, თუმცა ერთიც და მეორეც მკაფიოდ გამოხატული ცალკე ბგერაა და გამოიყენება ისეთ სიტყვებში, როგორიცაა, მაგალითად: 1) ა ან (ჩვენ), ა ა ყ (გზა), ა ა, ა ე (ან), ა ე ყ (ხორცი), ა ე (რბილი), ა ე ზ (ხნული); ან კიდევ: მ ა ა (აქ), ტ ა ა (იქ); ფ ე ა ნ (სასუქი), ფ ა რ ფ ე ა ნ (დანდური), კ ა ა ნ (ქონი, ერბო, კარაქი); ბ ა ა ბ ა ა (ყუნელი); ანდა: ბ ა ა (ბალი), კ ა ა (ქვევრი), ქ ა ა (სახელო), ე უ ა (ცხრა) და სხვ. უფრო მეტად კი ეგვევ ა ნახესხებ სიტყვებში გვხვდება; მაგალითად: ა ა შ (ასაკი, ხნოვანება), ა ა ს (გლოვა), ა ა ფ უ ლ (სახურავი), ა ა ლ ო ვ (ალი ცეცხლისა), ა ო ლ და შ (ამხანაგი), ა ა ვ ა შ (ნელა) და სხვ. 2) ყ ე წ (ქსოვილი), ყ ე წ ე მ (ჩქმეტა), ყ ე რ ხ ა ა ლ (ცხრაფენა), ყ ე რ ყ ე რ (ბუზღუნა, ჩანჩალი), მ ე რ ე ფ ს უ ნ (ღრენა) და სხვ. საგულისხმოა, რომ მეორე მუხლში ჩამოთვლილ ზოგ სიტყვაში ნახევარხმოვან ე ბგერას ენაცვლება უ. ასეთი შენაცვლება ზოგჯერ შეიძლება პოზიციურ-კომბინაციური ცვლილების შედეგი იყოს; მაგალ., ყ ე წ ე მ—ყ ე წ უ მ—ყ უ წ უ მ; მ ე რ ე ფ ს უ ნ—მ ე რ ე ფ ს უ ნ...<sup>3</sup> ზოგჯერ კი ასეთი ბგერათცვლილება სპონტანური ხასიათისაა, მაგალ., ყ ე წ || ყ უ წ... ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ ნიჭურ კილოში ვართაშნულ-ოქტომბრულში<sup>4</sup> დამოწმებული უ-ს ენაცვლება ე; შღრ, მაგალ., შ კ ო ლ უ ნ (ვართაშნ.)—შკოლენ (ნიჯ.) „სკოლისა“, დირიგუნ (ვართ.)—ღ ი რ ი გ ე ნ (ნიჯ.) „ბოსტნისა“... ამ ნიმუშების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ნახევარხმოვანი ე რედუცირებული ვარიანტია უ ხმოვნისა, თუმცა უდიურზე და ზოგ თვისტომ ენაზე (წახურზე, მუხადურზე) უშუალო დაკვირვება და ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ ე ბგერა თავისი ბუნებით ასლოს დგას ე. მით უმეტეს ი ხმოვნებთან. როგორც ჩანს, ამ ენებში განვითარებულია ორგვარი ე: ერთი უნდა წარმოადგენდეს უ ხმოვნის დასუსტებულ ვარიანტს, ხოლო მეორე—ი და ე ხმოვანთა რიგის ბგერას<sup>5</sup>. ე რომ ი და ე ხმოვანთა რიგისაა, ამის დამამოწმებელია ვართაშნულ-ნიჭურში მათი ურთიერთშენაცვლება; შღრ., მაგალ.: ეჭრა-ზ-ოწკესა (ვართ.)—მეჭრა-ზ-ოწკესა (ნიჯ.) „როგორ ვრეცხავ, ვირეცხავ, ვიბან“; ზილდე-სინ (ვართ.)—ზილდესუნ (ნიჯ.) „ზრიალ-წყრიალით“; აკამინ (ვართ.)—აკამენ (ნიჯ.) „ნახვამდის“... მათი ამეამინდელი მსგავსება (!) გარეგნულია, ეყრდნობა ერთნაირ აქუსტიკურ ეფექტს.

თანხმოვნები. უდიურს მოეპოვება თანხმოვანთა ყველა ის (და ისეთიც) ოთხეული, სამეული, წყვილეული და ცალეული, რაც—ქართულს (ახალს და ძველს); სახელდობრ: 1) ბაგისმიერი თანხმოვნები: ხშულები — ზ, ფ, პ, სონორი — მ; 2) კბილბაგისმიერი სპირანტი — ვ; 3) კბილისმიერი თანხმოვნები: ხშულები — დ, თ, ტ. აფრიკატები — ძ, ც, წ, სპირანტები — ზ, ს, სონორები — ნ, ლ; 4) ალვეოლარული თანხმოვნები: აფრიკატები — ჯ, ჩ, ჰ; სპირანტები —

<sup>1</sup> ნიჭურ კილოში. ვართაშნული ვარიანტია ე ყ.

<sup>2</sup> ნიჭურ კილოში. ვართაშნული ვარიანტია ე ზ.

<sup>3</sup> მ და ფ თანხმოვანთა გავლენით.

<sup>4</sup> სიმოკლისთვის ამ კილოს ქვემოთ ყველგან დაეასახელებთ, როგორც „ვართაშნულს“ (ოქტომბრული ანუ ზანონაზური ზომ შინც ამის გამოჩაყვით).

<sup>5</sup> ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები მოწოდებულია ჩვენს შრომაში — „ფარინგალიზებული ხმოვნები წახურულ-რუთულურსა და უღურში“ („ობერეულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XI, 1959).

ჟ, შ, სონორი — რ; 5) რბილსასისმიერი თანხმოვნები: ხშულები — ზ, ქ, კ; სპირანტიბი — ლ, ხ; 6) ფარინგალური ხშულები — ჯ, ყ, და 7) ლარინგალური სპირანტი ზ.

უდიურს მოეპოვება სხვა თანხმოვნებიც: 1) კბილბაგისმიერი ფ სპირანტი და 2) თავისებური (ინტენსიურობისა თუ მყოვრობის ეფექტის მქონე) ალვეოლარული აფრიკატები ჯგ, ჩგ, ჭგ და სპირანტიბი — შგ, შგა.

შენიშვნა: თანხმოვანთა შორის დასახელებული ძ აფრიკატი ნოქცეულია ფრჩხილებში; ეს იმიტომ, რომ იგი ახლა ამ ენაში დეზაფრიკატიზაციის (სპირანტიზაციის) შედეგად მოშლილია, — ოთხ სიტყვაშიდა იხმარება (ამ ოთხ სიტყვაშიც ფაკულტეტურად სპირანტი ჯ ენაცელება); ეს სიტყვებია: ძ ა ბ რ ი ლ ა ბ რ ი (ძაბრი), ხ ა ძ ა ლ ლ ხ ა ზ ა ლ (ფოთოლი), მ ა ნ ძ ი ლ მ ა ნ ზ ი ლ (მანძილი), ღ ა ნ ძ ი ლ ღ ა ნ ზ ი ლ (ღანძილი)

წარმოების ადგილისა და გვარობის მიხედვით დაჯგუფებულ უდიურ თანხმოვანთა ცხრილი ასეთი იქნება:

	ხშული			აფრიკატი						სპირანტი				
	ყრუ			მჟღერი		ფშვინ-ეიერი		მკვეთრ-მსკდომი (აბრუპტიული)		მჟღერი		ყრუ		
	მ	შ	ს	არაინტენს.	ინტენს.	არაინტენს.	ინტენს.	არაინტენს.	ინტენს.	არაინტენს.	ინტენს.	არაინტენს.	ინტენს.	სონორი
ბაგისმიერი	ბ	ფ	კ							ვ				შ
კბილისმიერი	ღ	ფ	ტ			ც		წ		ჭ		ხ		ნ, ლ
ალვეოლარული						ჩ	ჩგ	ჩ	ჩგ	ჭ	ჭგ	შ	შგ	რ
შუენისმიერი										ღ				
რბილსასისმიერი	გ	ქ	კ							ღ	ხ			
ფარინგალური		ქ	ყ											
ლარინგალური													კ	

ჩამოთვლილი თანხმოვნები (ზოგიერთის გამოკლებით) დამოუკიდებელ ფონემებს წარმოადგენენ: აქვთ მნიშვნელობის განმასხვავებელი, დისტინქციუ-

აღნიშნული სპეციფიკური თანხმოვნების დახასიათება ასეთი იქნება: ჩგ, ჩგ, ჭგ აფრიკატთა და ჟგ, შგ სპირანტთა წარმოქმნის მომზადების მომენტი თითქმის ისეთივეა, როგორც შესაბამისი „ჩეულებრივი“ ალვეოლარული თანხმოვნებისა — ჩ, ჩ, ჭ აფრიკატებისა და ჟ, შ სპირანტებისა, ოღონდ ამ თავისებურ ბგერათა წარმოქმნის დროს ენა ამოხნევილ მდგომარეობაში უფრო უკან გადაიწეოს, მისი შუა ნაწილი თითქმის ებჯინება კბილ-ნუნებს, ხოლო ბგერათ-წარმოქმნა უფრო ენერგიულად, ინტენსიურად და მყოვრად, დაყოვნებით, ხდება, რის გამო იქმნება სიმგარის ეფექტი.

რი, ფუნქცია; შდრ., მაგალითად: 1) ბ უ ლ (თავი — ფ უ ლ (თვალი); ბ ე ს უ ნ (კეთება) — ფ ე ს უ ნ (თქმა); ბ ი (ნაკეთები)—ფ ი (თხის ქონი)—პ ი (სისხლი); ფ ე ფ (კილი, ჩენჩო)—პ ე პ (აკენის ლეიბი); ბ ო მ (სიმაღლე)—პ ო მ (საკმაო, საკმარისი; ომონიმ. „მაშ!“); 2) დ ე (დაე!) — თ ე (არ, არა) — ტ ე (ის; ომონიმ.: წილი); 3) გ ა (ადგილი) — ქ ა (ეგ) — კ ა (გრენაეი); გ ა მ (თბილი) — ქ ა მ (ნაკლული); გ უ ლ (საცერი) — ქ უ ლ (ხელი) — კ უ ლ (მიწა); ქ ო მ (სახელო) — კ ო მ (ქვევრი); ქ ო ჯ (ძნელი) — კ ო ჯ (სახლი); 4) ლ ა რ (ვაეი) — ხ არ (ნაკაწრი), ბ ე ზ ლ (მზე) — ბ ე ხ (სიმიენე); 5) ბ ა ტ ე ს უ ნ (არსებობა, მყოფობა, ხელთქონა)—ბ ა ყ ე ს უ ნ (ჩატევა, მოქცევა, მოთავსება); ე ი ა (ნახევარი)—ყ ი ა (შიში), უ ხ ე (ექვსი)—უ ხ ყ (კაკალი); 6) ბ უ ჟ (თავმომწონე, ამბარტავანი, პრანქია)—ბ უ შ (აქლემი); 7) ვ ი (შენი)—ჭ ი (ღვინო); ვ უ მ (ცხრა)—ჭ უ მ (გაბერილი); 8) შ ი უ (ღამე)—შ უ (ვინ); ბ ა ჩ ი (ასი)—ბ ა ჩ (ბრტყელი ქვა, ქვევრს რომ აფარებენ); ა ჩ ი (დაკარგული)—ა ჩ ი (თამაში); ყ ა ჭ ა (ტყვილი)—ყ ა ჭ (ვიწრო); ჭ ა პ (გამქრალი, დამალული)—ჭ ა პ (ვაზი) და სხვ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : თანხმოვანთა ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში შუაენისმიერი მელერის სვეტში (ფრჩხილებში) მოქცეულია მ. ზემოთ ამგვარივე ასო-ნიშნით გამოხატულია ერთ-ერთი ნახევარხმოვანიც. უნდა დავსძინოთ, რომ უდიდურში მოწმდება ორგვარი — ხმოვნური და თანხმოვნური წარმოშობის მ: ერთი — თანხმოვნის პალატალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მ (იხ. ქვ.: პალატალიზაცია. იოტიზაცია) და მეორე — ი ხმოვნის დასუსტების შედეგად მიღებული მ (ნახევარ-ხმოვანი). თანხმოვნისაგან მიღებული მ ბგერისათვის დამახასიათებელია ის, რომ მისი წარმოქმნის დროს ენის შუა ნაწილი უფროა აწეული მაგარი სასისაცენ, ვიდრე ი—მ წარმოქმნისას, თანაც ისე, რომ ამისი ნაპრალი ძალიან ვიწროა, რის გამო შეიძლება (ამ ნაპრალში) ამოშვებული ჰაერნაკადის საგრძნობი ხეხვა; ამ სახით წარმოქმნილი მ ტოვებს ჩქამიერი მელერი ნაპრალისაგან თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს შთაბეჭდილებას. ეს არ წარმოადგენს დამაუკიდებელ ფონემას, მაგრამ ჩვენ მიინც შევიტანეთ ცხრილში (ჩასმულია ფრჩხილებში). იგი როგორც ბ გ ე რ ა მკაფიოდ გამოხატული ფონეტიკური ერთეულია, თუმცა — „ირაციონალური“.

### ფონეტიკური პროცესები

უდიდურისთვის დამახასიათებელია როგორც პოზიციურ-კომბინაციური, ისე სპონტანური ბგერათვლილებები, სახელდობრ: რედუქცია, ასიმილაცია, გემინაცია, ელიზია-კონტამინაცია, პეტათეზისი, აბრუპტივიზაცია, გამჟღერება, ბგერათმოკვეცა, ნახალიზაცია, პალატალიზაცია, დიფთონგიზაცია, სპირანტიზაცია, სუბსტიტუცია და სხვ. (დისიმილაციის პროცესი არ მოწმდება<sup>1</sup>).

რედუქცია. ფუძის შიგნით ხმოვანთა დასუსტება-ამოწმარდნა (ფუძის კუმშვა) გავრცელებული მოვლენაა უდიდურში. რედუქცია ხდება უპირატესად ე და უ ხმოვნებისა, როდესაც მათ მახვილი არ მოუღლით. უმახვილო ხმოვანთა რედუქ-

<sup>1</sup> არის თითო-ორი შემთხვევა დისიმილაციური გამჟღერებისა: ოთახ—ოთალ (ოთახი), ჯოშნახ—ჯოშნალ (ჯოშნალი)...

ციას იწვევს, როგორც წესი, მომდევნო მახვილიანი მარცვალი<sup>1</sup>. მაგალითები:  $\text{ყოლლა} \leftarrow \text{ყოლულა}$  „ზაფხულში“ (ყოლულ „ზაფხული“),  $\text{ააჲლუხ} \leftarrow \text{ააჲელუხ}$  „ბავშვები“ (აჲელ — „ბავშვი“),  $\text{უქსუნ} \rightarrow \text{უქესუნ}$  „კამა“  $\text{კიგსუნ} \leftarrow \text{კიგესუნ}$  „გარეკვა, გაქენება“,  $\text{ესსა} \leftarrow \text{ეზსა} \leftarrow \text{ეზუსა}$  (მოველივარ) ...

ასიმილაცია. ხდება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა (უპირატესად წინა რიგის თანხმოვანთა) სრული ან ნაწილობრივი (უპირატესად პროგრესული) ასიმილაცია (დამსგავსება). მაგალითები: 1) ხმოვანთა ასიმილაციისა:  $\text{შონო} \leftarrow \text{შენო}$  (იგი, ის),  $\text{შონორ} \leftarrow \text{შენორ}$  (იგინი, ისინი);  $\text{სოო} \leftarrow \text{საო}$  (ერთი)<sup>2</sup>;  $\text{ადამარლონ} \leftarrow \text{ადამარულონ} \leftarrow \text{ადამარ-უხენ}$  (ადამიანებმა)<sup>3</sup>,  $\text{ელელ} \leftarrow \text{ილელ}$  (ცხვარი);  $\text{ბელე}$  (ვართ.) —  $\text{ბელი}$  (ნიჯ.) „პირუტყვი“,  $\text{ილარილო}$  (ვართ.) —  $\text{ელარილო}$  (ნიჯ.) „სიციხეში“... 2) თანხმოვანთა ასიმილაციისა:  $\text{თასსა} \leftarrow \text{თაზსა} \leftarrow \text{თაზუსა}$  (მიველივარ);  $\text{ბალლე} \leftarrow \text{ბალნე}$  (გააკეთებს);  $\text{ტულლუხ} \leftarrow \text{ტულნუხ}$  (ყურძენს);  $\text{ბარრეხა} \leftarrow \text{ბარნეხა}$  (უშვებს);  $\text{ქურრუხ} \leftarrow \text{ქურნუხ}$  (ორმოს);  $\text{თაღღესა} \leftarrow \text{თაღნესა}$  (იძლევა, მიეცემა, даётся), ხოდლუხ — ხოდნუხ (ხეს)...

გემინაცია. ბგერათა შერწყმა-შეერთება (გემინაცია) გავრცელებულია უდიუროში; შერწყმა ხდება ერთგან თავმოყრილი ორი ერთნაირი ან დამსგავსებული ბგერისა. ხმოვანთა შერწყმის შედეგად ვიღებთ გრძელ ხმოვანს, ხოლო თანხმოვანთა შერწყმით — გემინირებულ (მყოვარ) თანხმოვანს.

მაგალითები: 1) ხმოვანთა შერწყმისა:  $\text{მნლ} \leftarrow \text{მნალ}$  „სადაც“ (მა „სადა“),  $\text{ეკალ} \leftarrow \text{ეკაალ}$  „აარაფერიც“ (ეკა „რა“);  $\text{სო} \leftarrow \text{სოო} \leftarrow \text{საო}$  „ერთი (სუბსტანტი)“ —  $\text{სა}$  „ერთი“ (ატრიბუტი)...

2) თანხმოვანთა შერწყმისა:  $\text{ტოლფუხ} \leftarrow \text{ტოლოფუხ} \leftarrow \text{ტოლნუხ}$  „ტყავს“ (ტოლ „ტყავი“),  $\text{გორაჲ} \leftarrow \text{გორრაჲ} \leftarrow \text{გორნაჲ}$  (სარისა)...;  $\text{ბუღფუხ} \leftarrow \text{ბუღლფუხ} \leftarrow \text{ბუღნუხ}$  (ბარკლისა) ...  $\text{ბოსაჲუნ} \leftarrow \text{ბოსსუნ} \leftarrow \text{ბოსესუნ}$  (გადავდება) ...

შენიშვნა: 1) გემინაციის პროცესი ნიჭურ კილოში ნაკლებადაა გავრცელებული: აქ ან არ ხდება ერთგან თავმოყრილ თანხმოვანთა ასიმილაცია-გემინაცია, ან არა-და, ასეთი ბგერები მარტივდება. შდრ., მაგალ.:  $\text{ტულლუხ}$  (ვართაშნ.) —  $\text{ტულა}$  (ნიჯ.) „ყურძენს“ (ტულ „ყურძენი“);  $\text{ჰვრჰჰვთებსა} \leftarrow \text{ჰვრჰჰვთ-ნე-ბესა}$  (ვართაშნ.) —  $\text{ჰვრჰჰვ-ჰვთ-ნე-ბესა} \leftarrow \text{ჰვრჰჰვთ-ნე-ბესა}$  (ნიჯ.) „ცდილობდა“, „ფაფხურობდა“;  $\text{კალლეხა} \leftarrow \text{კალ-ნე-ხა}$  (ვართ.) —  $\text{კალ-ე-ნე}$  (ნიჯ.) „იძახის“;  $\text{ქარრეხსა}$  (ვართაშნ.) —  $\text{ქარრეხსა}$  (ნიჯ.) „ცხოვრობს“...

<sup>1</sup> როგორც ჩანს, უდიურისთვის ოდესღაც ნიშანდობლივი ყოფილა ძლიერი, ინტენსიური, მახვილი, ამასთან იგი ფიქსირებულია ბოლო მარცვალზე, თუმცა ზოგჯერ შეინიშნება ამ წესის დარღვევა: თავკიდურ მარცვალსაც მოუღის ხოლმე, თუ სიტყვა ორზე მეტ-მარცვლიანია; ასეთ შემთხვევაში ერთდროულად ორი მახვილი გვაქვს: ძირითადი (ბოლო მარცვალზე) და, როგორც იტყვიან, თანამახვილი (თავკიდურ მარცვალზე). რედუქცია მოსდის ძირითადი მახვილის მატარებელი მარცვლის წინ მდგომ ხმოვანს; მაგალ.:  $\text{აშ-ნე-ბსა} \leftarrow \text{აშ-ნე-ბესა}$  (მუშაობს);  $\text{აჲ-ნე-სსა} \leftarrow \text{აჲ-ნე-სსა} \leftarrow \text{აჲ-ნე-სსა}$  (დგება),  $\text{ქარრეხსა} \leftarrow \text{ქარ-რე-ხესა} \leftarrow \text{ქარ-ნე-ხესა}$  (ცხოვრობს)...

<sup>2</sup> ასე იტყვიან სუბსტანტივის მნიშვნელობით. მსაზღვრელი სახების (ატრიბუტივის) მნიშვნელობით კი იწინება  $\text{სა}$  „ერთი“: შდრ.  $\text{სოო}$  არენე „ერთი მოვიდა“ —  $\text{სა}$  ადამარ არენე „ერთი ადამიანი (ყაცი) მოვიდა“...

<sup>3</sup> მხოლ. რ. ადამარ (ადამიანი) — ადამარ-ენ (ადამიანმა). იხ. სახელთა ბრუნება.

2) ზოგ უდიურ სიტყვაში გამოიყოფა ისეთი გემინირებული თანხმოვნები, რომელთა წარმომავლობა ნათელი არ არის, სხვანაირად რომ ეთქვათ: არ ჩანს იმის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ეს მყოვარი („გემინირებული“) თანხმოვანი მიღებული იყოს ორი ერთნაირი ან დამსგავსებული თანხმოვნის შერწყმით; ასეთებს პირობით შეიძლება ვუწოდოთ პირველადი გემინირებული (თავიდანვე მყოვარი) თანხმოვნები. ამის მაგალითებია: თოყაა (ქაშარი), დაყაა (კასრი), ეყაარა (რამდენი, რამდენი-კი), ეკაა (რაგინდარა, რა-კი) საწაე (თერთმეტი), პაწაე (თორმეტი)...

ელიზია-კონტრამინაცია. აქ უნდა ვიგულისხმოთ წინადადებისა თუ გამოთქმის დაწყებულ წევრთა შერწყმა, ინკორპორაცია, რაც ხდება წინააღვლი წევრის ბოლოკიდური მარცვლის ან მომდევნო წევრის თავკიდური მარცვლის ამოგდების შედეგად. მაგალითები: ა) ქაქალა (ნიჯ.)—ქალქალა (ვართაშ.)=ქალა + ქალა „დიდრონი“, „მსხვილი“ (ქალა „დიდი“); ბ) შუ-ქალ—შუ-უქალ „არავინ“ (შუ „ვინ“ + უქალ „მთქმელი“); გ) ახშუმნება—ახშუმ-ნე-ეხა „იციინის“ (ახშუმ „სიცილი + პირისნიშანი ნე + ეხა „ამბობს“); დ) საჟა—საკი—საკიწი „ცოტა“, „მცირედნად“, „ცოტოდნად“ (სა „ერთი“ + კიწი „ცოტა“, „მცირე“); ე) ზუზუ—ზუზუ—ზუზუზუ „ვარ“ (ზუ „მე“ + ბუზუ „ვარ“; ბუ „მყოფი“), უნაუ—უნ-ნუ—უნ ბუნუ „ხარ“ (უნ „შენ“ + ბუნუ „ხარ“)...

შეტათეზისი. ბგერათვადანის ან (ზოგჯერ) მარცვალთა ვადანის პროცესი ვრცელდება როგორც ფუძისეულ, ისე ფორმანტისეულ ელემენტებზე. მაგალითები: ამდარ—\*ადმარ (ნიჯ.)—ადამარ (ვართაშ.) „ადამიანი“; თოგნესტა—თოგნესდა—თოგნედსა—თოგნედესა „ჰყიდის“...; ა-ალ-ზუ-ყო-ა-ყო-ალ-ზუ „ავიღებ კიდევ“, „ავიყვან კიდევ“, „ვიყიდი კიდევ“<sup>1</sup>; ქარჯხსა—ქარ-უზ-ხსა (ნიჯ.)—ქარ-ზუ-ხესა (ვართ.) „ვეცხვრობ“<sup>2</sup>; კალკო-უზ (ნიჯ.)—კალკო-ზუ||კალ-ზუ-კო (ვართ.) „ვისწავლი“...

აბრუპტივიზაცია. უდიურში ბგერათვამკვეთრება, ანუ აბრუპტივიზაცია ჩვეულებრივ ინტეროკალურ პოზიციაში ან ს და შ სპირანტთა მეზობლობაში ხდება. იგულისხმება ამ პოზიციაში ჩ და ც აფრიკატთა ჰ და წ ვარიანტებით შეცვლა (შესაბამისად); თანაც ისე, რომ ეს ჰ და წ მყოვრად წარმოითქმის, — ერთსაც და მეორესაც გემინირებული თანხმოვნის ეფექტი აქვს. მაგალითები: 1) ყოქალ—ყოჩალ—ყოშალ (ყოჩალი, ყოჩალად), ფაქალ—ფაჩალ—ფაშკალ—ფაშალ (მეფე); ეპუნ←ეშუნ←ესჰუნ←ესჩუნ←ესჩუნ←ესჩუნ (მოტანა, მოყვანა), მუქაუნ←მუშჰუნ←მუშჩუნ←მუჩუნ←მუჩუნ←მუჩუნ (კოცნა)...

<sup>1</sup> აღ ნაწილაკვანი ელემენტია, რომელიც ქართ. „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით იხმარება უდიურ სახელთანაც და ზმნაშიც.

<sup>2</sup> ზ-უ-ზ-უ-ზუ მხოლ. რ. პირველი პირის მწარმოებელია. შდრ. უდიურივე ზუ „მე“.

2; არრესწა—არრესცა—არრესცა—არრესცა—არ-ნე-ცესა (ჯღება), მარრესწა—  
მარრესცა—მარრესცა—მარრესცა—მარ-ნე-ცესა (თავდება, იწურება)...<sup>1</sup>

**გამქვღერება.** ზოგჯერ ხ სპირანტი მქვღერდება ხმოვნებს შორის ან სიტყვის  
ბოლოს. მაგალითები: 1) ა დ ა მ ა რ ლ ო ხ —ადამარულოხ—ადამარ-უხ-ოხ—ადა-  
მარ-უხ-ახ „ადამიანებს“ (ადამარ-უხ „ადამიანები“), ბურლოლ—ბურულოლ—  
—ბურუხ-ალ „მთაზე“ (ბურუხ „მთა“)... 2) ოთალ—ოთახ (ოთახი), ყ ო  
ჭ ხ ა ლ ← ყ ო ჩ ხ ა ლ ← ყ ო ჩ ა ლ (ყოჩალი), კ ო ლ ო ლ ← კ ო ლ ო ხ ← კ ო ლ ო ხ (შუბლი), ბ ო ა ხ  
მ ო ა ლ ← ბ ო ა ხ მ ო ა ხ (ცხვირი) ...

აღნიშნულ შემთხვევებში ნიჭურმა კილომ ხ სპირანტის გამქვღერება არ  
იციის; შდრ., მაგალ., პ ი ა ნ ე რ ხ ო ნ —პიანერუხონ—პიანერუხენ (ნიჯ.) — პიო-  
ნერლონ (ვართ.) „პიონერებმა“; ა ო ლ დ ა შ ხ ო ნ —აოლდაშხონ—აოლდაშუხენ (ნიჯ.) — აოლდაშ-  
მულონ—აოლდაშმულონ (ვართ.) „ამხანაგებმა“...

**ბგერათმოკვეცა.** ბგერათამოვარდნა. დასუსტების შედეგად ჩვეულებრივ  
იკვეცება უდიური სიტყვის (ფუძისეული ან ფორმანტისეული) ბოლოკიდური  
ხმოვანი; ზოგჯერ იკვეცება ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანიც; არ არის იშვია-  
თი ფუძის შიგნიდან თანხმოვნის ამოვარდნაც. მაგალითები: 1) ფ ა შ ნ -ი ნ —  
ფაშნა-ინ (გოგრისა)<sup>2</sup>, კ ა შ -ი ნ —კაშა-ინ (თითისა)<sup>3</sup>; ფ ა შ ნ -ი უ ხ (გოგრები),  
კ ა შ -ი მ -უ ხ (თითები); ნ ა ნ ა —ნანაა—ნანა-ი (დელისა)<sup>4</sup>... 2) ფ ა ქ ი —ფაქის  
(ბალში), ე ზ ნ უ —ეზნუხ (ხნულს, ხნულში)... 3) ე ე ს —ეეს (მოსვლა), თაეს—  
თაღეს (წასვლა)...

ნიჭურ კილოში რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა; აქ ზოგჯერ  
არქაული ვარიანტია დაცული, ზოგჯერ კი — ახალი, მოდერნიზებული; ნიჭურ-  
ში, ვართაშნულის საპირისპიროდ, სახელდობრ, ა, ზოგი გამონაკლისის გარ-  
და, არ იკვეცება (ნიჭელები იტყვიან, მაგალითად, ნანაა; კოყ, ბავაა კოყ „დე-  
ლის სახლი“. „მამის სახლი“, „დედულეთი“...) და პირუბერუნებით: ხ მუდამ  
მოკვეცილია ზემოთ უწყებულ ფორმებში; შდრ., მაგალ., ვართაშნული ე ზ  
ნ უ —ე ზ ხ უ ხ — ნიჭური ე ზ ა (ხნულს, ხნულში) მოსალოდნელი ე ზ ა ხ ფ ო რ -  
მის ნაცვლად.

**ნაწალიზაცია.** ზოგი უდიური ფუძის ბოლოში სუსტდება და იკარგება სო-  
ნორი ნ. ასეთ შემთხვევაში მისი კვალი რჩება წინამაჟალი ხმოვნის ნაწალიზაციის  
(გაცხვირისმიერების) სახით. მაგალითები: კ ო ა ზ ო ო ← კ ო ა ზ ო ო (ქული); ქ ო ა ზ ←

<sup>1</sup> აქ საგულისხმებელია უდიურ ჩ, ც აფრიკატა და შ, ხ სპირანტთა ბუნება; თავდაპირველი  
თვისების მიხედვით თითოეული ეს თანხმოვანი ინტენსიური უნდა ყოფილიყო. დასა-  
ხელებულ თანხმოვანთა ამგვარი თვისება, რომელიც ამჟამად მოღუწებულია, ან სულაც მოშლო-  
ლი, მდგენდება მათი ერთად თავმოყრის შემთხვევაში, — დილაციის დროს; ამასთან — მდგენ-  
დება გემინაციისა თუ აბრუპტივიზაციის ეფექტით. საფიქრებელია, რომ უდიურს ძველთაჟან  
პკონდა ინტენსიური და არაინტენსიური შიშინა (ალვეოლარული) და სისინა (ცბილისმიერი) სპი-  
რანტები და აფრიკატები.

<sup>2</sup> ფაშნა „გოგრა“.

<sup>3</sup> კაშა „თითი“.

<sup>4</sup> ნანა „დედა“.



ქოღ ← ქოღნ (სახელო), კოა ← კოაღ ← კოაღნ (ქვევრი); ბარუ ← ბარუღ ← ბარუნ (კედელი), ბორზუ ← ბორზუღ ← ბორზუნ (მოსავალი)...

პალატალიზაცია (უმლაუტი. იოტიზაცია). უდიურში პალატალიზაცია ხდება როგორც ხმოვნებისა (უმლაუტი), ისე — თანხმოვნებისა (დარბილება და ხშირად იოტიზაცია). ეს მოვლენა უფრო მეტად ნიჭური კილოსთვისაა დამახასიათებელი.

ამ ენაში პალატალიზაციის შედეგად ადგილი აქვს ა, ო, უ მარტივ ხმოვანთა ვოკალიკურ ინფლექსიას, ანუ ხმოვანთა მუტაციას, მეტაფონიას (იაკობ გრიშის ტერმინით — უმლაუტს) <sup>1</sup>: ა—ა, ო—ო; უ—უ. ასეთ [ა, ო, უ] ხმოვნებს უპირატესად ვხვდებით თურქულ-აზერბაიჯანულიდან ან ამ ენის მეშვეობით სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებში. ა, ო და უ მკაფიოდ გამოხატული წმინდა ხმოვნებია, თუმცა არც ერთ მათგანს არა აქვს ფონემის ღირებულება. შდრ., მაგალითად: პ ა რ ს ა (ვართ.) — პ ა რ-ს ა (ნიჯ.) „ყოველი“, ა შ (ვართ.) — ა შ (ნიჯ.) „საქმე“, ა შ ბ ე ს უ ნ (ვართ.) — ა შ ფ ს უ ნ (ნიჯ.) „მუშაობა“, კ ა შ ა (ვართ.) — კ ა შ ა (ნიჯ.) „თითი“, ტ ო შ (ვართ.) — ტ ო შ (ნიჯ.) „გარეთ“; უ ს ი ნ (ვართ.) — უ ს ი ნ (ვართ. ნიჯ.) „მაღე“, ჩქარა“...

ა, ო, უ ხმოვანთა შემცველი სხვა სიტყვები უდიურში: შ ა შ ა რ (ქალაქი), ბ ა შ ა რ (ნაყოფი), პ ა ლ ბ ა თ (ალბათ), პ რ ა ყ ი (არაყი), პ ა ლ მ ა ნ (ნახარში ბრინჯის წვენი), ქ ა ლ მ (კომპოსტო), ქ ა ლ (კამეჩი), ქ ა ლ ჩ ა (ჩაქი), ქ ა ლ ლ ა (ქალა), კ ა ზ ა რ (სტაფილო), ა ლ ზ (სოფელი). ა ლ ბ (სირცხვილი), ა ლ ე ლ (ბავშვი), თ ა ქ ა (ჩიხვი), ვ ა დ ა (დრო, ვადა), ა გ ა ნ ა მ (თუკი), ე თ ა რ (როგორ), მ ე თ ა რ (ასე, ამნაირად), ქ ა თ ა რ (ეგრე, მაგნაირად), ტ ე თ ა რ (ისე, იმნაირად), მ ა რ ქ ა რ ი ტ (მარგარიტა); ო ლ ქ ი (ქვეყანა), გ ო ლ (გუბე), ო რ დ ა გ (იხვი), გ ო ლ ო (ბევრი), გ ო ლ ო შ (ცეკვა), ლ ო რ ო ც (აკვანი), ქ ო მ ჭ რ (ნახშირი), ქ ო მ ა გ (შემწე, ქომავი), მ ო შ კ ა მ (მტკიცე), თ უ ნ დ (ცხარე), უ თ უ (უთო), ბ უ თ უ ნ (ყველა), გ უ ნ დ ა (გუნდა) ე ჭ უ რ ა (როგორ, როგორი), ჩ ა ქ უ ჩ (ჩაქუჩი), დ უ რ უ ს (მთელი, მთლიანი, ერთიანი), დ უ ნ ა ლ (ქვეყანა), ქ ო თ ა ნ (გუთანი)...

ზოგჯერ ო და უ ხმოვნები ო და უ მარტივ ხმოვანთა პალატალიზაციის შედეგად კ ი ა რ უ ნ და ი ყ ო ს მიღებული, არამედ — ე და ი ხ მოვანთა ლაბიალიზაციისა, შდრ., მაგალითად: გ ე ლ ე (ნიჯ.) — გ ო ლ ო (ვართ.) „ბერი“, პ ა ქ ი მ (ნიჯ.) — პ ა ქ ო მ (ვართ.) „ეკიმი“... ხდება ასეც: ვართაშნულში დამოწმებული ე ხმოვანი ლაბიალიზაციის შედეგად ნიჭურში გვაძლევს ო-ს; შდრ., მაგალითად: ე კ (ვართ.) — ო კ (ნიჯ.) „კალო“...

პალატალიზაციის შედეგად უდიურში განვითარებულია ზოგი დარბილებული თანხმოვანი, მაგალითად, ლ; ა ლ ე ლ (ბავშვი), ჭ ა ო ლ -დესუნ (მოღერება ჭოხისა, გაშლა სილისა), ქ ა ქ ო ლ (ქოჩორი), მი-გი-ი ლ ა (აი! შეხე!); გ ი ლ ა (მარცვალი ყურძნისა...) და სხვ.

<sup>1</sup> რაც სიტყვა-სიტყვით „ვადახმოვანებას“ (რუსულად *перегласовка*-ს) ნიშნავს.

ნიჭურ კილოში აღნიშნული პროცესის შედეგად გ, ქ, კ თანხმოვნები იძლევიან ძ რეფლექსს: შღრ., მაგალითად: ტუტტაგ (ვართ.)—ტუტტაჟ (ნიჯ.) „სტიერი“, „სალამური“, გარაგ (ვართ.)—გარაჟ (ნიჯ.) „უნდა“, „საპირა“; დალაქ (ვართ.)—დალაჟ (ნიჯ.) „დალაქი“, ფაფალაქ (ვართ.)—ფაფალაჟ (ნიჯ.) „პეპელა“ და სხვ. ამ კილოში ასეთსავე რეფლექსს იძლევა უ სპირანტი; შღრ., მაგალითად: კოჭ (ვართ.)—კოჟ—კოჟ (ნიჯ.) „სახლი“. საერთო უდიურში მოწმდება ჯ—ლ—ლ შემთხვევა: ბაა—\*ბაა-ლი (ბალი), გულბაა—\*გულ-ბაა-ლი (ალუბალი). დასტურდება პალატალიზაციის (resp. აფრიკატიზაციის) ასეთი ფაქტი: ტ—ქ; მაგალ.: ტოშ (ვართ.)—ჭოშ (ნიჯ.) „გარეთ“...

**სპირანტიზაცია.** უდიურში ესა თუ ის ხშული ან აფრიკატი შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი სპირანტით. მაგალითები: 1) ხოხლა—ქოხლა—ჯოქლა (კვერცხი), მუხ←მუჟ (ფრჩხილი), მუხ←მუჟ (მხარული, ლალი), ზაბუნ←ქაბუნ (ვარსკვლავი), ბახესუნ←ბაქესუნ (მოპოვება, მკონეობა); 2) ფუშ←ფუჟ (ფუჟი, ამა), ფაშნა←ფაჩნა (გოგრა), ბაშე←ბაჩე (ასი); კოჟ (ნიჯ.)—კოჭ (ვართ.) „სახლი“, ნიჟ←ნიჭ (ნიჭი); 3) ზაბარი←ძაბარი (ძაბრი), ხაზალ←ხაძალ (ფოთოლი)...

**დიფთონგიზაცია.** უდიურში ყველა დიფთონგი მიღებულია ერთად თავმოყრილ ორ ხმოვანთაგან ერთ-ერთის დასუსტებისა და ნახევარხმოვნად ქცევის შედეგად; სუსტდება და ნახევარხმოვნად იქცევა წინამავალი ან მომდევნო ხმოვანი, თუ მახვილი არ მოუღის. მაშასადამე, უდიურსაც, სხვა ენათა მსგავსად, აქვს აღმავალი და დამავალი დიფთონგები; ამასთან ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ეს რთული ხმოვნები არ წარმოადგენენ ფონემებს. მაგალითები: 1) აღმავალი დიფთონგებისა: ბააბაა (კუნელი), ბაას (სალამო), ბაასუნ (სალამოს); მაყ (გზა), მან (ჩენი), მუ (რბილი), ტაა (იქ), მაა (აქ), მახო-ტაა (ამიერიდან); 2) დამავალი დიფთონგებისა: ბაა (ბალი), ქაა (ლია), ქაა (ნაჭამი), შაა (შაური), შაა (სველი), ქაა-ბაქსუნ (თენება), ქაა-ბი-შა (უთენია, გარიჟრაჟე), ბაასუნ (შესვლა), ბააჩესუნ (შეტანა, შეყვანა); ბეფან-გა (უდაბური ადგილი, უდაბნო), შეა (რამე, საგანი, ნივთი), ვუა (ცხრა), ფუა (გაბერილი), ღუა (მთელი), ხოად (ბრინჯის ყანა), ქოა (სახელო), კოა (ქვეერი)...

უდიურს მოეპოვება სხვა სახის დიფთონგებიც (რომლებიც აგრეთვე არ წარმოადგენენ ფონემებს); ეს დიფთონგებია: ოჟ, ჟე, ჟა; მაგალითები: პოჟზ (ვა, აუზი), შჟე (დათვი), შჟეტ (ყამა), კჟა (შინ)...

**სუბსტიტუცია.** ბევრათშენაცვლების, ანუ სუბსტიტუციის მოვლენებიც იშვიათი არ არის უდიურში; შენაცვლება ხდება უპირატესად ბ ხშულისა და ვ სპირანტისა; არის ლ სონორისა და ვ სპირანტის, აგრეთვე კ და ტ ხშულთა, ნ და ლ სონორთა შენაცვლების შემთხვევებიც. ეს ჩანს საერთო უდიურ მასალაშიც და დიალექტური მონაცემებიდანაც.

<sup>1</sup> სოფლის სახელია.

მაგალითები: 1) ჩო ბ ა ლქ ო ვ ა ლ (ბელურა), კ ო ბ ა ლქ ო ვ ა ლ (ქო-  
ბი), ბ ა ხ ტ ქ ვ ა ხ ტ (დრო, ბედი); ბ ა ხ ტ რ ი კ ქ ვ ა ხ ტ რ ი ნ კ (გულსთვის,  
-თვის); ასევე: ბ ა ბ ა (ვართ.) — ბ ა ვ ა (ნიქ.) „მამა“, ა ბ ა (ვართ.) — ა ვ ა  
(ნიქ.) „მცოდნე, აბუზ (ვართ.) — ა ვ ვ ბ (ნიქ.) „მეტი“, „ზედმეტი“, ჰენეზაქსა,  
(ვართ.) — კ ო ვ ა ქ ს ა ნ ე (ნიქ.) „გადადის“... 2) ქ ო ლ ლ ა ო ქ ო ვ ლ ა (ჭგუფი, მარა-  
ქა, თავყრილობა, კრებული, რაზმი)... 3) კ ი ლ ი ნ - კ ა შ ა (ვართ.) — ტ ი  
ლ ი ნ - კ ა შ ა (ნიქ.) „ნეკი“... 5) მ უ ჰ ა ნ ა ყ მ უ ჰ ა ლ ა ყ (რძე); ა შ ნ ა მ ო  
ა შ ლ ა მ (საქმისა)...

#### ნიჯური დიალექტი ფონეტიკურად (დაბატავითი ცნობები)

ბგერითი შედგენილობით ნიჯური კილო არსებითად არ განსხვავდება ვარ-  
თაშნულ-ოქტომბრული (ვართაშნულ-ზინობიანური) კილოსაგან<sup>1</sup>. თავისებურე-  
ბა მელავნდება ფონეტიკური პროცესების ხაზით, რის შესახებაც ცნობები მოწო-  
დებულია ზემოთ, გზადგზა, ბგერათცვლის ამა თუ იმ მოვლენაზე მსჯელობის  
დროს (იხ. რედუქციის, ასიმილაციის, გემინაციის, ელიზია-კონტამინაციის, მე-  
ტათეზისის, გამელერების, ბგერათმოკვეცის, პალატალიზაციის, სპირანტიზაცი-  
ისა და სუბტიტუციის შესახებ ცნობები). ოლონდ ზემოთ არაფერია ნათქვამი  
იმის თაობაზე, რომ ერთი ჯგუფის ნიჯურ სიტყვებში ვართაშნულის ს ა პ ო  
რ ი ს პ ი რ ო ლ შეიმჩნევა ტენდენცია თავკიდურ ხმოვანთა ასპირაციული  
(ფშვინიერი) შემართვისა; შღრ., მაგალითად: ა ყ ს უ ნ (ვართ.) — ჰ ა ყ ს უ ნ ო  
ჰ ე ხ ტ ს უ ნ (ნიქ.) „აყენა“, „აღება“, „ყიდვა“; ე კ ა (ვართ.) — ჰ ი კ ა  
(ნიქ.) „რა“; ე თ ა რ, ე ჯ უ რ ა (ვართ.) — ჰ ე თ ა რ, ჰ ე ჯ უ რ ა (ნიქ.) „რო-  
გორ“ „როგორი“; ა რ ე ყ უ ნ (ვართ.) — ჰ ა რ ე ტ უ ნ (ნიქ.) „მოვიდნენ“...

#### უდიურ ბგერათა ტრანსპირაცია

უდიური ამქამად უმწერლობო ენაა. სხვადასხვა შემთხვევაში ამ ენის ბგე-  
რათა ტრანსკრიფციისათვის (ტრანსლიტერაციისათვის) გამოყენებულია სხვა-  
დასხვა ენის ანბანი; სახელდობრ: 1) რ უ ს უ ლ ი ანბანი — ხელოვნურად შექმ-  
ნილი ახალი ასოების დამატებითა და დიაკრიტიკული ნიშნებით (მაგ.,  
ა. დირის რუსულ ენაზე გამოსულ „უდიურ გრამატიკაში“, ოთხთავის უდიურ-  
რუსულ პარალელურ გამოცემაში და სხვ.); 2) ლ ა თ ი ნ უ რ ი ანბანი — ახალი  
ასოების დამატებითა და დიაკრიტიკული ნიშნებით, ზოგჯერ ასოთა კომბინა-  
ციით (მაგ., ა. შიფერის „უდიური ენის გამოკვლევაში“, ევროპულ ავტორთა  
შრომებში). 3) ლათინიზებული შრიფტი (მაგ., უდიურ სასკოლო-საანბანო  
წიგნში — „სამჯი დს“-ში...); 4) ქ ა რ თ უ ლ ი შრიფტი (ქართულ ენაზე გამო-  
სულ შრომებში, ზოგჯერ — ამ შრომების რუსულ რეზუმეში...).

დასახელებულთაგან ბგერითი შედგენილობის ხასიათის მიხედვით უდი-  
ური ენისათვის ყველაზე უპირანია ქართული ასოების გამოყენება: ამ შემთხვე-  
ვაში დიაკრიტიკული ნიშნები მინიმუმამდე დადის, ხოლო ახალი ასოების ხე-  
ლოვნურად შემოდების საჭიროება არ არის.

<sup>1</sup> ევროპულ გუჯისაინის ცნობით, ნიჯურ კილოში უნდა იყოს მეექვსე ფარინგალზებული გო  
ხმოვანი (ალბათ ისეთი, როგორც წახურსა და მუხადურში). ეს ცნობა საჭიროებს დამა-  
ტებით შემოწმებას.





საერთოდ, უდიურ ბგერათა გადმოცემა ფონეტიკური ტრანსკრიფციის წესით ხდება და არა ფონოლოგიურისა, რამდენადაც გამოიხატება არა მხოლოდ ის ბგერა, რომელსაც ფონემური ღირებულება აქვს, არამედ — ყოველგვარი ბგერა, რომელიც კი ამ ენაშია. უდიური ორთოგრაფიისა თუ ორთოეპიის პრინციპი (ქართულისებრ) მარტივია: იწერება ისე, როგორც გამოითქმის, იკითხება (გამოითქმის) ისე, როგორც იწერება. ამასთან: ქართულისავე მსგავსად და, ვთქვათ, რომელიმე ინდო-ევროპული ენის საპირისპიროდ, ყოველი უდიური ბგერის გადმოსაცემად თითო ასო-ნიშანი კმარა, რასაკვირველია, თუ არ ვიგულისხმებთ უდიური ენის თავისებურ ბგერებს, რომელთა გამოხატვა დიაკრიტიკული ნიშნის გარეშე ვერ ხერხდება. მაშასადამე, უდიურში თითოეული ასო-ნიშანი გამოხატავს ერთ ბგერას.

## მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა

### უდიური ენის ზოგადი მორფოლოგიური დახასიათება

უდიური აგლუტინაციური ენაა. აქ მორფოლოგიურ კატეგორიათა გამოსახატავად გამოიყენება აფიქსები: პრეფიქსები და უპირატესად სუფიქსები<sup>1</sup>.

უდიურისათვის დამახასიათებელია სისტემებზე განვითარებული ფორმები ზრუნვათა და რიცხვისა—სახელში, პირისა და დრო-კილოთა—ზმნაში. უდიურს მოეპოვება აგრეთვე გადმონაშთები ასპექტის ფორმისა და ჩანასახები გვარის კატეგორიისა. ამჟამინდელ უდიურში მოშლილია კლას-კატეგორია, რომლის ოდინდელი ექსპონენტები შემონახულია მხოლოდ გაქვევებული პრეფიქსებისა და სუფიქსების სახით (ზმნაში. სახელში, სახელზმნურ ფორმებში, ადვერბიალურ სიტყვებში). უდიურ სახელებში შეიძლება გამოიყოს, ერთი მხრივ, დღეს მოქმედი, ცოცხალი მადერივატებული სუფიქსები, ხოლო მეორე მხრივ—ფუძე-ძირთან შეზრდილი დეტერმინანტი-სუფიქსები.

## სახელი

### სახელთა ფაქეაი ფონეტიკური შედგენილობის მიხედვით

ამ თვალსაზრისით უდიურ სახელთა ფუძეები შეიძლება დაეყოთ ორ ძირითად ჯგუფად: ერთმარცვლიან და ერთზე მეტმარცვლიან (მრავალმარცვლიან) ფუძეებად.

ერთმარცვლიანი ფუძეები თავის მხრივ წარმოადგენენ სხვადასხვა მოდელის დიან დახურულ მარცვალს, მაგალითად:<sup>2</sup>

1. ა) აპ (ოფლი), არ (მსხალი), აამ (მხარი); ეყ (ხორცი), ელ (მარილი), ეზ (ხნული), ეხ (სამკალი), ეაშ (ვაშლი), ეაქ (ცხენი); იყ (ნაცარი), იქა (თოვლი), იჩ (რწყილა), იხ (მეხსიერება), იჩ (თვით, თვითონ); ო (ბალახი); ოხ (სავარცხელი), ოყ (ფსკერი, ძირი), ოტ (სირცხელი), ოშ (ბოლო), ოაყ (უღელი); უშ (შეშა), უტ (მდინარე, ხევი), ულ (მგელი), უს (ხარი), უქ (თაფლი), უკ (გული), უნ (შენ);<sup>3</sup> უაღ (სხენი), უაქ (ეჭესი)... ბ) გა (ადგილი), ხა (მატყლი),

<sup>1</sup> ინფიქსები არა აქვს უდიურს. ა. დირი და ე. დამუშავილი მიუთითებენ ამ ენაში ინფიქსების არსებობაზეც; ამ ცნობის უპირთებულობა აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ ადრე, 1937 წელს, აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევაში — „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“.

<sup>2</sup> ნიმუშები დასახელებულია ვართაშნული დიალექტის მონაცემთა მიხედვით.

<sup>3</sup> შღრ. ნიჭური 3 უნ (შენ).

ქა (სახელი), სა (ერთი), ყა (ოცი), პაა (ორი); ხე (წყალი), მე (დანა), ტე (წილი), ეჲე (ქვა), ღი (ღლე), წი (სახელი), მი (სიცივე), პი (სისხლი), ფი (თხის ქონი), ჭი (ღვინო); ყიხ (შიში), ბიხ (მძიმე), კიხ (ნახევარი); ხო (ცვა-რი, რთვილი), ჩო (სახე), ჯო (ხუთი), ხოა (ცური, ჭიქანი); შაუ (ღამე), შუ (ინ), ჩაუ (პალო, სოლი), მუ (ქერი)...

2. ა) ღარ (ვაეი), ხარ (ნაკერი); ბერ (ბალიში); გორ (სარი). თორ (ბადე); ყოზრ (თაქარი); თირ (ძელი, ღვირე, მორი); თურ (ფეხი), ქურ (ორმო, მღვიმე), ჩურ (ფური). მურ (ღერძი)...

ბ) გულ (საცერი), კულ (მიწა), ქულ (ხელი), ფულ (თვალი), ბულ (თავი); ყოლ (საცობი); ჯოალ (ქერქი), ღოალ (გუბე, წუმპე); ცილ (თესლი), ჩილ (მძივი); ჩალ (ღობე). შალ (შალი), პალ (ავი სული)...

გ) ბაჩ (ბრტყელი ქვა ქვევრზე დასაფარებლად), ბაჩა (ასი); ბეიდ (მზე); ბიზ (სადგისი), ბიყ (მუქი), ბიჭ (ცულღუტი, ეშმაკი ვინმე, მონხრებული, გაიძვერა), ბიპ (ოხხი); ბოზ (რუხი, ნაცრისფერი); ბოყ (ღორი); ბუშ (აქლემი), ბუჟ (ცხვირაწეული, პრანჭია, გაბღენძილი)...

დ) ნელ (ცრემლი), ნეპ (ძილი, სიზმარი), ნეკ (ბზე), ნეწ (მკბე-ნარი); ნოქი (ყურძნის წვენი)...

ე) მუზ (ენა), მუკ (ფრჩხილი), მუშ (ქარი), მურ (ღერძი), მულ (რვა); მეხ (ნამგალი), მეკ (კინჭარი); მეც (ბუდე), მეილ (თაგვი); მიწ (ნალის დასაქედი ლურსმანი)...

ვ) ზოყ (ყლორტი, ღუყი)... ზ) კაჭ (საკენკი), კაჭ (ვარცილი), კოჭ (სახლი), ქოჭ (ძნელი), კოჭ (ტარი, სახელური)... თ) ფაფ (ნახერხი), ფოფ (თმა), ფუფ (არყის-ხე); ტატ (ბუზი); ცაც (ეჯალი), ცეც (ჩრჩილი); პეპ (აკენის ლები); ღოღ (ტყემალი); ყოყ (ყელი)...

შენიშვნა: ბოლოს ჩამოთვლილი ფუძეები (ფოფ, ტატ, ცაც, პეპ.

ღოღ, ყოყ და მისთ.) შესაძლოა წარმოშობით ორმარცვლიანი იყოს—ყო-ველი მათგანი წარმოადგენდეს ფუძეთა გამეორებით წარმოქმნილ სახელს: ფოფ—\*ფოფო, ყოყ—\*ყოყო, ტატ—\*ტატა, ცაც—\*ცაცა და ა. შ. მაგ-რამ—ეს მხოლოდ საკითხის დასმის წესით. (ზოგი ამათგანის ეტიმოლო-გიური ძიება შეიძლება სხვაგვარ ახსნასაც დაეყრდნოს, მაგრამ ასეთ სა-კითხებზე აქ არ შეეჩრდებით, იგი სცილდება ამ წიგნის ამოცანებს).

ერთზე მეტმარცვლიანი (მრავალმარცვლიანი) ფუ-ძეები შედგება სხვადასხვა სახისა თუ მოდელის მქონე რამდენიმე (ორი, სამი...) მარცვლისაგან; ამ შემთხვევაშიც მოწმდება ღია და დახურუ-ლი მარცვლებისაგან შედგენილი ფუძეები, რომლებიც ასე შეიძლება დავა-ჩგუფოთ:

1. ორი ღია მარცვლისაგან შედგენილი ფუძეები:

ა) ორმარცვლიანი ფუძეები, რომელთა თავიღური და ბოლოციღური ელემენტი ხმოვანია; მაგალითად: ოყო (ძმარი), ოქი (ტალახი), ოჲმა (მარწყვი), აჭა (მარჯვენა), აპი (მწიფე), აჩი (თამაში)...

ბ) ორმარცვლიანი ფუძეები, რომელთა თავიღური ელემენტი ხმოვანია, ბოლოციღური ელემენტი კი — თანხმოვანი; მაგალითად: ერეყ (თხილი), ეალემ (სახეღარი), ალაამ (ბროწეული), იზაკ (კიანჭველა), აწარ (წმინ-და, ანკარა), იყენ (ზამთარი)...



გ) ორმარცვლიანი ფუძეები, რომელთა თავკიდური ელემენტი თანხმოვანიძ ბოლოკიდური ელემენტი — ხმოვანი; მაგალითად: ბო ყო (ცომი), თო შო (ძლოკვი), ჰასო (ღრუბელი); ვიჩი (ძმა); ქეჭე (მეავე); ბიში (ქადა), ბისი (ძველი). ამ ჩვეულს მიეკუთვნება მარცვალთა გამეორებით, რედუბლიკაციით, წარმოქმნილი ასეთი ფუძეებიც: ნანა (დედა), ბაბა (მამა), ხაახაა (გატეხილი), ბიბიხ (ხიდი), ტრატრა (ტოროლა)...

2) ორმარცვლიანი ფუძეები, რომელთა თავკიდური და ბოლოკიდური ელემენტი თანხმოვანია, ამასთან ისე, რომ პირველი მარცვალი ღიაა, ხოლო მეორე — დახურული; მაგალითად: ჟე-ჯერ (ბაგე), მო-მოწ (ცინგლი, წინტლი), ეო-მოხ (პირი), გერეწ (ღუფი), და-დაალ (გაწეწილი), კო-კოწ (ქათამი), ჩო-მოხ (კარები), ნა-ყელ (მაწონი), ფო-თიკ (გოჭი), ბუ-ქუნ (მუცელი), ბა-ჰან (ზურგი), ქპ-ქჟლ (ქოჩორი), და-დალ (მამალი)...

3) ორმარცვლიანი ფუძეები, რომელთა თავკიდური ელემენტი თანხმოვანია, ბოლოკიდური კი — ხმოვანი, ამასთან ისე, რომ პირველი შემადგენელი ნაწილი დახურული მარცვალია, მეორე — ღია; მაგალითად: ხუნ-ჩი (და), ბურუნ (მთა), ღირუნ (მარხვა), გოროხ (ცოდვა), ჯოალ-ოახ (შარვალი, ნიფხავი), ჯოჭ-ლა (კვერციხი).

4) ორმარცვლიანი ფუძეები, რომელთა თავკიდური და ბოლოკიდური ელემენტი თანხმოვანია, ამასთან ისე, რომ ორივე დახურული მარცვალია; მაგალითად: ქოშ-მოტ (ბლაგვი), კან-კალ (დახვეული, დაგრაგნილი), ბოხ-მოხ (ცხვირი), კერ-წალ (კაქკაქი)...

II. სამმარცვლიანი ფუძეები, რომლებიც შედგენილია სამი ღია მარცვლისაგან, ორი ღია და ერთი დახურული მარცვლისაგან, ერთი ღია და ორი დახურული მარცვლისაგან და ა. შ. ამასთან ისე, რომ ზოგი ამოთვანი ხმოვნით დაწყებულ და ხმოვნითვე დაბოლოებულ ფუძეს წარმოადგენს, ზოგი — თანხმოვანით დაწყებულ და ხმოვნით დაბოლოებულს, ზოგი — ხმოვნით დაწყებულ და თანხმოვნით დაბოლოებულს, ზოგი კი — თანხმოვნით დაწყებულსა და თანხმოვნითვე დაბოლოებულ ფუძეს. მაგალითად: 1) ალააყო (შტერი, რეტიანი, გაბრუებული, დარეტიანებული), აჩალა (ხის შამფური), არაბა (ურემი), არარა (მეტსახელი კაცისა)... 2) ყოშალა (მიტყუბებული, წყვილად გამოსხმული ნაყოფი...), მპჰარი (მაჭარი), ჰამეცი (დაჩამიჩებული), ბაჰანა (მერცხალი), ბალანყო (მაყვალი), მალაკა (კოვზი); კჟნკური (კუდქანქალა); 3) ადამარ (აღამიანი)<sup>1</sup>...; 4) ბაადაალაყ (ბაყაყი), ბულეკალ (საღღებელი), ყაყაფუნ (ერბო-კვერციხი), ხეყუქკალ (ქარიყლაპია)....

ამ ენის ორივე დიალექტზე დაკვირვება (და თავად აქ ჩამოთვლილ ნიმუშთა რაოდენობა) გვარწმუნებს, რომ უდიურში ყველაზე უფრო მეტადაა გავრცელებული ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი ფუძეები.

<sup>1</sup> შღრ. ნიჭ. ა მ დ ა რ (აღამიანი).

1. ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი: კერძო, კონკრეტული, აბსტრაქტული, კრებული. 2. მ ს ა ზ ღ ღ რ ე ლ ი (ატრიბუტიული) ს ა ხ ე ლ ე ბ ი: თვისება-გვარობისა და სადაურობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელი; რიცხვითი სახელი; მითითებითი ნაცვალსახელი, კუთვნილებითი ნაცვალსახელი, კითხვითი ნაცვალსახელი „რა“. 3. ს ს ვ ა ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: პირის ნაცვალსახელი, უკუქცევითი ნაცვალსახელი („თვით“, „თვითონ“), კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ“.

#### არსებითი სახელი

არსებით სახელთა ფუძის აგებულება. წარმოქმნის (დერივაციის) ზოგი საკითხი. უდიურ სახელთა ფუძეები აგებულების მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: მარტივ, ნაწარმოებ და რთულ (თხზულ) ფუძეებად.

მარტივი ფუძე. ფონეტიკური შედგენილობის მიხედვით ზემოთ დასახელებულთაგან ყველა ერთმარცვლიანი ფუძე და დიდი ნაწილი ორმარცვლიანი ფუძეებისა აშკარად თითქოს აღარ იშლება და, მაშასადამე, წარმოადგენს მარტივ (ლიტონ) ფუძეს; ასეთებია, მაგალითად: პ ი (სისხლი), წ ი (სახელი), ფ ი (ქონი), ჟ ი (ღვინო), ი ყ (ნაცარი), ი ნ (რწყილი), ი ხ (მეხსიერება), ე ყ (ხორცი), ე ლ (მარილი); გ ა (ადგილი), ხ ო (ცვარი); ა პ (ოფლი). ა რ (მსხალი) და მისთ.; ქ უ ლ (ხელი), ფ უ ლ (თვალი), ბ უ ლ (თავი), ტ უ ლ (ყურძენი), კ უ ლ (მიწა); თ უ რ (ფეხი), ქ უ რ (ორმო), ჩ უ რ (ფერი); ც ი ლ (თესლი), წ ი ლ (ნაკვერჩხალი); ღ ა რ (ვყი) და მისთ. ნ ე პ (ძლი), ნ ე წ (მკბენარი), ნ ე ღ (ცრემლი), და მისთ. მ უ შ (ქარი), მ უ რ (ღერძი), მ უ ზ (ენა) და მისთ. ასევე: ბ ე დ უ ლ (ბარი), ნ ა ყ ე ლ (მაწონი), გ უ გ ე ლ (გუგული); ხ ი ნ წ რ (ქალიშვილი); ქ ო ა, ქ ო ა ნ (სახელო), კ ო ა ნ (ქუდი), კ ო ა (ქვევარი); ნ ი კ ო (ბურთი), ლ ა შ კ ო (ქორწილი), ჰ ა ს ო (ღრუბელი), ბ ო ხ ო (გრძელი), თ ო შ ო (ძლოკვი) და სხვ.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი (ბრ. და რიცხ.) ც ვ ლ ა და თ ე ის ტ ო პ ე ნ ა თ ა შ ე ს ა ბ ა მ ის ფ უ ძ ე ბ თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ა გვიჩვენებს. რომ ამ ფუძეთა უმრავლესობა შეიძლება დაიშალოს შემადგენელ ნაწილებად (მ ო რ ფ ე მ ე ბ ა დ), ნაწილი კი გამარტივებული იმით, რომ მოშლილი აქვს რაღაც ფუნქციური ელემენტი (ფორმანტი), ან სულაც — ძირისეული მასალა. მაშასადამე, მარტივ ფუძედ დასახელებულნი ისტორიულად არ წარმოადგენენ ნამდვილად მარტივ, ლიტონ ფუძეებს (ისინი მხოლოდ გარეგნულად ჰგვანან დაუშლელ, მარტივ, ფუძეებს). მაგალითად, ნ ა ყ ე ლ (მაწონი) დღეს მარტივი ფუძეა, მისი შემადგენელი ნაწილები ერთმანეთთან შერწყმულ-შეხორციებულია და ფორმათა ცვლის დროს უცვლელად რჩება: ნ ა ყ ე ლ - უ ნ (მაწონმა), ნ ა ყ ე ლ - უ ნ (მაწონისა), ნ ა ყ ე ლ - ა ხ (მაწონს); იშვიათად: ნ ა ყ ე ლ - უ ხ (მაწუნები). მაგრამ ეს სახელი „ღო“-ს აღმნიშვნელ ნ ა ყ ფუძეს ან „რძის“ აღმნიშვნელ მ უ ჰ ა ნ ა ყ (მუჰანაყ) ფუძეს რომ შევეუდაროთ, დავრწმუნდებით, რომ ბოლოკიდური მარცვლი - ე ლ რაღაც ფორმანტია (სადეტერმინაციო სუფიქსი). ამის კვალობაზე ეს ფუძე ასე მაინც უნდა დავშალოთ: ნ ა ყ - ე ლ. ახლა კი უდიური ი ნ (რწყილი), ე ლ (მარილი) თვისებრივ ენათა იმავე მნიშვნელობის ფუძეებს რომ შევეუდაროთ, დავინახავთ, რომ აქ დასახელებულ უდიურ სიტყვებში დაკარგულია ძირისეული თან-

ბოვანი, მთელი სიტყვის მაგივრობას ეწევა ფორმანტი (და მასთან ალბათ ნაშ-  
თად დარჩენილი ძირიეული ელემენტის ხმოვანი); შდრ. ინ (უღა:)-ჭინ (წა-  
ხური)¹: ე ლ (უღა.)-ყალ, ყელ (მუხადური)². ბ უ ლ, ფ უ ლ, ქ უ ლ სა-  
სულთა გულწის ფორმები კი გვიჩვენებენ, რომ ეს ფუძეებიც იშლება ამგვარ  
კომპონენტებად: ბ-ულ: ფ-ულ, ქ-ულ. შდრ., სახელდობრ: ბ-ულ (თავი) — ბ-ინ  
(თავმა, თავით), ბ-ინ (თავისა), ბ-ეხ (თავს), ბ-ეხ-ო (თავიდან); ფ-ულ (თვალი).  
ფ-ინ (თვალმა, თვალით), ფ-ინ (თვალისა), ფ-ეხ (თვალს), ფ-ეხ-ო (თვალიდან);  
ქ-ულ (ხელი) — ქ-ინ (ხელმა, ხელით), ქ-ინ (ხელისა), ქ-ეხ (ხელს), ქ-ეხ-ო (ხე-  
ლიდან) და ა. შ. მასასადამე, ბ უ ლ , ფ უ ლ , ქ უ ლ სახელებიც ისტორიუ-  
ლად, წარმოშობით, არ წარმოგვიდგებიან ნამდვილად მარტივ ფუძეებად. მარ-  
თალია, ამ რიგის ისეთი სახელები, როგორცაა, მაგალითად, გ უ ლ (საცერი),  
კ უ ლ (მიწა), თ უ ლ (ნაშიერი, ნაშობი) და მისთ., ან კიდევ თ უ რ (ფეხი),  
ჩ უ რ (ფური) და მისთ., ბრუნვათა მიხედვით ცვლის დროს -უ ლ და -უ რ  
ბოლოკიდურ ელემენტს ა რ იცილებენ³, მაგრამ ზემოთ დასახელებულ (ბულ,  
ფულ, ქულ) სახელთა მორფოლოგიური ხასიათის კვალობაზე უნდა ვიფიქროთ,  
რომ აქაც -უ ლ ან -უ რ ელემენტი ფუძე-ძირთან შეხორცებული ოდინდელი  
ელომანტია.

ამგვარად, უდიურ მარტივ ფუძეთაგან ზოგი ძირ-ნაქლია, ზოგი კი — გაქვა-  
ვებული (ძირთან შეხორცებული) სუფიქსის შემცველი, ხოლო ისეთი მარტივი  
ფუძე, როგორცაა, მაგალითად, ბ ე ლ (მზე), ბ ო ა ყ (ღორი), ბ უ ქ უ ნ  
(მუცელი), ბ ა ჰ ა ნ (ზურგი) და მისთ., შეიძლება დაიშალოს ისე, რომ მასში  
გამოიყოს თავიადური ზ (ან ზ + ხმ.) ელემენტი და იგი ეტიმოლოგიურად დაუ-  
კავშირდეს კლას-კატეგორიას. ამგვარი ძიების შესაძლებლობას იძლევა უდი-  
ურის შედარება თვისტომ ენებთან (იხ. ქვ.: გრამატიკული კლასის გაქვავებული  
მაწარმოებლები უდიურში).

მაგრამ ეგრე შორსაც რომ არ წავიდეთ, უდიურში არსებულ სულ სხვადა-  
სხვა მნიშვნელობის (სემანტიკის) მქონე სახელთა (მარტივ ფუძეთა) თავიადურ  
და ბოლოკიდურ ელემენტთა ხასიათი — მათი მორფემული ე რ თ გ ვ ა რ ო ვ -  
ნ ე ბ ა უკვე იმის მიმნიშნებელი უნდა იყოს, რომ აქ ფონეტიკურად ერთნაირ  
ელემენტთა სახით გამოაყენებულია ისეთი თავიადური ან ბოლოკიდური ელემენ-  
ტები, რომელთაც ერთ დროს უნდა ჰქონოდათ მორფოლოგიური (სადეტერმინა-  
ციო) ფუნქცია. შდრ., თუნდაც, ერთი მხრივ, ბ უ ქ უ ნ (მუცელი), ბ უ ყ (გაპ-  
რანჭული), ბ უ ტ (დახურული), ბ უ შ (აქლემი), ბ ა ჰ ა ნ (ზურგი), ბ ა ჰ ა ნ ა  
(მერცხალი); ბ ე რ (ბალიში), ბ ე ლ (მზე)...; მ უ ზ (ენა), მ უ შ (ქარი),  
მ უ რ (ღერძი)...; ნ ე ბ (ძილი), ნ ე ლ (ერემლი), ნ ე წ (მკბენარი) და  
მისთ., ხოლო, მეორე მხრივ, ბ უ ქ უ ნ (მუცელი), კ ა ჰ ყ უ ნ (ყვეი), ე ბ უ ნ (ხნული),  
კ ა ბ უ ნ (ვარსკვლავი); ც ი ლ (თესლი), წ ი ლ (ნაკეერჩხალი); ტ უ ლ (ყურძენი), თ უ ლ  
(ნაშიერი). შ უ ლ (მელა); ქ უ რ (ორმო), ჩ უ რ (ფური), თ უ რ (ფეხი); ლ ა მ კ ო (ქორ-  
წილი), ზ ი დ ო (რკინა), ნ ი კ ო (ბურთი), ჰ ა ს ო (ღრუბელი) და სხვ.

¹ შდრ. აგრეთვე კ ი ლ (მუხადური) „რწყილი“...

² შდრ. აგრეთვე ყ ე წ (წახური) „მარილი“...

³ შდრ. გულ-ენ (საცერმა, საცერით), გულ-ლუხ (საცერსა), ასევე:  
კულ-ენ (მიწამ, მიწით), კულ-ლა (მიწისა), კულ-ლუხ (მიწას); თურ-ინ (ფეხმა, ფეხით), თურ-ინ  
(ფეხისა), თურ-ეხ (ფეხს); ჩურ-ენ (ფურმა, ფურით), ჩურ-ეა (ფურისა), ჩურ-ახ (ფურს)...

ნაწარმოები ფუძე. სახელთა წარმოქმნელი სუფიქსები. როგორც აღინიშნა, უდიურს აქვს სახელთა ნაწარმოები ფუძეები — წარმოქმნილი ამჟამად ნოქმედ, ცოცხალ სუფიქსთა გამოყენებით. ზოგი ამ სუფიქსთაგანი საკუთარი, ზოგი კი — ნასესხები (თურქულ-აზერბაიჯანულიდან).

საკუთარი სუფიქსებია: 1) -ლა||ა — მნიშვნელობით უდრის ქართულ -იანი,-იერი,-ოვანი სუფიქსებს: ფოფ-ლა „თიანი“ (ფოფ, „თმა“); იუ-ლა||იუ-ბა „ნაციანი“ (იუ „ნაცარი“), ეუ-ლა||ეუ-ბა „ხორციანი“ (ეუ „ხორცი“), წი-ლა „სახელოვანი“, „სახელიანი“, (წი „სახელი“), ყოყ-ლა „ყელიანი“ (ყოყ „ყელი“), უქ-ლა „გულიანი“ (უქ „გული“), ქექ-ლა „ჩალიანი“, „ბუსუსიანი“ (ქექ „ჩალი“, „ბუსუსი“). -ლა სუფიქსი უნდა გამოიყოს ზოგ არსებით სახელშიც; მაგალ.; ქოქ-ლა (კვერცი). ყოშ-ლა (ტყუპი, მრჩობლი რამე ბუნებრივად); მუშ-ლა (ჭიდაობა), ჰაშ-ლა (ხის შამფური)...

2) -იკ — აწარმოებს კნინობით სახელებს; ზოგი არსებითი სახელის ფუძე-ძირთან შეზრდილია (თითქოს) უფუნქციოდ; მაგალითად: ფოთ-იკ (გოჭი), ფუფთლ-იკ (ბუთხუზა), მიწ-იკ (პატარა, პაწაწინა), ჭ-იკ (რტო), ფუჩ-იკ (ბუშტი), ჰგრპგტ-იკ (კრეჭია), ჭაჭ-იკ (თათი), ფოფნ-იკ (ქუსლი), ბინ-იკ (თოჯინა)<sup>1</sup>, ბიზლ-იკ (წვეტიანი)<sup>2</sup>...

3) -ნუთ — უარყოფის ბოლოსართოვანი ნაწილაკია, მნიშვნელობით უდრის ქართულ უ—ო პრეფიქს-სუფიქსს (გამოიყენება აგრეთვე ქართული „არ“ ნაწილაკის მნიშვნელობით), მაგალითად: ბულ-ნუთ (უთავო, უთავოდ), ქულ-ნუთ (უხელო, უხელოდ), ხე-ნუთ (უწყლო, უწყლოდ); შუმ-ნუთ (უპურო, უპუროდ). კონჭუნ-ნუთ (უპატრონო, უპატრონოდ), კოჭ--მეც-ნუთ (უსახლკარო, უსახლკაროდ)...

4) -ო- გამოიყენება მასუბსტანტივებელ სუფიქსად: დაერთვის ყველა მსახლერელ სახელს (ზედსართავ სახელს, რიცხვით სახელს, კუთვნილებით ნაცვალსახელს, მითითებით ნაცვალსახელს, მიმღეობას) და უტოლებს არსებით სახელს (სუბსტანტივს); შდრ., მაგალითად: ქალა ადამარ არენე „უფროსი კაცი მოვიდა“ — მაგრამ: ქალოო (=ქალა-ო) არენე „უფროსი მოვიდა“; ბიპ არ „ოთხი მსხალი“ — ბიპო (არჩაბ) მძანე — „ოთხი (მსხლისა) აქაა“; ვი ღარ მაა „შენი ვაჟი სადაა?“ ბეზ ღარ კუანე, ვიო მაა, თეზაბა „ჩემი ვაჟი შინაა, შენი (=შენი ვაჟი) სადაა, არ-ვიცი“; მე აშლაზ უნ ბა! „ეს საქმე შენ გააკეთე!“ — მე ნო ვი ბალ აშე „ეს შენი გასაკეთებელი საქმეა“; ქა არ ადამარ უშა — „მანდ მოსული კაცი ვინ არის?“ — მა არ იო ბეზ ვიჩი-ნე „აქ მოსული ჩემი ძმაა“...

აღნიშნული -ო სუფიქსი (მითითებით ნაცვალსახელთა გამოკლებით) დაერთვის მსახლერელ სახელთა მზა-მზარეულ ფუძე-ფორმას; ასე, მაგალითად: ქალა „ღიდი“, „უფროსი“ — ქალოო—ქალა-ო, შელ „კარგი“ — შელ-ო, კიწი „ცოტა“, „მცირე“ — კიწი-ო; ფის „ცული“ — ფის-ო; ხიბ „სამი“ — ხიბ-ო, ვიწ „ათი“ — ვიწ-ო; ბეზი „ჩემი“ — ბეზი-ო, ბეში „ჩვენი“ — ბეში-ო; არი „მოსული“ — არი-ო, ეღალ „ნომსკლელი“ — ეღალ-ო.

<sup>1</sup> შდრ. ბინ „პატარძალი“, „რძალი“, „დედოფალი“ (ნეფე-დედოფალი).

<sup>2</sup> შდრ. ბიზ „სადგისი“...

ეწერი „მომტანი“, „მოტანილი“ — ეწერი-ო. რაც შეეხება მითითებით ნაცვალ-სახელს, აქ -ო სუფიქსის დართვა რამდენადმე განსხვავებულად ხდება (იგუ-ლისხმება უპირატესად ვართაშნული დიალექტის მონაცემები): ამ მასუბსტან-ტივებელ სუფიქსსა და საწარმოებელ ფუძეს შორის „ჩაერთვის“ ნ ელემენტი; შდრ., სახელდობრ: მე (მსაზღვრ.) — მე-ნ-ო (გასუბსტანტ.) „ეს“: ქა (მსაზღვრ.)—ქა-ნ-ო (გასუბსტანტ.) „ეგ“; ტ ე (მსაზღვრ.)—შე-ნ-ო (გასუბსტანტ.) „ის“<sup>1</sup>.

5. -აღ სუფიქსი აწარმოებს მიმღეობას. ასეთივე ბოლოკიდური ელემენტი, ოღონდ ამჟამად ფუძესთან შეხორცებული (და თითქოს უფუნქციოდ) გვხვდებ-ა არსებით სახელებშიც; შდრ., მაგალითად: ბაღ „მკეთებელი“ (ბე-სუნ „კეთება“), აშ ბაღ „მომუშავე“, „მუშა“ (აშბესუნ „მუშაობა“), თო გ-ღაღ „გამყიდველი“ (თოგდესუნ „გაყიდვა“), ბურ ხაღ „წამომწყები“ „დამ-წყები“ (ბურხესუნ „დაწყება“), ბელაღ „შემყურე“ (ბელსუნ „ყურება“), ბი ყაღ „დამკერი“, „მპყრობელი“ (ბიყსუნ „დაჭერა“, „პყრობა“), ყუჭკაღ „მყლაპავი“ (ყუჭფესუნ „ყლაპვა“) და სხვ. — მე ე ბ ი ყ ა ლ (კვერცხი ბუღდში წატოვებული, მძევალი), ხე ყ უჭკაღ (ქარიყლაპია), კოპკაღ (ჭიბლი-ბო), კოკაღ (ცომის პატარა გუნდა), დაღაღ (მამალი)<sup>2</sup>, ტეკაღ (კა-ლია), ჭირჭირკაღ (ჭრიჭინა), ცაცბეაღაღ (ზღარბი), კერწაღ (კაჭკა-ვი) და სხვ.

6) -ი სუფიქსი აწარმოებს მიმღეობას (გვარისა და დროის კატეგორიის მი-მართ ნეიტრალურს). ასეთივე ბოლოკიდური ელემენტი, ოღონდ ამჟამად ფუ-ძესთან შეხორცებული (თითქოს უფუნქციოდ) გვხვდება ზედსართავ და არსებით სახელებშიც; შდრ., მაგალითად: ბი „ნაკეთები ან მკეთებელი (ნიადაგ, საერ-თოდ)“, ფი „ნათქვამი ან მოქმელი (საერთოდ, ერთთავად)“, პური „მკვდარი“, ეწერი „მოტანილი ან მომტანი (საერთოდ, ერთთავად)“, არი „მოსული, მომსვლელი (ერთთავად)“, ბოში „მამღარი“, ბასკი „მწოლა-რე“, არცი „მჭდომარე“, ჩურფი „მდგომარე“ და სხვ. — ლარი „მსგავ-სი“, ხუნი „დედალი“, მაწი „თეთრი“, ბისი „ძველი“, ბიჭი „მკვა-ხე“, კორი „მრუდე“, ბარბი „იირბი“, „ცერად დამეგებული“, „დაქანე-ბული“, ბაჭი „თხელი“, კაქხი „ბრმა“, ბესალი „მთხოვარა“. (შდრ. ზესალ „მთხოვნელი“), მოზი „ხბო“, „მოზვერი“, ბიში „ქადა“, ჩაღი „აიეზი“, ტური „ძაფი“, ფიში (შარდი), ჭაჭი (შაშვი), კაქოღი „კიტრი“, ხუნიჩი „და“, ვიჩი „ძმა“...

ნასესხები აფიქსები: 1) -ლუ — მნიშვნელობით უდრის ქარ-თულ -იან-, -იერ-, -ოვან- სუფიქსებს (შდრ. ზემოთ დასახელებული უდიური -ლა, -ბა); იხმარება აგრეთვე სადაურობის აღმნიშვნელი აფიქსის ფუნქციით. მაგალ.: აღაღუ „მადალი“ (აღა „მადლა“), ოყაღუ „დაბალი“ (ოყა

<sup>1</sup> მოსალოდნელი ტე-ნ-ო არ გვხვდება უდიურში, ამასთან ისიც უნდა შევიწინოთ, რომ აღნიშნული „ჩანართი“ ელემენტი -ნ- სპეციალურ ლიტერატურაში გენეტურად დაკავშირებულია მესამე პირის ნე ნაცვალსახელთან, რომელიც უდიურს შემონახული აქვს ზმნაში (იხ. ქვევ.: პირის ნიშნები. მითითებითი ნაცვალსახელი).

<sup>2</sup> შესაძლებელია ამ სახელის (და ამ ტიპის სხვა სახელთა) ფუძის სხვაგვარი დაშლაც, სა-ძლელოდ: და-და-ღ... ასეთ შემთხვევაში დაისმის საკითხი -აღ მწარმოებლის შედგენილო-ბასთან დაკავშირებითაც: აღნიშნული ფუნქციით გამოიყოფა ოდენ ლ თანხმოვანი და არა მარ-ცვლის სახით წარმოდგენილი -აღ.

„დაბლა“), ბორშლუ—ბორქლუ—ბორჭლუ „მოვალე“, „ვალისანი“ (ბორჯ „ვალი“, „სესხი“), ზორარუ—ზორლუ „ლონიერი“, „ძლიერი“, „ძალოვანი“ (ზორ „ძალა“, „ლონე“), აჯზლუ „სოფელი“ (აჯზ „სოფელი“), შპპპარლუ „ქალაქელი“ (შპპპარ „ქალაქი“)...

2) -ლუღ, -ლუზ აწარმოებს ა) განყენებულ სახელებს ან ბ) გამოხატაქს ჯისიმე ან რისამე შენაცვლებას, მაგიერობას; მაგალითად: ეიჩილულ „ძმობა“, „ქმის მაგიერობა“, „არაღვიძლი, გერი ძმა“, (ვიჩი „ძმა“), ხუნჩილულ „დობა“, „დის მაგიერობა“, „არაღვიძლი, გერი და“ (ხუნჩი „და“), ნანალულ „დედობა“, „დედინაცვალი“ (ნანა „დედა“), ბაბალულ „მამობა“, „მამინაცვალი“ (ბაბა „მამა“), დოსტლულ „მეგობრობა“, (დოსტ „მეგობარი“). ყონახლუხ „სტუმრობა“, „სტუმარმასპინძლობა“, „წვეულება“ (ყონახ „სტუმარი“), შელლულ, შელლუხ „სიკეთე“ (შელ „კარგი“, „კარგად“). ფისლულ, ფისლუხ „ბოროტება“ (ფის „ცული“. „უვარგისი“)... ბ) აღნიშნავს კრებითობას, ჩგუფურობას, ერთგან თავმოყრას; მაგალითად: ცაცულულ „ეკლნარი“ (ცაც „ეკალი“), მიაჯმიაჯლულ „მუხნარი“, (მაჯ „მუხა“, „რკო“), გპრპპპლულ „სასაფლაო“ (გპრპპპ „სამარე“)...

გ) -ხუს, ხუზ — თითქმის ისეთივე მნიშვნელობის მწარმოებელია, როგორც ზემოთ დასახელებული უდიური -ნუთ (= ქართ. უ— სუფიქს-პრეფიქს): ბულ-სუს, ბულ-სუზ „უთავო“, ქულ-სუს „უხელო“, ნამუს-სუს „უნამუსო“...

დ) ორ უდიურ სახელში მწარმოებლად გამოიყოფა -ზა ელემენტი, რომლის წარმომავლობა ნათელი არ არის; ეს სიტყვებია ხენეზა (მწყურვალი) და ნიზა—ნიზა(?) „მონატრებული“, „დანატრებული“.

უდიურში დერივაციის (სახელთა წარმოქმნის) ფუნქციით გამოიყენება აგრეთვე ბრუნვის ნიშნები, კერძოდ — ერგატე-ინსტრუმენტალისის, მიცემითი ბრუნვის, აბლატივეს-ინსტრუმენტალისისა (ზოგჯერ) და უფრო მეტად ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსები; სახელდობრ:

1) -ენ (ერგატ-ინსტრ.): ჳემ-ენ „ჳუჳყიანი“ (ჳემ „ჳუჳყი“), ტამ-ენ „გემგრიელი“ (ტამ „გემო“)<sup>1</sup>, პაეღლმულონ ← პაეღლმოლონ ← პაეღლმუხ-ენ „ფეხმძიმე“ „ორსული“ (პაე „ორი“ + ეღმუხ „სული“) და სხვ. ეგვეკ სუფიქსი უნდა გამოიყოს ისეთ არსებით სახელში, როგორცაა იაჟენ „ზამთარი“ (შდრ. იაჟ „თოვლი“).

2) -ახ (მიც. ბრ.): აპინახ „ოფლიანი“, „გაოფლიანებული“ (აპ „ოფლი“). ჳუჳანახ „ცხიმიანი“, „ცხიმოვანი“, „ქონმოკიდებული“ (ჳუჳან „ცხიმი“, „ქონი“; — შდრ. ააახ-ჳუჳან „კარაქი“, ხებაჟი-ჳუჳან „ერბო“. — იხ. ჳეემ. რთული ფუძეები)...

3) -ახ-ო (აბლატ-ინსტრ.): ელახო „მლაშე“ (ელ „მარილი“).

4) -უნ, (ნათეს. ბრ.): ა) მძაუნ „აქაური“ (მძა „აქ“), ტძაუნ „იქაური“ (ტძა „იქ“), ალუნ „ზემოთა“ (ალა „ზემოთ“), ოყუნ „ქვემოთა“ (ოყა „ქვემოთ“); ბ) ბიტუნ „ნათესი“ (ბიტესუნ „თესვა“), კაჳკუნ „კევი“ (კაჳფესუნ „ღღჳვა“, კაჳკალ „მღღჳვა“), ეხბუნ საკერავი“ (ეხბსუნ „კერვა“), ყააყაფუნ „ერბო-კვერცხი“ (ყააყაფსუნ „ხრჩობა“, „გუღღვა“), ჳეფფუნ „გამონაყარი“, „წვრილი მუწუკი“ (ჳეფსუნ „გამოყრა“), აშაჳ-

<sup>1</sup> ნიჭურ კილოში ამის პარალელურად (და უფრო ხშირად) იხმარება ნასესხები -ლუ სუ-ჳეჳი: ტამ-ლუ, ჳემ-ლუ...

ფუნ „ნალოკი“, „ნატლეკი“ (აშამფესუნ „ლოკვა“, „ტლეკა“), ეზბუნ „ხნუ-ლი“ (ეზბესუნ „ხენა“)... ეგვეე -უნ სუფიქსი უნდა იყოს შეზრდილი სახელთა ისეთ ფუძეებში, როგორცაა, მაგალითად, ბუქუნ (მუცელი), კაბუნ (ვარსკვლავი), დაავუნ (მხალი); ქეჟუნ „ტელაში“ (მღრ. ქეჟე „მეჟე“)...

5) უდიურს მოეპოვება ერთი ჯგუფის ისეთი სახელი (სახელთა ფუძე), რომელსაც ბოლოში უზის -ინ, ანდა -ან (—ინ) მარცვალი; ასეთი ელემენტი ეტიმოლოგიურად შეიძლება დაუკავშირდეს როგორც ნათესაობითი ბრუნვის, ისე ერვატივ-ინსტრუმენტალისის წარმოებისათვის ზიარად გამოყენებულ -ინ სუფიქსს. ასეთ სახელებს უნდა ეკუთვნოდეს: ა) გოგინ (მწვანე, მწვანალი), ბინ (რძალი, პატარალი) ... ბ) კჰან (ცხიმი, ერბო), კოჰან (ქული), ქოჰან (სახელი), კუჰან (ბოლი, კვამლი), შჰან (სველი), მაჰან (შავი), ლაჰან (ბასრი, მკრელი)...

რთულა (თხზული) ფუძეები. უდიურს მოეპოვება ერთ- და ორცნებიანი კომპოზიტთა (რთულ ფუძეთა) მთელი სერია, რაც ასე შეიძლება დავაჯგუფოთ:

1. ორცნებიანი კომპოზიტები: 1) ორი „წმინდა“ ფუძისაგან შედგენილი: ნანა-ბაბა (დედ-მამა, მშობლები), იშუ-ჩუბუხ (ცოლ-ქმარი), ლუს-ბე-შუმ (ყველი-[და]-პური), კოჟ-მეც (სახლ-კარი. სიტყვა-სიტყვით: სახლ-ბუდე), ხენი-ვიჩი (დე-ძმა)...

2. „წმინდა“ ფუძიანი არსებითი სახელისა და მსაზღვრელი სიტყვისაგან შედგენილი: ხე-ზაკალ (წყლის მზიდველი, მეთულუხე), ხორაგ-ბოხალ (საქმლის მხარშველი, მხარეული).

3) მსაზღვრელი სახელისა და არსებითი სახელისაგან შედგენილი ფუძეები: ცამფი-დაღალ (ქრელი მამალი), ცამფი-აღლა (ყუყუნა წვიმა)...

4) საკუთარი სახელისა და საზოგადო არსებითი სახელისაგან შედგენილი: მარიამ-ნანა, მაჰრამ-ნანა (მარიამ-დედა, მარიამ ღვთის მშობელი, ღვთისმშობელი), მაჰრამ-დანან (მარიამ-მამიდა), მაჰრამ-ხალა (მარიამ-დედა)...

5) ორი მიმღეობისაგან შედგენილი: არცი-ააზალ (ამდგომ-დამქრომი), ეღალ-თაღალ (მომსვლელ-წამსვლელი, ვიზიტის მკეთებელი), ბოხი-ჩიჩალ (მხარშველ-გამომტანი, მსახური, რომელიც აშაადებს საკმელს და ემსახურება ვისმე სუფრაზე — დამპურებელი)...

6) ნაწარმოები (ჩვეულ. ნათესობით ბრუნვაში დასმული) ფუძისა და „წმინდა“ ფუძიანი არსებითი სახელისაგან შედგენილი: კოკოწუნ-კოჟ (ქათმის სახლი — საქათმე), ხალიკუნ-ღარ (ბიძაშვილი, დედის ძმის შვილი — ვაჟი); ხალიკუნ-ხინარ (ბიძაშვილი — ქალი), ბერლო-კოჟ (პირუტყვის სახლი, საქონლის სადგომი — გომური), თურინ-ლეკერ (ფეხის ჭურჭელი — ფეხსაცმელი), ლინ-ხაშ (ძვალის ჩინი, თვალის სინათლე), ჰინტა-დაღალ (ინდაურის მამალი, — მამალი ინდაური), ჰინტა-შუმაკ (ინდაურის ჭუკი, დედალი ინდაური), ხალა-ხინარ, ხალა-ღარ (დეიდაშვილი)...

2. ერთცნებიანი კომპოზიტები: 1) ფონეტიკური ცვლილების გარეშე მარტივ ფუძეთა გამეორებით შედგენილი: ყუმ-ყუმ (ლოკოკინა), დამ-დამ (ღილა), ფუმ-ფუმ: მაჰან ფუმფუმ (ღვიძლი; თირკმელი), მაწი ფუმფუმ (ფილტვი); ხა-ხაჰ (ვატეხილი), ბი-ბიჰ (ხიდი), კოწ-კოწ (მოხრილი)...

2) მარტივ ფუძეთა გამეორებით შედგენილი ფუძეები — ფონეტიკური ცვლილებებით: ქაქალა (ნიჯ.) — ქალქალა (ვართაშნ.) — ქალა-ქალა „ღიდ-ღიდი“, „ღიდრონი“, „მსხვილი“ (ქალა „ღიდი“); კიწ-კიწი — კიწი-კიწი „ცოტ-ცოტა“;

„მცირედი“ (კიწი „ცოტა“); ხურ-ხურუ—ხურუ-ხურუ (ვართამნ.), ხურ-ხური.—  
ხური-ხური (ნიჯ.). „წერილ-წერილი“ (ხურუ, ხური „წერილი“); კაკანიკა—  
‘კან-კან-იკ(?) „მრგვალი“, კოკოწ—\*კოწ-კოწ(?) „ქათამი“, მომოწ—\*მოწ-  
-მოწ(?) „ცინგლი“, „წვინტლი“...

3) ორი ან (ზოგჯერ) სამი არსებითი სახელის „წმინდა“ ფუძისგან თხზული  
ფუძეები: ხაშ-ბაბა „ნათლია“ (ხაშ „სინათლე“, ბაბა „მამა“), ხაშ-ნანა „ქალი-  
-ნათლია“ (ხაშ+ნანა „დედა“); ხაშ-ბაბა-ჩუბუხ „ნათლიდედა“, „ნათლის ცო-  
ლი“ (ხაშბაბა+ჩუბუხ „ცოლი“, „დედაკაცი“)...

4) კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრია მარტივ-ფუძიანი არსებითი  
სახელი, ხოლო მეორე — მსაზღვრელი სიტყვა: უკ-ქაჲ „გულია“, „გულ-  
-ახილი“ (უკ „გული“, ქაჲ „ღია“), ბაკ-ნაკოწ „წელმოხრილი“ (ბაქან „ხურ-  
გი“, კოწ „მოხრილი“, „დაქანებული“), ბულ-კოწ „თავდახრილი“ (ბულ „თა-  
ვი“, კოწ „მოხრილი“...), აჲჟ-მაწი „გულთეთრა“, „თრითინა“ (აჲჟ „მკერ-  
დი“<sup>1</sup>, მაწი „თეთრი“), მეც-ბიყალ „მძევალი — კვერცი“ (მეც „ბუდე“,  
ბიყალ „ღამკერი“, „მპყრობელი“), ფულ-დეშიკ „ხარბი“, „გაუმადლარი“  
(ფულ „თვალი“ + დეშიკ „ნახვრეტი“), ბულ-ზაკკალ „მეთაური“, „მოთა-  
ვე“, „თავმჯდომარე“ (ბულ „თავი“ + ზაკკალ „გამწევი“), გონ-თაცი „გახუ-  
ნებული“, „ფერმიხილი“ (გონ „ფერი“ + თაცი „წასული“)...

4) კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი მარტივ-ფუძიანი მსაზღვრელი  
სიტყვაა, ხოლო მეორე — არსებითი სახელი: მაგალ: მუჟ-ან-აყ „რძე“ (მუ-  
ჟა „ტყბილი“, აყ „ღო“), ხე-ბაქი-ჰ-მ-ენ „ერბო“ (ხე-ბაქი „ღამდნარი“,  
„წყალაქეული“, ჰ-მ-ენ „ცხიმი“, „კარაქი“), ქალ-ნანა „დიდედა“, „ბებო“  
(ქალ-ქალა „დიდი“, ნანა „დედა“), ქალ-პაპა, ქალ-ბაბა „პაპა“ (ქალ-  
ქალა+პაპა, ბაბა „მამა“), მუჟ-ა-შ-აუმ „ნამცხვარი“ (მუჟა „ტყბილი“, შ-აუმ  
„პური“)...

5) კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრია ნათესაობით ბრუნვაში  
დასმული არსებითი სახელი, ხოლო მეორე — მარტივ-ფუძიანი არსებითი  
სახელი: ნე-პნ-ატ-იკ „ძილისგუდა“ (ნე-პნ-ა[ჲ] „ძილის“, ტიკ „გუდა“, „ტიკ-  
ჭორა“), მუჟ-ან-აყ-ნაჩო „ნაღები“ (მუჟ-ან-აყ-ნა[ჲ] „რძის“, ჩო, „პირი“,  
„სახე“), ბა-ბაკოჟ „მამის სახლი“, „დედუღეთი“ (ბა-ბა[ჲ] „მამის“, კოჟ  
„სახლი“), ხე-ნე-დ-ლ-ლ-მ-ქ „კუდქანქალა“ (ხე-ნე[ჲ] „წყლის“, დ-ლ-ლ-მ-ქ „და-  
ლაქი“), ყა-ან-აქო „სიდედრი (ყა-ან-ა[ჲ] „ცოლისძმის“, აქო „დედა“)<sup>2</sup>.

6) კომპოზიტები, რომელთა პირველ წევრად იხმარება ატრიბუტიული  
(მსაზღვრელი) სიტყვა, მეორე წევრად კი — არსებითი სახელიდან ნაწარმოები  
წედსართავი სახელი, მაგალ: ქალ-ა-უკ-ლა „დიდგულა“ (ქალა „დიდი“, უკ-ლა  
„გულიანი“), ქალ-ბ-უქ-უნ-ლა „დიდმუცელა“, „ლიპიანი“ (ქალა+ბუქუნ-ლა  
„მუცლიანი“), ქალა-ბო-ახმო-ხ-ლა „დიდცხვირა“ (ქალა+ბო-ახმო-ხ-ლა „ცხვირი-ა-

<sup>1</sup> ამჟამად „მკერდის“ მნიშვნელობით ცალკე იხმარება თურქულიდან ნასესხები დოშ. და-  
სახელუბულ კომპოზიტში კი შემონახულია ამავე მნიშვნელობის საკუთარი (უდიური) სახე-  
ლი აბჟ.

<sup>2</sup> „დიდის“ მნიშვნელობით ამჟამინდელ უდიურში იხმარება მხოლოდ ნანა. „სიდედრის“  
აღმნიშვნელ თხზულ სიტყვაში (მეორე კომპონენტის სახით) შემონახულია ამ მნიშვნელობის მე-  
ორე სახელიც — ნაქო. „დიდის“ მნიშვნელობით ამ სახელს („ნაქოს“) ხმარობენ გინების  
ღროსაც.



ნი“), ჯამ უკლა „გულლია“, გულგახსნილი“ (ჯამ „ლია“, უკლა „გულიანი“),  
კააჩო ლლა „ორპირა“ (პაჲ „ორი“ + ჩო ლლა „პირიანი“)...

### მსაზღვრელი (ატრიბუტიული) სახელი

თვისება-გვარობის ან სადაურობის გამომხატველი ზედსართავი სახელი

ასეთი სახელები უდიურში ორგვარია — საკუთარი და ნასესხები, რომლებიც ბგერითი შედგენილობისა და ფუძის აგებულების მიხედვით არსებით სახელთა მსგავსად შეიძლება დაეჯგუფოთ ერთმარცვლიანებად და ერთზე მეტ-მარცვლიანებად — მარტივ, ნაწარმოებ და რთულფუძიანებად. ზოგი ასეთი სახელი ზემოთ დასახელებულია არსებით სახელებთან ერთად იმის გამო, რომ მათ შორის ზღვარის დადება ზოგჯერ ძნელდება: ერთი და იგივე სახელი გამოიყენება სუბსტანტივისა და ატრიბუტივის მნიშვნელობით, შდრ., მაგალითად. გოგინ „მწვანე“, „მწვანილი“, ბულსაქალ „თავისგამწევი“, „მეთაური“, „მოთავე“, „თავმჯდომარე“...

ზედსართავ სახელთა ნიმუშები: 1) „წმინდა“ ფუძიანები: შელ (კარგი), ღის (ცუდი), ბოზ (ნაცრისფერი), ბიყ (მუქი); გოლრ (ბევრი); ქალა (დიდი, უფროსი), მუჰა (ტყბილი), კალა (კოკლი); კოკა (წითელი), მაწი (თეთრი), ქეჟე (მეავე); ჯამ (ლია, ბაცი); გოგინ (მწვანე, ლურჯი), მაჰან (შავი); ბოზ (ნაცრისფერი); ნეშუმ (ყვითელი); შავატ (ვართაშნ.), შაპატ, შაატ (ნიჯ.) „ლამაზი“ ... 2) ნაწარმოებ-ფუძიანები: ქემენ (ქუქყიანი), ტამენ (გემრიელი), ტაუნ (იქაური). მააუნ (აქაური), ალუნ (ზემოთა, ზევითა), ოყუნ (ქვემოთა, ქვევითა); ჰაზუნ, აზლუ (სოფელი); კოქას (მოწითალო), მაწის (მოთეთრო).

საგულისხმოა, რომ უდიურში ზოგ ზედსართავ სახელს აქვს ზმნისართის მნიშვნელობა, უკეთუ ასეთი სიტყვა ზმნასთანაა გამოყენებული: შდრ., მაგალითად: შელ ადამარ „ქარგი ადამიანი“, „ქარგი კაცი“ — შელ ცამნეხა „ქარგად წერს“; გოლრ სტუდენტ „ბევრი სტუდენტი“ — გოლრ შელ „ძალიან კარგი“, გოლრ მააშა „ბევრს ნუ მუშაობ“, „ძალიან ნუ ირჩები“...

ზედსართავი სახელი — როგორც მსაზღვრელი სიტყვა — უფორმოა: არცელის ფორმას რიცხვისა და ბრუნების მიხედვით. ამგვარი სახელები იბრუნეიან და დირთავენ რიცხვის ნიშანს მხოლოდ გასუბსტანტივების შემთხვევაში, ე. ი. მაშან, როდესაც ცალკე დგანან და უთანაბრდებიან არსებით სახელებს. ამასთან: ზედსართავ სახელთა ბრუნება ჰდება ატრიბუტიულ სახელთათვის დამახასიათებელი ნაცვალსახელური ტიპის მიხედვით (იხ. ქვ. სახელთა ბრუნება).

### რიცხვითი სახელი

რაოდენობითი რიცხვითი სახელი. უდიურს მოეპოვება როგორც მარტივი, ისე რთული (თხზული) რიცხვითი სახელები, ამასთან ისე, რომ აქაც ბგერითი შედგენილობის მხრივ მეორდება სხვა სახელთა მდგომარეობა: არის ერთ- და ერთზე მეტ- (ლია და დახურულ) მარცვლიანი სახელები რიცხვისა. მარტივი რიცხვითი სახელები: ა) სა (ერთი), ყა (ოცი), პაჲ (ორი), ჯო (ხუთი), უაჟ (ექვსი); ბ) ხიბ (სამი), ბიპ (ოთხი), ეჟოღ

(შვიდი), მულ (რვა); ვიწ (ათი), ბაჩა (ასი); ვუჲ (ცხრა); გე პაზარ, სანა-  
ზარ (ათასი)<sup>1</sup>, მილჲონ (მილიონი), მილჲიარდ (მილიარდი)<sup>2</sup>.

რთული რიცხვითი სახელები (ყველა ასეთი სახელი შედგება  
ორი, სამი ან ოთხი ფუძისაგან): ა) საწაჲ (11), პაწაჲ (12), ხი-  
ბეწაჲ (13), ბიპეწაჲ (14), ჯოწაჲ (15), უაწეწაჲ (16), ვუაღეწაჲ  
(17). მულეწაჲ (18), ვუჲეწაჲ (19); ბ) პააჲოჲ (40), ხიბჲოჲ (60).  
ბიპჲოჲ (80); გ) საჲოჲსა (21), საჲოჲპაჲ (22), საჲოჲხიბ (23), საჲო-  
ბიპ (24), საჲოჲჯო (25), საჲოჲუჲე (26), საჲოჲვეუღ (27), საჲოჲმულ (28).  
საჲოჲვეუჲ (29), საჲოჲვიწ (30); საჲოჲსაწაჲ (31), საჲოჲპაწაჲ (32), სა-  
ჲოჲხიბეწაჲ (33), საჲოჲბიპეწაჲ (34), საჲოჲჯოწაჲ (35), საჲოჲუჲეწაჲ  
(36), საჲოჲვეუღეწაჲ (37), საჲოჲმულეწაჲ (38), საჲოჲვეუღეწაჲ (39);  
პააჲოჲსა (41), პააჲოჲპაჲ (42), პააჲოჲხიბ (43), პააჲოჲბიპ (44),  
პააჲოჲჯო (45), პააჲოჲუჲე (46), პააჲოჲვეუღ (47), პააჲოჲმულ (48).  
პააჲოჲვეუჲ (49). პააჲოჲვიწ (50), პააჲოჲსაწაჲ (51), პააჲოჲპა-  
წაჲ (52), პააჲოჲხიბეწაჲ (53), პააჲოჲბიპეწაჲ (54), პააჲოჲჯოწაჲ  
(55), პააჲოჲუჲეწაჲ (56), პააჲოჲვეუღეწაჲ (57), პააჲოჲმულე-  
წაჲ (58), პააჲოჲვეუღეწაჲ (59), ხიბჲოჲსა (61), ხიბჲოჲპაჲ (62), ხიბ-  
ჲოჲხიბ (63), ხიბჲოჲბიპ (64), ხიბჲოჲჯო (65), ხიბჲოჲუჲე (66),  
ხიბჲოჲვეუღ (67), ხიბჲოჲმულ (68), ხიბჲოჲვეუჲ (69), ხიბჲოჲვიწ  
(70); ხიბჲოჲსაწაჲ (71), ხიბჲოჲპაწაჲ (72), ხიბჲოჲხიბეწაჲ (73),  
ხიბჲოჲბიპეწაჲ (74), ხიბჲოჲჯოწაჲ (75), ხიბჲოჲუჲეწაჲ (76), ხიბ-  
ჲოჲვეუღეწაჲ (77), ხიბჲოჲმულეწაჲ (78); ხიბჲოჲვეუღეწაჲ (79),  
ბიპჲოჲსა (81), ბიპჲოჲპაჲ (82), ბიპჲოჲხიბ (83), ბიპჲოჲბიპ (84),  
ბიპჲოჲჯო (85), ბიპჲოჲუჲე (86), ბიპჲოჲვეუღ (87), ბიპჲოჲმულ-  
(88), ბიპჲოჲვეუჲ (89), ბიპჲოჲვიწ (90), ბიპჲოჲსაწაჲ (91), ბიპ-  
ჲოჲპაწაჲ (92), ბიპჲოჲხიბეწაჲ (93), ბიპჲოჲბიპეწაჲ (94), ბიპ-  
ჲოჲჯოწაჲ (95), ბიპჲოჲუჲეწაჲ (96), ბიპჲოჲვეუღეწაჲ (97), ბიპ-  
ჲოჲმულეწაჲ (98), ბიპჲოჲვეუღეწაჲ (99)<sup>3</sup>.

რთულფუძიანებია აგრეთვე „ასის“ აღმნიშვნელ სახელს იქით, „ასერთი-  
დან“ მოყოლებული, ყველა სხვა რიცხვითი სახელი; მაგალითად: საბაჩ||ზან  
(ერთი ასი, ასი), პააბაჩ (ორასი), ხიბბაჩ (სამასი), ბაჩ-ჲა (ასოცი), ბაჩ-  
პააჲოჲ (ასორმოცი) და ა. შ. ან კიდევ: ბაჩა-სა (ასერთი), ბაჩა-პაჲ (ას-  
ორი) და ა. შ., ბაჩა-საწაჲ (ასთერთმეტი), ბაჩა-პაწაჲ (ასთორმეტი) და ა. შ.

<sup>1</sup> ნასეხებო სახელია: შღრ. სანსკრიტ. სპაპარამ (ბევრი=ათასი), ავესტ. პაზარაჲჲ, სომხ. პაზარ (ათასი).

<sup>2</sup> ნასეხებო სახელეზია. შღრ. ფრანგ. million—რუს. миллион; ფრანგ. milliard—რუს. миллиард.

<sup>3</sup> ამ წიგნის პირველ (ფონეტიკის) ნაწილში უდიდურ თანხმონებს შორის დასახელებული არ არის წა (ინტენსიური, მყოვარი) აფრიკატი. ეს შემთხვევით არ მომხდარა, რადგანაც ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული წ (არაინტენსიური, არამყოვარი) და წა (ინტენსიური, მყოვარი) აფრიკატი ამჟამინდელ უდიდურში აღარ მოწმდება, თუ არ ვიგულისხმებთ სწორედ აქ ჩამოთვლილ რიცხვით სახელებს, რომლებმაც გადმონათეს სახით შემოგვიინახეს ეს თანხმონანი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ინტენსიური აფრიკატი გავრცელებული იყო უდიდურში ალვეოლარულ (შიშინა) ინტენსიურ აფრიკატა მსგავსად, ამასთან მას ჰქონდა დამოუკიდებელი ფონე-  
მის ხასიათიც.

რთულ რიცხვით სახელთა აგებულება (კომპონენტთა ხასიათი) ასეთია: „თერთმეტიდან (საწაე) „ცხრამეტამდე“ (ვუჲეწაე) რიცხვითი სახელის პირველ შემადგენელ ნაწილად გამოიყენება მარტივი რიცხვითი სახელი „ერთიდან“ „ცხრამდე“: ხა-წაე, პა-წაე, ხიბ-ეწაე და ა. შ. (იხ. ზევ). მეორე შემადგენელ ნაწილად კი გამოიყენებულია ან ეწაე (ბოლომზოვნიან მარტივ რ. სახელთან), ანდა—წაე ← ეწაე (ბოლოთანმზოვნიან მარტივ რ. სახელთან), შდრ., მაგალ., სა-წაე (11), ბიპ-ეწაე (14) და სხვ. (იხ. ზევ.). ეს მეორე კომპონენტი (ეწაე → წაე), ცხადია, უკავშირდება „ათის“ ცნებას. შდრ. ვიწ „ათი“: ვიწ ← \*ვიწაე<sup>1</sup>. „ორმოცის“. „სამოცის“ და „ოთხმოცის“ აღმნიშვნელ უდიდურ სახელთა აგებულება თითქმის ისეთივეა, როგორც ამავე მნიშვნელობის ქართული რ. სახელებისა: პაყო (40); პაჲ „ორი“ + ყო ← ყო-ო (გასუბსტ.) „ოცი“ (იხ. ზემ. ყა „ოცი“); ხიბყო (60); ხიბ „სამი“ + ყო; ბიპყო (80); ბიპ „ოთხი“ + ყო<sup>2</sup>.

„ოცდაერთიდან“ „ოცდაცხრამდე“ და „ოცდათერთმეტიდან“ „ოცდაცხრამეტამდე“ და ა. შ. უდიდურ რიცხვით სახელთა კომპოზიცია თითქმის ისეთივეა, როგორც ამავე მნიშვნელობის ქართული რ. სახელებისა; სხვაობა მხოლოდ იმ მხრივია, რომ ამ რიცხვის უდიდურ რ. სახელს შუაში „და“ კავშირი არ უხის; ამასთან თავკიდურ ელემენტად, ქართულისაგან განსხვავებით, ყველგან „ერთის“ აღმნიშვნელი (სა) ფუძე აქვს დართული; შდრ., მაგალითად: უდ. სა-ყო-სა (ერთი-ოცი-ერთი) — ქართ. ოც-და-ერთი, უდ. სა-ყო-პაჲ (ერთი-ოცი-ორი) — ქართ. ოც-და-ორი და ა. შ.; უდ. სა-ყო-საწაე (ერთი-ოცი-თერთმეტი) — ქართ. ოც-და-თერთმეტი; სა-ყო-პაწაე (ერთი-ოცი-თორმეტი) — ქართ. ოც-და-თორმეტი და ა. შ. „ორმოცდაერთიდან“ მოყოლებული სხვა დიდი რიცხვის აღმნიშვნელი სახელების კომპოზიციაც ქართულს ეფარდება თითქმის<sup>3</sup>; შდრ., მაგალითად: უდ. პაყოჲ-სა (ორი-ოცი-ერთი) — ქართ. ორ-მოც-და-ერთი...; უდ. პაყოჲ-საწაე (ორი-ოცი-თერთმეტი) — ქართ. ორ-მოც-და-თერთმეტი და ა. შ.

რაოდენობის გამომხატველი ეს სახელები თავად გვიჩვენებენ, რომ უდიდურისთვის დამახასიათებელია თვლის ოცობითი სისტემა (იხ. ზევ. პა-ყო „ორმოცი“, სა-ყოვიწ „ოცდაათი“, პა-ყო-ვიწ „ორმოცდაათი“ ...), თუმცა ნიჯურ კილოში თავს იჩენს ათობით სისტემაზე გადასვლის ტენდენცია, რამდენადაც „ოცის“ ცნებასთან დაკავშირებულ რ. სახელებს აქენაცვლება „ათის“ მიხედვით წარმოებული (თხზული) რ. სახელები; შდრ., მაგალ., სა-ყო-ვიწ (ვართაშნ.) — ხიბ-ვიწ<sup>4</sup> (ნიჯ.) „ოცდაათი“, პაყო (ვართაშნ.) — ბიპ-ვიწ<sup>5</sup> (ნიჯ.) „ორმოცი“; პაყო-ვიწ (ვართ.) — კო-ვიწ (ნიჯ.) „ორმოცდაათი“ და ა. შ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს და

<sup>1</sup> შდრ. აგრეთვე „ათის“ აღმნიშვნელი წახურ-მუხადური აიწჷ-: აიწჷ-ლ, აიწჷ-ბ, აიწჷ-რ (გრ. კლას. მიხ.).

<sup>2</sup> საგულისხმოა, რომ ამ რ. სახელებში მოსალოდნელი ო მზოვის ნაცვლად იხმარება ფარინგალიზებული ოჲ, რაც „ოცის“ აღმნიშვნელი უდიდური რ. სახელის ბგერითი შედგენილობის კვალობაზე არ იყო მოსალოდნელი; შდრ., ყა, ყო „ოცი“.

<sup>3</sup> ზემოთ აღნიშნული სხვაობა აქაც საგულისხმებელია.

<sup>4</sup> ხიბ „სამი“, ვიწ „ათი“.

<sup>5</sup> ბიპ „ოთხი“, ვიწ „ათი“.

ზოგი სხვა რ. სახელი ნიჭურ კილოში თანდათან ადგილს უთმობს თურქულ-აზერბაიჯანულ რიცხვით სახელებს; სახელდობრ: ივირმი|ყა, ყო (20), ოთუზ|ხიბ-ვიწ, საყოვიწ (30), ყვარხ || პაყო (40), პლლი || გო-ვიწ (50), ალთმიშ || უხვიწ (60), ვეთმიშ || ვუღვიწ (70), საქსან || ბიპვიწ (80), დონსან || ვე-ვიწ (90).

რიგობითი რიცხვითი სახელი. ასეთი რ. სახელები იწარმოებიან — მ-ჯ ი—უ მ-ჯ ი—უ ნ-ჯ ი რთული სუფიქსის რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე დართვით; მაგალითად: სა-მ-ჯი—სა-უმ-ჯი—სა-უნ-ჯი „პირველი“ (სა „ერთი“). ვიწ-უმ-ჯი „მეათე“ (ვიწ „ათი“)...

რიგობითი რიცხვითი სახელის საწარმოებლად ზოგჯერ ოდენ -უმ—უნ სუ-ფიქსიც გამოიყენება: საუნ—საუმ „პირველი“...<sup>1</sup>

რიგობითი რიცხვითი სახელი ნიჭურ კილოშიც ამგვარადვე იწარმოება; შეი-ნიშნება მხოლოდ ზოგი ფონეტიკური ცვლილება; შდრ., მაგალ.: ბიპი მჯ ი (ნიჯ.) — ბიპუ მჯ ი (ვართ.) „მეოთხე“; ან კიდევ: ბაჩუ მჯ ი || ბაჩუნჯი (ნიჯ.) — ბაჩუ მჯ ი (ვართ.) „მეასე“...

წილადი რიცხვითი სახელი — აღწერითი (ლექსიკური) წარმოებისა; იტყვიან, მაგალითად: ბიპოტა ან ბიპოტხო სა ბა რ (სა ჯოკ) „ერთი-მეოთხედი“ (სიტყვა-სიტყვით: ოთხისა ან ოთხისაგან ერთი წილი, ერთა ნაწილი), ვიწოტა ან ვიწოტხო მულ ბარ „ერთი-მეგრედი“ (ათისა ან ათისაგან ერთი წილი); ან კიდევ ასე: სა-ნ-ჯი „ერთნახევარი“ (სა „ერთი“, ჯი „ნახევარი“)...

ღაშლით-ღანაწილებითი რიცხვითი სახელი — იწარმოება გასუბსტანტივე-ბულ რიცხვით სახელთა გამოარებით, რედუბლიკაციით, მაგალითად: სო-სო—სა-ო+სა-ო „თითო-თითო“, „თითო-თითოდ“, ხიბ-ხიბო—ხიბ-ო+ხიბ-ო „სამ-სამი“...

ჯერადი რიცხვითი სახელი — აღწერითი (ლექსიკური) წარმოებისა; ამი-სათვის გამოიყენება თურქულ-აზერბაიჯანულიდან ნასესხები ქპარპნ სიტყვა („-ჯერ“, — „გზის“): სა ქპარპნ (ნიჭურში: სა ქპარპმ) „ერთხელ“, „ერთ-გზის“, ვიწ ქპარპნ (ნიჯ. ვიწ ქპარპმ) „ათჯერ“, „ათგზის“, ბაჩო ქპარპნ „ასჯერ“ (გადატ. მრავალჯერ, ასგზის)... ამ მნიშვნელობით იტყვიან ასეც: სა ძაყ. „ერთ-ხელ“, „ერთგზის“ (სა „ერთი“, ძაყ „გზა“), ხიბ ძაყ „სამჯერ“, „სამგზის“ (შდრ. ქართ. ერთგზის, მრავალგზის...).

კითხვითი რიცხვითი სახელი. ასეთებია ემა, ემო (ვართ.), ჰემა, ჰემო (ნიჯ.) „რამდენი“. თითოეული ამათგანი რთული აგებულებისაა და იშ-ლება ასე: ე-მა—ე-ამა (ვართ.), ჰე-მა—ჰე-ამა (ნიჯ.). ამ შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობა ასეთია: ე (ვართ.), ჰე (ნიჯ.) „რა“+ამა „ოდენი“, „ტოლი“. ემო (ვართ.), ჰემო (ნიჯ.) განმარტებულ ვარიანტთა გასუბსტანტივებული (-ო სუფიქსდართული) სახეობაა.

განუსაზღვრელი რიცხვითი სახელი. სახელთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება: გო-ლ ო (ვართ.), გელე (ნიჯ.) „ბევრი“; სა ემა, სა ემო (ვართ.) სა-

<sup>1</sup> ეს სუფიქსი გენეტურად შეიძლება დაუკავშირდეს უღიური ნათესაობითი ბრუნვის ერ-ერთ მარწმობებს; შდრ., მაგალითად: სა-უნ—სა-უმ „პირველი“, პა-უნ—პა-უმ „მეორე“ და შკოლ-უნ (სკოლისა), ქალამ-უნ (ქალამნისა)..., ოღონდ ამ-უნ სუფიქსდართული ფორმით იტყვიან. მაგალითად, სა უმაპა უმ აჩიკენ „პირველ-მეორე“-ც. ი. „პირველ-მეორეობანა“, ანუ სა-ლით „ქალასობანა“ ვითამაშოთა.

3 ე მ ა, ს ა 3 ე მ ო (ნიჟ.) „რამდენიმე“<sup>1</sup>. ისმარება აგრეთვე თურქულ-აზერბაიჯანულიდან ნასესხები ბ უ თ უ ნ—ბ უ თ უ მ („ყველა“, „ყველაფერი“).

კრებითი რიცხვითი სახელი. ასეთი რიცხვითი სახელის საწარმოებლად გამოიყენება ესა თუ ის მარტივი რიცხვითი სახელი<sup>2</sup>, რომელსაც დაერთვის რთული სუფიქსი: -ბ-ლ-ინ || ბ-ა-ლ-ინ, -ლ-ენ || -ბ-ა-ლ-ენ; სახელდობრ ასე: პ ა ე-ლ-ინ || პ ა ე-ლ-ენ „ორივე“. „ორივე ერთად“ (პაე „ორი“), ხ ი ბ-ა-ლ-ინ || ხ ი ბ-ა-ლ-ენ „სამივე“, „სამი ერთად“ (ხიბ „სამი“), ბ ი პ-ა-ლ-ინ || ბ ი პ-ა-ლ-ენ „ოთხივე“, „ოთხი ერთად“ (ბიპ „ოთხი“), კ ო ბ-ა-ლ-ინ || კ ო ბ-ა-ლ-ენ „ხუთივე“ „ხუთი ერთად“ (კო „ხუთი“), უ ზ ე-ა-ლ-ინ || უ ზ ე-ა-ლ-ენ „ექვსივე“, „ექვსი ერთად“ (უზე „ექვსი“), ვ უ ე-ა-ლ-ინ || ვ უ ე-ა-ლ-ენ „შვიდივე“, „შვიდი ერთად“ (ვეუდ „შვიდი“), მ უ ლ-ა-ლ-ინ || მ უ ლ-ა-ლ-ენ „რვავე“, „რვა ერთად“ (მულ „რვა“), ვ უ მ-ბ-ა-ლ-ინ || ვ უ მ-ბ-ა-ლ-ენ („ცხრავე“, „ცხრა ერთად“), ვ ი წ-ბ-ა-ლ-ინ || ვ ი წ-ბ-ა-ლ-ენ „ათი ერთად“, „ათივე“ (ვიწ „ათი“)<sup>3</sup>.

ამ ორ ვარიანტთან პირველი (ბ-ა-ლ-ინ||-ლ-ინ) გავრცელებულია როგორც ვართაშნულ, ისე ნიჯურ დიალექტში, მეორე (ბ-ა-ლ-ენ||ლ-ენ) ვარიანტი კი მხოლოდ ვართაშნულში ისმარება. ამ ორი (-ა-ლ-ინ, -ა-ლ-ენ) რთული მაწარმოებლის შემადგენელ ნაწილთა ეტიმონი მთლად ნათელი არ არის. ბოლოკიდური -ინ||-ენ ნაწილი შეიძლება გენეტურად ნათესაობითი ბრუნვის ან ერგატრე-ინსტრუმენტალისის -ინ, -ენ სუფიქსებს დაუკავშირდეს<sup>4</sup>. -ა-ლ-ინ||ა-ლ-ენ რთულ მაწარმოებელს ბოლოკიდური -ინ||-ენ რომ ჩამოვაცილოთ, დაგვრჩება -ა-ლ, რომელიც წარმოშობით შეიძლება დაუკავშირდეს უდიურში ამჟამად გავრცელებულ -ა-ლ („ც“, „მცა“, „ჩიღვეც“) ნაწილს. მართლაც, -ინ||-ენ ჩამოცილებული თითოეული ეს რიცხვითი სახელი სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენება: პ ა ა-ლ → პ ა ე-ა-ლ (ორი), ხ ი ბ-ა-ლ (სამი) და ა. შ. სარკვევი რჩება ამ რთულ აფიქსსა და საწარმოებელ (კ ო ბ-ა-ლ-ენ||კ ო ბ-ა-ლ-ინ...) ფუძეს შორის მოქცეული -ბ- ე-ლ-ე-მენტის მნიშვნელობა. ამჟამად ეს ბ ე-ლ-ემენტი (რომელსაც ნიჯურ კილოში კანონზომიერად ენაცვლება -ვ-: კ ო-ვ-ა-ლ-ინ...) უფუნქციოა. იგი თავდაპირველი მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება დაუკავშირდეს გრამატიკულ კლას-კატეგორიას. რა თქმა უნდა, ამგვარი ძიება ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ამოცანას შეადგენს; აქ კი მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ასეთი მსჯელობის საბუთად გამოდგება „სამის“ აღმნიშვნელი უდიურივე რ. სახელი ხ ი ბ, რომლის ბოლოკიდური -ბ ე-ლ-ემენტი ეტიმოლოგიურად კლას-კატეგორიასთანაა დაკავშირებული (ივ. ჭავჭავიძე). ისე, რომ კ ო ბ ა-ლ-ინ || კ ო ბ ა-ლ-ენ (ხუთივე) და მისთ. რ. სახელშიც შეიძლება გვქონდეს კლას-კატეგორიის გაქვეყნებული სუფიქსი: კ ო-<sup>3</sup>კ ო-ბ (ხუთი), — აქედან—კ ო ბ-ა-ლ-ინ || კ ო ბ-ა-ლ-ინ...

<sup>1</sup> ესეც რთული აგებულებისა და იშლება ასე: ს ა (ერთი) + ე მ ა; ე მ ო (ვართ), 3 ე მ ა, 3 ე მ ო (ნიჟ.).

<sup>2</sup> ცხადია, „ერთის“ აღმნიშვნელი რ. სახელის გამოკლებით.

<sup>3</sup> ასეთ რ. სახელს ა. შიფერი ჩვეურობის, კოლექტიურობის გამოხატულ სახელებს (Collectivzahlwörter-ს) უწოდებს.

<sup>4</sup> ამგვარი ბოლოკიდური მორფემები გამოიყოფა სხვა შემთხვევებშიც; შდრ., მაგალ.: კ ე-მ-ენ-პ ე-პ-ი-ანი“ (კ ე მ-პ ე-პ-ი-ანი), იმე-ენ „ზამთარი“ (იმე „თოვლი“) ...

ყველა რიცხვითი სახელი იბრუნვის გასუბსტანტივების შემთხვევაში; აქაც მოწმდება მსაზღვრელ სახელთა ბრუნების საერთო (ნაცვალსახელური) ტიპი.

### მითითებითი ნაცვალსახელი

მითითებითი ნაცვალსახელი უდიურშიც სამწევრიანია (სამპოზიციანი): მე (ეს), ქა (ეგ), ტე (ის).

როგორც თარგმანიდანაც ჩანს, მარტივი აგებულების სამივე ეს ნაცვალსახელი გამოიყენება მსაზღვრელ სიტყვად პირველ, მეორე და მესამე პირზე მითითებისათვის. დასახელებული ნაცვალსახელები ყოველთვის საზღვრულის წინ დგანან და არ იცვლიან ბრუნვისა და რიცხვის ფორმას; მაშასადამე, სხვა ატრიბუტიულ სიტყვათა მსგავსად, ეს სახელებიც ფორმაუცვლელნი არიან; მაგალითად:

მე ხოდ	(ეს ხე)	ქა ხოდ	(ეგ ხე)	ტე ხოდ	(ის ხე)
მე ხოდ-ენ	(ამ ხემ)	ქა ხოდ-ენ	(მაგ ხემ)	ტე ხოდ-ენ	(იმ ხემ)
მე ხოდ-ინ	(ამ ხის)	ქა ხოდ-ინ	(მაგ ხის)	ტე ხოდ-ინ	(იმ ხის)
მე ხოდ-ახ	(ამ ხეს)	ქა ხოდ-ახ	(მაგ ხეს)	ტე ხოდ-ახ	(იმ ხეს)

ან კიდევ: მე ხოდრუხ (ეს ხეები), ქა ხოდრუხ (ეგ ხეები), ტე ხოდრუხ (ის ხეები)...

ყველა ეს ნაცვალსახელი იბრუნვის და რიცხვის მიხედვით იცვლის ფორმას სპეციალური -ო სუფიქსის დართვით არსებითსახელთან გატოლების შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როდესაც ასეთი ნაცვალსახელი იხმარება ცალკე, წინადადების რომელიმე მთავარი წევრის (ქვემდებარის, დამატების) მნიშვნელობით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მე, ქა, ტე ნაცვალსახელთა მასუბსტანტივებელ -ო სუფიქსს წინ უზის -ნ ელემენტი, რაც ოდითგან გამოყენებული უნდა ყოფილიყო საწარმოებელი ფუძის დეტერმინაციის ფუნქციით, სახელდობრ. ასე: მე-ნ-ო (ეს), ქა-ნ-ო (ეგ), შე-ნ-ო (ის) <sup>1</sup>.

ამ გასუბსტანტივებულ მითითებით ნაცვალსახელთა გამოყენების ზოგი ნიმუში ასეთი იქნება: მე ნო შუ-ა „ეს ვინაა?“ (შდრ. მე ადამარ შუ-ა „ეს ადამიანი ვინაა?“); ქა ნო ში ლარ-ა „ეგ ვისი ვაჟია?“ (შდრ. ქა ლარ ბეზ ვიჩი-ნე „ეგ ვაჟი ჩემი შვილია“); შე ნო ისა მა-ა „ის ახლა სადაა?“ (შდრ. ტე იშუ ისა მა-ა „ის კაცი ახლა სადაა?“) და ა. შ. (ზოგი სხვა მაგალითი იხ. ზემ.: სახელთა წარმოქმნა: -ო სუფიქსი).

გასუბსტანტივებული მითითებითი ნაცვალსახელებიც იბრუნვიან სხვა ატრიბუტიულ სახელთა მსგავსად.

ნიჭურ კილოში ხან მეორდება ვართაშნულის მიხედვით წარმოდგენილი სურათი, ხან კი — არა, მეღვენდება ზოგი თავისებურება. ვართაშნულისაგან განსხვავებით, ნიჭურს მოეპოვება ასეთი ორვარიანტიანი მითითებითი ნაცვალსახელები: მე||შო (ეს), ქე||ქო (ეგ), ტე||შო (ის); მაგალითად: მე (შო) ამდარ (ეს კაცი, ეს ადამიანი), ქე (ქო) ამდარ (ეგ კაცი), ტე (შო) ამდარ (ის კაცი). ვართაშნულისებრ ნიჭურშიც მსაზღვრელად გამოყენების დროს ამ ნაცვალსახელებს არ ეცვლება ბრუნვისა და რიცხვის ფორმა; მაგალითად: მე

<sup>1</sup> ტე ნაცვალსახელისაგან წარმოებული ტე ნო ამჟამინდელ უდიურში არ იხმარება; ამას სკვლის შე ნო||-შო ნო.

(მ ო) ამდარენ „ამ (=ეს) ადამიანმა“, მე (მ ო) ამდარანაკ „ამ (=ეს) ადამიანი-სათვის“; ქე (ქ ო) კოჟანაკ (კოჟანაკ) „მაგ (=ეგ) სახლისთვის“; ტე (შ ო) ამდარხო „ის ადამიანები“...

აქაც (ნიჭურში) ყოველი ეს ნაცვალსახელი ფორმაცვალებადი ხდება, რო-დესაც ცალკე დგას, გასუბსტანტივებულია და წინადადების რომელიმე ძირითად წევრად (ქვემდებარედ, დამატებად) გამოიყენება. გასუბსტანტივების შემთხვე-ვაში ნიჭურშიც ისეთივე მორფოლოგიური ელემენტები გამოიყენება, როგო-რც ვართაშულში: საწარმოებელი ფუძე გართულებულია იმავე -ნ ელემენტით, რომელსაც მოსდევს იგივე მასუბსტანტივებელი -ო სუფიქსი: მ ო ნ ო —მენო „ეს“, ქ ო ნ ო —ქანო, ქენო „ეგ“, შ ო ნ ო —შენო „ის“<sup>1</sup>.

გასუბსტანტივებულ მითითებით ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები ასეთი იქნება: ა) ვართაშულში: მენო-რ—მონო-რ (ესენი), ქანო-რ (ეგენი), შენო-რ—შონო-რ (ისინი); ბ) ნიჭურში: მო-რ-ო ხ||—მო-რ-უ ხ (ესენი), ქო-რ-ო ხ—||ქო-რ-უ ხ (ეგენი), შო-რ-ო ხ—||შო-რ-უ ხ (ისინი). როგორც ვხე-დავთ, გარდა ზოგი ლექსიკური და ფონეტიკური თავისებურებისა<sup>2</sup>, ვლინდება მორფოლოგიური თავისებურებაც: შდრ., მაგალ., მენო-რ—მონო-რ (ვართ.) და ნო-რ-ოხ||—მო-რ-უხ (ნიჭ.) „ესენი“ და ა. შ.<sup>3</sup> მორფოლოგიური თავისებურე-ბის ხაზით საგულისხმოა შემდეგი: ა) ვართაშულში მასუბსტანტივებელი -ო სუ-ფიქსი ყოველთვის დაერთვის -ნ ელემენტით გართულებულ ფუძეს, ხოლო მრავ-ლობითი რიცხვის სუფიქსი უეჭველად მოსდევს ასეთ ფუძე-ფორმას: მო-ნ-ო||მე-ნ-ო (ეს), მო-ნ-ო-რ||—მე-ნ-ო-რ (ესენი) და ასე ყველა პირის მითითებით ნა-ცვალსახელში (იხ. ზევ.). ნიჭურ კოლოში კი მასუბსტანტივებელი -ო სუფიქსისა და ამის მიმყოფი მრ. რიცხვის -რ (-რ-ოხ—||რ-უხ) ნიშნის დართვა -ნ ელემენ-ტის გარეშეც ხდება: შდრ. მო-რ-ო-რ—მე-ო (ეს), ქ ო —ქო-ო—ქა-ო||ქე-ო (ეგ), შ ო —შო-ო—შე-ო (ის); მო-რ-ოხ||—მო-რ-უხ—\*მო-რ-რ-უხ—\*მე-ო-რ-უხ (ესე-ნი) და ა. შ. ეს ფაქტიც თავის მხრივ იმის დამამოწმებელია, რომ -ნ, მართლაც, ოდინდელი ფუნქციონალი-ელემენტია (სუფიქსი-დეტერმინანტი), რის შესახებ უკვე ითქვა ზემოთ.

### კუთვნილებითი ნაცვალსახელი

უდიერშიც ორივე რიცხვის სამივე პირს ეწარმოება კუთვნილებითი ნაც-ვალსახელი, სახელდობრ: ბე ზ ი (ჩემი), ვ ი (შენი), შე ე ტ ა ე—შე ე ტ ა (მისი, იმისი); ბე შ ი (ჩვენის), ე ქ ი—ე ქ (თქვენის), შე ე ტ ღ ო ე—შე ე ტ ღ ო—||შ ო ტ ო ო [ა] (მათი, იმათი). სხვა მსაზღვრელ სახელთა მსგავსად, ეს ნაცვალსახელე-ნიც ყოველთვის ფორმის უცვლელად საზღვრულის წინ გამოიყენებიან, ოღონდ ისე, რომ მათ ამ პოზიციაში (ვი ნაცვალსახელის გამოკლებით), როგორც წე-სი, ეკვეცებათ ბოლოკიდური -ი და დასუსტების შედეგად აქედან მიღებული -ა ელემენტი. მაგალითად: ბე ზ (-ბეზი) ნანა „ჩემი დედა“, ვი კოჯ „შენი

<sup>1</sup> ამათგან ქ ო ნ ო, ქ ე ნ ო ვარიანტები ვართაშულში არ გვხვდება.

<sup>2</sup> ფონეტიკური თავისებურების ხაზით იგულისხმება ხმოვან ელემენტთა ასიმილაცია-დი-ლაციის მომენტი, რაც ნიჭურში უფრო მეტადაა დაკანონებული, ვიდრე ვართაშულში. შდრ., ერთი მხრივ, მხოლოდით რიცხვსა და მეორე მხრივ, მრავლობით რიცხვში დასმული მითითე-ბით ნაცვალსახელების ვართაშულ-ნიჭური ვარიანტები.

<sup>3</sup> აქ ფორმანტთა შესახებ იხ. ქვემ.: მრავლობითი რიცხვის წარმოება.

სახლი“, შეტა (—შეტაჲ) ღარ „მისი ვაჟი“; ბეშ (—ბეში) შკოლ „ჩენი სკოლა“, ეჭ (—ეჭი) ფაქ „თქვენი ბალი“. შეტლო (—შეტლოჲ—შეტლო) ბინ „მათი რძალი“ — და ასე ყველა ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან: ბეზ ნანა (ჩემი დედა) — ბეზ ნანან (ჩემმა დედამ. სიტყვა-სიტყვით: ჩემ დედამ), ბეზ ნანაჲ (ჩემი დედის=ჩემ დედის), ბეზ ნანახ (ჩემ დედას); ვიკოჯ (შენი სახლი) — ვიკოჯენ (შენმა სახლმა=შენ სახლმა), ვიკოჯინ (შენი სახლისა=შენ სახლისა), ვიკუახ (შენ სახლს); შეტა ღარ (მისი ბიჭი, ვაჟი) — შეტა ღარენ (მისმა ვაჟმა=მის ვაჟმა), შეტა ღარახ (მის ვაჟს). ეგეყე მდგომარეობა მეორდება მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით ნაცვალსახელებშიც.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვისტომ ენათა (წახურის, მუხადურის...) მსგავსად პირველი პირის (მრავალ. რ.) უდიდური კუთვნილებითი ნაცვალსახელი არ არის დიდფერენცირებული ექსკლუზიურობისა და ინკლუზიურობის თვალსაზრისით<sup>1</sup>.

თუ არ ვიგულისხმებთ მესამე პირის შოტაჲ (მისი) ნაცვალსახელის ფონეტიკურ სხვაობას (შღრ. ვართაშნ. შეტაჲ), ნიჭურ კილოში დასტურდება იგივე კუთვნილებითი ნაცვალსახელები თავისი ფონეტიკური ვარიანტებით, რაც — ვართაშნულში. სხვაობა არ არის ამ ნაცვალსახელთა გამოყენების მხრივაც. ამასთან: თუ ვართაშნულში მსაზღვრელად გამოყენების დროს შეტაჲ (მისი) და შეტლოჲ||შოტლოჲ („მათი“) ნაცვალსახელებს ბოლოკიდური -ჲ ელემენტი (ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი) ეკვეცება ხოლმე, ნიჭურ კილოში, როგორც წესი, უცვლელად რჩება, არ იკვეცება; შღრ. მაგალითად: შეტა (—შეტაჲ) კოჯ (ვართა) — შოტაჲ კოე (ნიჯ.) „მისი სახლი“; შეტლო (—შეტლოჲ—შოტლოჲ—შოტლო) — ადამარ (ვართაშნ.) — შოტლოჲ აშღარ (ნიჯ.) „იმათი კაცი“, „იმათი მომხრე“, „თანამზრახელი“...

### კითხვითი ნაცვალსახელი „რა“ როგორც მსაზღვრელი

„რა“ ნაცვალსახელი უდიდურში ფუძის აგებულების მიხედვით ორ სახეობად უნდა დავყოთ: ერთია მარტივი აგებულების ე (ვართაშნულში) და ჰე (ნიჭურში), ხოლო მეორე — რთული აგებულების ეკა (ვართაშნულში) და ჰიკან (ნიჭურში). ბოლოს დასახელებული რთული ვარიანტი გამოიყენება წინადადების ცალკე წევრად — ნივთის (საგანთა და მოვლენათა) კლასის სიტყვებთან დაკავშირებული კითხვის გამოსახატავად. ან კიდევ — როგორც ცალკე აღებული კითხვის ნაცვალსახელი — გამოყენებული კითხვითი წინადადების რომელიმე მთავარი წევრის (ქვემდებარის, დამატების...) აღსანიშნავად<sup>2</sup>. პირველი (მარტივფუძიანი) ვარიანტი ცალკე არ გამოიყენება; იგი ფორმის უცვლელად ყოველთვის წინ უზის საზღვრულს, სულ ერთია, ნივთის კლასის გამომხატველია ის, თუ ადამიანისა, თანაც ისე, რომ ამ უქანასკნელს ბოლოში დაესმის კითხვის ა ნაწილაკი<sup>3</sup>. მაგალითად: ე ადამარ-ა „რა (როგორი) კაცია?“ ე ადამარახო-ა-ბაქე „რა (როგორი) ადამიანისაგან იშვა, ე. ი. ვინ შვა

<sup>1</sup> იხ. ქვ. პირის ნაცვალსახელი.

<sup>2</sup> ეკა, ჰიკან ვარიანტთა შესახებ უფრო ერცლად იხ. ქვემ.

<sup>3</sup> იხ. ნაწილაკები.



ასეთი?!" ე კოჯინა-ა „რა (როგორი) სახლისაა, გვარ-ტომისაა?!" ასევე ნიჭურ-  
დიალექტშიც: ჰე ამდარა-ა „რა კაცია?!" ჰე კომახუნ-ა „რა სახლიდანაა.  
გვარ-ტომიდანაა?!"...

### უკუქცევითი ნაცვალსახელი როგორც მსაზღვრელი

უდიური ნაცვალსახელი ი ჩართულად ითარგმნება ორგვარად „თვით“.  
„თვითონ“ და გამოიყენება ორი მნიშვნელობით — სუბსტანტივად და ატრიბუ-  
ტივად (მსაზღვრელ სიტყვად). პირველ შემთხვევაში იგი ფორმაცვალეზადი სა-  
ხელია<sup>1</sup>, ხოლო მეორეში (სხვა მსაზღვრელ სახელთა მსგავსად) — ფორმაუცე-  
ლელი. საგულისხმოა, რომ უდიურ ი ჩ ნაცვალსახელს მსაზღვრელად გამოყე-  
ნების დროს აქვს უკუქცევით-კუთვნილებითი ნაცვალსახელის მნი-  
შვნელობა და ნათესაობით ბრუნვაში დაუსმელად (წმინდა ფუძით) უდრის ქარ-  
თულ ნაცვალსახელს — „თავის“, „თავისი“, „თვისი“. სხვანაირად რომ ვთქვათ,  
უდიური ი ჩ წარმოადგენს ისეთ ნაცვალსახელურ ფუძეს, რასაც აქვს კუთვნი-  
ლების გამომხატველი ზედსართავი სახელის მნიშვნელობა<sup>2</sup>. შდრ., მაგალითად:  
ი ჩ არენე (თვით, თვითონ მოვიდა) — მაგრამ: ი ჩ კოჯ (თავის, თავისი სახ-  
ლი). ი ჩ კოჯენ (თავის, თავისმა სახლმა), ი ჩ კოჯინ (თავის,  
თავისი სახლის) და ა. შ. ვართაშნულის მიხედვით ნაჩვენები ეს სურათი მე-  
ორდება ნიჭურ კილოშიც. ზოგი თავისებურება მქლავნდება ამ ნაცვალსახელის  
სუბსტანტივის გაგებით გამოყენების შემთხვევაში. ამის შესახებ ცნობები მოწო-  
დებული იქნება ქვემოთ.

### სხვა მსაზღვრელი სახელები

სხვა მსაზღვრელ სახელად გამოიყენება: 1) მიმართებითი ნაც-  
ვალსახელი მანო (ვართაშნულში), მანუ (ნიჭურში) „რომელი“, რაც  
მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში წარმოდგენილ სხვადასხვა ბრუნვაში დას-  
მულ საზღვრულს წინ უზის ფორმის უცვლელად; მაგალითად: ა) ვართაშნ.:  
მანო ადამარ (რომელი ადამიანი), მანო ადამარენ (რომელმა ადამიანმა),  
მანო ადამარი (რომელი ადამიანის), მანო ადამარახ (რომელ ადამიანს)...  
ბ) ნიჯ.: მანუ ამდარ (სახელობ.), მანუ ამდარენ (ერგატ.). მანუ ამდა-  
რი|ამდარუნ (ნათეს.), მანუ ამდარა (მიც.) და ა. შ.; 2) განუსაზღვრელი  
ნაცვალსახელი. ასეთი ნაცვალსახელებია: ჰარსა (ვართაშნ.), ჰარ-  
სან (ნიჯ.) „ყოველი“, შუკალ (ვართ., ნიჯ.) „არაფერი“, ეკალ (ვართ.),  
ქიკალ (ნიჯ.) „არაფერი“, „არარა“. ეს ნაცვალსახელებიც სხვა მსაზღვრელ  
სიტყვათა მსგავსად დაისმიან საზღვრულის წინ და არ იცვლიან ბრუნვისა და  
რიცხვის ფორმას; მაგალ., ჰარსა ადამარ (ნიჯ. ჰარსან ამდარ) „ყოველი ადამიანი“,  
ჰარსა ადამარენ (ნიჯ. ჰარსან ამდარენ) „ყოველმა ადამიანმა“ და ა. შ.

ეს მსაზღვრელი ნაცვალსახელებიც იბრუნვიან ატრიბუტიულ სახელთა ბრუ-  
ნების საერთო (ნაცვალსახელური) ტიპის მიხედვით (იხ. ქვემ.).

<sup>1</sup> ამ ნაცვალსახელის რიცხვისა და ბრუნვის ფორმათა ცვლა არსებით სახელთა მსგავსად  
სდება (იხ. სახელთა ბრუნების ჰარადფემები და განმარტებები).

<sup>2</sup> ლათინურად ამგვარ სახელებს აღნიშნავენ *suus* ტერმინით, ფრანგულად—როგორც *adjectif possessif réflexif*, ხოლო რუსულად—*возвратное притяжательное прилагательное*.

უდიური პირის ნაცვალსახელებია: ზ უ (მე). უ ნ (შენ). შე ნ ო —|| შ ო —  
ნ ო (იგი, ის); ჯ ა ნ (ჩვენ), ვ ა ნ || ე ტ ა ა ნ (თქვენ). შე ნ ო რ → || შ ო ნ ო რ:  
(იგინი, ისინი). მესამე პირის ნაცვალსახელი ემთხვევა ამავე პირის გასუბსტანტი-  
ვებულ მითითებით ნაცვალსახელს (იხ. ზემ.). ამჟამინდელი მდგომარეობის მი-  
ხედვით პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები წარმოადგენენ მარტივ ფუ-  
ძეებს, თუმცა საფიქრებელია, რომ ესენი თავიდან არ იყვნენ მარტივნი: ბოლო-  
კიდური -ნ ელემენტი, რომელიც ერთნაირად დაჰყვება ორივე რიცხვში დასმულ  
მეორე პირისა და მრავლობით რიცხვში დასმულ პირველი პირის ნაცვალსახელს.  
უნდა იყოს ისეთივე ფუნქციონალი-ელემენტი (სუფიქსი-დეტერმინანტი). რო-  
გორიც გასუბსტანტივებულ მითითებით ნაცვალსახელებში გამოვყავით ზემოთ  
(იგულისხმება მე-ნ-ო, ქა-ნ-ო, შე-ნ-ო ფუძე-ფორმები). ისე, რომ ჯ ა ნ (ჩვენ),  
ვ ა ნ || ე ტ ა ა ნ (თქვენ) ნაცვალსახელები უნდა დაიშალოს ამგვარად: ჯ ა -ნ,  
ვ ა -ნ, ე ტ ა ა -ნ. ამ სახით დაშლისა და. მაშასადამე, ბოლოკიდური -ნ ელემენტის  
გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა თავად უდიურივე ე. წ. ირიბ ბრუნვათა  
ფორმებთან ამ ფუძეთა შედარება, სახელდობრ: ჯ ა -ნ „ჩვენ“ (სახელობითი და  
ერგატიული ბრ.), ჯ ა -|ხ| (მიცემითი ბრ.), ჯ ა -ხ-ო (აბლატ.-ინსტრ.): ვ ა -ნ  
„თქვენ“ (სახელობ. და ერგატ. ბრ.), ვ ა -ხ (მიც.), ვ ა -ხ-ო (აბლატ.-ინსტრ.);  
ასევე იქნება: ე ტ ა ა -ნ „თქვენ“ — ე ტ ა ა -ხ, ე ტ ა ა -ხ-ო...! გამოწაკლის შეადგენს  
თითქოს მხოლოდ. რ. პირველი პირის ზ უ ნაცვალსახელი, რომელსაც ბოლო-  
კიდურ ელემენტად არა აქვს -ნ. მაგრამ უდიურთან სტრუქტურულად (და გენე-  
ტურად) ახლოს მდგომ ენათა შედარების გზით ვერწმუნდებით, რომ ამ უდიურ  
ნაცვალსახელსაც უნდა ჰქონოდა ასეთივე (-ნ) ელემენტი: შ დ რ., თუნდაც: ლე ზ-  
გიური (ციურული) და აღულური ზ უ ნ (მე).

პირველი პირის (ჯ უ) ნაცვალსახელის მსგავსად ყურადღებას იპყრობს  
მეორე პირის (უ ნ) ნაცვალსახელის აგებულებაც, ოღონდ იმ სხვაობით. რომ. თუ  
პირველ შემთხვევაში ფუძეს სადეტერმინაციო სუფიქსი აკლია (ზუ—ზუ-ნ).  
მეორეს (უ ნ ნაცვალსახელს) ძირისეული ელემენტი უნდა აკლდეს. ამ ძირისე-  
ული მასალის ძიებისათვის თავად უდიურივე უ ნ ნაცვალსახელის „ირიბ-“  
ბრუნვათა ფორმები — ე (შენი), ე ა [ხ] (შენ.-მიცემ.). ე ა ხ ო (შენგან. შე-  
ნით) და სახელობითში დასმული ნიჭური ჰ უ ნ ვარიანტი გამოდგება. დასა-  
მომწმებლად შეიძლება გამოდგეს აგრეთვე თვისტომ ენათა მონაკვებები: შ დ რ.. სა-  
ხელდობრ, წახურ-მუხალური ვ ზ, ვ უ, ანდა ღ უ —|| ღ უ ნ<sup>2</sup>. ლე ზგიური ან  
აღულური ვ უ ნ („შენ“). ყველა ამ ფუძე-ფორმის მიხედვით ძირისეულ ელე-

<sup>1</sup> იხ. ქვემ. სახელთა ბრუნება: მე-14 პარადიგმა და შენიშვნები.

<sup>2</sup> ბოლო ვარიანტი იხმარება ასეთი ფორმით: ღუნ-არ (აღამინ. კლ). ღუნ-აბ (სხოვ. კლ).  
ღუნ-ად (ნივთ. კლ.) „შენც“.

<sup>3</sup> თუ რა მიმართებაა ამ ელემენტთა შორის მნიშვნელობისა და ფონეტიკური ფარდობა-შე-  
საბამისობის თვალსაზრისით — ეს საკითხი შედარებითი გრამატიკის საქმეა და აქ მათ შესახებ  
ერკლად ვერ ვიმსჯელებთ. ერთი კი უნდა ითქვას, რომ ამის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა  
მოსაზრება. ზოგს ძირისად მოაჩნია ვ- (ნ. ტრუბეტკოი), ზოლო ზოგი გამოყოფს რა ვ- ელემენტს  
ძირისად, ღ სპირანტს ამის ფონეტიკურ შენაზარდად მიიჩნევს (ა. შამონეტოვი). ზოგი ნიჭურ  
ჰ უ ნ ვარიანტში თავიიდურ ბ- სპირანტს ასპირაციული (ფშინიერი) შემართვის მომენტულ  
თელის (ვ. ფანჩიძე). არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ღ-, ბ-, ვ- ამ ენათა მეორე

მენტად გამოიყოფა თავიკიდური ვ-, ლ-, მ-<sup>3</sup>. მაშასადამე, ამჟამინდელი უდიური (resp. ვართაშული) უნა ნაცვალსახელი დეფექტურია, ძირნაკლია.

პირის ნაცვალსახელბთან დაკავშირებით აქ მოწოდებულ ცნობებს ისიც უნდა დაემატოს. რომ ამჟამინდელ უდიურში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი არ განირჩევა ინკლუზიურობისა და ექსკლუზიურობის ოვალსაზრისით: მან (ჩვენ) თანაბრად გამოხატავს ასეთ მნიშვნელობას: „მე და შენ“, „მე და თქვენ“, „მე და ის“, „მე და ისინი“. შდრ., მაგალითად, „ჩვენ“ ნაცვალსახელის აღულური ვარიანტები: ხინ „მე და შენ“, „მე და თქვენ“, ჩინ „მე და ის“, „მე და ისინი“...

ბრუნვის ნიშნთა ხასიათის მიხედვით უდიური პირის ნაცვალსახელი არსებით სახელთა საერთო ტიპის მიხედვით იბრუნვის. ზოგი თავისებურება, რაც აქ შეინიშნება, აღნიშნულია ქვემოთ.

### უაჟამინდელი ნაცვალსახელი

უდიური უაჟამინდელი ნაცვალსახელია იჩ, ქართულად ორგვარად ითარგმნება: „თვით“ და „თვითონ“. ეს ნაცვალსახელი გამოიყენება ორი მნიშვნელობით: მსაზღვრელ სიტყვად (რის შესახებაც სხვა მსაზღვრელ სიტყვებთან ერთად ზემოთ უკვე ითქვა) და სუბსტანტივად. მეორე შემთხვევაში უდიურ იჩ ნაცვალსახელს აქვს ქართული „თვითონ“ ნაცვალსახელის მნიშვნელობა და წარმოადგენს ბრუნებად სიტყვას. ამ ნაცვალსახელის ბრუნვათა ფორმებზე ცნობები ქვემოთ იქნება მოწოდებული (იხ. სახელთა ბრუნება: მე-15 პარადიგმა). საგულისხმო ის არის, რომ (ქართულისაგან განსხვავებით) ამ უდიურ ნაცვალსახელს აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა — ამასთან ისე, რომ მრავლობითში სახელობითისა და ერგატიული ბრუნვის ფორმები არ არის დიფერენცირებული: ორივეს მნიშვნელობით გამოიყენება ერგატიული ბრუნვის ფორმა<sup>1</sup>, შდრ., მაგალითად: იჩ (სახელობ.) არენე „თვითონ მოვიდა“, იჩენ (ერგატ.) ბენე „თვითონ გააკეთა“, მაგრამ იჩლონ (ერგატ.) არეყუნ „თვითონ (მრავლ.) მოვიდნენ“, იჩლონ (ერგატ.) ბეყუნ „თვითონ (მრავლ.) გააკეთეს“...<sup>2</sup>

იჩ ნაცვალსახელთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ იგი პოზიციურად მხოლოდ მესამე პირის აღმნიშვნელია და, მაშასადამე, თავისი შინაარსით პირველსა და მეორე პირს ვერ ეგუება (შდრ. ქართ. თვით მე..., მე თვითონ..., თვით შენ..., შენ თვითონ... — უდიურს ასეთი სინტაგმები არა აქვს).

პირის ნაცვალსახელის ფონეტიკურად ერთმანეთის ფარდი ძირის ოდინდელი კუთვნილება. ღ და ჰ რომ შეიძლება ერთმანეთის ფარდი იყოს, ეს უდიური ენის ნიჭური კილოს ზოგი ასეთი მონაცემიდანაც ჩანს: ქურუხ|ღურუხ (ნიჭ.) — ღირუხ (ვართ.) „მარხვა“, ქურა (ნიჭ.) — ღურა (ვართ.) „ეკალა“... რაც შეეხება ვ- ვარიანტს, ეს კი შესაძლოა ოდითგან ლაბიალიზებული (ან მ) თანხმონის რეფლექსი იყოს; აქ, როგორც ჩანს, ლაბიალიზების მომენტია შემონახული რედუცირებული ვ-ს სახით: ღჷ—ღჷგ. ეს მოსაზრებები გამოთქმულია საკითხის დასმის წესით: ამბზე გულდასმით მსჯელობა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის საქმეა და, მაშასადამე, ხილდება ამ წიგნის ამოცანათა ფარგლებს.

<sup>1</sup> ამ ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვის ფორმები აქვს ერგატიული ბრუნვიდან დაწყებული „იჩ“ ევლა სხვა „ირიბ“ ბრუნვებს, სახელობითის კი — არა.

<sup>2</sup> ეს ფაქტი საყურადღებოა ამ ორი ბრუნვის — ნომინატივისა და ერგატივის — ფუნქციური სტრუქტურის თვალსაზრისით.

ნიჭურ კილოში ანალოგიური მდგომარეობაა. სხვაობა ჩანს ზოგი ბრუნვის მაწარმოებლებში (რის შესახებაც ცნობებზე ქვემოთ იქნება მოწოდებული.—იხ. სახელთა ბრუნება). ამ კილოში უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით ჰარველი პირისთვის გამოიყენება ამავე პირის ზ უ (მე) ნაცვალსახელის მიცემათი ბრუნვის ზ ა ფორმა; მაგალითად: ზუ ზ ა-ზ-ბი „მე თვით ჩემთვის გავაკეთე = მე თვით მე გავიკეთე“...<sup>1</sup>

### კითხვითი ნაცვალსახელთა

უდიდრი კითხვითი ნაცვალსახელებია: ა) ვართაშნულ მონაცემთა მიხედვით — შ უ (ვინ), ე კ ა (რა), მ ა ნ ო (რომელი); ბ) ნიჭურისა — შ უ (ვინ), ჰ ი კ ა (რა), მ ა ნ უ (რომელი).

მაგალითები: მენო შუ-ა „ეს ვინაა?“ ქანო ეკა-ა „ეგ რაა?“ ქანო მანო-ა „ეგ რომელია?“

ბრუნვათა ფორმებს ეს სახელები სხვადასხვაგვარად იცვლიან: შ უ ნაცვალსახელის ბრუნება ზდება წმინდა ფუძეზე დაყრდნობით, ხოლო დანარჩენებისა (ე კ ა, ჰ ი კ ა, მ ა ნ ო, მ ა ნ უ ნაცვალსახელებისა) მსაზღვრელ სახელთა ბრუნების საერთო (ნაცვალსახელური) ტიპის მიხედვით — აღწერითად: საბრუნებელი წმინდა ფუძისა და მესამე პირის ბრუნვაცვალებადი ნაცვალსახელის ინკორპორაციით (ნიშნები იხ. ქვემ.: სახელთა ბრუნების მე-17 პარაღმემა).

შ უ ნაცვალსახელში ძირისეულ ელემენტად გამოიყოფა შ- (მღრ. ერგატ. შ-ინ, სათეს. შ-ი). ე კ ა და ჰ ი კ ა ნაცვალსახელიც არ არის მარტივი აგებულებისა; მღრ. ვართაშნული: ე-ტინ (რამ), ე-ტამ (რისა), ე-ტუხ (რას), ნიჯ.: ჰე-ტინ (რამ), ჰე-ტამ (რისა), ჰე-ტუ (რას)...

ამ ფორმათა მიხედვით ე კ ა და ჰ ი კ ა უნდა დაიშალოს ასე: ე-კ ა, ჰ-ი კ ა. ამ ორ (ვართაშნულ-ნიჭურ) ვარიანტიანი ნაცვალსახელის პირველი ნაწილი ე- (ვართ.) და ჰ ე-—ჰ ი (ნიჯ.) რა ნაცვალსახელის მნიშვნელობით ცალკეც იხმარება — ოდენ მსაზღვრელის ფუნქციით (იხ. ზემ.). -კ ა ნაწილი ვართაშნულში ცალკე არაფერს ნიშნავს. რაც შეეხება ნიჭურ ჰ ი კ ა ვარიანტს. აქ რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა. ჯერ ერთი: ჰ ი კ ა ვართაშნულ ე კ ა-ს ფონეტიკური სახესხვაობაა — ნიჭურისთვის დამახასიათებელი პალატალიზაციისა და ასპირაციული შემართვის შედეგად მიღებული: ე კ ა (ვართ.)—ჰეკა—ჰიკა (ნიჯ.). ამასთან ნიჭურში მოწმდება ამ ნაცვალსახელის გამარტივებული კ ა სახეობის ცალკე გამოყენების შემთხვევებიც; იტყვიან. მაგალითად: ჰუნ კ ა-ნ-ჩურესა „შენ რა გსურს?“ კ ა-ნ-ჰაყსა „რას ყიდულობ?“ ამ ფაქტის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ვართაშნული კ ა და ამისი პალატალიზებული კ ა ვარიანტი ნიჭურში სრული მნიშვნელობის სიტყვაა; იგი ამ კილომ ცალკეც შემოგვიანხა და თავიკიდურ ჰ ი- ელემენტთან შერწყმითაც (ჰ ი კ ა).

### საერთიერთო ნაცვალსახელი

ქართული „ერთმანეთის“ მსგავსად უდიდრშიაც (ორსავე კილოში) საურთიერთო ნაცვალსახელის კომპოზიცია „ერთის“ აღმნიშვნელი ს ა სახელის

<sup>1</sup> როგორც ამას სრულიად მართებულად აღნიშნავს საკანდიდატო დისერტაციაში („უდიდრი ენის ნიჭური კილო“) ვოროზილ გუკასიანიც.

რედუბლიკაციას ეყრდნობა, ოღონდ იმ სხვაობით. რომ ამ ენაში ეს ფუძე გარ-  
თულებულია - უნ სუფიქსით, რომელიც წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის  
ნიშანი უნდა იყოს, ხოლო ფუნქციით — მადერიატებელი (დეტერმინანტი-სუ-  
ფიქსი)¹: ამასთან ამ სახელის ფორმათა არე განსაზღვრულია: ეწარმოება მხო-  
ლოდ მიცემითი ბრუნვის, აბლატივ-ინსტრუმენტალისის („გან“-ბრუნვის), კო-  
მიტატივის („თან“-ბრუნვის), ალლატივის („კენ“-ბრუნვისა). სუპერესივის  
 („ზე“- ბრუნვისა) და კაუზატივის („თვის“- ბრუნვის) ფორმები: ს უ ნ ს უ ნ ა ხ —  
ს უ ნ ს უ ნ ა ხ —ს ა უ ნ —ს ა უ ნ ა ხ (ვართ.) —ს უ ნ ს უ ნ ა (ვართ., ნიჯ.) „ერთმანეთს“.  
ს უ ნ ს უ ნ ა ხ ო „ერთმანეთისაგან“, „ერთმანეთით“. ს უ ნ ს უ ნ ა ხ ო ლ || ს უ ნ -  
ს უ ნ ა ხ ო ლ ა ნ, „ერთმანეთთან ერთად“ (ვართაშნ.); ს უ ნ ს უ ნ ა ხ უ ნ „ერთ-  
მანეთისაგან“, „ერთმანეთით“, „ერთმანეთთან ერთად“ (ნიჯ.); ს უ ნ ს უ ნ ა ქ  
(ვართაშ.), ს უ ნ ს უ ნ ა ჩ (ნიჯ.) „ერთმანეთისაგან“; ს უ ნ ს უ ნ ა ლ „ერთ-  
მანეთზე“; ს უ ნ ს უ ნ ე ე კ || ს უ ნ ს უ ნ ე ე კ ე ნ ა (ვართ.), ს უ ნ ს უ ნ ა დ ნ ა ქ  
(ნიჯ.) „ერთმანეთისათვის“.

### მრავლობითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი უდიდესი მხოლოდ სახელის მორფოლოგია-  
ურ კატეგორიაა. ზმნაში მას სპეციალური ნიშანი არ მოეპოვება (რო-  
გორც ქვემოთაც იქნება ნახვენები, ნაცვალსახელური წარმოშობის პირის ნი-  
შანი ზმნისა შინაარსის მიხედვით რიცხვსაც გამოხატავს).

უდიურ სახელთა მრავლობითობის გამოსახატავად გამოიყენება მარტივი და  
რთული სუფიქსები.

მარტივი სუფიქსებია -უხ და -რ. აქედან -უხ მწარმოებელი გამო-  
იყენება ა) ერთზე მეტ (ღია ან დახურულ) მარცვლიან არსებით სახელებში.  
მაგალ.: ნანა-უხ (დედები), ჰასო-უხ (დრუბლები), კაქოლი-უხ (კიტრები); ადა-  
მარ-უხ (ადამიანები), ეღელ-უხ (ცხვრები), ქოსუმ-უხ (გოდრები), ხაზალ-უხ  
ფოთლები)... ბ) ზოგ ერთმარცვლიან არსებით სახელში, მაგალ.: ხაა-უხ (ძალ-  
ლები), ჩურ-უხ (ფურები)...; გ) გასუბსტანტივებულ მსაზღვრელ სახელთა  
„რიბ“ ბრუნვებში, ოღონდ ფონეტიკური ცვლილებებით: -უხ—უღ—ღ, მაგალ.:  
შელ-ო-ტ-ღ-ონ—შელ-ო-ტ-უღ-ონ—შელ-ო-ტ-უხ-ონ—შელ-ო-ტ-უხ-ენ (კარგებ-  
მა)... -რ სუფიქსი იხმარება მხოლოდ გასუბსტანტივებულ მსაზღვრელ სახელთა  
სახელობით ბრუნვაში, მაგალ.: შელ-ო-რ (კარგნი), ფის-ო-რ (ცუდნი), შავა-  
ტ-ო-რ (ლამაზნი), ალაღუ-ო-რ (მდალნი), ეღალ-ო-რ (მომსველენი). ვიწ-ო-რ  
(ათნი)...

რთული სუფიქსებია: -მ-უხ; -ურ-უხ||-რ-უხ; ი-უხ||იმ-უხ, -მ-ხოხ, -რ-ხოხ;  
-ყოხ. ყველა ეს სუფიქსი გამოიყენება ერთ, ორ და ორზე მეტ (ღია და დახუ-  
რულ) მარცვლიან არსებით სახელებში. დასახელებულ მწარმოებელთა მორ-  
ფოლოგიური პროცესის კანონზომიერების დადგენა ძნელდება, რადგან აქ იმდენ-  
ია წესია, რამდენიც გამოჩაქვს; თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ერთი ჯგუფის  
სახელებში ზოგი ამ სუფიქსთაგანი ფაქულტატურად იხმარება, უფრო ნათელი  
გახდება აქ მოცემული განმარტებები. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ჩა-  
ბოთვლილთაგან ზოგი ნამდვილად რთული აფექსიაა. ზოგი კი მხოლოდ გარეგ-  
ნულადაა რთული აგებულებისა.

¹ რომლის დართვის დროს საწარმოებელ სა ფუძეს ეკვივება ხმოვანი: სა-უნ—ს-უნ.

ჩამოთვლილ რთულ სუფიქსთა გამოყენების არე ასეთია:

1) -მ-უხ სუფიქსი იხმარება ა) ერთი დახურული მარცვლისაგან შედგენილ სახელთა ზოგ ფუძესთან; მაგალ.: ფულ-მუხ (თვალეზი), ქულ-მუხ (ხელეზი). ლურ-მუხ (ფეხეზი), ლარ-მუხ (ვაყეზი)... ბ) ხმოვანზე ან თანხმოვანზე დაბოლოებულ ზოგ ერთზე მეტ მარცვლიან არსებით სახელთა ფუძესთან; მაგალ.: ხინარ-მ-უხ (ქალიშვილები, ქალები). იშყარ-მ-უხ (მამაკაცები), ფოლდამ-მ-უხ (ამხანაგები). ვიჩი-მ-უხ (ძმები), ხუნჩი-მ-უხ (ღები)...

2) -რ-უხს||-ურ-უხ გამოიყენება ერთი დახურული ან ლია მარცვლისაგან შედგენილ არსებით სახელთა ზოგ ფუძესთან, მაგალ.: ხოდ-რ-უხს||ხოდ-ურ-უხ (ზეები). ბუშ-რ-უხს||ბუშ-ურ-უხ (აქლემები), კოჯ-რ-უხს||კოჯ-ურ-უხ (სახლები). ყაზ-რ-უხს||ყაზ-ურ-უხ (ბატები), ყუშ-რ-უხს||ყუშ-ურ-უხ (ჩიტები, ფრინველები). ცამ-რ-უხს||ცამ-ურ-უხ (ასოები, ნაწერები, წარწერები), ხაზ-რ-უხს||ხაზ-ურ-უხ (ხაზები): ოხ-რ-უხს||ოხ-ურ-უხ (სავარცხლები), ეზ-რ-უხს||ეზ-ურ-უხ (ხნულეზი), ეჭ-რ-უხს||ეჭ-ურ-უხ (კალოები), აშ-რ-უხს||აშ-ურ-უხ (საქმეები)...

3) -ი-უხ || -იმ-უხ იხმარება -ა, -ჲ, -აჲ ხმოვნებზე დაბოლოებულ ზოგ სახელ-ნი, თანაც ისე, რომ ფაქულტატურად გამოყენებულ ამ აფიქსთა დართვისას საწარმოებელ ფუძეს ეკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი; მაგალ.: ფაშნი-ი-უხ (ფაშნა „გოგრა“). ტაშნი-ი-უხ (ტაშნა „ფეტვი“), ლაშანი-ი-უხ (ლაშანა „ყუფვი“). აან-ი-უხ (აანა „მინა“), თარნი-ი-უხ (თარნა „თონე“). კაჭი-ი-უხ (კაჭა „ხელეური“), კაში-ი-უხს||კაში-იმ-უხ (თითები), ვაღ-ი-უხს||ვაღ-იმ-უხ (ვაღა „დრო“), მუაყი-ი-უხ (მუაყა „რქა“) ...

4) -მ-ხოს||-რ-ხოს დაერთვის თანხმოვნისა და ხმოვნისაგან შედგენილი ერთ-მარცვლიანი არსებითი სახელების ფუძეებს; მაგალ.: გა-მ-ხოს||გა-რ-ხოს (ადგილები), ღი-მ-ხოს||ღი-რ-ხოს (ღლეები)...

მრავლობითობის -რ-ხოს სუფიქსი პარალელურად ნაჩვენები -მ-ხოს მაწარმოებლის გარეშე იხმარება; მაგალ.: წი-რ-ხოს (სახელები), ო-რ-ხოს (ბალახები). ჭი-რ-ხოს (ღვინოები), მე-რ-ხოს (დანები)...

5) -ყოს (-ყ-ოს? -ყ-ოს?) მაწარმოებელი იხმარება მხოლოდ ერთ შემთხვევაში — „დედაკაცი“, „ცოლის“ აღმნიშვნელ სახელში: ჩუბ-ყოს (ჩუბუხ „დედაკაცი“, „ცოლი“).

ცხადია, რთულ აფიქსთა უმრავლესობაში მონაწილეობს -უხ სუფიქსი (-მ-უხ, ურ-უხს||-რ-უხ, ი-უხს||-იმ-უხ), რომლის ჩამოცილების შემდეგ რჩება მ, -ურს||-რ, -ი||იმ ელემენტები, რომელთაც ამჟამად ცალკე, ბოლოკიდური -უხ ფორმანტის გარეშე, არავითარი ფუნქცია არ აქვთ. მრავლობითობის აღმნიშვნელ სხვა რთულ აფიქსებში მონაწილეობს ბოლოკიდური ელემენტი -ოს (იგულისხმება: -ხ-ოს; ყ-ოს, -რ-ხ-ოს, -მ-ხ-ოს). -უხ და -ოს რომ შინაგანს კავშირშია და ისტორიულად ერთი და იგივე ან ფარდი ფორმანტი უნდა იყოს, აქ თითქოს საეჭვო არაფერია; მხოლოდ შეიძლება დაისვას ასეთი საკითხი: ამ ფონეტიკურ ეპირანტთაგან რომელია პირველადი: -უხ თუ -ოს?

უდიური ენის ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით, რასაკვირველია, სველა ეს აფიქსი გამოხატავს მრავლობით რიცხვს და აგებულების მიხედვით რთულია; სხვანაირად: ამ ელემენტთა კომბინაციით გამოიხატება სიმრავლის ცნება, ხოლო ამ ელემენტთა კომპლექსის გარეშე გვაქვს მხოლოდობის გაგება; შდრ., მაგალ.: ხოდ „ხე“ — ხოდ-ურ-უხს||ხოდ-რ-უხ „ხეები“; ფულ

„თვალი“ — ფულ-მ-უხ „თვალები“; გა „ადგილი“ — გა-მ-ხოხ „ადგილები“; წი „სახელი“ — წი-რ-ხოხ „სახელები“ და ა. შ. მაგრამ ეს — მხოლოდ სინქრონიულად, სტრუქტურულად.

არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ზემოთ დასახელებულ -ურ-უხ||-რ-უხ, -რ-ხოხ და -მ-ხოხ აფიქსთა პირველი კომპონენტი -ურ-რ, -მ წარმოშობით არ არის მრავლობითი რიცხვის ფორმანტისეული ელემენტი: ეს თანხმობები მხოლოდობით რიცხვში დასმულ სახელთა ბოლოკიდური ელემენტებია — ფუძის შიგნით, უპირატესად ხმოვნებს შორის შემონახული, ხოლო ფუძის აბსოლუტურ ბოლოს—მოკვეცილი. ამგვარი განმარტების შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, უდიდურივე „ირიბ“ ბრუნვათა ფორმებში არსებული მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ — თვისტომ ენათა მონაცემებთან ამ ენის შედარება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ -ურ(←რ) სუფიქსი როგორც მრავლობითი რიცხვის პრაქტიკულად არსებული ცალკე მაწარმოებელი, ანდა როგორც ერთული მაწარმოებლის შედგენილობაში მონაწილე მრავლობითობის ელემენტი, არ მოწმდება<sup>1</sup>. ამ -ურ ელემენტის მსგავსად ზემოთ დასახელებულ -მ და -რ ელემენტები (-მ-ხოხ, -რ-ხოხ მაწარმოებლებში რომ გამოიყოფა) მხოლოდობით რიცხვში დასმული ფუძის კუთვნილებაა და არა მრ. რიცხვის ფორმანტისა; შდრ., მაგალითად: უღ: წი (სახელი), წი-რ-ხოხ (სახელები) და „ს ა ე ლ ი ს“ აღმნიშვნელი ფუძეები გენეტურად მომიჯნავე ენებში: დურ (მუხადური), ტუარ (ლეზგიური), წორ←წუარ (არჩიბული), წაერ (ანდიური), წაარ (ხუნძური)—წი (დილოური)... ამ ფუძეთა შედარება გვარწმუნებს, რომ მხოლოდობით რიცხვში დასმულ უდიდურ წი ფუძეს აკლია -რ ელემენტი, რომელიც დატულია მრავლობითი რიცხვის ფორმაში: წი-რ-ხოხ (წი\*წი). ისე, რომ -რ ელემენტი რიცხვის კი არ არის, არამედ — საწარმოებელი ფუძისა, და ასე ყველა სხვა ერთ ღია მარცვლიან არსებით სახელთა ფუძეში — ისეთებში, როგორცაა, მაგალითად: მერ-ხოხ „დანები“ (მხ. მე←მერ), ეერ-ხოხ „ქეები“ (მხ. ეე←ეერ) და სხვ.

ასევე გამხოხ („ადგილები“) ფუძე-ფორმაში მ არ არის რიცხვის ფორმანტის კუთვნილება, იგი მომდევნო ო ხმოვნის გავლენით მიღებულია ნ-საგან, რაც მხოლოდობით რიცხვში დასმულ „ირიბ“ ბრუნვათა ფორმებშია დატული. — შდრ., მაგალითად: გან-ენ (ადგილმა, ადგილით), გან-ე-ე (ადგილისა), გან-უხ (ადგილს) და სხვ. მაშასადამე: გამხოხ—განხოხ „ადგილები“ (მხ. გა—გან). ასევე ღიმ-ხოხ—ღინ-ხოხ „დღეები“ (მხ. ღი—ღინ); შდრ. უდიდურივე ღენენ—ღინ-ენ „დღით“ = „დღითი-დღე“, „ყოველდღე“...

<sup>1</sup> მრავლობითობის გამოსახატავად -ურ სუფიქსის გამოყენების ნიმუშად ასახელებენ ხოლ-მე ხოლ-ურ (ხოლ „ხე“), კოჩ-ურ (კოჩ „სახლი“) და მისთანებს, მაგრამ თავად კოჩ-ურ ცნობობითობის ნიუანსით ხმარებული მხოლოდობითის ფორმაა. ასეა ეს ნახმარი, მაგალითად, 1934 წელს გამოსული უდიდური სასკოლო წიგნის 52-ე გვერდზე (ლათინური ასოებით დაბეჭდილი ტექსტი ვადმომაქვს ქართული ტრანსკრიფციით): მონო კოკოწლო კოჩურ-რ-ე (ვართანენ). — მონო კოკოწხო კოჩურ-ე (ნიჯ.) „ეს ქათმების სახლია =საქათმეა“. თანაც იქვე ზემოთ ხატია ერთი სახლი (ქათმებისა), ე. ი. ერთი საქათმე. ამ ცნობების მოწოდება საკურო ოქნებორად, უდიდურის მკვლევარებს (ა. შიფერს, ა. ღირს და ალბათ ამათზე დაყრდნობით — ელ. ფანჯიშეს) მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლებს შორის რომ არ დაესახელებინათ -ურ სუფიქსი.

ისე, რომ მრავლ. რიცხვის მაწარმოებელთა შორის ნამდვილად რთულ აფიქსად უნდა ჩაითვალოს: -ხოზ-ოზ-ოზ (-უზ-უზ?), -მ-უზ, -ყ-ოზ (ყო-ხ?), -ი-უზ||-იშ-უზ<sup>2</sup>.

ნიჭურ კილოში მრავლობითი რიცხვი იწარმოება იმავე აფიქსებით. რითაც — ვართაშნულში. ზოგი სხვაობა ამ აფიქსთა გამოყენებაში მკლავნდება. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ნიჭურში ზოგჯერ -უზ სუფიქსის ადვილს რქვრის -ხო, შდრ.. მაგალითად: ადამარ-უზ (ვართ.) — ამდარ-ხო (ნიჭ.) „ადა-მიანები“ (ადამარ, ამდარ „ადამიანი“); კოკოწ-უზ (ვართ.) — კოკოწ-ხო (ნიჭ.) „ქათმები“ (კოკოწ „ქათამი“); ყუშურ-უზ (ვართ.) — ყუშურ-ხო (ნიჭ.) „ჩიტები“, „ფრინველები“ (ყუშ „ჩიტი“, „ფრინველი“), აოლდამ-მ-უზ (ვართ.) — აოლდამ-ხო (ნიჭ.) „ამხანაგები“ (აოლდამ „ამხანაგი“)... მაგრამ ასეთ (-უზ და -ხო) ვარიანტთა დაპირისპირება სისტემებზე არ ხდება. -უზ და -ხო აფიქსის გამოყენება ამ კილოში ზოგჯერ ფაქულტატურია; აქ ერთნაირად ითქმის მაგალითად, ბინურ-უზ და ბინ-ხო „რძლები“, „პატარძლები“ (ბინ „რძალი“. „პატარძალი“)... სხვა შემთხვევაში გამოიყენება ერთი და იგივე სუფიქსი: მაგალითად, ვიჩი-მ-უზ (ძმები), ხუნჩი-მ-უზ (ღები) და მისთ. ორივე კილოში ერთნაირად გავრცელებული ფორმებია. აღსანიშნავია ისიც, რომ ვართაშნულ კილოში<sup>3</sup> დამოწმებული ზოგი ფონეტიკური ცვლილება (-უზ სუფიქსის ხ ელემენტის გამქრობა: -უზ—უღ—ღ) ნიჭურში, როგორც წესი, არ ხდება; შდრ.. მაგალ., ა დ ა მ ა რ ოზ — ა დ ა მ ა რ ოზ — \* ა დ ა მ ა რ ოზ ხ ე ნ (ვართ.) — ა მ დ ა რ ხ ოზ (ნიჭ.) „ადამიანებმა“<sup>4</sup>...

ცალკეა გამოსაყოფი -ხო აფიქსის წარმომავლობის საკითხი. იგი შესაძლოა მიღებული იყოს -უზ აფიქსისაგან მეტათეზისისა და უხმოენის ო-თი შეცვლის შედეგად. მაშასადამე, აქ შეიძლება გვექონდეს ერთი და იმავე აფიქსის ფონეტიკური ვარიანტები: უზ—ხუ—ხო, ანდა უზ—ოზ —ხო<sup>5</sup>. ასეთი პროცესი (მეტათეზისი, ხმოვანთა შენაცვლება...) საერთოდ დამახასიათებელია უდიურისათვის და მით უფრო — ამ ენის ნიჭური კილოსთვის.

შენიშვნა: სპეციალურ ლიტერატურაში -ხო აფიქსის შესახებ გამოთქმულია სხვა მოსაზრება — წამოყენებულია მორფოლოგიური თვალსაზრისი: -ხო მიჩნეულია რთულ აფიქსად და დაშლილია ასე: ხ-ო, რაც მიღებული უნდა იყოს მრავლობითი რიცხვის -უზ ნიშნისა და მიცე-

<sup>1</sup> ამ რთულ მაწარმოებელში მონაწილე -მ ელემენტი და ზემოთ დასახელებული -მ-ხოზ ფორმანტის -მ- ელემენტი სხვადასხვა წარმოშობისაა: პირველ შემთხვევაში -მ-, მართლაც, რიცხვისა უნდა იყოს — ამჟამად ფუნქციამოშლილი, გაქვეყნებული, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, — სულ სხვა დანიშნულების ელემენტი (იხ. ზემ.). პირველ შემთხვევაში მრავლობითობის ოდინდელ აფიქსად -მ- ელემენტის მიჩნევის დასამოწმებლად გამოდგება თვისებრივ ენათა (კერძოდ, წახურის, მუხადურის...) რეალები: ამ ენებში მ (+ხმ) ან ამის ფართი ბ (+ხმ.) მრავლობითობის გამოშხატველი ცოცხალი მაწარმოებელთაგანია. უდიურშიც ელემენტი შეიძლება ამგვარი აფიქსის დანალექი იყოს.

<sup>2</sup> -ი-უხ||ი-უზ ფორმანტის პირველი ნაწილი -ი||იშ (როგორც მრავლ. რიცხვის აფიქსის: ინგრედინტი) საჭიროებს შემდგომ ძიებას.

<sup>3</sup> მრავლობით რიცხვში დასმულ სახელთა ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფორმებში.

<sup>4</sup> ადამარუხ (ვართ.) — ამდარხო (ნიჭ.) „ადამიანები“...

<sup>5</sup> როგორც ჩანს, ეს პროცესი უდიურში (resp. ნიჭურ დიალექტში) არ დასრულებულა: შდრ. მრავლობითი რიცხვის ფორმისა ნიჭურში ვარიანტები: ვიჩი-უზ || ვიჩი-მ-უზ (ძმები), მუყამ-ოზ (რქები), აოლდამ-ხო (ამხანაგები)...



მთი ბრუნვის - ა სუფიქსის შერწყმის შედეგად; - ხო-ხ-ო-უხ-ო-უხ-ა. მაშასადამე, მრავლობით რიცხვში სახელობითი და მიცემითი ბრუნვები ფორმალურად (და ფუნქციურად) გათანაბრებულა ერთიმეორესთან და დასმულია საერთო ამ ორი ბრუნვის ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით (ვლ. ფანჩიძე). თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა გავიგოთ ნიჭურ კლოში მრ. რ. სუფიქსის სხვადასხვა (მარტივ უხ და ოხ) ვარიანტთა არსებობა?!

**მრავლობითი რიცხვის გამავალავალი (შუამოსტან შუარდლი)  
სუფიქსის საითხი**

უდიურს მოეპოვება სახელთა ისეთი ფუძეები, რომელთაც ბოლოკიდურ ელემენტად აქვს -უხ, ანდა -ოხ; ასეთებია, მაგალითად: ჩუ ბუ ხ (ნიჭ. ჩუ-უ-უ ხ) „დედაკაცი“, „ცოლი“, ბი ხ ა ქ უ ხ (ნიჭ. ბუ ხ ა ქ უ ხ) „ღმერთი“, ელ მუ ხ „სული“. ღირ უ ხ (ნიჭ. ღუ რ უ ხ || ქ უ რ უ ხ) „მარხვა“, კ ა ქ უ ხ „წვერი (თმა სახეზე)“, უ ლ უ ხ „კბილი“, ი მ.უ ხ „კური“, ა რ უ ხ „ცეცხლი“. ბუ რ უ ხ „მთა“, კ ო ნ ქ უ ხ „პატრონი“; გ ო რ ო ხ (ვართ.) — || გ ო რ უ ხ (ვართ., ნიჭ.) — ცოღვა“, ჩ ო მ ო ხ „კარები“, ბ ო ხ მ ო ხ ← ბ ო ხ მ ო ხ (← ბ ო ხ მ ო ხ?) „ცხვირი“. ე ო მ ო ხ (← ე ო მ ო ხ?) „პირი“, ჯ ო ლ ო ხ (← ჯ ო ლ ო ხ?) „ნიფხავი“, „მარვალი“...

ყველა ეს სახელი ამჟამად იზმარება როგორც მხოლოდობით რიცხვში დასმული მარტივი ფუძე, მაგრამ თითოეულ ამთავანში ბოლოკიდური -უხ ან -ოხ მარცვლი უნდა გამოიყოს როგორც სუფიქსი, რომელსაც უნდა ჰქონოდა ისეთივე მნიშვნელობა. როგორც, კერძოდ, მრავლობითი რიცხვის ზემოთ დასახელებულ ცოცხალ -უხ აფიქსს აქვს (შდრ., ა დ ა მ ა რ -უ ხ „ადამიანები“, ჩ უ რ -უ ხ „ფურები“, გ ა მ -ხ -ო ხ „ადგილები“ და მისთ.). სხვანაირად რომ ვთქვათ, ზესოთ ჩამოთვლილი სახელები, გვაქვს რა აქ ფუძესთან შეზრდილი (გაქვევებული) ფორმანტი მრავლობითი რიცხვისა, თავდაპირველი ვითარების მიხედვით წარმოქმნილი არაან როგორც ოდენ-მრავლობითის ფორმები (Pluralia tantum), რომლებიც გამოხატავდნენ ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ადრინდელ შეხედულებებსა თუ წარმოდგენებს, დაეკვირებულს ამა თუ იმ ბუნებრივ თუ საზოგადოებრივ მოვლენასთან. ამის კვალობაზე აღნიშნულ ფუძე-ფორმათა მორფოლოგიური და სემასიოლოგიური (ეტიმოლოგიური) ინტერპრეტაცია ასეთი ენება: ჩუ ბუ ხ „დედაკაცი“, „ცოლები“ (ჩეინტერპრეტაციის შედეგად — დედაკაცი, ცოლი)<sup>1</sup>; ბი ხ ა ქ -უ ხ „ღვთაებანი“, „ღმერთები“ (—ღვთაება, ღმერთი)<sup>2</sup>; ა რ -უ ხ „ცეცხლი“ (—ცეცხლი)<sup>3</sup>, ე ლ -მუ ხ „სულები“ (—სუ-

<sup>1</sup> გამოხატავს ალბათ მრავალ ცოლიანობასთან (პოლიგამიასთან) დაკავშირებულ ცნებას. ამგვარი ოჯახური ურთიერთობის დროს ცოლები ჰყავდათ და არა ცოლი. ანუ გამოხატავს ალბათ მატრიარქატის დროინდელ ვითარებას: მშართველ ძალას წარმოადგენდნენ ქალები. დედაკაციები (მით უფრო — გახოვლები, სოციალურად შედარებით უფრო მ:ლად საუფლებო მდგომნი). მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი უდიური ჩუ ბუ ხ ამითა ცნობიერი ანარქული უნდა იყოს.

<sup>2</sup> როგორც ჩანს, გამოხატავს პოლითეისტურ წარმოდგენებს — ძველთაძველ რელიგიურ შეხედულებებს მრავალღმერთიანობაზე: წარმართული ხანის ადამიანთა ცხოვრებისათვის ყოველსაშემდეგ ძალებს წარმოადგენენ ღმერთები (და არა ერთი ღმერთი).

<sup>3</sup> სახელი არ უხ, საფიქრებელია, ჭერ გამოხატავდა მანათობლებს (ყველაფერს ჩანს, რაც ანათებს: მზესა და მის სისტემაში შემავალ მანათობლებს), ხოლო შემდეგ — სემანტიკური გადაწყვეის შედეგად — „ცეცხლს“.

ლი)'; ასევე: ღირ-უხ „მარხვანი“ (←მარხვის დღეები→მარხვა); ბუ რ-  
 -უხ „მთები“ (←მთა); გორ-ოხ→გორ-უხ „ცოდვები“. „ცოდვანი“ (←ცოდ-  
 ვა), ბოახ-მ-ოხ←ბოახ-მ-უხ „ნესტოები“→„ცხვირი“: იმ-უხ „ყურები“ (←ორი  
 ყური ერთად (←„ყური“); ულ-უხ „კბილები“ (კბილები გვაქვს და არა  
 ერთი კბილი (→„კბილი“); უომ-ოხ←უომ-უხ „ბაგენი“, „ტუჩები“→„პირი“:  
 ეაჯ-უხ „თმები (ერთად შეზრდილი, ჩამოშვებული სახეზე“ (←„წვერი“);  
 ჩომ-ოხ←ჩომ-უხ „კარი“, „კარები“; ჯოაღ-ოხ←ჯოაღ-უხ „ნიფხა-  
 ვი“. „შარვალი“ (შდრ., რუს. ШАРКИ), კონჯ-უხ „პატრონები“ (←პატრო-  
 ნი)? -უხ (←ოხ) ელემენტურზრდილი ეს სახელები თავის მხარე გვარწმუნებენ.  
 რომ მრავლობითი რიცხვის ზემოთ დასახელებულ მრავალრიცხოვან მწარმოე-  
 ბელს შორის ყველაზე ძირითადი და ძველია -უხ სუფიქსი.

### სახელთა ბრუნება

უდიურში იბრუნვის არსებითი სახელი, მხოლოდობით და მრავლობით რიცხ-  
 ვში დასმული პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელი, კითხვითი ნაცვალსახე-  
 ლი „ვინ“, უკუქცევითი ნაცვალსახელი „თვითონ“ და მსდარი. როგორც ზემო-  
 თაჲ აღინიშნა, არ იბრუნვის მსაზღვრელი (ატრიბუტიული) სახელი: თვისება-  
 გვარობის გამომხატველი ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, მითითებითი  
 და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, კითხვითი ნაცვალსახელი „რა“, თუ ასეთი  
 სიტყვა არ არის გასუბსტანტივებული — არ არის გათანაბრებული არსებით სა-  
 ხელთან.

მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვში ძირითადად ბრუნებათა ერთნაირი  
 ნიშნები გამოიყენება. ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნება შემთხვევათა უმე-  
 ტესობაში ფონეტიკური ცვლილებების ნიადაგზეა წარმოქმნილი.

<sup>1</sup> ესეც გარკვეული რელიგიური წარმოდგენების ენობრივი ანარეკლი უნდა იყოს: ადამიანის  
 ცნობიერებაში არსებობდნენ სულეები (ბოროტი, კეთილი...) და არა ერთი სული.

<sup>2</sup> აქ დასახელებულ სახელთა უმეტესი ნაწილის მრავლობით რიცხვში დასმის შესაძლებლო-  
 ბეა ქართული თარგმანებიდანაჲ და იქვე მოცემული ზოგი ინტერპრეტაციიდანაჲ კარგად ჩანს, —  
 ამიტომაც აღარ შეუვლდებოთ იმის ვრცელ განმარტებას, რომ აღსანიშნი ფაქტები თუ მოვლენები,  
 რასაც ეს სიტყვები გამოხატავენ, თავად ვეიჩვენებენ ამ სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორ-  
 მით გადმოციემის ბუნებრიობას. დამატებით განმარტებას საჭიროებს მხოლოდ ღირ-უხ (მარ-  
 ხვა), კონჯ-უხ (პატრონი) და გორ-ოხ→გორ-უხ (ცოდვა) სახელები. თითქოს ამათ არ  
 შეეფერებათ, მრავლობითის ფორმით გადმოციემის ცნება, რასაც ესენი გამოხატავენ. („მარ-  
 ხვა“, „პატრონი“, „ცოდვა“). მაგრამ „მარხვის“ აღმნიშვნელი ღირ-უხ ფუძე-ფორმის უდი-  
 ურისაჲ „ღღის“ აღმნიშვნელ ღი ფუძესთან და ამ ფუძის მრავლობითი რიცხვის ღირ-  
 -ოხ|ღი-მ-ოხ ფორმასთან შედარება გვარწმუნებს, რომ ღირ-უხ სიტყვა უნდა დაიშა-  
 ლოს ასე: ღირ-უხ და დაუკავშირდეს „ღღის“ (დღეების) ცხებას, — ე. ი. დღე-  
 ები, როდესაც გარკვეული რელიგიური წესები (პირის შენახვა) სრულდებოდა. მრავლობითში  
 დასმული „ცოდვის“ აღმნიშვნელი გორ-ოხ→გორ-უხ სიტყვა ალბათ იმის მიმნიშვნელია,  
 რომ ცოდვა მრავალია და, მაშასადამე, ცოდვიანისთვის დამახასიათებელია ერთიმეორეს-  
 თან დაკავშირებულ ცოდვათა მთელი ჯაჭვი და არა ერთი ცოდვა. რაც შეეხება „პატრონის“  
 აღმნიშვნელ კონჯ-უხ სიტყვას, რომელშიც შერდილი უნდა იყოს აგრეთვე მრავლობითობას  
 -უხ სუფიქსი, — ესეც, საფიქრებელია, უკავშირდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა თუ ეი-  
 სიზე ან რისამე მფლობელობის, პატრონობის შესახებ არსებულ ძველთაჲველ წესებს, — კო-  
 ლექტიურიობის, ჯგუფურიობის პრინციპსა თუ ცნებას. შესაძლოა, აქ, ამ სიტყვის  
 ფორმაში, გვექონდეს თემური წყობილების დროინდელ სოციალურ მოვლენათა რაღაც ენო-  
 ბრივი ანარეკლი.

საწარმოებელ ფუძეთა ხასიათის მიხედვით ბრუნვები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაეყოთ: 1) წმინდაფუძიანებად — ისეთებად, ა) რომელთა ბრუნვის ფორმას თავად წმინდა ფუძე წარმოადგენს, სახელობრ: წრფელობითი resp. სახელობითი ბრუნვა ყველა არსებითი სახელისა, სახელობითი და ერგატიული ბრუნვა ორივე რიცხვის I და II პირის ნაცვალსახელებსა ანდა ბ) ისეთ ბრუნვებად, რომელთა მაწარმოებელი „წმინდა“ (მარტივ) ფუძეს დაერთვის; 2) ნაწარმოებფუძიანებად — ე. ი. ბრუნვათა ისეთ ფორმებად, რომელთა საწარმოებლად გამოყენებულია ამა თუ იმ მორფემით გართულებული ფუძეები. ამგვარად წარმოებული ფორმები თავის მხრივ ქმნიან ბრუნების ორ ტიპს: ა) ბრუნვათა ფორმები, რომელთათვისაც საყრდენად გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ფუძე და ბ) ანალიტიკური (აღწერითი) ხასიათის ბრუნვები. ასეთ შემთხვევაში საბრუნებელ ფუძეს დაერთვის პოსტ-დეტერმინანტი. ეს პოსტპოზიციური ელემენტი წარმოშობით უკავშირდება მესამე პირის ბრუნვაცვალებად ნაცვალსახელს, რომლის საწარმოებელ ფუძეზე დართვით გვეძლევა ბრუნების თავისებური (აღწერით-ანალიტიკური) ტიპი. უდიდური ბრუნვები იყოფა ორ ჯგუფად — ძირითად და თანდებულნიან ბრუნვებად.

#### ძირითადი ბრუნვები და მათი მაწარმოებლები

ძირითადი ბრუნვებია: სახელობითი (წრფელობითი), ერგატიული (მოთხრობითი), ნათესაობითი, მიცემითი.

ამ ბრუნვათა მაწარმოებლებია:

1) სახელობითისა — წული (უნიშნობა), — ე. ი. წარმოდგენილია წმინდა ფუძით, ინდიფერენტულად; იგი ფაქტიურად ქართული ენის წრფელობითის ფარდი ბრუნვაა და არა სახელობითისა;

2) ერგატიული (მოთხრობითი) ბრუნვისა: -ენ, -ინ, -ნ სუფიქსები. აქედან: -ენ სუფიქსი, როგორც წესი, იხმარება ერთ და ერთზე მეტმარცვლიან არსებით სახელებში — როგორც ადამიანის (პიროვნების); ისე ნივთის (არაადამიანთა, არაპიროვნების) კლასის გამომხატველ სახელთა ფუძეებთან. -ინ სუფიქსი დაერთვის ზოგი ერთმარცვლიანი არსებითი სახელის ფუძეს: გამოიყენება ზოგი ნაცვალსახელისა და ყველა გასუბტანტივებული ატრიბუტიული სახელის ერგატივის მაწარმოებლად. -ნ სუფიქსი ერგატივს გამოხატავს აა||-ს ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ზოგ ფუძესთან (იხ. ბრუნვათა პარადიგმები — 1, 2, 3, 6, 8, 9, 10, 12, 13, 15; 7, 11, 17);

3) სათესაობითი ბრუნვა სუფიქსთა ნაირსახეობით ხასიათდება: -ი, -აჲ-აი, -ინ, -უნ. აქედან:

ა) -ი სუფიქსი დაერთვის თანხმოვნით დაბოლოებულ ზოგ ერთ და ერთზე მეტმარცვლიან არსებით სახელთა ფუძეებს, ზოგი ხმოვნით დაბოლოებულ ერთზე მეტმარცვლიან არსებით სახელთა ფუძეს (რომლებთანაც ი-ა ხშირად იკვეცება, რის შედეგადაც ამ ბრუნვის ფორმა გარეგნულად ემთხვევა სახელობითს (იხ. პარადიგმა — 4ა); გამოიყენება აგრეთვე ზოგ ნაცვალსახელში; ბ) -აჲ||-ი სუფიქსი ნათესაობით ბრუნვას აწარმოებს „ჩანართიანი“ ფუძის მქონე ერთმარცვლიან არსებით სახელთა უმრავლესობაში; გამონაკლისის სახით გვხვდება

ზოგ ერთმარცვლიან „უჩანართო“ ფუძეებთანაც; გამოიყენება აგრეთვე მრავლობით რიცხვში დასმულ ყველა სახელში, ოღონდ ფონეტიკური ცვლილებები: [უხ]-აჲ—[ულ]-ოჲ (სხვა სუფიქსები ამ ბრუნვის საწარმოებლად მრავლობითში არ იხმარება); გ -ის გვხვდება თანხმოვანზე დაბოლოებული ზოგი ერთმარცვლიანი არსებითი სახელის ფუძესთან; თითო-ოროლა შემთხვევის გარდა, ა, აჲ, ა ხმოვნებზე დაბოლოებულ ერთზე მეტმარცვლიან არსებით სახელებში; დ) -უჲ იხმარება თანხმოვნით დაბოლოებულ ერთზე მეტმარცვლიან არსებით სახელებში, აგრეთვე მასდარის ბრუნების დროს (იხ. პარადიგმები — § 1, 4, 5, 6, 7, 12, 2, 3, 9, 10; 14, 15, 17, 8, 11, 13).

4) მიცემითი ბრუნვის საწარმოებლად გამოიყენება -ხ სუფიქსი, რომელიც გართულებულია რომელიმე ხმოვნით, სახელდობრ, ასე: -ახ, -ეხ, იხ-, უხ (მხოლოდობით რიცხვში (და -ოხ მრავლობით რიცხვში<sup>1</sup>)). -ხ ელემენტი ხშირად სუსტდება და იკვეცება. ისე რომ ამ ბრუნვის საწარმოებლად ოდენ -ა, ე-, ი-, -უ (მრავლობითში—ო) ხმოვანი ელემენტებიც გამოიყენება. -ახ, -ეხ; -იხ, -უხ (—ოხ) და -ა, -ე, -უ (—ო) სუფიქსთა გამოყენება მიცემითი ბრუნვის საწარმოებლად თითქმის ფაქულტატურია (პარალელური)<sup>2</sup>.

მიცემითი ბრუნვის დასახელებულ მაწარმოებლებს შორის -ახ||-ა სუფიქსი ძირითადი ვარიანტი ჩანს, ამასთან იგი ყველაზე უფრო გავრცელებულია ამ ენაში.

-ახ||-ა, როგორც წესი, გამოიყენება, ერთზე მეტ მარცვლიან არსებით სახელებში, I და II პირის (ორივე რიცხვის) ნაცვალსახელში (იხ. ბრუნვათა პარადიგმები: 1, 2, 4, 7, 8, 9, 14...).

-ეხ||-ე იხმარება ზოგ ერთ- და ერთზე მეტ მარცვლიან არსებით სახელში (იგულისხმება როგორც ხმოვანზე, ისე თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები. იხ. ბრუნვათა პარადიგმები: 3, 6).

-იხ||-ი გვხვდება თანხმოვანზე დაბოლოებულ ერთ ან ორმარცვლიან სახელებში (ამასთან აქვს ლოკატივის ფუნქციაც. მაგ.: ფაქ-იხ „ბაღს“, „ბაღში“? ქალაქ-იხ „ტყეში“...).

-უხ||-უ მიცემითის სუფიქსია ა) „ჩანართის“ მქონე ერთმარცვლიან არსებით სახელებში და ბ) ყველა გასუბსტანტივებულ — ნაცვალსახელური წარმოშობის პოსტ-დეტერმინანტიან მსაზღვრელ სახელებში (იხ. ბრუნვათა პარადიგმები: 12, 17...).

-ოხ||-ო, როგორც ითქვას, დამოუკიდებელი მაწარმოებელი არ არის, და მიღებულია ზემოთ დასახელებული რომელიმე ვარიანტისაგან, უპირატესად -ახ||-ა სუფიქსისაგან (იხ. ბრუნვათა პარადიგმები: 1—17).

შენიშვნა: ახსნას საჭიროებს მიცემითი ბრუნვის ფორმანტში სხვადასხვა ხმოვნის არსებობა. აქ კითხვა შეიძლება ამგვარად დაისვას: წარმოადგენენ თუ არა ეს ხმოვნები ერთი რომელიმე ძირითადი ვარიანტის (ეთქვას, ა ხმოვნის) ფონეტიკურ სახესხვაობას? ანდა: ხომ არა

<sup>1</sup> -ოხ||-ო ვარიანტი მიღებულია -ახ||-ა ან -ეხ||-ე, ანდა -იხ||-ი სუფიქსებისაგან მრავლობითი რიცხვის -უხ სუფიქსის უ ხმოვნის გველნით — ნაწილობრივი ასიმილაციის გზით: -[უხ]-აჲ—[უხ]-ოხ...

<sup>2</sup> უღიური ენის მკვლევრები ამ ელემენტებს (ერთი მხრით, -ახ, -ეხ, -იხ, -უხ, -ოხ და მეორე მხრით, -ა, ე-, ი-, -უ, -ო ელემენტებს) სხვადასხვა სიბრტეზე განიხილავენ და განსხვავებულ მორფოლოგიურ ოდენობებზე მიიჩნევენ (იხ. ქვე).

გვაქვს აქ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი. სხვადასხვა წარმოშობის, აფიქსები? ზოგ შემთხვევაში ეს საკითხი მართლად წყდება. — მაგალითად, ვ ი ჩ ი (ძმა), ხუნჩი (და) და მისთ. სახელები რომ ავიღოთ, აქ მიცემითის სუფიქსად გამოყენებულია -ეხ, -ე მაწარმოებელი და აშკარაა, რომ იგი მიღებულია -ახ, -ა-საგან საბრუნებელი სახელის -ი ბოლოხმოვნის გავლენით (ნაწილობრივი ასიმილაციით), ან ა და ი ხმოვანთა შერწყმის (დილაცია-დიფთონგიზაციის) გზით: ვიჩ-ეხ-ვიჩი-ეხ-ვიჩი-ახ „ძმას“. მაკრამ ძნელდება -უხ||-უ ვარიანტის ახსნა. ეს, რასაკვირველია, ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის საქმეა და ამ სახელმძღვანელოს ფარგლებში ვერ შემოვა.

**თანდებულიანი ბრუნვები და მათი მაწარმოებლები**

უდიურში თანდებულიანი, ანუ ე. წ. ლოკატიური ბრუნვები ექვსია, სახელობრ:

აბლატივ-ინსტრუმენტალისი („გან“-ბრუნვა) —	მაწარმ. —	აჩს-ო
კომიტატივი („თან“ I-ბრუნვა) —	მაწარმ. —	აჩს-ოლ-ან    → აჩს-ოლ
ინესივ-ადესივი („თან“ II-ბრუნვა) —	„	აჩს-ტა
ალატივი („კენ“ -ბრუნვა) —	„	აჩს-ჭ
სუპერესივი („ზე“ -ბრუნვა) —	„	აჩს-ლ
კაუზატივი („თვის“ -ბრუნვა) —	„	აჩს-კენა    → ენ-კ

დასახელებულ ბრუნვათაგან პირველი ხუთისათვის საყრდენია მიცემით ბრუნვაში დასმული, ხოლო უკანასკნელი (მეექვსე) ბრუნვისთვის ერგატიულ(!) ბრუნვაში დასმული ფუძე. ამ ბრუნვათა ყველა მაწარმოებელი ისტორიულად (გენეტურად) თანდებულის resp. ლოკატიური (ადვერბიალური) მნიშვნელობის ელემენტებს წარმოადგენს, ამჟამად შერწყმულია საბრუნებელ ფუძესთან და ცალკე არც თანდებულისა და არც სხვა რამ დამოუკიდებელი (ადვერბიალური) სიტყვის მნიშვნელობით არ იხმარება.

ფრჩხილებში ნაჩვენებია საყრდენი ბრუნვის (მიცემითისა და „ერგატივის“) სუფიქსები: -[ახ]-, -[ახ]-, -[ა]; -[ენ]. გარკვეულ შემთხვევაში ა ხმოვანს შესაძლოა შეენაცვლოს სხვა ხმოვანი და, მაშასადამე, ამ საყრდენი ბრუნვის მაწარმოებელი წარმოგვიდგეს შემდეგნაირად: -ეხ- ეხ-, ე-, ენ- იხ-, იხ-, -ი-, ენ-; -უხ-, უხ-, უ; ენ — იმის მიხედვით, თუ სახელის რომელ საბრუნებელ ფუძესთან გვაქვს საქმე (იხ. ზემ. ძირითადი ბრუნვები: მიცემითი ბრუნვის წარმოება); მაგალითად:

	აღამარ „აღამიანი“	კაფიან „მინდორი“
აბლ.	აღამარ-ახ-ო	კაფიან-ეხ-ო
კომიტ.	აღამარ-ახ-ოლ(ან)	კაფიან-ეხ-ოლ (ან)
ადეს.	აღამარ-ახ-ტა	კაფიან-ეხ-ტა
ალატ.	აღამარ-ა-ჭ	კაფიან-ე-ჭ
სუპერ.	აღამარ-ა-ლ	კაფიან-ე-ლ
კაუზატ.	აღამარ-ენ-კ[ენა]	კაფიან-ენ-კ[ენა]

	ქაბ — „ვაზი“	ფაქ „ბალი“
აბლ.	ქაბ-ნ-უხ-ო	ფაქ-იხ-ო  ფაქ-ნ-უხ-ო
კომიტ.	ქაბ-ნ-უხ-ოლ[ან]	ფაქ-იხ-ოლ (ან)  ფაქ-ნ-უხ-ოლ
ადეს.	ქაბ-ნ-უხ-ტა	ფაქ-იხ-ტა  ფაქ-ნ-უხ-ტა
ალატ.	ქაბ-ნ-უ-ჭ	ფაქ-ი-ჭ  ფაქ-ნ-უ-ჭ
სუპერ.	ქაბ-ნ-უ-ლ	ფაქ-ი-ლ  ფაქ-ნ-უ-ლ
კაუზატ.	ქაბ-ენ-კ[ენა]	ფაქ-ენ-კ(ენა) <sup>1</sup>

### სახელთა ბრუნება მრავლობით რიცხვში

როგორც ზემოთ ითქვა, მრავლობით რიცხვში დასმულ სახელთა საბრუნებლად გამოიყენება იგივე ნიშნები, რაც — მხოლოდობით რიცხვში; სახელდობრ: სახელობითი უნიშნოა (აქაც უდრის წრფელობითს), ერგატიულ ბრუნვას აწარმოებს -ონ-ენ (-ინ?), ნათესაობითს — -ოი-აჲ-აი- (-ეჲ-ეი?), მიცე-შითს — -ოხ-ახ (-ენ?, ინ?) სუფიქსი.

მრავლობით რიცხვში უდიურ სახელთა ბრუნების მექანიზმი ისეთივეა, როგორც მრავლობითის ებ სუფიქსიანი სახელებისა ქართულში: საწარმოებელი ფუძე + მრავლ. რიცხვის მაწარმოებელი + ბრუნვის ნიშანი.

მრავლობითში დასმულ სახელთა ბრუნების დროს ხდება ზოგი ფონეტიკური ცვლილება, სახელდობრ: 1) მრ. რიცხვის -უხ (-მუხ, -რუხ...) სუფიქსის თანხმობანი ელემენტი (ხ სპირანტი) მელერდება ხმოვნებს შორის: -უხ—ულ; 2) ან (უხ—ულ) აფიქსის ხმოვანი (უ) ნაწილობრივ იმსგავსებს ბრუნვის ნიშნის ხმოვანს; სახელდობრ, ასე: ერგატ.: -უხ-ენ—ელ-ენ—ულ-ონ; ნათეს.: -უხ-აჲ—ულ-აჲ—ულ-ოჲ; მიცემ.: უხ-ახ—ულ-ახ—ულ-ოხ... 3) მრავლობითის -უხ (—ულ) აფიქსის უ ხმოვანი, როგორც წესი, სუსტდება და იკარგება: -უხ-ენ—ულ-ენ—ულ-ონ—ლ-ონ; უხ-აჲ—ულ-აჲ—ულ-ოჲ—ლ-ოჲ; უხ-ახ—ულ-ახ—ულ-ოხ—ლ-ოხ; 4) ნათესაობით და მიცემით ბრუნვათა ნიშნები იკვეცება, რის გამოც ეს ბრუნვები გარეგნულად ემსგავსებიან ერთმანეთს, მათი გარჩევა კონტექსტით ხერხდება: შდრ., მაგალ.: ა დ ა მ ა რ ლ ო — ა დ ა მ ა რ ლ ო ა (აღამიანებისა) და ა დ ა მ ა რ ლ ო — ა დ ა მ ა რ ლ ო ხ (აღამიანებს)...

### სახელთა ბრუნების პარადიგმები <sup>2</sup>

#### 1. არსებით. სახელთა

§ 1 ა) აღმარ „აღამიანი“	მრ. აღმარ-უხ
	ძირითადი ბრუნვები
ერგ. აღმარ-ენ	აღმარლონ ← აღმარ-ულ-ონ ← * აღმარ-უხ-ენ
ნათეს. აღმარ-ი	აღმარლო [ღ] ← აღმარ-ულ-ოჲ ← *აღმარ-უხ-აი
მიცემ. აღმარ-ა[ხ]	აღმარლო [ხ] ← აღმარ-ულ-ოხ ← *აღმარ-უხ-ახ
	თანდებულებითი ბრუნვები
აბლ. აღმარ-ახ-ო	აღმარლოხო ← აღმარ-ულ-ოხო ← *აღმარ-უხ-ახ-ო
კომიტ. აღმარ-ახ-ოლ [ან]	აღმარლოხოხოლ[ან] ← აღმარ-ულ-ოხოლ [ან] ← * აღმარ-უხ-ო-ლ-ან

<sup>1</sup> ნიმუშები დასახელებულია ვართაშნული დიალექტის მონაცემების მიხედვით.  
<sup>2</sup> პარადიგმები შედგენილია ვართაშნული დიალექტის მონაცემებზე დაყრდნობით.

ადეს. ადამარ-ას-ტა

ადამარლოსტა ← ადამარულ-ოსტა ← \*ადამარ-უბ-ას-ტა

ალატ. ადამარ-ა-ჰ  
სუპერ. ადამარ-ა-ლ  
კაუზატ. ადამარ-ენ-კ'ენა'

ადამარლოჰ ← ადამარ-ულ-ო-ჰ ← \*ადამარ-უბ-ა-ჰ  
ადამარლოლ ← ადამარ-ულ-ო-ლ ← \*ადამარ-უბ-ა-ლ  
ადამარლონკ'ენა' ← ადამარ-ულ-ონ-კ'ენა' ← \*ადამარ-უბ-ენ-კ'ენა'

ეგრევე იბრუნვის: ხინარ (გოგო, ქალიშვილი), თამარ, ომარ, თამაზ, ნოდარ (საკუთ. სახ.)...

ბ) ლარ „ვაჟი“, „ბიჭი“

მრ. ლარ-მ-უბ

ძირით:

ერგ. ლარ-ენ  
ნათ. ლარ-ი  
მიც. ლარ-ან'

ლარ-მ-ულ-ონ → ლარ-მ-ოლ-ონ  
ლარ-მ-ულ-ო'ან' → ლარ-მ-ოლ-ო'ან'  
ლარ-მ-ულ-ო'ან' → ლარ-მ-ოლ-ო'ან'

თანდებ:

აბლ. ლარ-ან-ო  
კომიტ. ლარ-ან-ოლ 'ან'  
ადეს. ლარ-ას-ტა  
ალატ. ლარ-ა-ჰ  
სუპერ. ლარ-ა-ლ  
კაუზ. ლარ-ენ-კ'ენა'

ლარ-მ-ულ-ან-ო → ლარ-მ-ოლ-ან-ო  
ლარ-მ-ულ-ან-ოლ 'ან' → ლარ-მ-ოლ-ან-ოლ-ან'  
ლარ-მ-ულ-ას-ტა → ლარ-მ-ოლ-ას-ტა  
ლარ-მ-ულ-ო-ჰ → ლარ-მ-ოლ-ო-ჰ  
ლარ-მ-ულ-ო-ლ → ლარ-მ-ოლ-ო-ლ  
ლარ-მ-ულ-ონ-კ'ენა' → ლარ-მ-ოლ-ონ-კ'ენა'

§ 2. გურატ „პერანგი“ — მრ. გურატ-უბ ბინიკ „თოჯინა“ — მრ. ბინიკ-უბ

ძირით:

ერგ. გურატ-ენ  
ნათ. გურატ-უნ  
მიც. გურატ-ან'

გურატ-ლ-ო'ან'  
გურატ-ლ-ო'ან'  
გურატ-ლ-ო'ან'

ბინიკ-ენ  
ბინიკ-უნ  
ბინიკ-ან'

-ბინიკ-ლ-ონ  
ბინიკ-ლ-ო'ან'  
ბინიკ-ლ-ო'ან'

თანდებ:

აბლ. გურატ-ან-ო  
კომიტ. გურატ-ან-ოლ (ან)  
ადეს. გურატ-ას-ტა  
ალატ. გურატ-ა-ჰ  
სუპერ. გურატ-ა-ლ  
კაუზატ. გურატ-ენ-კ'ენა'

გურატ-ლ-ან-ო ბინიკ-ან-ო ბინიკლანო  
გურატ-ლ-ან-ოლ'ან' ბინიკ-ან-ოლ'ან' ბინიკლანოლ'ან'  
გურატ-ლ-ას-ტა ბინიკ-ას-ტა ბინიკლანტა  
გურატ-ლ-ო-ჰ ბინიკ-ა-ჰ ბინიკლოჰ  
გურატ-ლ-ო-ლ ბინიკ-ა-ლ ბინიკლოლ  
გურატ-ენ-კ'ენა' ბინიკ-ენ-კ'ენა' ბინიკლონ-კ'ენა'

ასევე იბრუნვის: თავარ (ყული), ტამარ (ძარღვი)...; ნაყელ (მაწონი), გუგელ (ჭოტი)...; თათიკ, ჰპიკი (თათი), ფიშიკ (ფისო, კატა), ფოთიკ (თელი, გოჭი), წიწიკ (ძუძუ), ლაჭიკ (თიხის ჰურჭელი რძის საწველად), ბიბიკ (ბიბილო)...; ტაბაკ (ტაბაკი), გურდაკ (კუჭი), ტუმბაკ (დუმა), ტოპრაკ (ტოპრაკი), ჭურდაკ (ყოყრა), დახტაკ (ფიცარი)..; შირანგ (კოკა); ფაფაღა (პეპელა), დალაღა (დალაქი)..; ქალაღ (კომბოსტო)..; ლევეტ (ქვაბი); კოკოწ (ქათამი), გერეწ (დუვი), მომოწ (წინტლი), მეღეღოწ (ტყეა); გერგეც (სალოცავი ადგილი); ჰაპლულ (ვენახი), ცა(ლულ (ეკალნარი), ნანალულ (დედობა, დედინაცვალი), ვიჩილულ (მშობა; გერი მშა)...; ჰაბუნ (ვარსკვლავი), გაჰკუნ (კევი), ბიტუნ (ნათესი), ვაბუნ (საყვრავი), აშამფუნ (ნალოკი, ნამუსრევი), ჰემფუნ (აჭრილი რძე...), ბოკუნ (ნამწვი), ეზბუნ (ხნული), ბუჰუნ (მუცელი)...; ნედულალ (მაწვნის დედა), დადალ (მაშა-

ლი), კერწალ (კაქკაქი), ცაცხედაილ (ზღარბი), ხეყუქკალ (ქარაყლაპია); ჭიჭი-  
კან (წიწყანა), ტომიან (ყურდღელი)...; არუმ (ხორბალი)...; კაქუქ (ჩხი-  
რი), ჭუჭუქ (კავი — თმა, კულულები)...

§ 3. ა) კაფან „მინდორი“ — მრ. კაფან-უხ ბ) შაზ „სოფელი“ — მრ. შაზ-რ-უხ

ძ ი რ ი თ.:

ერგ. კაფან-ენ	კაფანლონ	შაზ-ენ	შაზ-რ-ლონ
ნათ. კაფან-უნ	კაფანლო <sup>1</sup>	შაზ-უნ	შაზრულო <sup>1</sup>
მიც. კაფან-ენ <sup>1</sup>	კაფანლო <sup>1</sup>	შაზ-ინ <sup>1</sup>	შაზრულო <sup>1</sup>

თ ა ნ დ ე ბ.:

აბლ. კაფანენხო	კაფანლოხო	შაზიხო	შაზროხო
კომიტ. კაფანენხოლან <sup>1</sup>	კაფანლოხოლან <sup>1</sup>	შაზიხოლან <sup>1</sup>	შაზროლოხოლან <sup>1</sup>
ადეს. კაფანენსტა	კაფანლოსტა	შაზისტა	შაზროლოსტა
ალატ. კაფანენქ	კაფანლოქ	შაზიქ	შაზროლოქ
სუპერ. კაფანენლ	კაფანლოლ	შაზილ	შაზროლოლ
კაუზატ. კაფანენქენა <sup>1</sup>	კაფანლონქენა <sup>1</sup>	შაზენქენა <sup>1</sup>	შაზროლონქენა <sup>1</sup>

§ 4. ა) ნანა „დედა“ — მრ. ნანა-უხ ბ) სევერ „მაზლი“ — მრ. სევერ-უხ

ძ ი რ ი თ.:

ერგ. ნანა-ნ	ნანალონ	სევერ-ნ	სეველონ
ნათ. ნანა <sup>1</sup>	ნანალო <sup>1</sup>	სევერ <sup>1</sup>	სეველო <sup>1</sup>
მიც. ნანა <sup>1</sup>	ნანალო <sup>1</sup>	სევერ <sup>1</sup>	სეველო <sup>1</sup>

თ ა ნ დ ე ბ.:

აბლ. ნანახო	ნანალოხო	სევერხო	სეველოხო
კომიტ. ნანახოლან <sup>1</sup>	ნანალოხოლან <sup>1</sup>	სევერხოლან <sup>1</sup>	სეველოხოლან <sup>1</sup>
ადეს. ნანასტა	ნანალოსტა	სევერსტა	სეველოსტა
ალატ. ნანაქ	ნანალოქ	სევერ-ქ	სეველოქ
სუპერ. ნანალ	ნანალოლ	სევერლ	სეველოლ
კაუზატ. ნანენქენა <sup>1</sup>	ნანალონქენა <sup>1</sup>	სევერენქენა <sup>1</sup>	სეველონქენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის:

ა) ბაბა (მაბა), ხალა (დეიდა), დადა (მამიდა); ...

ბ) სეგენ (დედამთილი), სეგელე (მამამთილი) ...

§ 5. ვიჩი „ძმა“ მრ. ვიჩიმუხ

ძ ი რ ი თ.:

ერგ. ვიჩენ	← ვიჩი-ენ	ვიჩიმლონ
ნათ. ვიჩენ <sup>1</sup>	← ვიჩი-ენი ← ვიჩი-აი	ვიჩიმლო <sup>1</sup>
მიც. ვიჩენ <sup>1</sup>	← ვიჩი-ენ <sup>1</sup> ← ვიჩი-ა <sup>1</sup>	ვიჩიმლო <sup>1</sup>

<sup>1</sup> სახელთა ბრუნების ამ პარადიგმაში და ქვემოთ წარმოდგენილ ყველა პარადიგმაში მხ.ი-  
ლოობით რიცხვში დასმულ სახელთა თანდებულოანი ბრუნებებისა და მრავლობით რიცხვში  
დასმულ სახელთა ძირითადი და თანდებულოანი ბრუნებების ფორმებისა შორეული მორფემათა  
დაუშვლად და რეკონსტრუქციის გარეშე. აქაც მორფემათა განაწილების წესი (და ფონეტიკ-  
ური ცვლილებები) ისეთივეა, როგორც — წინა პარადიგმაში ნაჩვენებ სახელთა ფორმებში.



თან დებ.:

აბლ. ვიჩეხო ← ვიჩი-ეხო ← ვიჩი-ახო	ვიჩიმლოხო
კომიტ. ვიჩეხოლან <sup>1</sup>	ვიჩიმლოხოლან <sup>1</sup>
ადეს. ვიჩესტა	ვიჩიმლოსტა
ალატ. ვიჩეჟ	ვიჩიმლოჟ
სუპერ. ვიჩელ	ვიჩიმლოლ
კაუზატ. ვიჩენკენა <sup>1</sup>	ვიჩიმლონკენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის ხ უნ ჩი (და).

§ 6. ა) ჩო „სახე“ — მრ. ჩოორხოხ ბ) ო „ბალახი“ — მრ. ორხოხ

ძირით.:

ერგ. ჩო-ენ	ჩოორხოხ	ო-ენ	ორხოხ
ნათეს. ჩოე <sup>1</sup>	ჩოორხო <sup>1</sup>	ო-ე <sup>1</sup>	ორხო <sup>1</sup>
მიც. ჩოენ <sup>1</sup>	ჩოორხო <sup>1</sup>	ო-ენ <sup>1</sup>    ო-ა <sup>1</sup>	ორხო <sup>1</sup>

თან დებ.:

აბლ. ჩოეხო	ჩოორხოხო	ოეხო    ოახო	ორხოხო
კომიტ. ჩოეხოლან <sup>1</sup>	ჩოორხოხოლან <sup>1</sup>	ოეხოლან <sup>1</sup>    ოიხოლან	ორხოხოლან <sup>1</sup>
ადეს. ჩოეხტა	ჩოორხოხტა	ოესტა    ოასტა	ორხოხტა
ალატ. ჩოეჟ	ჩოორხოჟ	ოეჟ    ოაჟ	ორხოჟ
სუპერ. ჩოელ	ჩოორხოლ	ოელ    ოალ	ორხოლ
კაუზატ. ჩოენკენა <sup>1</sup>	ჩოორხოენკენა <sup>1</sup>	ოენკენა <sup>1</sup>	ორხოენკენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის: ჳა (მატყლის საბელი), ხა (მატყლი); ხო (რთვილი); მუ (ქერი), ჩაუ (პალო), ფუ (ამონასუნთქი, ამონაბერი); კაა (ჭირხლი); მაა (ტვინი); ხაა (კური)...

§ 7. ხა „ძალი“ — მრ. ხაარხოხ

ძირით.:

ერგ. ხეაენ ← ხა-ინ	ხაარხოხ
ნათ. ხეა ← ხა-ი	ხაარხო <sup>1</sup>
მიც. ხა ← ხაახ ← ხა-ახ	ხაარხო <sup>1</sup>

თან დებ.:

აბლ. ხაახო ← ხაახო ← ხა-ახ-ო	ხაარხოხო
კომიტ. ხაახოლან <sup>1</sup> ← ხაახოლან <sup>1</sup>	ხაარხოხოლან <sup>1</sup>
ადეს. ხაახოსტა ← ხაახოსტა	ხაარხოხოხტა
ალატ. ხააჟ ← ხააჟ ← ხა-ა-ჟ	ხაარხოჟ
სუპერ. ხააღ ← ხააღ ← ხა-ა-ღ	ხაარხოლ
კაუზატ. ხეაენკენა <sup>1</sup>	ხაარხოენკენა <sup>1</sup>

§ 8. კოჟ „სახლი“

მრ. კოჯრუხ

ძირით.:

ერგ. კოჯ-ენ	კოჯრულენ → კოჯროლონ
ნათ. კოჯ-ინ	კოჯრულენ <sup>1</sup> → კოჯროლონ
მიც. კუ-ან <sup>1</sup>	კოჯრულენ <sup>1</sup> → კოჯროლონ <sup>1</sup>

თან დებ.:

აბლ. კუახო	კოჯრუხობო → კოჯროღობო.
კომიტ. კუახოლან <sup>1</sup>	კოჯრუღობოლან <sup>1</sup>
ადეს. კუახსტა	კოჯრუღობსტა
ალატ. კუაჰ	კოჯრუღობჰ
სუპერ. კუალ	კოჯრუღობლ
კაუზატ. კოჯენკენა <sup>1</sup>	კოჯრუღობენკენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის: ბაბაკოჯ (← ბაბაჯკოჯ) „მამის სახლი“; „დედულეთი“; ბერლოკოჯ (← ბერლოჯკოჯ) „გომური“ ...

§ 9. ა) ჰასო „ლრუბელი“ — მრ. ჰასოუხ ბ) ბარუნ<sup>1</sup> „ქველი“ — მრ. ბარუეხ<sup>1</sup>

ძირით.:

ერგ. ჰასო-ნ-ენ	ჰასოლონ	ბარუ-ნ-ენ	ბარულონ
ნათ. ჰასო-ნ-უნ	ჰასოლონ <sup>1</sup>	ბარუ-ნ-უნ	ბარულონ <sup>1</sup>
მიც. ჰასო-ნ-აჩ <sup>1</sup>	ჰასოლონ <sup>1</sup>	ბარუ-ნ-აჩ <sup>1</sup>	ბარულონ <sup>1</sup>

თან დებ.:

აბლ. ჰასონახო	ჰასოლოხო	ბარუნახო	ბარულოხო
კომიტ. ჰასონახოლან <sup>1</sup>	ჰასოლოხოლან <sup>1</sup>	ბარუნახოლან <sup>1</sup>	ბარულოხოლან <sup>1</sup>
ადეს. ჰასონასტა	ჰასოლოსტა	ბარუნასტა	ბარულოსტა
ალატ. ჰასონაჰ	ჰასოლოჰ	ბარუნაჰ	ბარულოჰ
სუპერ. ჰასონალ	ჰასოლოლ	ბარუნალ	ბარულოლ
კაუზატ. ჰასონენკენა <sup>1</sup>	ჰასოლოენკენა <sup>1</sup>	ბარუნენკენა <sup>1</sup>	ბარულოენკენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის: ბოყო (კომი), ოყო (ძმარი); ჭიგო (ჭიგო). ჰინო (ინა), კინტო (კინტო), კირა (წალდი) პალტო (პალტო); თოშო (ძლოკვი), ნიკო (ბურთი)...; ბორზუ (მოსავალი)...; შუე (დათვი).

§ 10. ა) გა „ადგილი“ — მრ. გამხოხ || გარხოხ

ძირით.:

ერგ. გა-ნ-ენ    გალ-ენ	გამხონ ← *გან-უხ-ენ    გარხონ ← *გარ-უხ-ენ
ნათ. გა-ნ-ენ <sup>1</sup>    გალ-ა <sup>1</sup>	გამხონ <sup>1</sup>    გარხონ <sup>1</sup>
მიც. გა-ნ-აჩ <sup>1</sup>    გალ-აჩ <sup>1</sup>	გამხონ <sup>1</sup>    გარხონ <sup>1</sup>

თან დებ.:

აბლ. განუხო    გალახო	გამხოხო    გარხოხო
კომიტ. განუხოლან <sup>1</sup>    გალახოლან <sup>1</sup>	გამხოხოლან <sup>1</sup>    გარხოხოლან <sup>1</sup>
ადეს. განუსტა    გალასტა	გამხოხოსტა    გარხოხოსტა
ალატ. განუჰ    გალაჰ	გამხოჰ    გარხოჰ
სუპერ. განულ    გალალ	გამხოლ    გარხოლ
კაუზატ. განენკენა <sup>1</sup>    გალენკენა <sup>1</sup>	გამხოენკენა <sup>1</sup>    გარხოენკენა <sup>1</sup>

ბ) მე „ღანა“ — მრ. მერხოხ

გ) პი „სისხლი“ — მრ. პირხოხ

ძირით.:

ერგ. მე-ნ-ენ	მერხოხ	პი-ნ-ენ	პირხოხ
ნათ. მე-ნ-ენ <sup>1</sup>	მერხონ <sup>1</sup>	პი-ნ-ენ <sup>1</sup>	პირხონ <sup>1</sup>
მიც. მე-ნ-აჩ <sup>1</sup>	მერხონ <sup>1</sup>	პი-ნ-აჩ <sup>1</sup>    პი-ნ-ენ	პირხონ <sup>1</sup>

თან დე ბ.:

აბლ. მენახო	მერხოხო	პინახო    პინეხო ...	პირხოხო
კომიტ. მენახოლან <sup>1</sup>	მერხოხოლან <sup>1</sup>	პინახოლან <sup>1</sup>	პირხოხოლან <sup>1</sup>
ადეს. მენასტა	მერხოსტა	პინასტა	პირხოსტა
ალატ. მენაჟ	მერხოჟ	პინაჟ	პირხოჟ
სუპერ. მენალ	მერხოლ	პინალ	პირხოლ
კაუზატ. მენენკენა <sup>1</sup>	მერხოენკენა <sup>1</sup>	პინენკენა <sup>1</sup>	პირხოენკენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის: ეჲ (ქვა), ტე (წილი), ხე (წყალი), ბე (ბე)...

ღ) წი „სახელი“—მრ. წირხოხო || წიმხოხო ე) ლი „ლდე“—მრ. ლიმხოხო || ლირხოხო

ძირით.:

ერგ. წი-ე-ენ    წი-ენ	წირხოენ    წიმხოენ ...	ლე-ნ-ენ←*ლი-ნ-ენ	ლიმხოენ    ლირხოენ...
ნათ. წი-ე-ე <sup>1</sup>	წირხოე <sup>1</sup>	ლენე <sup>1</sup> ←*ლი-ნ-აჲ	ლიმხოე <sup>1</sup>
მიც. წი-ე-ე <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>    წი-ა <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>	წირხოე <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>	ლენა <sup>1</sup> ხ <sup>1</sup> ←*ლინახ	ლიმხოე <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>

თან დე ბ.:

აბლ. წიჲეხო    წიახო	წირხოხო	ლენახო	ლიმხოხო
	წიმხოხო		
კომიტ. წიჲეხოლან <sup>1</sup>    წიახოლან <sup>1</sup>	წირხოხოლან <sup>1</sup>	ლენახოლან <sup>1</sup>	ლიმხოხოლან <sup>1</sup>
ადეს. წიჲესტა    წიასტა	წირხოსტა	ლენასტა	ლიმხოსტა
ალატ. წიჲეჟ    წიაჟ	წირხოჟ	ლენაჟ	ლიმხოჟ
სუპერ. წიჲალ    წიალ	წირხოლ	ლენალ	ლიმხოლ
კაუზატ. წიჲენკენა <sup>1</sup>    წიენკენა <sup>1</sup>	წირხოენკენა <sup>1</sup>	ლენენკენა <sup>1</sup>	ლიმხოენკენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის: მი (სიცივე), ყიხ (შიში)...

ე) ქოჲნ<sup>1</sup> „სახელი“—მრ. ქოჲმუხ || ქოჲრუხ, ზ) შეჲ „რამე“, „ნივითი“—მრ. შეჲრუხ

ძირით.:

ერგ. ქოჲ-ენ    ქოჲნ-ენ	ქოჲმულონ    ქოჲროლონ...	შეჲ-ენ	შეჲრულონ
ნათ. ქოჲ-ე <sup>1</sup> ჲ <sup>1</sup>    ქოჲნ-აჲ    ქოჲნ-უნ	ქოჲმულო <sup>1</sup> ჲ <sup>1</sup>	შეჲ-ნა	შეჲრულო
მიც. ქოჲ-ა <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>    ქოჲ-ე <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>    ქოჲ-ნ-უხ <sup>1</sup>	ქოჲმულო <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>	შეჲ-ნ-უხ <sup>1</sup>	შეჲრულოხ <sup>1</sup>

თან დე ბ.:

აბლ. ქოჲახო    ქოჲახუხო...	ქოჲმულოხო    ქოჲროლოხო...	შეჲანუხ	შეჲრულოხო
კომიტ. ქოჲახოლან <sup>1</sup>	ქოჲმულოლან <sup>1</sup>	შეჲანიეხოლან <sup>1</sup>	შეჲრულო-ხოლან <sup>1</sup>
- ადეს. ქოჲასტა	ქოჲმულოსტა	შეჲასტა	შეჲრულოსტა
ალატ. ქოჲაჟ	ქოჲმულოჟ	შეჲანუხოლაჟ	შეჲრულოჟ
სუპერ. ქოჲალ	ქოჲმულონ	შეჲანულ	შეჲრულოლ
კაუზ. ქოჲენკენა <sup>1</sup>	ქოჲმულონკენა <sup>1</sup>	შეჲენკენა <sup>1</sup>	შეჲრულონკენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის: კოჲ (ქვევრი), ბოჲ (სიმაღლე post). ბაჲ (ბალი), შაჲ (შაური)...

§ 11. ა) ფულ „თვალი“—მრ. ფულმუხ ბ) თურ „ფეხი“—მრ. თურ-მუხ

ძირით.:

ერგ. ფ-ინ	ფულმულონ	თურ-ინ    თურ-ენ	თურმულონ
ნათ. ფ-ინ	ფულმულო <sup>1</sup> ჲ <sup>1</sup>	თურ-ინ    თურე <sup>1</sup> ჲ <sup>1</sup> ←თურ-რაჲ	თურმულო <sup>1</sup> ჲ <sup>1</sup>
მიც. ფ-ე <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>	ფულმულო <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>	თურ-ე <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>    თურ-ა <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>    თურ-რუხ	თურმულო <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>

თ ა ნ დ ე ბ . :

აბლ. ფ-ენ-ო	ფულმულოხო	თურეხო    თურახო...	თურმულოხო
კომიტ. ფენოლ'ან <sup>1</sup>	ფულმულოხოლ'ან <sup>1</sup>	თურეხოლ'ან <sup>1</sup>	თურმულოხოლ'ან <sup>1</sup>
ადეს. ფესტა	ფულმულოსტა	თურესტა	თურმულოსტა
ალატ. ფეჰ	ფულმულოჰ	თურეჰ	თურმულოჰ
სუჰერ. ფელ	ფულმულოლ	თურელ	თურმულოლ
კაუზატ. ფინკ'ენა <sup>1</sup>	ფულმულონკ'ენა <sup>1</sup>	თურენკ'ენა <sup>1</sup>	თურმულონკ'ენა <sup>1</sup>

„ფულ“ სახელის მსგავსად იბრუნვის ბულ (თავი), ქულ (ხელი).

ბ) ჩურ „ფური“, „ძროხა“—მრ. ჩურ-უხ || ჩურ-ხოხ

ძ ი რ ი თ . :

ერგ. ჩურ-ენ	ჩურ-ლ-ონ
ნათ. ჩურ-ენ <sup>1</sup>    ჩურ-რ-ა <sup>1</sup>	ჩურ-ლ-ონ <sup>1</sup>
მიც. ჩურა <sup>1</sup> ხ    ჩურ-ენ <sup>1</sup> ხ    ჩურ-რ-უ <sup>1</sup> ხ	ჩურ-ლ-ონ <sup>1</sup> ხ

თ ა ნ დ ე ბ .

აბლატ. ჩურახო    ჩურეხო    ჩურრუხო	ჩურლოხო
კომიტ. ჩურახოლ'ან <sup>1</sup>    ჩურეხოლ'ან <sup>1</sup>    ჩურრუხოლ'ან <sup>1</sup>	ჩურლოხოლ'ან <sup>1</sup>
ადეს. ჩურასტა    ჩურესტა    ჩურრუსტა	ჩურლოსტა
ალატ. ჩურაჰ    ჩურეჰ    ჩურრუჰ	ჩურლოჰ
სუჰერ. ჩურალ    ჩურელ    ჩურრულ	ჩურლოლ
კაუზატ. ჩურენკ'ენა <sup>1</sup>	ჩურლონკ'ენა <sup>1</sup>

§ 12. ა) მეს „ნამგალი“—მრ. მეს-რუხ ზნგ „ზარი“—მრ. ზნგ—რუხ

ძ ი რ ი თ . :

ერგ. მეს-ენ	მეს-რულონ	ზნგ-ენ	ზნგ-რულონ
ნათ. მეს-ნ-ა <sup>1</sup>	მეს-რულო <sup>1</sup>	ზნგ-ნ-ა <sup>1</sup>	ზნგ-რულო <sup>1</sup>
მიც. მეს-ნ-უ <sup>1</sup> ხ	მეს-რულო <sup>1</sup> ხ	ზნგ-ნ-უ <sup>1</sup> ხ	ზნგ-რულო <sup>1</sup> ხ

თ ა ნ დ ე ბ . :

აბლ. მესნუხო	მესრულოხო	ზნგნუხო	ზნგრულოხო
კომიტ. მესნუხოლ'ან <sup>1</sup>	მესრულოხოლ'ან <sup>1</sup>	ზნგნუხოლ'ან <sup>1</sup>	ზნგრულოხოლ'ან <sup>1</sup>
ადეს. მესნუსტა	მესრულოსტა	ზნგნუსტა    ზნგნუსტა	ზნგრულოსტა
ალატ. მესნუჰ	მესრულოჰ	ზნგნუჰ    ზნგნუჰ	ზნგრულოჰ
სუჰერ. მესნულ	მესრულოლ	ზნგნულ    ზნგნულ	ზნგრულოლ
კაუზატ. მესენკ'ენა <sup>1</sup>	მესრულონკ'ენა <sup>1</sup>	ზნგენკ'ენა <sup>1</sup>	ზნგრულონკ'ენა <sup>1</sup>

ბ) აშ „საქმე“—მრ. აშრუხ || აშმუხ გ) ტულ „ყურძენი“—მრ. ტულრუხ

ძ ი რ ი თ . :

ერგ. აშ-ენ    აშ-ლ-ენ	აშრულონ	ტულ-ენ	ტულრულონ
ნათ. აშ-ნ-ა <sup>1</sup>    აშ-ლ-ა <sup>1</sup>	აშრულო <sup>1</sup>	ტულ-ა <sup>1</sup>    ტულ-ნ-ა <sup>1</sup>	ტულრულო <sup>1</sup>
მიც. აშ-ნ-უ <sup>1</sup> ხ    აშ-ლ-ა <sup>1</sup> ხ	აშრულო <sup>1</sup> ხ	ტულ-უ <sup>1</sup> ხ    ტულ-ნ-უ <sup>1</sup> ხ	ტულრულო <sup>1</sup> ხ

თანდებ.:

აბლ. აშ-ნუხო    აშ-ლ-ახო	აშრუღობო	ტულუუხო	ტულრუღობო
კომ. აშ-ნუხოლ'ან'    აშ-ლ- აოლ'ან'	აშრუღობოლ'ან'	ტულუუხოლ'ან'	ტულრუღო- ხოლ'ან'
ადეს. აშ-ნ-უსტა    აშ-ლ- ასტა	აშრუღოსტა	ტულუუსტა	ტულრუღოსტა
ალატ. აშ-ნ-უჟ    აშ-ლ-აჟ	აშრუღოჟ	ტულუუჟ	ტულრუღოჟ
სუჟერ. აშ-ნ-ულ    აშ-ლ-ალ	აშრუღოლ	ტულუულ	ტულრუღოლ
კაუზ. აშ-ენკ'ენა'    აშ-ლ- ენ-კ'ენა'	აშრუღონკ'ენა'	ტულენკ'ენა'	ტულრუღონენკ- ენა'

ღ) გორ „სარი“—მრ. გორ-რუხ

ე) ხოდ „ხე“—მრ. ხოდ-რუხ

ძირით.:

ერგ. გორ-ენ	გორრუღ-ონ	ხოდ-ენ	ხოდროღონ←ხოდრუ- ღონ
ნათ. გორრა←გორ-ნაჲ	გორრუღ-ოჲ	ხოდ-დაჲ←ხოდ-ნაჲ	ხოდროღოლ'ჲ←ხოდ- რუღოჲ
მიც. გორრუხ←გორ- ნუხ	გორრუღ-ოხ	ხოდ-დუხ←ხოდ- ნუხ    ხოდახ	ხოდროღოლ'ხ←ხოდ- რუღოხ

თანდებ.:

აბლ. გორრუხო	გორრუღობო	ხოდდუხო	ხოდროღობო←ხოდრუღობო
კომ. გორრ-უხ-ო- ლან	გორრუღობო- ლან	ხოდდუხოლან	ხოდროღობოლან←ხოდრუღო- ხოლან
ადეს. გორრუსტა	გორრუღოსტა	ხოდდუსტა	ხოდროღოლ←ხოდრუღოლ
ალატ. გორრუჟ	გორრუღოჟ	ხოდდუჟ	ხოდროღოჟ←ხოდრუღოჟ
სუჟერ. გორრუღ	გორრუღოლ	ხოდდულ    ხოდალ	ხოდროღოლ←ხოდრუღოლ
კაუზ. გორენკ'ენა'	გორრუღონკ'ენა'	ხოდენკ'ენა'	ხოდროღონკ'ენა'←ხოდრუ- ღონკ'ენა'

მეხ (ნამგალი) და ზანგ (ზარი) სახელთა მსგავსად იბრუნვის: ეზ (ხნუ-  
ლი), ეხ (სამგალი), ეყ (ხორცი), ეჲ (ვაშლი), ოხ (სავარცხელი) ოყ (ფსკერი  
ძირი), ოჯ, უჯ (მდინარე), უჲყ (კაკალი), უღლ (სხვენი), ოჲყ (უღელი)...; ბეღლ  
(მზე), ბეჲჯ (ნემსი), ბოჲყ (ღორი), ბაჩ (ქვევრის სარქველი), ბიზ (სადგისი), ბუშ  
(აქლემი)...; მუშ (ქარი), მუზ (ენა), მუჯ (ფრჩხილი), მუმ (ცვილი), მეც (ბუდე),  
მეჯ (მატლი)...; ნეჲ (ძილი, სიზმარი), ნეჯ (მზე), ნელ (ცრემლი), ნეწ (მკებნარი),  
ნეთ (წარბი) ...; მაჯ (სარი), მაჲჯ (მუხა), მაღლ (სიმღერა) ...; ცაც (ეკალი), ტატ  
(ბუზი), ყოყ (ყელი), გოჯ (ცა), ხალხ (ხალხი), სან (ხმა)...; შეთ (ლოყა), ჭაჲ (ვა-  
ზი), წაჲფ (ტაში), ლაჩ (შეკრული რამ), ხაჩ (ჯვარი); ჭიკ (რტო, ტოტი), ტაჲ (ჭარ-  
ხალი), ტიკ (ტიკი); ცაჲ (ნაწერი, წარწერილი; ასო-ნიშანი), ნაჲ (ნამი), ეიჲ (ყანა-  
ფი), ბაღ (ბაწარი), ფაჲ (ბალი), ქენ (ნიორი)...

ტულ (ყურძენი) სახელის მსგავსად იბრუნვის: გულ (საცერი), კულ (მიწა), ცილ (თესლი), წილ (ნაკვერჩხალი), ჩილ (მძივი), ქოლ (ბუჩქი), ლოლ (გუბე), ეოლ (საცობი), შალ (შალი). ჩალ (ლობე), მალ (საქონელი, ქონება), ხელ (ტვირთი, ბარგი)...

გორ (სარი) სახელის მსგავსად იბრუნვის: ფორ (ობი), ზორ (ღონე)...; ქურ (ორმო), ჟურ (კობი, კუზი), ჩურ (ფური), მურ (ღერძი), ბერ (ბალიში); არ (მსხალი).

ხოდ (ხე) სახელის მსგავსად იბრუნვის: ბოდ (ბარკალი), ზოდ (რამე)...; კატ (წვეთი), ტატ (ბუზი), უქე-ტატ (ფუტკარი)...

§ 13. ა) ტანა „ფეტვი“—მრ. ტანიუხ მუყაა „რქა“—მრ. მუყაიუხ

ძ ი რ ი თ.:

ერგ. ტან-ინ-ენ	ტანილონ	მუყ-ინ-ენ	მუყილონ
ნათეს. ტან-ინ	ტანილო <sup>რ</sup> ა <sup>1</sup>	მუყ-ინ	მუყილო <sup>რ</sup> ა <sup>1</sup>
მიც. ტან-ინ-ა <sup>რ</sup> ხ	ტანილო <sup>რ</sup> ხ <sup>1</sup>	მუყ-ინ-ა-ხ	მუყილო <sup>რ</sup> ხ <sup>1</sup>

თ ა ნ დ ე ბ.:

აბლ. ტანინახო	ტანილოხო	მუყინახო	მუყილოხო
კომიტ. ტანინახოლ <sup>ან</sup> ა <sup>1</sup>	ტანილოხოლ <sup>ან</sup> ა <sup>1</sup>	მუყინახოლ <sup>ან</sup> ა <sup>1</sup>	მუყილოხოლ <sup>ან</sup> ა <sup>1</sup>
ადეს. ტანინასტა	ტანილოსტა	მუყინასტა	მუყილოსტა
ალატ. ტანინაჟ	ტანილოჟ	მუყინაჟ	მუყილოჟ
სუპერ. ტანინალ	ტანილოლ	მუყინალ	მუყილოლ
კაუზატ. ტანინე <sup>რ</sup> ქენა <sup>1</sup>	ტანილო <sup>რ</sup> ქენა <sup>1</sup>	მუყინე <sup>რ</sup> ქენა <sup>1</sup>	მუყილო <sup>რ</sup> ქენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის: ფაშა (გოგრა), თარნა (თონე), ფუშა (კომში), ლაჰანა (ყვავი), აჰანა (მინა), მალარა (კოჭი ძაფისა), კაჟა (ხელუერი), მუჟა (მუჟა), ტრა-ტრა (ტოროლა), ლურა (ეკალა), ბოლჩა (ბოხჩა), ლჰჰჰ (ლეზანი), ბაჰანა (მერ-ცხალი), არაბა (ურემი), მირაბჰ (მურაბა)...

ბ) ვაღ—მრ. ვაღიუხ || ვაღიმუხ

ძ ი რ ი თ.:

ერგ. ვაღ-ინ-ენ	ვაღილონ    ვაღიმლონ
ნათ. ვაღ-ინ	ვაღილო <sup>რ</sup> ა <sup>1</sup>    ვაღიმლო <sup>რ</sup> ა <sup>1</sup>
მიც. ვაღ-ინ-ა <sup>ხ</sup>	ვაღილო <sup>რ</sup> ხ <sup>1</sup>    ვაღიმლო <sup>რ</sup> ხ <sup>1</sup>

თ ა ნ დ ე ბ.:

აბლ. ვაღინახო	ვაღილოხო    ვაღიმლოხო
კომიტ. ვაღინახოლ <sup>ან</sup> ა <sup>1</sup>	ვაღილოხოლ <sup>ან</sup> ა <sup>1</sup>    ვაღიმლოხოლ <sup>ან</sup> ა <sup>1</sup>
ადეს. ვაღინასტა	ვაღილოსტა    ვაღიმლოსტა
ალატ. ვაღინაჟ	ვაღილოჟ    ვაღიმლოჟ
სუპერ. ვაღინალ	ვაღილოლ    ვაღიმლოლ
კაუზატ. ვაღინე <sup>რ</sup> ქენა <sup>1</sup>	ვაღილო <sup>რ</sup> ქენა <sup>1</sup>    ვაღიმლო <sup>რ</sup> ქენა <sup>1</sup>

ასევე იბრუნვის: კაშა (თითი), თაჟჰ (ჯიხვი)...

ბ) ბიში „ქადა“

მრ. ბიშიუბ

ერგ. ბიშ-ინ-ენ (ბიში-ნ-ენ?)

ბიშილონ

ნათ. ბიშ-ინ (ბიში-ნ?)

ბიშილოფქ

მიც. ბიშ-ინ-ახ (ბიში-ნ-ახ?)

ბიშილოფხ

აბლატ. ბიშ-ინ-ახ-ო (ბიში-ნ-ახ-ო?)

ბიშილოხო

ეგრევე იბრუნვის: ტური (ძაფი), ჩალი (თევეზი), მოზი (ხბო, მოზვერი).  
კუპი (შაშვი), კუნკური (ბოლოქანქალა), მუჭული („ეარსკვლავი“ — ნიჭ.), კა-  
ქოლი (კიტრი), ბესალი (მთხოვარა), ჯარჯი (ჯავი). თუქვი (მელა); ყაროლჩი  
(ღარაჯი), ყორუხჩი (მეველე) და მისთ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: 1) ჩამოთვლილ -ი ბოლოხმოვან სახელებში ნათელ  
არ არის ის, თუ „ირიბ“ ბრუნვათა წარმოების დროს რას ეკვეცება ი  
ხმოვანი: საბრუნებელ ფუძეს თუ ნათესაობითი ბრუნვისა -ი ფორმანტს?  
(ამიტომაცაა, რომ ფრჩხილებში მოქცეულ ფორმებს კითხვის ნიშანი უზის).  
უდიდურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური კანონების მიხედვით (მახ-  
ვილი ბოლო მარცვალზე, ამით გამოწვეული წინმავეალი ხმოვნის აძო-  
ვარდნა...) უფრო სარწმუნო ხდება ის, რომ აქ აღნიშნულ სახელთა ბრუნე-  
ბის დროს იკვეცება საწარმოებელი ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი და არა  
ფორმანტისა. 2) ამ წესის მიხედვით არ იბრუნვიან -ი ბოლოხმოვნისანი  
ისეთი სახელები, როგორცაა: ვ ი ჩ ი (ძმა), ხ უ ნ ჩ ი (ღა) — იხ. § 5.

გ) ბელე „პირუტყვი“, „საქონელი“ — მრ. ბელე-უბ

ძ ი რ ი თ .:

ერგ. ბელე-ნ-ენ

ბელე-ლ-ონ || ბერ-ლ-ონ

ნათ. ბელე-ნ-უნ

ბელე-ლ-ოფქ || ბერ-ლ-ოფქ

მიც. ბელე-ნ-აჩ

ბელე-ლ-ოფხ || ბერ-ლ-ოფხ

თ ა ნ დ ე ბ .:

აბლატ. ბელენახო

ბელელოხო || ბერლოხო

კომიტ. ბელენახოლანქ

ბელელოხოლანქ || ბერლოხოლანქ

ადეს. ბელენასტა

ბელელოსტა || ბერლოსტა

ალატ. ბელენაქ

ბელელოქ || ბერლოქ

სუპერ. ბელენალ

ბელელოლ || ბერლოლ

კაუზატ. ბელენენქენაქ

ბელელონქენაქ || ბერლონქენაქ

## § 2. პირის ნაცვალსახელთა

ა) პირველი პირისა:

ბ) მეორე პირისა:

§ 14. ზუ „მე“ — მრავლ. ჯან

უნ „შენ“ — მრ. ვაან || ეჭაან

ძ ი რ ი თ .:

ერგ. ზუ

ჯან

უნ

ვაან || ეჭაან

ნათ. ბე-ზ-ი

ბე-შ-ი

ვი

ეჭი

მიც. ზ-აჩ

ჯაჩ

ეაჩ

ვააჩ || ეჭააჩ

აბლ. ზახო	ჯახო	ვახო	ვახო    ეჭახხო
კომიტ. ზახოლან <sup>1</sup>	ჯახოლან <sup>1</sup>	ვახოლან <sup>1</sup>	ვახოლან <sup>1</sup>    ევახოლან <sup>1</sup>
ადეს. ზასტა	ჯასტა	ვასტა	ვასტა    ეჯასტა
ალატ. ზაჟ	ჯაჟ	ვაჟ	ვაჟ    ევაჟ
სუპერ. ზალ	ჯალ	ვალ	ვალ    ეჯალ
კაუზატ. ზენკენა <sup>1</sup>	ჯენკენა <sup>1</sup>	ვენკენა <sup>1</sup>	ვენკენა <sup>1</sup>

შ. „თვითონ“ ნაცვასახელითა:

4. „ვინ“ ნაცვალსახელითა:

§ 15. იჩ „თვითონ“—მრ. იჩლონ

§ 16. „ვინ“—მრ. არ იხმ.

ძირითა:

ერგ. იჩ-ენ    იჩ-ინ	იჩლონ	შ-ი-ნ
ნათ. იჩ-ი	იჩლონ <sup>1</sup>	შ-ი
მიც. იჩ-უნ <sup>1</sup>	იჩლონ <sup>1</sup>	შუნ <sup>1</sup>

თანდებ.:

აბლ. იჩუხო	იჩლოხო	შუხო
კომიტ. იჩუხოლან <sup>1</sup>	იჩლოხოლან <sup>1</sup>	შუხოლან <sup>1</sup>
ადეს. იჩუსტა	იჩლოსტა	შუსტა
ალატ. იჩუჟ	იჩლოჟ	შუჟ
სუპერ. იჩულ	იჩლოლ	შულ
კაუზატ. იჩენკენა <sup>1</sup>	იჩლონკენა <sup>1</sup>	შენკენა <sup>1</sup>

5. მსაზღვრელ (ატრიბუტიული) სახელთა<sup>1</sup>

ა) მითითებით ნაცვალსახელითა:

§ 17. მენო „ეს“—მრ. მენორ; ქანო „ეგ“—მრ. ქანორ; შენო „ის, იგი“—მრ. შენორ

ძირითა:

ერგ. მე-ტ-ინ	მე-ტ-ლონ	ქა-ტ-ინ	ქა-ტ-ლონ	შე-ტ-ინ	შეტ-ლონ
ნათ. მე-ტ-ა <sup>1</sup>	მე-ტ-ლოა <sup>1</sup>	ქა-ტ-ა <sup>1</sup>	ქა-ტ-ლოა <sup>1</sup>	შე-ტ-ა <sup>1</sup>	შეტ-ლოა <sup>1</sup>
მიც. მე-ტ-უნ <sup>1</sup>	მე-ტ-ლოუნ <sup>1</sup>	ქა-ტ-უნ <sup>1</sup>	ქა-ტ-ლოუნ <sup>1</sup>	შე-ტ-უნ <sup>1</sup>	შეტ-ლოუნ <sup>1</sup>

თანდებ.

აბლ. მე-ტ-უხო	მეტლოხო	ქატუხო	ქატლოხო
კომიტ. მე-ტ-უხოლან <sup>1</sup>	მეტლოხოლან <sup>1</sup>	ქატუხოლან <sup>1</sup>	ქატლოხოლან <sup>1</sup>
ადეს. მე-ტ-უსტა	მეტლოსტა	ქატუსტა	ქატლოსტა
ალატ. მე-ტ-უჟ	მეტლოჟ	ქატუჟ	ქატლოჟ
სუპერ. მე-ტ-ულ	მეტლოლ	ქატულ	ქატლოლ
კაუზატ. მე-ტ-უნკენა <sup>1</sup>	მეტლონკენა <sup>1</sup>	ქატუნკენა <sup>1</sup>	ქატლონკენა <sup>1</sup>

აბლ. შეტუხო	შეტლოხო
კომიტ. შეტუხოლან <sup>1</sup>	შეტლოხოლან <sup>1</sup>
ადეს. შეტუსტა	შეტლოსტა
ალატ. შეტუჟ	შეტლოჟ
ტერმ. შეტულ	შეტლოლ
კაუზატ. შეტუნკენა <sup>1</sup>	შეტლონკენა <sup>1</sup>

<sup>1</sup> resp. გასუბსტანტივებულ მსაზღვრელ სახელთა



ბ) „რა“ ნაცვალსახელისა: გ) განუსაზღვრ. ნაცვალსახელისა:  
 ეკა „რა“—სახელ. მრავლ. არ იხმ. პარ-ო „ყველა“, „ყოველი“—მრ: პარო-რ

ძირითა:

ერგ. ე-ტ-ინ	ე-ტ-ლ-ონ	პარ-ო-ტინ	პარო-ტ-ლონ
ნათ. ე-ტ-აჩ	ე-ტ-ლ-ოჩ	პარ-ო-ტ-აჩ	პარ-ო-ტ-ლ-ოჩ
მიც. ე-ტ-უჩ	ე-ტ-ლ-ოჩ	პარ-ო-ტ-უჩ	პარ-ო-ტ-ლ-ოჩ

თანდებ.:

აბლ. ე-ტ-უხო	ე-ტ-ლ-ოხო	პარო-ტ-უხო	პარ-ო-ტ-ლ-ოხო
კომიტ. ე-ტ-უხოლან	ე-ტ-ლ-ოხოლან	პარო-ტ-უხო-ლან	პარ-ო-ტ-ლ-ოხო- ოლან
ადეს. ე-ტ-უს-ტა	ე-ტ-ლ-ოს-ტა	პარ-ო-ტ-უს-ტა	პარ-ო-ტ-ლ-ოს-ტა
ალატ. ე-ტ-უჰ	ე-ტ-ლ-ოჰ	პარ-ო-ტ-უჰ	პარ-ო-ტ-ლ-ოჰ
სუპერ. ე-ტ-ულ	ე-ტ-ლ-ოლ	პარ-ო-ტ-ულ	პარ-ო-ტ-ლ-ოლ
კაუზატ. ე-ტ-ენ-ქენა	ე-ტ-ლ-ონ-ქენა	პარ-ო-ტ-ენ-ქენა	პარ-ო-ტ-ლ-ოენქენა

ღ) ვითარების გამომხატველი ზედსართავი სახელისა: ე) რიცხვითი სახელისა:

შელო-ო „კარგი“—მრ. შელო-რ ხიბო-ო „სამი“—მრ, ხიბო-რ

ძირითა:

ერგ. შელო-ო-ტ-ინ	შელო-ო-ტ-ლ-ონ	ხიბო-ტ-ინ	ხიბოტ-ლონ
ნათ. შელო-ო-ტ-აჩ	შელო-ო-ტ-ლოჩ	ხიბო-ტ-აჩ	ხიბოტლოჩ
მიც. შელო-ო-ტ-უჩ	შელო-ო-ტ-ლოჩ	ხიბო-ტ-უჩ	ხიბოტლოჩ

თანდებ.:

აბლ. შელო-ო-ტ-უხო	შელო-ო-ტ-ლ-ოხო	ხიბოტუხო	ხიბოტლოხო
კომიტ. შელო-ო-ტ-უხო- ლან	შელო-ო-ტ-ლ-ოხო- ლან	ხიბოტუხოლ ან	ხიბოტლოხოლან
ადეს. შელო-ო-ტ-უს-ტა	შელო-ო-ტ-ლ-ოს-ტა	ხიბოტუსტა	ხიბოტლოსტა
ალატ. შელო-ო-ტ-უჰ	შელო-ო-ტ-ლ-ოჰ	ხიბოტუჰ	ხიბოტლოჰ
სუპერ. შელო-ო-ტ-ულ	შელო-ო-ტ-ლ-ოლ	ხიბოტულ	ხიბოტლოლ
კაუზ. შელო-ო-ტ-ენ-ქენა	შელო-ო-ტ-ლ-ონ- ქენა	ხიბოტენქენა	ხიბოტლოენქენა

3) კუთვნილებითი ნაცვალსახელისა:

ბეზი-ო „ჩემი“—მრ. ბეზი-ო ვი-ო „შენი“—მრ. ეფი-ო „თქვენი“

ძირითა:

ერგ. ბეზი-ო-ტ-ინ	ბეზი-ო-ტ-ლონ	ვი-ო-ტ-ინ	ვი-ო-ტ-ლონ
ნათ. ბეზი-ო-ტ-აჩ	ბეზი-ო-ტ-ლოჩ	ვი-ო-ტ-აჩ	ვი-ო-ტ-ლოჩ
მიც. ბეზი-ო-ტ-უჩ	ბეზი-ო-ტ-ლოჩ	ვი-ო-ტ-უჩ	ვი-ო-ტ-ლოჩ

თან დ ე ბ.:

აბლ. ბეზიო-ტუხო	ბეზიოტუხო	ვიო-ტუხო	ვიოტლოხო
კომიტ. ბეზიო-ტუხოლან <sup>1</sup>	ბეზიოტუხოლან <sup>1</sup>	ვიო-ტუხოლან <sup>1</sup>	ვიოტლოხოლან <sup>1</sup>
ადეს. ბეზიო-ტუსტა	ბეზიოტუსტა	ვიოტუსტა	ვიოტლოსტა
ალატ. ბეზიო-ტუქ	ბეზიო-ტუქ	ვიოტუქ	ვიოტლოქ
სუპერ. ბეზიო-ტულ	ბეზიო-ტულ	ვიოტულ	ვიოტლოლ
კაუზ. ბეზიო-ტენკენა <sup>1</sup>	ბეზიო-ტენკენა <sup>1</sup>	ვიოტენკენა <sup>1</sup>	ვიოტლონკენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის: შეტაჟო (მისი), შეტლოჟო (მათი), იჩიო (თავისი), იჩ-ლოჟო (თავიანთი)...

9. მიმღეობისა:

არიო-ო „მოსული“—მჭრ. არიოორ ელალო „მომსვლელი“—მრ. ელალორ  
ძ ი რ ი თ.:

ერგ. არიო-ო-ტინ	არიოტლონ	ელალო-ტინ	ელალოტლონ
ნათ. არიო-ტაქ <sup>1</sup>	არიოტლოქ <sup>1</sup>	ელალო-ტაქ <sup>1</sup>	ელალოტლოქ <sup>1</sup>
მიც. არიო-ო-ტუნ <sup>1</sup>	არიოტლონ <sup>1</sup>	ელალოტუნ <sup>1</sup>	ელალოტლონ <sup>1</sup>

თან დ ე ბ.:

აბლ. არიოტუხო	არიოტლოხო	ელალოტუხო	ელალოტლოხო
კომიტ. არიოტუხოლან <sup>1</sup>	არიოტლოხოლან <sup>1</sup>	ელალოტუხოლან <sup>1</sup>	ელალოტლოხოლან <sup>1</sup>
ადეს. არიოტუსტა	არიოტლოსტა	ელალოტუსტა	ელალოტლოსტა
ალატ. არიოტუქ	არიოტლოქ	ელალოტუქ	ელალოტლოქ
სუპერ. არიოტულ	არიოტლოლ	ელალოტულ	ელალოტლოლ
კაუზ. არიოტენკენა <sup>1</sup>	არიოტლონკენა <sup>1</sup>	ელალოტენკენა <sup>1</sup>	ელალოტლონკენა <sup>1</sup>

ეგრევე იბრუნვის გასუბსტანტივებული მიმღეობის ყველა ფორმა.

6. მრავლ. რიცხვის -უხ გაქვავებულსუფიქსიან სახელთა ბრუნება

§ 18. ა) ბიხაჯხ „ღმერთი“—ჩვეულ. მრ. არ იხმ. ბ) ელმუხ „სული“—მრ. არ იხმ

ძ ი რ ი თ.:

ერგ. ბიხაჯულენ    → ბიხაჯულონ    ბიხოლონ	ელმულონ
ნათ; ბიხაჯულოქ <sup>1</sup>    ბიხოლოქ <sup>1</sup>	ელმულოქ <sup>1</sup>
მიც. ბიხაჯულან <sup>1</sup>    → ბიხაჯულონ <sup>1</sup>    ბიხოლონ <sup>1</sup>	ელმულონ <sup>1</sup>

თან დ ე ბ.:

აბლ. ბიხაჯულახო    → ბიხაჯულახო    ბიხოლოხო
კომიტ. ბიხაჯულახოლან <sup>1</sup>    → ბიხაჯულახოლან <sup>1</sup>    ბიხოლოხოლან <sup>1</sup>
ადეს. ბიხაჯულასტა    → ბიხაჯულოსტა    ბიხოლოსტა
ალატ. ბიხაჯულაქ    → ბიხაჯულოქ    ბიხოლოქ
სუპერ. ბიხაჯულალ    → ბიხაჯულოლ    ბიხოლოლ
კაუზ. ბიხაჯულენკენა <sup>1</sup> → ბიხაჯულონკენა <sup>1</sup>    ბიხოლონკენა <sup>1</sup>

ბ) ჩუბუბ „დედაკაცი“, „კოლი“—მრ. ჩუბუბოხ

ერგ. ჩუბულონ	ჩუბულონ
ნათ. ჩუბულონ <sup>1</sup>	ჩუბულონ <sup>2</sup>
მიც. ჩუბულონ <sup>3</sup>	ჩუბულონ <sup>3</sup>
აბლატ.	ჩუბულოხო ჩუბულოხო

## 7. ინფინიტივ-მასდარისა

ბეს „კეთებად“—მრ. არ იხმ.	ბესუნ „კეთება“—მრ. არ იხმ.
ერგ. ბეს-ინ	ბესუნ-ენ
ნათეს. —	ბესუნ-უნ
მიც. ბეს-ა <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>	ბესუნ-ა <sup>1</sup> ხ <sup>1</sup>
აბლატ. —	ბესუნ-ახ-ო ...

## ბრუნვათა ფუნქციები უდიურში

1. ყველა ძირითადი ბრუნვა გამოხატავს სიტყვათა აბსტრაქტულ ურთიერთობას — სულ ერთია, წმინდაფუძიანი იქნება ის, თუ ამა თუ იმ ელემენტით გართულებული. სახელდობრ: სახელობითი გამოხატავს გარდაუვალ ზმნის სუბიექტს და (მიცემითის პარალელურად) გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს, ერგატიული ბრუნვა — გარდამავალი ზმნის სუბიექტს (ყველა დრო-კალში დასმულ შემასმენელთან), მიცემითი — ირიბ ობიექტს, აღქმა-მგრძობელის გამოხატველი ზმნის სუბიექტს. გამოიყენება ლოკატივის ფორმაც. სათესაობითი გამოხატავს კუთვნილება-განსაზღვრებას, პოსესიური წყობის ზმნის „სუბიექტს“.

2. თანდებულის ბრუნვათა ფუნქცია უფრო კონკრეტულია და ძირითადად ლოკატივის მნიშვნელობის გამოხატვა ეკისრება, თუმცა ზოგი მათგანი სხვა დანიშნულებითაც გამოიყენება, კერძოდ. სუპერესივით („ზე“ ბრუნვის ფორმით) ზოგჯერ მიცემითის პარალელურად ირიბი დამატება აღინიშნება, მაგ.: ჩ უ რ ა ლ ლარინე „ფურსა ჰგავს“<sup>1</sup>, ზ ა ა ლ თადა „მე მომიცი“<sup>2</sup>; აბლატივს („გან“-ბრუნვას) ეკისრება ასეთი ფუნქციები: ა) ინსტრუმენტალისა, მაგალ.: ჩ უ რ ა ხ ო ირაზინე „ფურისაგან (ფურით კმაყოფილია)“, ვ ა ხ ო ირაზინე „შენგან (-შენით) კმაყოფილი ვარ“; ბ) შედარებისა, მაგალ.: შენო ვ ა ხ ო ილაღუნე „ის შენგან (შენზე) უფრო მაღალია“...

ნ ი ჯ უ რ დ ი ა ლ ე ქ ტ შ ი ბრუნვების სისტემა და ბრუნვათა ნიშნები ძირითადად ისეთივეა, როგორც ვართაშნულში; ამასთან შეინიშნება ზოგთავისებურებაც, სახელდობრ: 1) ერთმარცვლიან სახელებში „ირიბ“ ბრუნვათა წარმოების დროს. როგორც წესი, ნიჯურმა არ იცის „ჩ ა ნ ა რ თ ე ბ ი“; შდრ.. ზაგალ.: ვ ა რ თ ა შ ნ. ეზ-ნ-უ(ხ) — ნ ი ჯ. ეზ-ა „ხნულს“, ვ ა რ თ ა შ ნ. ეზ-ნ-აჲ — ნ ი ჯ. ეზ-აჲ „ხნულის“ (ეზ „ხნული“); ვ ა რ თ ა შ ნ. ეკ-ნ-უ(ხ) — ნ ი ჯ. ო ჭ ა „კალოს“, ვ ა რ თ. ეკ-ნ-აჲ — ნ ი ჯ. ო ჭ ა-აჲ „კალოსი“ (ე ჭ ო ჭ კ რ კალო“)... თავისებურება შეინიშნება ბრუნვის ნიშანთა გამოყენების მხრივ...

<sup>1</sup> სიტყვა-სიტყვით: ფ უ რ ზ ე ჰგავს.

<sup>2</sup> სიტყვა-სიტყვით: ჩ ე მ ზ ე მომიცი.

ვაც. კერძოდ: ა) ნათესაობითი ბრუნვის -უნ სუფიქსი წარმოდგენილია რკ-  
 ლუკირებული -გნ ვარიანტი (უნ—გნ), შდრ., მაგალ.: კოკოწ-უნ (ვართ.) ...  
 კოკოწ-გნ (ნიჯ.) „ქათმისა“ (კოკოწ „ქათამი“); შკოლ-უნ (ვართ.)  
 შკოლ-გნ (ნიჯ.) „სკოლისა“ (შკოლ „სკოლა“)... ბ) მიცემითი ბრუნვის ფორმა.  
 როგორც წესი, ნიჯურში წარმოდგენილია -ა (იშვითად -თ, -ი) ხმოვანი ელემენ-  
 ტით. -ახ (-ეხ, -უხ, -იხ) ვარიანტი არ იხმარება, თუ არ ვივთხისხმებთ ვადმო-  
 ნაშთად შემონახულ ერთადერთ შემთხვევას — „ქონება (აქვს)“ ზმნას, რომელ-  
 შიც მიცემითიანი სუბიექტი გამოიხატება სწორედ -ახ ან -უხ. მაწარმოებლით  
 გაფორმებული პირის ნაცვალსახელით: ზახ-პუ (მაქვს), ვახ-პუ (გაქვს), ტუხ-პუ  
 (აქვს). ეს ფაქტი საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ამ კილოშიც მიცე-  
 მითი ბრუნვა იწარმოებოდა ხ-ს შემცველი (-ახ, -უხ) ფორმანტით<sup>1</sup>. გ) ალატივის  
 („კენ“ ბრუნვის) ვართაშნულ -[ა]-ჭ მაწარმოებელს ნიჯურში წესისამებრ  
 ეფარდება -[ა]-ჩ ვარიანტი; შდრ.; მაგალითად: ამდარ-ა-ჩ (ნიჯ.) — ადამარ-ა-ჭ  
 (ვართ.) „ადამიანისაკენ“... დ) კაუზატივის („თვის“-ბრუნვის) ვართაშნულ -[ენ]-  
 კენა—||-[ენ]-კ დაბოლოებას ნიჯურში უპირისპირდება -[ა-ენ]-ა-კ; შდრ.; ადა-  
 მარ-ენ-კენა (ვართ.) — ამდარ-ა-ენ-ა-კ (ნიჯ.) „ადამიანისთვის“, ზ-ენ-კენა  
 (ვართ.) — ზ-ა-ენ-ა-კ (ნიჯ.) „ჩემთვის“, ე-ენ-კენა (ვართ.) — ე-ა-ენ-ა-კ (ნიჯ.)  
 „შენთვის“...

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ნიჯურ მასალაში კარგად ჩანს, რომ ამ მიზეზობითა  
 ბრუნვის, კაუზატივის, წარმოებისათვის საყრდენად ერგატიულ ბრუნვაში  
 დასმული ფუძე კი არ არის გამოყენებული (ერთი შეხედვით ეს ასე ჩანს;  
 შდრ. ვართაშ. ადამარ-ენ „ადამიანმა“ და ადამარ-ენ-კენა „ადამიანის-  
 თვის“...), არამედ ყველა დანარჩენ თანდებულის ბრუნვათა მსგავსად —  
 მიცემითში დასმული ფუძე; შდრ. ამდარ-ა „ადამიანს“ — ამდარ-  
 ა-ა-ენ-ა-კ „ადამიანისთვის“ (როგორც ეს სრულიად მართებულად აღნიშნუ-  
 ლი აქვს ვლ. ფანჩიძეს). ეს იმითაც ხდება სარწმუნო, რომ პირველ და  
 მეორე პირის ნაცვალსახელშიც ფუძის მართლებელ ელემენტად -ენ გა-  
 მოიყოფა — მაშინ, როდესაც აღნიშნულ ნაცვალსახელებს ერგატივის  
 ასეთი ფორმა არ მოეპოვება (პირის ნაცვალსახელთა ერგატივი და ნო-  
 მინატივი ერთნაირად გამოიხატება წრფელობითის „ფორმით“, წმინდა  
 ფუძით). ვართაშნულ-ნიჯურის შედარება შესაძლებლობას გვაძლევს, ავხს-  
 ნათ ვართაშნული -ენ მაწარმოებლის წარმოშობა: -ენ-ე-ენ-ა-ენ-  
 მაგალ., ზ-ე-ნ-კ-ზ-ენ-კენა (ვართ.)—ზ-ე-ენ-კენა—ზ-ა-ენ-კენა—ზ-ა-ენ-ა-კ  
 (ნიჯ.) „ჩემთვის“. თავის მხრივ ნიჯურ ვარიანტი (ამდარა-ენ-ა-კ, ზა-ენ-ა-კ  
 და მისთ.) ახსნას საჭიროებს ბოლოკიდურ მარკვალში (ისევე მიცემითის?)  
 -ა ელემენტის არსებობა, აგრეთვე -ენ ელემენტის (ზა-ენ-ა-კ, ამდარა-ენ-  
 ნ-ა-კ...) ეტიმოლოგია. ეფიქრობთ, ეს (-ენ) ელემენტი ნათესაობითი ბრუნ-  
 ვის ნიშანია.

ბ) აბლატივი და კომიტატივი ნიჯურში ერთნაირად იწარმოება: ამ ორა  
 ბრუნვისთვის ზიარად გამოიყენება -[ახ]-უნ მაწარმოებელი; მაგალ.: ზ ა ხ უ ნ  
 „ჩემგან“, „ჩემით“, „ჩემთან ერთად“; ა მ დ ა რ ა ხ უ ნ „ადამიანისგან“, „ადამი-  
 ანით“, „ადამიანთან ერთად“... ვართაშნულ კილოში, როგორც აღინიშნა, ეს ორი

<sup>1</sup> ყურადღებას იქცევს აგრეთვე ზოგი ნიჯური თანდებულიანი ბრუნვის ფორმა, რომლის  
 ფუძეში მიცემითი ბრუნვის -ახ მაწარმოებელი გამოიყოფა (იხ. ქვეშ. მე-2 მუხლი).

ბრუნვა დიფერენცირებულა: შდრ. ზ ა ხ ო „ჩემგან“. „ჩემით“ — ზ ა ხ ო ლ ა ნ || — ზ ა ხ ო ლ „ჩემთან ერთად“; ა დ ა მ ა რ ა ხ ო „ადამიანისაგან“, „ადა-  
მიანით“; ა დ ა მ ა რ ა ხ ო ლ ა ნ || — ა დ ა მ ა რ ა ხ ო ლ „ადამიანთან ერთად“...

3) ნათესაობითი ბრუნვის ა—ი ნიშანი ვართაშნულში ხშირად იკვეცება, —  
განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ბრუნვაში დასმული სახელი მსაზღვრელა-  
დაა გამოყენებული; ნიჭურში, როგორც წესი, ეს ა—ი ნიშანი არ იკვეცე-  
ბა, ავლენს რა შედარებით უფრო არქაულ მდგომარეობას; მაგალ.: კ ო -  
კ ო წ ო ლ კ ო ჯ. (ვართ.) — კ ო კ ო წ ო ლ კ ო ჯ (ნიჭ.) „ქათმების სახლი“, „საქათ-  
მი“; ნ ა ნ ა თ უ ლ || ნ ა ნ ა ბ ა ლ ა (ვართ.) — ნ ა ნ ა ა თ უ ლ || ნ ა ნ ა ბ ა ლ ა (ნიჭ.) „დე-  
დის ბიჭი“, „დედის აზიზი შვილი“...

4) მრავლ. რიცხვის -უხ სუფიქსის ხ ელემენტი, რომელიც ე. წ. ირიბ ბრუნ-  
ვათა ვართაშნულ ფორმებში მეღვრდება ხოლმე (უხ—უღ—ღ), ნიჭურში, რო-  
გორც წესი, დატულია გაუმეღვრებელი, ყრუ ვარიანტით; შდრ., კ ო კ ო წ -ღ-ო  
(ვართ.)—კ ო კ ო წ -ო-ა (ნიჭ.) „ქათმებისა“ აქაც მოწმდება ნიჭურის არქაულობა.

### სხვა შენიშვნები და განმარტებები სახელთა

#### ბრუნებასთან დაკავშირებით

1. ა) უდიდრი ერგატივისა და სახელობითი ბრუნვის ფორმები გარჩეული  
არ არის ორივე რიცხვის I და II პირის ნაცვალსახელებში (ქართულის მსგავ-  
სად): ერთიცა და მეორეც წარმოდგენილია წმინდა ფუძის სახით — წრფელო-  
ბითი ბრუნვის „ფორმით“ (იხ. მე-14 პარადიგმა); ბ) ემთხვევა აგრეთვე, ერთა  
მხრავ, ერგატიულ და ნათესაობით ბრუნვათა ფორმები (იხ. მე-11 პარადიგმა);  
ხოლო მეორე მხრივ, — ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვებისა (იხ. პარადიგ-  
მები: მე-10 „ღ“, „ვ“, მე-5, მე-6, აგრეთვე პარადიგმა მრავლობითში დასმულ  
სახელთა ბრუნებისა). ბრუნვის ფორმათა დამთხვევა ზოგჯერ მორფოლოგიური  
(სტრუქტურული) ხასიათისაა: ფ უ ლ (თვალი), ფ-ი ნ (თვალმა), ფ-ი ნ (თვა-  
ლის, თვალით). — იხ. მე-11 პარადიგმა; ზოგჯერ კი იგი ფონეტიკური ცვლილე-  
ბის — ბრუნვის ნიშნის დასუსტებისა და მოკვეცის ან საბრუნებელი ფუძის ბო-  
ლო ხმოვანთან შერწყმის შედეგად ხდება; შდრ., მაგალითად, ვიჩი (ძმა) —  
ვიჩი-ა-ი-ვიჩი-ა-ა-ვიჩი-ე-ა-ე-ი ჩ ე (ძმისა), ვიჩი-აბ-ვიჩი-ე-ბ-ვიჩი-ე-ბ-ვიჩი-ე  
(ძმას); ნანა (დედა) — ნანა-ი-ნანა-ა-ნ ა ნ ა (დედის), ნანა-აბ-ნანა-ა-ა-ნ ა ნ ა  
(დედას)... — იხ. პარადიგმები მე-10 „ღ“, მე-5—6.

2. ბრუნვათა სიაში და პარადიგმებში დასახელებული არ არის მოქმედები-  
თი ბრუნვა (ინსტრუმენტალისი), რადგანაც უდიდურში მას დამოუკიდებელი  
მაწარმოებელი არ მოეპოვება, — აქვს ერგატივთან ან (ზოგჯერ) ერგატივთან და  
ვენეტივთან ზ ი ა რ ი ფორმა და ისიც სახელთა მხოლოდ ერთ ჯგუფში —  
ჩ ი ვ თ ი ს კლასის სახელებში (ადამიანის კლასის სახელებში ინსტრუმენტალა-  
ის ფუნქციით მხოლოდ აბლატივი გამოიყენება); შდრ., მაგალ.: ტე იშ-ენ ბე-  
ღულ-ენ ქაჩნება კულლუხ „ის კ ა ც ი (ერგ.) ბ ა რ ი თ თხრის მიწას“; ქა  
ნ ო ქ პ რ -ენ ეთარ-ა-თოგდე: ზაპუნ-ენ, აოხსამ ზოყალ-ენ; „მაგ ნ ო ქ პ ა რ მ ა  
როგორ გაყიდა: წ ო ნ ი თ, თუ თ ვ ლ ი თ?“ ან კიდევ: ფ-ი ა ბ ტ უ კ ს ა „თვალმა  
(= თ ვ ა ლ ი თ) ხედავს“, ფ ი ნ ხ ა შ „თვალის სინათლე, ჩინი“...

3. ზოგი სახელი იბრუნვის ფუძის შენაცვლებით; შდრ., მაგალ. ქ უ ლ (ხე-  
ლი) — ქ-ინ (ხელმა, ხელით, ხელის), ქ-ეხ (ხელს); ზ უ (მე), ბე-ზი (ჩემი),

ზ-ახ („მე“ — მიცემ.); ძ ა ნ (ჩვენ) — ბე-ში (ჩვენი), ძ ა-ხ (ჩვენ — მიცემ.); უ ნ, ჰ უ ნ (შენ) — ვ-ი (შენი), ვ-ახ („შენ“ — მიცემ.) — იხ. მე-8, -11. -14 პარადიგმები.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: აქ (1—3 მუხლებში) აღნიშნული მორფოლოგიურ პროცესების (ბრუნვათა სტრუქტურული დამთხვევის, ალტერნაციულ ფუძეთა გამოყენებისა და სხვა) საკითხთა ასახვას ეძლევა არ კმარა უდიდესი მასალა, საჭიროა თვისებრივ ენათა მონაცემების მოხმობა. ამგვარი (ისტორიულ-შედარებითი) ანალიზი ამ წიგნის ამოცანათა ფარგლებს სცილდება, — იგი მომავლის საქმეა.

4. სახელთა ბრუნების მე-10, მე-12 და მე-13 პარადიგმებში მოქცეულ ფორმები გვიჩვენებენ, რომ ერთი ჯგუფის სახელთა ფუძეები გართულბულნი არიან ამა თუ იმ ელემენტით. ეს ელემენტებია: -ი ნ ა ნ და -ი ნ-||-ი-; -ნ-, ა ნ და -ნ-||-ლ-; -ტ-. აქედან: 1) ცხადად ჩანს, რომ -ი ნ- ელემენტი ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია; იგი დაერთვის -ა, -აჲ, -ჲ ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებს — თანაც ისე, რომ ეს ხმოვნები ყველა ბრუნვის ფორმაში იკვეცება: მაგალ. ფ ა შ ნ ა (გოგრა) — ფაშნ-ინ (გოგრისა), ფაშნ-ი ნ-ენ (გოგრამ), ფაშნ-ი ნ-ახ (გოგრას)... 2) ზოგ სახელთა ფუძის მართულბულ -ნ- ელემენტსაც უდიდესი ენის მკვლევარები წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებლად ან მის ნაშთად მიიჩნევენ (ა. შიფერი, ა. დირი, ვ. ფანჩიძე). გვაქვს საფუძველი, რომ ვ-დვიკროთ: ეს -ნ- (მეხ „ნამგალი“ — მეხ-ნ-აჲ „ნამგლისა“, მეხ-ნ-უხ „ნამგალს“...) და ზოგჯერ ამის პარალელურად ნახმარი -ლ- (ა შ „საქმე“ — აშ-ნ-აჲ||აშ-ლ-აჲ „საქმისა“, აშ-ნ-უხ||აშ-ლ-ახ „საქმეს“, გა „ადგილი“ — გა-ნ-ეჲ||აშ-ლ-აჲ „ადგილისა“, გა-ნ-უხ||აშ-ლ-ახ „ადგილს“) არ არის ნათესაობითი ბრუნვისა.

ეს -ნ- და -ლ- ძველთაძველი მდგომარეობის მიხედვით უნდა დახასიათდეს როგორც საწარმოებელი ფუძე-ძირისეული ელემენტი; იგი ზოგი ფუძის აბსოლუტურ ბოლოს სუსტდება და იკვეცება (მაგალ.: გა—გან||გალ; ხე—ხენ...); ხოლო სიტყვის შიგნით, ხმოვნებს შორის, ან ხმოვნის წინ („ირიბ“ ბრუნვებში) შემონახულია (იხ. ზემ. სახელთა მარტივი ფუძეები). აქ ერთი ასეთი ალბათობის დაშვებაც შეიძლება: ისეთ სახელებში, როგორიცაა მაგალითად, მე ხ (ნამგალი), ჰ ე მ (ჰუჭყვი), ც ა მ (ნაწერი), ბ ე ჲ ლ (მზე), მ ა ჯ (სარი) და მისთ. „ჩანართი“ -ნ- (-ნ-აჲ, -ნ-უხ მორფემები) შესაძლოა სულაც ნაცვალსახელური წარმომავლობის ელემენტი იყოს და ეტიმოლოგიურად დაუკავშირდეს უდიდესისავე (ზმნაში მხ. რ. მესამე პირის ნიშნად გამოყენებულ) -ნე ელემენტს („იგი“). იხ. ქვემ. პირის ნიშნები. ეს ალბათობაც საფუძველიანი მოგვეჩვენება ქვემოთ, მე-5 და მე-6 მუხლებში, მოცემულ განმარტებათა კვლობაზე.

5. -ტ- ელემენტიც არ არის ჩანართი, არ არის აფიქსი. იგი წარმოშობით უდიდესისავე ტე (ის, იხი) ნაცვალსახელს უკავშირდება, ამა თუ იმ ბრუნვის (ერგატ. -ტი ნ, ნათეს. -ტ ა ჲ, მიცემ -ტ უ ხ) ფორმით დაერთვის გარკვეული ჯგუფის სახელთა ფუძეს და წარმოვიდგება როგორც პოსტ-დეტერმინანტი, სახელდობრ ასე:

შელ-ო („კარგი“ — გასუბტ.)

შელ-ო-ტი ნ (კარგ-მ ა ნ—კარგმა)

1 შდრ., მაგალ.: უდიდესი: ხე (წყალი) — ხე ნ-ენ (წყალმა), ხე ნ-ეჲ (წყლისა), ხე ნ-ახ (წყალს) და წახური ხ ა ნ, მუხალური ხ ა ჲ (წყალი)...

შელ-ო-ტ ა ჯ (კარგ-მ ი ს—კარგისა)  
 შელ-ო-ტ უ ხ (კარგ-მ ა ს—კარგს) <sup>1</sup>

და ასე ყველა გასუბტიანტივებულ მსაზღვრელ სახელში (იხ. მე-17 პარადიგმა). ამ შემთხვევაში ხელთა გვაქვს ბრუნების ისეთივე აღწერით-ლექსიკური (ნაც-ვალსახელური) ტიპი, როგორცაა, მაგალითად, ქართული მოთხრობითი (კაც-რწა-კაც-მან) და სახელობითი (კაცი-ი-კაცი-იგი). ქართულისაგან უდიდური იმით განსხვავდება, რომ აქ (უდიდურში) ბრუნების ეს სისტემა მოწმდება მხოლოდ არსებით სახელთან გატოლებულ ატრიბუტიულ სახელებში (უკლებლივ), თანაც — ყველა ბრუნვის ჩათვლით.

6. ზემოთ უწყებულ ერთ (ლია და დახურულ) მარცვლიან არსებით სახელთა ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვების ფორმებში -ნ (და -ლ) ელემენტი რომ ტ-ს რიგისაა (შდრ.: -ტ-აჲ და -ნ-აჲ, -ტ-უხ და -ნ-უხ) და, მაშასადამე, იგი არც ფუძისაა და არც რომელიმე ბრუნვის ნიშნის კუთვნილება, ამას თავის მხრივ ნათელს ხდის ამ ჩუქუფში შემავალ ისეთ ნ ა ს ე ს ხ ე ბ სახელთა ბრუნებაც, როგორცაა, მაგალითად: ა შ (საქმე), ა რ ხ (არე, არხი), ხ ა ლ ხ (ხალხი), ყ უ შ (ჩოტი: ფრინველი), ზ ა ნ გ (ზარი), ხ ა ჩ (ჭვარი), კ ო ჭ —კ ო ტ (ტარი), ჯ ა მ (ჯამი), ყ ა ზ (ბატი), ხ ა მ (ხამი), შ ა მ (სანთელი), ფ ი ლ (სპილო), დ უ ზ (სწორი; მოვაკებული), ვ ა რ დ (ვარდი) და მისთ. ყველა ეს ნასესხები სახელი ერთმარცვლიან უდიდურ არსებით სახელთა ბრუნების საერთო ტიპის მიხედვით იბრუნვის; სახელდობრ, ასე:

სახ.	აშ	ნალ	ვარდ
ერგ.	აშ-ენ  აშ-ლ-ენ	ნალ-ენ	ვარდ-ენ
ნათ.	აშ-ნ-აჲ  აშ-ლ-აჲ	ნალ-ლ-აჲ—ნალ-ნ-აჲ	ვარდ-დ-აჲ—ვარდ-ნ-აჲ
მიც.	აშ-ნ-უხ  აშ-ლ-ახ	ნალ-ლ-უხ—ნალ-ნ-უხ	ვარდ-დ-უხ—ვარდ-ნ-უხ...

ამ პარაგრაფში ჩამოთვლილი ყველა სხვა სახელი ასევე იბრუნვის. ბრუნვის ფორმათა ამ პარადიგმების მიხედვით ერთი ასეთი განმარტებაცაა შესაძლებელი: -ნ (და -ლ) შესაძლოა მართლაც ჩანართი ელემენტი იყოს და ეტიმოლოგიურად ერგატიული ბრუნვის -ენ ნიშანს დაუკავშირდეს: ნ—ენ; შდრ., მაგალ.: ხაჩ-ენ (ჭვარმა), ხაჩ-ნ-აჲ—\*ხაჩ-ენ-აჲ (ჭვრისა), ხაჩ-ნ-უხ—\*ხაჩ-ენ-უხ (ჭვარს)... მაშასადამე, -ნ ელემენტი ერგატიული ბრუნვისა იქნება თუ ნაცვალსახელური წარმომავლობის ტ- ელემენტის ფარდი, სულ ერთია, მას საწარმოებელი ფუძის ოდინდელ კუთვნილებად ვერ მივიჩნევთ.

7. ბრუნვათა პარადიგმებიდან კარგად ჩანს, რომ ყველა თანდებულიანი ბრუნვა იწარმოება მიცემითში დასმულ სახელზე დაყრდნობით. ყურადღებას აპყრობს ისიც, რომ ამ საყრდენი ფორმის მაწარმოებელი ფონეტიკურად ერთგვაროვანი არ არის; აბლატივისა და კომიტატივის საყრდენად აქვს მიცემითის -ახ სუფიქსიანი ფუძე (ვართაშნ. ადამარ-ა ხ-ო, ადამარ-ა ხ-ოლან: ნიჯ.: ამდარ-ა ხ-უნ...), ადესივს — მიცემითის -ახ სუფიქსიანი ფუძე (ვართაშნ.: ადამარ-ა ს-ტა, ნიჯ.: ამდარ-ა ს-ტ-ა...), ხოლო ალატივისა და სუპერესივის — მიცემითის -ა

<sup>1</sup> -ტაჲ და -ტუხ რომ ბრუნეაველებადი ნაცვალსახელია, ეს კარგად ჩანს, კერძოდ, გენეტიკური (ნათესაობით-სუბიექტიანი) და დატიური (მიცემით-სუბიექტიანი) კონსტრუქციის წმენბში; შდრ., სახელდობრ: ბუ-ტ ა ჯ (მყოფი-მ ი ს ი) „აქვს“ აბა-ტ უ ხ (მცოდნე-მ ა ს) -რცის — იხ. ქვემ. ზმნის კონსტრუქციები.

სუფიქსიანი ფუძე (ვართ. ადამარ-ა-ჰ. ნიჯ. ამდარ-ა-ჩ, ვართ. ადამარ-ა-ლ, ნიჯ. ამდარ-ა-ლ...). აქედან -ახ||-ა ამჟამინდელ უდიურში მოქმედი, ცოცხალი აფიქსია მიცემითისა (იხ. ზემ.); -ას სუფიქსი კი ამ ფუნქციით ცალკე არ იხმარება (ამგვარი ან ამის ფარდი სუფიქსი მოეპოვებათ თვისტომ ენებს — წახურს, მუხადურს და სხვ. — შღრ., მაგალ.: ზე (ზე) — მიცემ. ზ ა ს; ვე (ვენ) — მიცემ. ვ ა ს. ისე, რომ -ახ და -ას სუფიქსთა ფონეტიკურ-მორფოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხი მხოლოდ უდიურის მონაცემებზე დაყრდნობით ვერ აიხსნება. ერთი კი ცხადია: -ახ და -ას სინონიმური მნიშვნელობის მორფემებია.

8. ყურადღებას იპყრობს უდიურ ბ ე ზ ი (ჩემი), ბ ე შ ი (ჩენი) და ე ქ ი (თქვენი) კუთვნილებით ნაცვალსახელთა თავიკიდური მარცვალი ბე- და -ე; ორივე ეს ელემენტი დახასიათებულია — როგორც კლას-კატეგორიის გაქვეყნებული პრეფიქსები (ივ. ჭავჭავაძის მიხედვით). ჭერჯერობით სხვაგვარი ახსნა ამ თავიკიდურ ელემენტებს არა აქვს.

9. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მოწოდებული ცნობების, კერძოდ ა. ღირის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა წყალობით წამოჭრილია უდიურში აკუზატივის არსებობის პრობლემა: უდიურ ბრუნვათა შორის დასახელებულია ბრალდებითი ბრუნვა (винительный падеж), რომლის მაწარმოებლად მიჩნეულია -ახ, -ეხ, -უხ, -ოხ სუფიქსები, რამდენადაც ამით გამოხატული სახელი წარმოადგენს პირდაპირ დამატებას, თუმცა ამის დასაბუთება არც ა. ღირსა და არც იმას, ვინც მის შრომებს ეყრდნობა, არ მოუცია. მანამდე ბრუნვის ეს ფორმა ა. შიფანის მიერ მიჩნეულია აფექტივად (Affectiv) და ფუნქციის მიხედვით შეფარდებულია აკუზატივთან (იხმარება სხვა ენათა აკუზატივის ნაცვალად). ფრ. მაულერი და რ. ერკერტი აღნიშნულ ფორმას აკუზატივის უწოდებენ. 3. შუხართი, მართალია, ამ ფორმას მიიჩნევს აკუზატივის მნიშვნელობისად, მაგრამ დასძენს: იგი გარკვეულ შემთხვევაში მიცემითს უტოლდება. ი. მეშჩანინოვმა საჭიროდ დაინახა, დაეყენებინა უდიური ბრალდებითი ბრუნვის შესახებ ა. ღირის მიერ მოწოდებულ ცნობათა შემოწმების საკითხი (რამდენადაც ეს ბრუნვა საერთოდ არ არის დამახასიათებელი ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენისთვის). ვლ. ფანჩიძემ უდიური ენის ორივე კილოს მონაცემთა მოხმობით ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა და დაასკვნა, რომ აკუზატივად მიჩნეული -ახ, -ეხ, -უხ, -ოხ ფორმანიანი ბრუნვის ფორმა მიღებულია მიცემითის დიფერენციაციით და მას უწოდა ჭერ ე. შ. „აკუზატივი“, ხოლო შემდეგ — „მეორე მიცემითი“, ე. ი. ეს ბრუნვა მანც ძალაში დარჩა, როგორც პირდაპირი დამატების გამოხატველი ფორმა, თუმცა, როგორც ითქვა, მიჩნეულ იქნა მეორეულ მორფოლოგიურ მოვლენად.

ამ ენის დიალექტთა და თვისტომ ენათა სათანადო მონაცემების ერთმანეთთან შეჯერება-შედარების შედეგად ირკვევა, რომ აკუზატივად (ბრალდებით ბრუნვად), თუნდაც „ე. შ. აკუზატივად“ ან „მეორე მიცემითად“ მიჩნეული (ე. ი. პირდაპირი დამატების აღნიშვნელი) სპეციალური ფორმა უდიურს არ მოეპოვება. -ახ-ეხ, -ოხ დაბოლოებიანი ბრუნვა სინტაქსურად ისეთივე ან იმავე ფუნქციის მქონეა, როგორც -ხ თანხმოვნის გარეშე. მიცემითის -ა, -ე, -უ, ო მაწარმოებელს აქვს. ისე, რომ აკუზატივად მიჩნეული ფორმა იგივე მიცემითი ბრუნვაა. სხვანაირად რომ ვთქვათ: -ახ, -ეხ, -უხ—ოხ და -ა, -ე, -უ,—ო მაწარმოებლები ერთიმეორის ფონეტიკური ვარიანტებია: პირველი (-ახ, -ეხ, -უხ, -ოხ) სრული სახის ფორმანტია, ხოლო მეორე (ა, ე, -უ, -ო) — მისი ფონეტიკური



სახესხვაობა (გამარტივებული სახეობა); სინტაქსურად ორივე ამ ვარიანტს აქვს ერთნაირი ფუნქციები: ერთიცა და მეორეც თანაბრად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი დამატების გამოსახატავად. შდრ., მაგალ., 1) ფასქადენ ააყანებსა მე ღარახ (ზღაბ. „რუსტამიდან“) — „მეფე გზაენის ამ ვაეს“; თანეშ-სა შეჯათანენ შოტუ... ალაღუ ბურღოლ „მიჰყავს ეშმაქს იგი... მაღალ შთაზე“ (ოთხთ.: შთ., IV, 8); 2) ვაჲ ფინე შოტუ „და ეუნებამას“ (შთ. IV. 6, 9); ვაჲ ფინე შოტლოხ (შთ. IV, 19) — „და ჰრქუა (უთხრა) „შათ“... ამასთან. ორივე ვარიანტი ერთნაირადაა გამოყენებული დროისა და ადგილის გარემოების გამომხატველ ფორმად, თანაც ერთნაირად მიუყვებას კითხვაზე: „სად — куда და где“-ს მნიშვნელობით. მაგალ.: შვარან||შვარანხ „ქალაქს“, „ქალაქში“, „ქალაქად“, გაღა||გაღა||განხ||განხუ||განხუხ „ადგილას“, „ადგილზე“...; ფაქი||ფაქიხ „ბაღს“, „ბაღში“. კაჲჲანე||კაჲჲანეხ „მინდორში“, „მინდვრად“; „ფაჲჲიხ||ფაჲჲიხხ „შემოდგომაზე“; ენე||ენეხ „ამიერიდან“...

-ახ რომ მიცემითის ფორმაა, ეს ნათლად ჩანს აგრეთვე მიცემით-სუბიექტიანი (resp. ირიბ-ობიექტიანი) ზმნებიდანაც; მაგალ.: აბა-ზახ (ვიცი), აბა-ვახ (იცი), აბა-ტუხ (იცის)...; ანდა (ნიჭური): ზახ-პუ (მაქვს), ვახ-პუ (გაქვს), ტუხ-პუ (მას აქვს). — ისე, რომ უდიურს არ მოეპოვება არც აკუ-ზატივი (ბრალდებით ბრუნვა) და არც ეგრეთწოდებული აკუზატივი, ან მეორე მიცემითი (იხ. ქვემ. სინტაქსი: დამატების ფორმები).

## ზ მ ნ ა

როგორც ზემოთაც აღინიშნა, უდიური ზმნა არ ხასიათდება მორფოლოგიურ კატეგორიათა მრავალფეროვნებით. უდიურ ზმნაში სპეციალური აფიქსებით არ გამოიხატება, მაგალითად, მრავლობითი რიცხვი; მოშლილია კლას-კატეგორია; ზმნათა მხოლოდ ერთი ჯგუფის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ გვარის კატეგორიის ჩანასახებზე და ასპექტის კატეგორიის გადმონაშთებზე; პრევერბის ხასიათის ელემენტებიც ჩანასახის სახით გვხვდება.

უდიური ზმნისათვის სისტემებში ნიშანდობლივია მხოლოდ პირისა და დრო-კილოთა ფორმების არსებობა.

### უდიური ზმნა სტრუქტურულად

უდიურს მოეპოვება როგორც მარტივი, ისე რთული აგებულების ზმნები. ამათგან პირველი ჯგუფის (ე. ი. მარტივი) ზმნებს აქვთ ასეთი მოდელები:

1. ზმნები, რომელთა საყრდენად გამოყენებულია ღია ან დახურული მარცვლის სახით წარმოდგენილი პირველადი (ნეიტრალური) ფუძე-ძირი, რომელსაც მოსდევს ყველა სხვა მორფემა<sup>1</sup>; ასეთებია, მაგალითად, აკ-, აყ-, ეწ-, ოწ-, ახა-, პოჲ-, წორო-, ბარ-, ბოშ-, გირ-, გურ-, ჩურ-, ჭურ-, ჯარ-, ეალ-, კაწ-, კუწ-, ჩუხ-, დოჲფ-, ცამ-, ღაჩ, ა-, კე-პა-, ე-, ა-, ლა||ლაჲ, ცი- ფუძე-ძირისეულ ელემენტთა შემცველი ზმნები; სახელდობრ:

<sup>1</sup> ამ მორფემათა გარეშე, აღნიშნული სახის ფუძე-ძირთა უმრავლესობის ლექსიკური მნიშვნელობა (სემანტიკა) აშეამდ ცოცხალი არ არის.

1) აჲ-: აჲ-ეს-უნ (დანახვა, გამოჩენა): აჲ-ნე-სა—აჲ-ნე-ესა (ჩანს...): აჲ-ნე-ცჲ (გამოჩნდა); აჲ-ელ-ალ-ლე—აჲ-ელ-ალ-ნე (გამოჩნდება, დასანახი გახდება)...

2) აჲ-: აჲ-ეს-უნ (აღება, აყვანა; გადატ. გაკვირება. გაოცება, განცვიფრება): აჲ-ნე-სა (აიღება. აიყვანება, აღება, აყვანა ხდება; უკერს. გაკვირებულთა. გაოცებულთა); აჲ-ნე-ცჲ (აღებულ იქნა, აყვანილ იქნა; გაოცდა, განცვიფრდა); აჲ-ელ-ალ-ლე (აიღება, აიყვანება; გაუკვირდება, გაოცდება. განცვიფრდება)...

3) ეწ-: ეწ-ეს-უნ (შეშრობა. მკირედ გაშრობა): ეწ-ნე-სა (მკირედ შრება): ეწ-ნე-ცჲ (მკირედ გაშრა, შეშრა); ეწ-ელ-ალ-ლე (მკირედ გაშრება. შეშრება)...

4) ოწ-: ოწ-ეს-უნ (გარეცხვა, ჩამორეცხვა): ოწ-ნე-სა (გარეცხება. ჩამორეცხება); ოწ-ნე-ცჲ (გარეცხა, ჩამორეცხა); ოწ-ელ-ალ-ლე (გარეცხება. ჩამორეცხება)...

5) ახა-: ახა-ეს-უნ (აკიდება, ზურგზე ჩამოკიდება): ახა-ნე-სა (ზურგზე ეკიდება); ახა-ნე-ცჲ (ჩამოეკიდა, აეკიდა ზურგზე); ახა-ელ-ალ-ლე (ჩამოეკიდება, დაეკიდება ზურგზე)...

6) პოჲ-: პოჲ-ეს-უნ (საკმარისობა, საკმარისად, საკმაოდ მოპოვება): პოჲ-ნე-სა—პოჲ-ნე-ესა (საკმარისია, საკმაოა, ჰყოფნის); პოჲ-ელ-ალ-ლე (საკმარისი, საკმაო იქნება, ეყოფა)...

7) წორო-: წორო-ეს-უნ (წურწურით. წვეთ-წვეთად დინება); წორო-ნე-სა (წურწურით, წვეთ-წვეთად სდის, ედინება, ჩამოდის, იღვენთება); წორო-ნე-ცჲ (წურწურით, წვეთ-წვეთად წამოვიდა, დაიწურა; ჩამოიღვენთა); წორო-ელ-ალ-ლე (წურწურით, წვეთ-წვეთად წამოვა, დაედინება; ჩამოიღვენთება)...

8) ბარ-: ბარ-ეს-უნ (ცვენა; ფანტვა; ღვრა); ბარ-რე-სა—ბარ-ნე-სა (ცვივა, იფანტება; იღვრება), ბარ-რე-ცჲ (დაცვივდა, დაიფანტა, დაიღვრა).

9) ბოშ-: ბოშ-ეს-უნ (დაფლვა, ჩაფლვა, დამარხვა): ბოშ-ნე-სა (იფლობა, იმარხება); ბოშ-ნე-ცჲ (დაიფლო, დაიმარხა); ბოშ-ელ-ალ-ლე (დაიფლობა, ჩაიფლობა, დაიმარხება)...

10) გირ-: გირ-ეს-უნ (მოგროვება, თავის მოყრა): გირ-რე-სა (გროვდება, თავს იყრის); გირ-რე-ცჲ (მოგროვდა, თავი მოიყარა); გირ-ელ-ალ-ლე (მოგროვდება, თავს მოიყრის)...

11) გურ-: გურ-ეს-უნ (წაქცევა): გურ-რე-სა (იქცევა); გურ-რე-ცჲ (წაიქცა); გურ-ელ-ალ-ლე (წაიქცევა)...

12) ჯარ-: ჯარ-ეს-უნ (წვა, ხრუტვა): ჯარ-რე-სა (იწვება, იხრუტება); ჯარ-რე-ცჲ (დაიწვა, დაიხრუტა); ჯარ-ელ-ალ-ლე (დაიწვება, დაიხრუტება)...

13) კაწ-: კაწ-ეს-უნ (წყდომა; ამოწყდომა, ხოცვა): კაწ-ნე-სა (წყდება; იხოცება); კაწ-ნე-ცჲ (გაწყდა; ამოწყდა, დაიხოცა); კაწ-ელ-ალ-ლე (გაწყდება; ამოწყდება, დაიხოცება)...

14) შამ-: შამ-ეს-უნ (კვლა): შამ-ნე-სა (იკვლება); შამ-ნე-ცჲ (დაიკლა. დაკლულ იქნა); შამ-ელ-ალ-ლე (დაიკვლება)...

15) ჟალ-: ჟალ-ეს-უნ (დუღილი, დუღება): ჟალ-ლე-სა—ჟალ-ნე-სა (დუღდება); ჟალ-ლე-ცჲ (აღუღდა, მოღუღდა); ჟალ-ელ-ალ-ლე (აღუღდება, მოღუღდება)...

16) ჭურ-: ჭურ-ეს-უნ (გრება): ჭურ-რე-სა—ჭურ-ნე-სა—ჭურ-ნე-ესა (იგრება); ჭურ-რე-ცჲ (დაიგრინა); ჭურ-ელ-ალ-ლე (დაიგრინება)...

17) ჩურ-: ჩურ-ეს-უნ (გავლა, გასეირნება ნიჭ. დიალ.: შეყვარება, სიყვარული); ჩურ-რე-სა (გაივლის, მიდი-მოდის, სეირნობს...); ჩურ-რე-ცე (გაი-არ-გამოიარა. გასეირნა...); ჩურ-ელალ-ლე (გაივლ-გამოვივლის, გასეირნებს...).

18) ჩუხ-: ჩუხ-ეს-უნ (შეკრა, ძვრომა, შეჩხვრა); ჩუხ-ნე-სა (იჩრება, ძვრე-ზა, ეჩხირება); ჩუხ-ნე-ცე (შეიჭრა, შეძვრა, შეეჩხირა); ჩუხ-ელალ-ლე (შეიჭრე-ზა, ჩაიჩრება. შეეჩრება, შეძვრება, შეეჩხირება)...

19) კუწ-: კუწ-ეს-უნ (დასკუპება); კუწ-ნე-სა (დასკუპდება); კუწ-ნე-ცე (დასკუპდა); კუწ-ელალ-ლე (დასკუპდება)...

20) ყუპ-: ყუპ-ეს-უნ (შეკუყუნვა, შეჩრა, ჩატენა); ყუპ-ნე-სა (იკუყუნება, იჩრება, ჩაიტენება); ყუპ-ნე-ცე (შეიკუყუნა, შეიჩრა, ჩაიტენა); ყუპ-ელალ-ლე (შეკუყუნება, შეიჩრება, ჩაიტენება)...

21) ღოფ-: ღოფ-ეს-უნ (სკდომა). ღოფ-ნე-სა (სკდება), ღოფ-ნე-ცე (გასკდა); ღოფ-ელალ-ლე (გასკდება)...

22) ცამ-: ცამ-ეს-უნ (წერა); ცამ-ნე-სა (იწერება); ცამ-ნე-ცე (დაიწერა); ცამ-ელალ-ლე (დაიწერება)...

23) ლაჩ-: ლაჩ-ეს-უნ (შეკვრა; გადატ. შეკავშირება); ლაჩ-ნე-სა (იკვრება; შეკავშირება ხდება); ლაჩ-ნე-ცე (შეიკრა, შეუკავშირდა); ლაჩელალ-ლე (შეიკვრება, შეკავშირდება)....

24) ჯამ-: ჯამ-ეს-უნ (გაღება, გახსნა); ჯამ-ნე-სა (იღება, იხსნება); ჯამ-ნე-ცე (გაიღო, გაიხსნა); ჯამ-ელალ-ლე (გაიღება, გაიხსნება)...

25) ჭე-: ჭე-ს-უნ—ჭე-ეს-უნ (გასვლა, გამოსვლა); ჭე-ნე-სა (გადის, გამოდის); ჭე-რე-ნე (გავიდა, გამოვიდა); ჭე-ლალ-ლე (გავა, გამოვა)...

26) ბა-ა, ბა-; ბა-ს-უნ—ბა-ეს-უნ (ნიჭ. ბა-ს-უნ—ბა-ეს-უნ) შესვლა; ბა-ნე-სა||ბა-ნე-სა (შედის), ბა-ნე-ცე||ბა-ნე-ცე (გავიდა, გამოვიდა); ბა-ლალ-ლე||ბა-ლალ-ლე (გავა, გამოვა).

27) ე-; ა-: ე-ს-უნ—ე-ეს-უნ||ე-მს-უნ (მოსვლა); ე-ნე-სა (მოდის); ა-რ-ე-ნე (მოვიდა); ე-ლალ-ლე (მოვა)...

28) თა-: თა-მს-უნ—თა-ის-უნ—თა-ეს-უნ (წასვლა); თა-ნე-სა—თა-ნე-ეს-ა (მიდის); თა-ნე-ცე (წავიდა); თა-ლალ-ლე (წავა).

29) ლამ-; ლა-: ლამ-სუნ, ნიჭ. ლა-ს-უნ—ლა-ეს-უნ (ასვლა); ლამ-ნე-სა (ადის); ლამ-ნე-ცე (ავიდა); ლამ-ლალ-ლე (ავა)...

30) ცი-: ცი-სუნ—ცი-ეს-უნ (ჩასვლა); ცი-ნე-სა (ჩადის); ცი-რე-ნე (ჩავიდა); ცი-ლალ-ლე (ჩავა)...

დასახელებულ ფუძე-ძირთა უმრავლესობის სემანტიკა (ლექსიკური მნიშვნელობა) მათზე დართული სხვა მორფემებისა თუ ფორმანტების გარეშე, ცოცხალი არ არის; სხვანაირად რომ ვთქვათ, ასეთი ფუძე-ძირები (ზოგის გამოკლებით) ცალკე ლექსიკურ ერთეულად არ იხმარება და, მაშასადამე, არ გამოხატავს რაიმე საგნობრივ მნიშვნელობას. გამონაკლისია ცამ, ლაჩ, ჯამ, რომლებსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ (ცამ „ნაწერი“, „ასო-ნიშანი“, ლაჩ „შეკრული რამ“. ჯამ „ღია“). ერთი ჯგუფის ზმნებში კი (იხ. მაგალითება: §5 25-30) გვაქვს ისეთი ფუძე-ფორმები, რომლებიც გამოხატავენ ერთმანეთთან დაპირისპირებულ ადგილ-მიმართულებას. ეს ზმნები საპირისპირო ადგილ-მიმართულების მიხედვით რომ დაეაწყვილოთ, ასეთი სურათი გვექნება:

1) ე-სუნ „მო-სვლა“ — თამ-სუნ, თა-სუნ „წა-სვლა“; 2) ჭე-სუნ „გა-სვლა“ — ბამ-სუნ, ბა-სუნ, „შე-სვლა“; 3) ლამ-სუნ „ა-სვლა“ — ცი-სუნ „ჩა-

სვლა. როგორც ჩანს, ამ საყრდენ ფუძე-ძირებს ოდესღაც ადევრბიალური მნიშვნელობა ჰქონდათ და, მაშასადამე, თითოეული მათგანი ოდითგან სრული მნიშვნელობის სიტყვა იყო; ამჟამად ასეთი მნიშვნელობა დაიკარგა და ყოველმან ამგვარმა თავიკლურმა ელემენტმა სხვა ენათა პრევერბის ადგილი დაიჭირა<sup>1</sup>.

2. ზმნები, რომელთა საყრდენად ამჟამად გამოყენებულია ერთი თანხმოვნისაგან შემდგარი ძირი, რომელსაც წინ შეზრდილი აქვს გაქვეებული სახის ერთმარცვლიანი მორფემა, ხოლო ბოლოში მოსდევს რაიმე სხვა (ცოცხალი) ფორმანტი ან ფორმანტები; ასეთებია, მაგალითად, ბა-ქ-, ბაქ-, ბი-ხ-, ბი-ყ-, ბო-კ-, ბო-შ-, ბო-ტ-, ბო-ს-, ბო-ხ-, ბო-ყ და მისთ. ფუძე-ძირთა შემცველი ზმნები, სახელდობრ:

1) ბა-ქ-<sup>2</sup> ბაქსუნ—ბაქ-ეს-უნ (ყოფა, არსებობა, გახდომა, დაბადება): ბა-ნე-ქ-სა—ბა-ნე-ქ-ეს-ა (არის ხოლმე, არსებობს, ხდება; იბადება); ბა-ნე-ქე, ბა-ნე-ქ-ი (იყო, იარსება, გახდა, დაიბადა); ბა-ქალ-ლე—ბა-ქ-ალ-ნე (იქნება, იარსებებს, გახდება; იბადება)...

2) ბა-ჭ-<sup>3</sup> ბაჭსუნ—ბა-ჭ-ეს-უნ (შეძლება): ბა-ტუ-ქ-სა—ბა-ტუ-ქ-ეს-ა (შეუძლია, ძალუძს): ბა-ტუ-ქე, ბა-ტუ-ქ-ი (შეძლო); ბა-ქ-ალ-ტუ (შეეძლება)...

3) ბაქ-<sup>4</sup> ბაქ-ეს-უნ (მჭონობა, ხელთქონა, მოპოვება): ბა-ქ-ნე-სა—ბა-ქ-ნე-ეს-ა (ხელთაა, მოიპოვება, იშოვება); ბა-ქ-ნე-ცე; ბა-ქ-ნე-ცი (ხელთ იყო, მოიპოვეს, იშოვეს); ბა-ქ-ელ-ალ-ლე (მოიპოვებენ, იშოვიან, მოიპოვება, შოვნა შესაძლებელი იქნება).

4) ბი-ხ-<sup>5</sup> ბიხსუნ—ბი-ხ-ეს-უნ (შობა, დაბადება): ბი-ნე-ხ-სა—ბი-ნე-ხ-ეს-ა (შობს, ბადებს); ბი-ნე-ხ-ე, ბი-ნე-ხ-ი (შვა, დაბადა); ბი-ხ-ალ-ლე (შობს, დაბადებს)...

5) ბიხ-<sup>6</sup> ბიხ-ეს-უნ (შობა-დაბადება): ბიხ-ნე-სა—ბიხ-ნე-ეს-ა (იშობა, იბადება); ბიხ-ნე-ცე, ბიხ-ნე-ცი (იშვა, დაიბადა); ბიხ-ელ-ალ-ლე (დაიბადება)...

6) ბი-ყ-<sup>7</sup> ბიყსუნ—ბი-ყ-ეს-უნ (პყრობა, დაჭერა; აგება, აშენება): ბი-ნე-ყ-სა (იპყრობს, იჭერს; აგებს, აშენებს); ბი-ნე-ყ-ე, ბი-ნე-ყ-ი (იპყრო, დაიჭირა; ააგო, ააშენა, ააშენა); ბი-ყ-ალ-ლე (დაიპყრობს, დაიჭერს, შეიპყრობს; ააგებს, ააშენებს)...

7) ბი-ყ-<sup>8</sup> ბი-ყ-ეს-უნ (პყრობა, დაჭერა; აგება, აშენება): ბი-ყ-ნე-სა (იპყრობენ, იჭერენ; იგება, შენდება); ბი-ყ-ნე-ცე, ბი-ყ-ნე-ცი (პყრობილ, დაჭერილ იქნა; აიგო, შენდა); ბი-ყ-ელ-ალ-ლე (პყრობილ, დაჭერილ იქნება; აიგება, აშენდება)...

8) ბო-კ-<sup>9</sup> ბოკსუნ—ბო-კ-ეს-უნ (წვა, ხრუკვა), ბო-ნე-კ-ს-ა (იწვება, იხრუკე-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ასეთი ადგილ-მომართულების აღმნიშვნელი თავიკლური ელემენტები გუხედება გარდამავალ ზმნებშიაც: შდრ., მაგალ.: ბა-ჩესუნ (შეტანა, შეყვანა), ბა-საქსუნ (შევიდება, შედება) ჰე-ე-ესუნ (გაგდება, დათხოვნა), ცი-ე-ესუნ (ჩამოტანა, ჩამოყვანა), ლა-ჩესუნ (ატანა, აყვანა), ლა-ე-ესუნ (აცემა, ასხმა). თა-შ-შუნ—თაშუნ—თა-შესუნ (წალება, წაყვანა); ანგეარსავე ელემენტებს ეხედებით ისეთ ზმნებშიაც, როგორიცაა, მაგალითად, ჰე-ბაქსუნ "გადასვლა", ჰე-ჭ-ტესუნ—ჰე-ე-დესუნ "გამოვარდნა", "გამოძრობა", "გამოძრომა" და სხვ. — იხ. ქვეშ. პრევერბის ჩანასახები უღიურში.

<sup>2</sup> ნომინატიური კონსტრუქციით.

<sup>3</sup> დატიური კონსტრუქციით.

<sup>4</sup> ერგატიული კონსტრუქციით.

<sup>5</sup> ნომინატიური კონსტრუქციით.

<sup>6</sup> ერგატიული კონსტრუქციით.

<sup>7</sup> ნომინატიური კონსტრუქციით.

ბა); ბო-ნე-ეე, ბო-ნე-ეი (დაიწვა. დაიხრუკა); ბო-კ-ალ-ლე (დაიწვება. დაიხრუკება)...  
9) ბოშ: ბოშშენ—ბოშსუნ—ბო-შ-ეს-უნ (ძღომა); ბო-ნე-შშ-ა—ბო-ნე-შ-ს-ა—ბო-ნე-შ-ეს-ა (ძღება); ბო-ნე-შ-ე, ბო-ნე-შ-ი (გაძლა); ბო-შალ-ლე (გაძლებდა)...  
10. ბო-ტ-<sup>1</sup>: ბოტსუნ—ბოტსუნ—ბო-ტ-ეს-უნ (წყვეტა, ჭრა); ბო-ნე-სტა—ბო-ნე-ტსა—ბო-ნე-ტ-ეს-ა (წყვეტს; ჭრის); ბო-ნე-ტ-ე, ბო-ნე-ტ-ი (წყვიტა. გაჭრა); ბო-ტალ-ლე (გაწყვეტს, შეწყვეტს, გაჭრის, გამოჭრის)...  
11) ბო-ტ-<sup>2</sup>: ბოტესუნ (წყდომა; ჭრა); ბო-ტ-ტე-სა—ბო-ტ-ნე-სა (წყდება; ჩ-რება); ბო-ტ-ტე-ცე, ბო-ტ-ტე-ცი (შეწყდა; გაიჭრა); ბო-ტ-ელალ-ლე (შეწუღება, გაიჭრება)...  
12) ბო-ხ-: ბოსსუნ—ბოს-ეს-უნ (გადაგდება, გადასროლა, გადაყრა); ბო-ნე-სსა—ბო-ნე-ს-ეს-ა (აგდებს; ყრის); ბო-ნე-ს-ე, ბო-ნე-ს-ი (გადააგდო, გადაისროლა, გადაყარა); ბო-სალ-ლე (გადააგდებს, გადაყარის)...  
13) ბო-ხ-<sup>3</sup>: ბოხსუნ—ბო-ხ-ეს-უნ (ხარშვა); ბო-ნე-ხსა—ბო-ნე-ხ-ეს-ა (ხარშავს); ბო-ნე-ხ-ე, ბო-ნე-ხ-ი (მოხარშა, ხარშა), ბო-ხალ-ლე (მოხარშავს)...  
14) ბო-ხ-<sup>4</sup>: ბოხესუნ (ხარშვა); ბოხ-ნე-სა (იხარშება); ბოხ-ნე-ცე, ბოხ-ნე-ცი (მოიხარშა, იხარშა); ბოხ-ელალ-ლე (მოიხარშება)...  
15) ბო-ყ-<sup>5</sup>: ბოყსუნ ← ბოყ-ეს-უნ (კრეფა); ბო-ნე-ყ-სა ← ბო-ნე-ყ-ეს-ა (ბკრეფს); ბო-ნე-ყ-ე, ბო-ნე-ყ-ი (მოკრიფა, კრიფა); ბო-ყალ-ლე (მოკრეფს)...  
16) ბო-ყ-<sup>6</sup>: ბოყესუნ (კრეფა); ბო-ყ-ნე-სა ← ბო-ყ-ნე-ეს-ა (იკრიფება); ბო-ყ-ნე-ცე, ბო-ყ-ნე-ცი (მოიკრიფა); ბო-ყ-ელალ-ლე (მოიკრიფება)...

პირველი მუხლით გათვალისწინებული ზმნების კვალობაზე შეგვეძლო ეს ფუძე-ძირებიც (ბა-ქ-, ბა-ჯ-, ბი-ხ-, ბი-ყ-, ბო-კ-, ბო-შ-, ბო-ტ-, ბო-ს-, (ბო-ხ-, ბო-ყ- და მისთ.) არ დაგვეშალა და წარმოგვედგინა დიფულურად, მაგალითად, ასე: ბაქ-, ბაჯ-, ბიხ-, ბიყ-, ბოკ-, ბოშ-, ბოტ-, ბოხ-, ბოყ- და ა. შ.<sup>7</sup> მაგრამ ჩვენ ეს ფუძე-ძირები მაინც დავშალეთ იმის გამო, რომ უღვლილების კერძოდ—პირის კატეგორიის წარმოების, დროს ეს ფუძეები იხლინებოდა სწორედ იმგვარად, როგორც ზემოთ წარმოვადგინეთ, ხოლო ამ ფუძე-ძირთა გახლენილ თუ დაშლილ ელემენტთა შორის მოექცევა ხოლმე პირის ნიშანი. რაც თავის მხრივ იწვევს ზოგიერთი (ალტერნაციული) საკითხის დასმას; სახელდობრ, ასე: ან აქაც პირველ მუხლში დასახელებულ (აკ, აყ, ეწ, ოწ, ახა. ბარ. ბოშ, გირ, ჭარ და მისთ.) ფუძეთა მსგავსად გვაქვს პირველადი (ნეიტრალური, წმინდა) ფუძეები, რომლებშიც პირის ნიშანი მოექცევა ხოლმე ინფიქსაციის შედეგად; ან არა-და, აქ გვაქვს ორი მორფემისაგან შემდგარი ფუძეები, სადაც პირველი მორფემა (ბა-, ბი-, ბო- და მისთ. მარცხლის სახით წარმოდგენილი თავ-

<sup>1</sup> ერგატული კონსტრუქციით.

<sup>2</sup> ნომინატიური კონსტრუქციით.

<sup>3</sup> ერგატული კონსტრუქციით.

<sup>4</sup> ნომინატიური კონსტრუქციით.

<sup>5</sup> ერგატული კონსტრუქციით.

<sup>6</sup> ნომინატიური კონსტრუქციით.

<sup>7</sup> ისევე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ ზმნათაგან ზოგიერთ გარდაუვალ (res.) ენებით ვვარის შინაარსის) ზმნაში. შდრ.: ბაქ-ნე-სა (მოიპოვება), ბოხ-ნე-სა (იხადება), ბიყ-ნე-სა (იკრეფენ, იპყრობენ), ბოტ-ტე-სა—ბოტ-ნე-სა (წყდება, იჭრება), ბოხ-ნე-სა (იხარშება) და მისთ.

კილური ელემენტი) გენეტურად ფორმანტია, ხოლო ამისი მიმყოლი მეორე მორფემა (ერთი თანხმოვანი ან ერთი მარცვლი) წარმოადგენს ძირისეულ ელემენტს. პირიან ფორმებში ამ ორ მორფემას შორის მოქცეული ელემენტი კი სხვა პრეფიქსად გამოყენებული პირის ნიშანია. დანარჩენი მორფემები თუ ფორმანტები სხვადასხვა ფუძე-ფორმაში მოსდევნენ აქ დასახელებულ ს ა ყ რ დ ე ნ ფუძე-ძირს (იხ. ზემ. ნიმუშები. სხვა მაგალითები დასახელებული იქნება ქვემოთ ზმნის ამა თუ იმ მორფოლოგიურ კატეგორიაზე მსჯელობის დროს).

ორივე ეს (ერთმანეთის საპირისპირო) განმარტება სწორი მოგვეჩვენება იმის-და მიხედვით, თუ რა თვალსაზრისზე დავდგებით. წმინდა სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე (სინქრონულად თუ მიუდევებით ამ ფაქტს) ამ განმარტებათაგან პირველი (საყრდენ ფუძე-ძირთა ერთმარცვლიანობა) უნდა იყოს სწორი: მაგრამ, თუ დავეყრდნობით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უდიურს ინფიქსები არ მოეპოვება, ამასთან, უდიური ენის ამ მასალას თუ შევუდარებთ თვისტომ ენათა სათანადო მონაცემებს, მაშინ შეიძლება მეორე განმარტება მოგვეჩვენოს უფრო სწორად (რომ აქ გვაქვს ერთთანხმოვანი ძირი, რომელსაც თავიღურ ელემენტად შეზღვილი აქვს რაღაც ფორმანტი)!

მეორე ჯგუფის (ე. ი. კომპოზიტი) ზმნების მოდელები კი ასეთია:

1. კომპოზიტი-ზმნები, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილია სახელია წმინდა (მარტივი) ფუძე, რომელსაც ერთის მეშველი ზმნა — ამასთან ისე, რომ ცალ-ცალკე ორივე ეს ნაწილი ცოცხალი ლექსიკური ერთეულია. ასეთი ზმნებია, მაგალითად: ა შ ბ ე ს უ ნ „მუშაობა“ (ა შ „საქმე“, ბ ე ს უ ნ „კეთება“), შ ე ლ ბ ე ს უ ნ „მეურნალობა“, „მორჩენა“, „გამოჯანმრთლება“, (შ ე ლ „კარგი“, ბ ე ს უ ნ „კეთება“), ბ ა რ ბ ე ს უ ნ „ღარიგება“, „ღანაწილება“, „ჩამორიგება“ (ბ ა რ „წილი“, ბ ე ს უ ნ „კეთება“), ჯ ო კ ბ ე ს უ ნ „გაყოფა“, „განაწილება“ (ჯ ო კ „წილი“, „გამონაყოფი“, „ცალკე“, ბ ე ს უ ნ „კეთება“)...; ო ხ ფ ე ს უ ნ „ვარცხნა“ (ო ხ „სავარცხელი“, ფ ე ს უ ნ „თქმა“, „ქმნა“), ა ჩ ი ფ ს უ ნ — აჩი-ფესუნ „თამაშობა“ (ა ჩ ი „თამაში“, ფ ს უ ნ — ფ ე ს უ ნ „თქმა“, „ქმნა“), ც ა მ ფ ე ს უ ნ „წერა“ (ც ა მ „ნაწერი“, „ღამწერლობა“, ფ ე ს უ ნ „თქმა“...), გ ო ლ ო შ ფ ე ს უ ნ „ცეკვა танцевать“ (გ ო ლ ო შ „ცეკვა .танец“, ფ ე ს უ ნ „თქმა“), შ ე ლ ბ ა ქ ს უ ნ „გამოჯანმრთლება“, მ ა ლ ფ ე ს უ ნ „მღერა“ (მ ა ლ „სიმღერა“, ფ ე ს უ ნ „თქმა“), ა მ თ ფ ე ს უ ნ (ა მ თ „სიტყვა“<sup>1</sup>, ფ ე ს უ ნ „თქმა“)...; შ ე ლ ბ ა ქ ს უ ნ „მორჩენა“, „გამოჯანმრთლება“ (შ ე ლ „კარგი“, ბ ა ქ ს უ ნ „ყოფნა“, „გახდომა“), ა ბ ა ბ ა ქ ს უ ნ „გაგება“, „შეტყობა“ (ა ბ ა „მკოდნე“, ბ ა ქ ს უ ნ „გახდომა“, „ყოფნა“), ჳ ო ჳ ბ ა ქ ს უ ნ „გაწითლება“ (ჳ ო ჳ „წითელი“, ბ ა ქ ს უ ნ „გახდომა“, „ყოფნა“), ზ ო მ ბ ბ ა ქ ს უ ნ „დასწავლა“, „მეცადინეობა“ (ზ ო მ „მიჩვეული“, „ნაეარჯიშევი“, ბ ა ქ ს უ ნ „გახდომა“, „ყოფნა“), ბ უ ჯ ბ ა ქ ს უ ნ „გავსება“, „ამოვსება“ (ბ უ ჯ „სავსე“, ბ ა ქ ს უ ნ „გახდომა“), მ უ ა ე ბ ა ქ ს უ ნ „გახარება“ (მ უ ა ე „ლალი“, „მზიარული“,

<sup>1</sup> ამის თაობაზე ვრცელი მსჯელობა, რასაკვირველია, სცილდება ამ წიგნში აღძრულ საკითხთა ფარგლებს, ამიტომაც, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საკმარისი უნდა იყოს განსხვავებულ თვალსაზრისთა მიხედვით საკითხის შხოლოდ ამგვარი დასმა.

<sup>2</sup> ნასესხები სიტყვაა თურქულ-აზერბაიჯანულიდან.

ბ ა ქ ს უ ნ „განდობა“, „ყოფნა“, კ ა პ-ბ ა ქ ს უ ნ „დამალვა“, „გაქრობა“ (კ ა პ „დამალული“, „გამქრალი“, ბ ა ქ ს უ ნ „გახდობა“, „ყოფნა“)...

2. კომპოზიტი-ზმნები, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილია სახელის წმინდა (მარტივი) ფუძე, რომელსაც ერწყმის მეშველი ზმნა, ამასთან ისე, რომ აღნიშნული სახელური ფუძე ცოცხალი სიტყვაა, ხოლო ზმნური ნაწილი — არა (ცალკე აღარ იხმარება): ასეთებია, მაგალითად: ე ო ლ-დ ე ს უ ნ „დაცობა“ (ე ო ლ „საცობი“, დ ე ს უ ნ-?)<sup>1</sup>; თ ო გ-დ ე ს უ ნ „გაყიდვა“ (თ ო გ „ფასი“ დაე-ს უ ნ-?) ა ჩ ი ს ტ უ ნ—ა ჩ ი ს ტ უ ნ—ა ჩ ი დ ს უ ნ—ა ჩ ი დ ე ს უ ნ „ათამაშება“, „გათამაშება“ (ა ჩ ი „თამაში“, დ ე ს უ ნ-?) უ ხ ლ ე ს-დ ე ს უ ნ „დაღვივება“ (უ ხ ლ ე ს „სმა“, დ ე ს უ ნ-?), უ ქ ე ს-დ ე ს უ ნ „კმევა“ (უ ქ ე ს „კმა“, დ ე ს უ ნ-?)<sup>1</sup>...

3. კომპოზიტი-ზმნები, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილია ნეიტრალური (წმინდა) ფუძე, რომელსაც ერწყმის მეშველი ზმნა—ამასთან ისე, რომ ამ კომპონენტთაგან პირველი (შესაძლოა, სახელური ფუძე) დღეს ცოცხალი სიტყვა არ არის, ხოლო მეორე (ზმნური ფუძე-ფორმა), როგორც ცოცხალი ლექსიკური ერთეული, ცალკეც იხმარება. ასეთებია, მაგალითად ბ ა ფ ს უ ნ—ბ ა ფ-ფესუნ „ჩახხმა“, „ჩაყრა“ (ბ ა-? ფესუნ „თქმა“), ც ი ფ ს უ ნ—(ცი-? ფესუნ „თქმა“), ა ხ ა-ფ ს უ ნ—ახა-ფესუნ „აქიდება“ (ა ხ ა-? ფესუნ „თქმა“), კ ა ხ-ფ ე ს უ ნ „ხმის გაცემა, ამოღება“, „კრიზისის დაძვრა“ (კ ა ხ-? ფესუნ „თქმა“), ფ უ რ-ფესუნ „ფერენა“ (ფ უ რ-?, ფესუნ „თქმა“), ქ ი შ-ფ ე ს უ ნ „წათლა“, „გათლა“ (ქ ი შ-?, ფესუნ „თქმა“), შ ა მ-ფ ე ს უ ნ „დაკვლა“ (შ ა მ-?, ფესუნ „თქმა“), კ ა წ-ფესუნ „გაწვევტა“, „ამოწვევტა“ (კ ა წ-? ფესუნ „თქმა“), მ ა ს-ფესუნ „განიავება (მარცვლეულისა)“, „განიავებით გასუფთავება მარცვლეულისა სარეველები-საგან“, (მ ა ს-?, ფესუნ „თქმა“), ყ უ ჭ-ფესუნ „ყლაპვა“ (ყ უ ჭ-?, ფესუნ „თქმა“), კ ა ლ-ფ ე ს უ ნ „დაძახება“, „წაქითხვა“, „სწავლა“ (კ ა ლ-?, ფესუნ „თქმა“). კ ა კ-ფ ე ს უ ნ „არჩევა“, „ამორჩევა“ (კ ა კ-?, ფესუნ „თქმა“), კ ო ა კ-ფ ე ს უ ნ „დახაყვა“. „დაბეგვა“ (კ ო ა კ-?, ფესუნ „თქმა“), წ ა რ-ფ ე ს უ ნ „დაყვირება, წამოყვირება (დასატუქსავად)“, „ხმამაღლა შენიშვნის მიცემა“ (წ ა რ-? ფესუნ „თქმა“), ე ი ლ-ფ ე ს უ ნ „არევე-დარევა (ხალხისა, ხმებისა...“), „არეულობა“ (ე ი ლ-?, ფესუნ „თქმა“)...

4. კომპოზიტი-ზმნები, რომელთა ორივე შემადგენელი ნაწილი — პირველადი (შესაძლოა, სახელური) ფუძე და მისი მიმყოლი ზმნური ფუძე-ფორმა ცალ-ცალკე ცოცხალ ლექსიკურ ერთეულს არ წარმოადგენს, ხოლო ერთად, ერთმანეთთან შერწყმის შედეგად, წარმოქმნის ერთნებიან ზმნას, ასეთებია, მაგალითად: ო წ-კ ე ს უ ნ „რეცხვა“, ბ ა ს-კ ე ს უ ნ „წოლა“, ბ ა თ-კ ე ს უ ნ „დაღუპვა“, უ ს-კ ე ს უ ნ „გაზომვა“, „არწყვა“; გ უ რ-დ ე ს უ ნ „წაქცევა“, ჩ უ რ-დ ე ს უ ნ „შეჩრება“, „გაჩერება“, „დაყენება“, ჭ უ რ-დ ე ს უ ნ „მოგრება“, „მოღრეცა“; უ რ-ტ ე ს უ ნ „დაძახვა“, ტ ი-ტ ე ს უ ნ „გაქცევა“; ს ა ქ ს უ ნ—ს ა-ქ ე ს უ ნ „დაგდება“, „დანარცხება“, ჩ უ ქ ს უ ნ—ჩ უ ქ ე ს უ ნ „მოწყვეტა“, „მოგლეჯა“; ბ უ რ-კ ე ს უ ნ—ბ უ რ-ხ ე ს უ ნ „დაწყება“, ქ ა რ-ხ ე ს უ ნ „ცხოვრება“, ბ ე რ-ხ ე ს უ ნ „ფქვა“; ბ ო მ-ყ ს უ ნ ← ბ ო მ-ყ ე ს უ ნ (ნიჯურ. დიალ.; ჰაფე-ყ ს უ ნ ← ჰაფე-ყ ე ს უ ნ) „კრეფა“...

<sup>1</sup> იმ ზმნაში, რომლის კომპონენტთაგანი ცალკე აღარ იხმარება, დაესმის კითხვის ნიშანი, ხოლო ცოცხალ ლექსიკურ ნაწილს ყოველთვის (გამეორების შემთხვევაშიც) ახლავს თარგმანი.

5. კომპოზიტი-ზმნა. რომელიც შედგება წარმოებული სახელისა და მეშვე-  
ლი ზმნისაგან ან ადვერბიალური სიტყვისა და მეშველი ზმნისაგან: ასეთებია.  
მაგალითად: ა ზ ა რ უ-ბ ა ქ ს უ ნ „აეად გახდომა“ (ა ზ ა რ უ—აზარ-უ—აზარ-ლუ  
„სნეულებიანი“, „ჭირიანი“; აზარ „აეადმყოფობა“. „სნეულება“. „ჭირი“: ბ ა ქ-  
ს უ ნ „ყოფნა“, „გახდომა“); ო ყ ა ლ უ-ბ ა ქ ს უ ნ „დადაბლება“. „დამცირება“  
(ოყალუ „დაბალი“ — ოყა „დაბლა“, „ძირს“: ბ ა ქ ს უ ნ „ყოფნა“. „გახდომა“):  
ფ შ ე ხ-თ ა მ ს უ ნ „გათხოვება“ (იშეხ „ქმარს“ — იშუ „ქმარი“. „კაცი“: თ ა მ-  
ს უ ნ „წასვლა“); ნ ე კ ა ხ-ე ს უ ნ „დაძინება“ (ნეპახ „ძილს“. „ძილში“ — ნე?  
„ძილი“; ესუნ „მოსვლა“); ალა-ბაქსუნ „აწევა“, „აზიდვა“, „აღმართვა“. „ადგო-  
მა“, „ზე-ზე წამოქრა“ (ალა „მალლა“, „ზემოთ“ + ბაქსუნ); ოყა-ბაქსუნ „დაწევა“  
„ჩაშვება“ (ოყა „დაბლა“, „ქვემოთ“ + ბაქსუნ)...

### პ ი რ ი ს კ ა ტ ე მ ო რ ი ა

პირის მაწარმოებლები, მათი ხასიათი და ადგილი უდიუთ ზმნაში

უდიუთი ზმნისათვის დამახასიათებელია პირის ფორმათა სისტემა. ამასთან  
აქ ენის ზმნაში აღინიშნება მხოლოდ ერთი (მოქმედი) პირი სამი პოზიციით:  
პირველი, მეორე და მესამე (მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვისა).

უდიუთი ზმნა ხასიათდება პირის გამოხატვის ოთხი (resp. სამი) სისტემით.  
სახელდობრ, სუბიექტი დაისმის: 1) სახელობით ბრუნვაში (გარდაუვალ ზმნებ-  
თან), 2) ერგატიულ ბრუნვაში (გარდამავალ ზმნებთან), 3) მიცემით ბრუნვაში  
(აღქმა-მგრძნობელობის გამოხატველ ზმნებსა) და 4) ნათესაობით ბრუნვაში,  
(მქონეობის გამოხატველ, პოსესიური წყობის ზმნებთან).

ყველა ამ შემთხვევაში სამივე პ ი რ ი ს მაწარმოებელი წარმოშობით უკვე-  
შირდება შესაბამისი პირის ნაცვალსახელებს და წარმოგვიდგება ამ სახით:

1. გარდაუვალ და გარდამავალ (ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქ-  
ციის) ზმნებში<sup>1</sup>:

მხოლ. რ. I პ. ზუ||—ზ

II პ. ნუ||—ნ

III პ. ნე

მრავლ. რ. I პ. მან

II პ. ნან

III პ. ყუნ

მაგალითად: 1) ბუ-ზუ||—ბუ-ზ (ვარ), ბუ-ნუ||—ბუ-ნ (ხარ), ბუ-ნე (არის);  
ბუ-მან (ვართ), ბუ-ნან (ხართ), ბუ-ყუნ (არიან).

2) ბი-ზუ||—ბი-ზ (ვაკეთე), ბი-ნუ||—ბი-ნ (აკეთე), ბი-ნე (აკეთა); ბი-მან  
(ვაკეთეთ), ბი-ნან (აკეთეთ), ბი-ყუნ (აკეთეს)...

<sup>1</sup> გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში მოქმედი პირი აღინიშნება ერთნაირად: სხვა-  
ნაირად რომ ვთქვათ: ერგატიუში (მოთხრობითში) და ნომინატიუში (სახელობით ბრუნვაში).  
დასმული ქვემდებარე ერთი და იმავე მორფემით გამოიხატება.



2. აღქმა-მგრძობელობის გამომხატველ (დატიური კონსტრუქციის) ზმნელები:

ზოლ. რ. I პ. ზაბ—||ზა  
II პ. ვაბ—Iვა  
III პ. ტუბ—||ტუ

III პ. ყობ—||ყო  
II პ. ვაბ → || ვაა  
III პ. ყობ—||ყო

მაგალითად: 1) აბა-ზაბ—||აბა-ზა (ვიცი), აბა-ვაბ—||აბა-ვა (იცი), აბა-ტუბ—  
→ || აბა-ტუ (იცის); აბა-ააბ → || აბა-აა (ვიცი), აბა-ვააბ ← || აბა-ვაა (იცი), აბა-  
ყობ—||აბა-ყო (იციან).

2) ბა-ზა-ქსა (შემიძლია), ბა-ვა-ქსა (შეგიძლია), ბა-ტუ-ქსა (შეუძლია);  
ბა-აა-ქსა (შეგიძლია), ბა-ვაა-ქსა (შეგიძლიათ), ბა-ყო-ქსა (შეუძლიათ).

ან კიდევ: ბუ-ზა-ყსა (მიყვარს), ბუ-ვა-ყსა (გიყვარს), ბუ-ტუ-ყსა (უყვარს);  
ბუ-აა-ყსა (გიყვარს), ბუ-ვაა-ყსა (გიყვართ), ბუ-ყო-ყსა (უყვართ).

3) მქონეობის (ქონება-ყოლის) გამომხატველ (გენეტიური კონსტრუქციის) ზმნელები:

ზოლ. რ. I პ. ბეზი||—ბეზ  
II პ. ვი  
III პ. ტაა||—ტა

მრავლ. რ. I პ. ბეზი||—ბეზ  
II პ. ეფი||—ეფ  
III პ. ყოა||—ყო

მაგალითად: 1) ბუ-ბეზი||—ბუ-ბეზ (მაქვს, ბუ-ვი (გაქვს), ბუ-ტაა—ბუ-ტა  
აქვს); ბუ-ბეზი||—ბუ-ბეზ (გვაქვს) ბუ-ეფი—ბუ-ეფ (გაქვთ), ბუ-ყოა—||ბუ-ყო  
(აქვთ).

2) უმუდ-ბეზ-ბუ (იმედი მაქვს), უმუდ-ვი-ბუ (იმედი გაქვს) უმუდ-ტა-ბუ  
(იმედი აქვს); უმუდ-ბეზ-ბუ (იმედი გვაქვს), უმუდ-ეფ-ბუ (იმედი გაქვთ), უმუდ-  
ყო-ბუ (იმედი აქვთ)...

ამ სქემებიდან და მაგალითებიდან ჩანს, რომ ყველა კონსტრუქციის ზმნაში  
უოელი პირისთვის (ზოგი შემთხვევის გამოკლებით) ორვარიანტიანი ნიშანი გა-  
მოიყენება: სრული და გამარტივებული (ბოლოში რომელიმე ელემენტმოკვე-  
ცილი).

ეს პირის ნიშნები, როგორც ზემოთაც ითქვა, გენეტიურად ამა თუ იმ ბრუნ-  
ვაში დასმული პირის ნაცვალსახელებია. ეს თვალსაჩინო გახდება, თუ ამ მა-  
წარმოებლებს შესაძარებლად სათანადო პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორ-  
მებს მიუყენებთ:

ზოლ. რ.

I პირი: სახ. ზ უ „მე“  
ერგ. ზ უ  
მიც. ზ ა ხ||—ზ ა

ბუ-ზ უ „ვარ“ (=მყოფი-მე)  
ბი-ზ უ „ვაკეთე“ (=მკეთებელი-მ ე)  
აბა-ზ ა ხ||—აბა-ზ ა „ვიცი“ (=მცოდნე-  
მ ე)

ნათ. ბ ე ზ ი||—ბ ე ზ

ბუ-ბ ე ზ ი||ბუ-ბ ე ზ „მაქვს“ (=მყოფი-  
ჩ ე მ ი)

მრავლ. რ.

სახ. მ ა ნ „ჩვენ“  
ერგ. მ ა ნ

ბუ-მ ა ნ „ვართ“ (=მყოფი-ჩ ე ე ნ)  
ბი-მ ა ნ „ვაკეთეთ“ (=მკეთებელი-  
ჩ ე ე ნ)

მიც. ა ა ხ||—ა ა

აბა-აახ|| — აბა-აა „ეით“ (=მცოდ-  
ნე-ჩ ე ე ნ)

ნათ. ბ ე შ ი||—ბ ე შ

ბუ-ბ ე შ ი||—ბუ-ბ ე შ „გაქეს“ (=მყოფი-  
ჩ ე ე ნ)

### მხოლ. რ.

II პირი: სახ. უ ნ „შენ“

ბუ-ნ უ „ხარ“ (=მყოფი-შ ე ნ)

ერგ. უ ნ

ბი-ნუ „აკეთე“ (=მკეთებელი-შენ)

მიც. ვ ა ხ||—ვ ა

აბა-ვა ა ხ||—აბა-ვა „იცი“ (=მცოდნე-  
შ ე ნ)

ნათ. ვ ი

ბუ-ვ ი „გაქეს“ (=მყოფი-შ ე ნ ი)

### მრავლ. რ.

სახ. ვ ა ი ნ || ე წ ა ი ნ „თქვენ“

ბუ-ნ ა ნ „ხართ“ (=მყოფი-თ ქ ე ე ნ)

ერგ. ვ ა ი ნ || ე წ ა ი ნ

ბი-ნ ა ნ „აკეთეთ“ (=მკეთებელი-  
თ ქ ე ე ნ)

მიც. ვ ა ი ხ → ვ ა ი ე წ ა ი ხ → ე წ ა ი ხ

აბა-ვა ი ხ || აბა-ვა ი „იცი“ (=მცოდ-  
ნე-თ ქ ე ე ნ)

ნათ. ე წ ი → ე წ ე

ბუ-ე ქ ი ||—ბუ-ე ქ „გაქეთ“ (=მყოფი-  
თ ქ ე ე ნ ი)

რამდენადმე განსხვავებულია ორსავე რიცხვში დასმული მეორე პირის ნიშანი და ამისი შესაბამისი ნაცვალსახელი: შდრ. უნ „შენ“ და ბუ-ნუ „ხარ“; აი, ეწაი „თქვენ“ და ბუ-ნან „ხართ“... პირველ შემთხვევაში ფონეტიკური პროცესის (ხმოვნისა და თანხმოვნის გადასმის) შედეგად მიღებული ცვლილება აშკარა არის და, მაშასადამე, მათი ფარდობაც სარწმუნოა. მაგრამ ასეთივე ფარდობა არ ჩანს მეორე შემთხვევაში, — მრავლობით რიცხვში: შდრ. ვაი ნ || ეწაი „თქვენ“ — ნან — II პ. ნიშანი მრავლ. რიცხვში. როგორც ჰგავს, ზმნაში პირის ნიშნად გამოყენებული -ნან ძველ უდიურში ცალკე პირის ნაცვალსახელადაც იხმარებოდა, ხოლო შემდეგ შეეწარდა რა ზმნის ფუძეს პირის მაწარმოებლად, დაკარგა დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა<sup>1</sup>; მისი, როგორც ნაცვალსახელის, ადგილი დაიკირა (ალბათ ოდითგანვე სინონიმად ხმარებულმა), ვაი ნ || ეწაი (თქვენ) ნაცვალსახელმა. სხვა (დატიური, პოსესიური წყობის) ზმნებში მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვის ფორმით პირის ნიშნად ამ ნაცვალსახელთა გამოყენება თვალსაჩინოა (იხ. ამ პირის ნიშანთა სქემა და გამოყენების ნიმუშები).

ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით სურათი კიდევ უფრო დაბნელებულია მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებში — ე, ტ უ ხ, ტ ა ე (მხოლ. რ.), ყ უ ნ, ყ ო ხ, ყ ო ა (მრავლ. რ.) მორფემებში. ეს ელემენტები პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობით ცალკე არ იხმარებიან, მაგრამ ბრუნვათა მიხედვით მათი ცვლის ხასიათი სარწმუნოს ხდის იმას, რომ აქაც პირველი

<sup>1</sup> შდრ. არჩიბული ნენ, რომელიც ექსკლუზიურ „ჩენ“ ნაცვალსახელად გამოიყენება ინკლუზიურ ნენტუს-საპირისპიროდ (ო. კახაძე).

და მეორე პირის ნაცვალსახელთა მსგავსად უნდა გვექონდეს ისეთი მაწარმოებელი, რომელიც წარმოშობით უკავშირდება ბრუნეაცვალებად ნაცვალსახელს.

შდრ.

მხოლ. რ.

სახ. შე-ნ-ო-<sup>\*</sup>შე-ნე-ო „იგი“

ბუ-ნე „არის“ (=მყოფი-ი გ ი)

ერგ. შე-ტის

ბ ი-ნე „აკეთა“ (=მკეთებელი-ი გ ი)

მიც. შე-ტუხ||—შე-ტუ

აბა-ტუხ||—აბა-ტუ „იცის“ (=მცოდნე-მ ა ს)

ნათ. შე-ტაჟ||—შე-ტა

ბუ-ტ ა ჟ||—ბუ-ტა „აქვს“ (=მყოფი-მ ი ს ი)

მრავლ. რ.

სახ. შე-ნ-ო-რ

ბუ-ყუნ „არიან“ (=მყოფი-ი ს ი ნ ი)

ერგ. შე-ტლონ<sup>\*</sup>—შე-ტ-უხ-ენ

ბი-ყუნ „აკეთეს“ (=მკეთებელი-ი ს ი ნ ი)

მიც. შე-ტლოხ<sup>\*</sup>—<sup>\*</sup>შე-ტ-უხ-ახ

აბა-ყოხ „იციან“ (=მცოდნე-მ ა თ)

ნათ. შე-ტლოჟ<sup>\*</sup>—<sup>\*</sup>შე-ტ-უხ-აჟ

ბუ-ყოჟ „აქვთ“ (=მყოფი-მ ა თ ი)

აღნიშნული ნაცვალსახელისა და ზმნის ერთმანეთთან შეფარდებული ეს ფორმები მწყობრად გვიჩვენებენ, რომ მესამე პირიც გამოიხატება ბრუნეაცვალეზადი ნაცვალსახელით, ოღონდ ისე, რომ 1) პირველი და მეორე პირის მსგავსად, აქაც სახელობითისა და ერგატიულ ბრუნეაში დასმული ქვემდებარის პირის ნიშანი არ არის დიფერენცირებული: ორივე გადმოიცემა წრფელობითი ბრუნევის ფორმით (ფუძის სახით) წარმოდგენილი ნე (მხოლ. რ.) და ყუნ (მრავლ. რ.) ნაცვალსახელით, შდრ. შენო არე-ნე . ის მოვიდა“ და შეტინ ბი-ნე „მ ა ნ აკეთა“; შენორ არე-ყუნ „ი ს ი ნ ი მოვიდნენ“ და შეტლონ ბი-ყუნ „მათ აკეთეს“... 2) შეზღავრდებულ დასახელებულ ნაცვალსახელში, ერთი მხრივ, მიცემითის -ტუხ||—ტუ მორფემა (შე-ტ უ ხ||—შე-ტ უ „მას“) და ზმნაში პირის ნიშნად გამოყენებული -ტუხ||—ტუ მორფემა (აბა-ტ უ ხ||აბა-ტ უ „იცის“, ბუ-ტუ-ყსა „უყვარს“, ილა-რი-ტუ-მსა „აციებს“, ბა-ტუ-ქსა „შეუძლია“) და, მეორე მხრივ, იმავე ნაცვალსახელში ნათესაობითი ბრუნევის -ტაჟ||—ტაჟ მორფემა (შე-ტაჟ||—შე-ტა „მის“, „მისი“) და პირის ნიშნად გამოყენებული -ტაჟ—||—ტა მორფემა (ბუ-ტაჟ||—ბუ-ტა „აქვს=მყოფი-მისი“) ერთი და იგივე ელემენტია, რაც თავის მხრივ ეტიმოლოგიურად უკავშირდება უდიურშივე ცალკე ლექსიკურ ერთეულად ხმარებულ ტე („ის“) ნაცვალსახელს.

სახელობითისა და ერგატიულ ბრუნეაში დასმული მესამე პირის მხოლ. რ. ნე მაწარმოებელი კი ცალკე ნაცვალსახელად ამჟამინდელ უდიურში არ იხმარება. ამისი ანარეკლი უნდა იყოს ისევე ზოგი სახელის მიცემითი და ნათესაობითი ბრუნევის საწარმოებლად გამოყენებული -ნუხ||—ნუ (მიც. ბრ.) და -ნაჟ||—ნა (ნათ. ბრ.) მორფემები (მაგალ.: ცაც-ნუხ||—ცაც-ნუ „ეკალს“, ცაც-ნაჟ||—ცაც-ნა „ეკლისა“—ცაც „ეკალი“...)<sup>1</sup>. — შდრ. ტე ნაცვალსახელსაგან ნაწარმოები -ტუხ||—ტუ და -ტაჟ||—ტა მორფემები.

გასარკვევი რჩება მრავლობითში; დასმული მესამე პირის ყუნ, ყოხ||—ყო,

<sup>1</sup> შდრ. აქვლური ლე („ის“ მალა მყოფი), ლეზიური ვ ი-ნ ი („იგი“, „ის“—მალა მყოფი). ისტორიულად უდიური ნე კმ აღულურ და ლეზიურ ნაცვალსახელთა ფარდი უნდა იყოს.

ყოფა||—ყო მარჯამობლის საკითხი. ეს ელემენტებიც რომ ოდინდელი ბრუნვა-ცვალებადი სიტყვებია. ამას თავად მათი გაფორმება და ამა თუ იმ კონსტრუქციის ზმნაში გამოყენება გვიჩვენებს: 1) ყუნ — სახელობითსა და ერგატივში დასმული სუბიექტის პირისათვის, 2) ყოხ||—ყო — მიცემითში დასმული სუბიექტის resp. \*ობიექტის პირის გამოსახატავად, ხოლო 3) ყოფ||—ყო მქონეობის გამოხატველ (პოსესიური წყობის) ზმნაში. ამ კონსტრუქციების მიხედვით მრავლობით რიცხვში დასმული მესამე პირის მარჯამობლის (resp. \*ნაცვალსახელის) ბრუნება პარადიგმის სახით ასე წარმოგვიდგება:

- სახ. ყ უ-ნ (\*ისინი)  
 ერგ. ყ უ-ნ (\*ისინი resp. მათ)  
 მიც. ყ ო||—ყოხ—\*ყუ-ახ (\*მათ)  
 ნათ. ყ ო||—ყოფ—\*ყო-ი—\*\*ყუ-აი (\*მათი).

ამ ფორმათა მიხედვით ბოლოკიდურ ელემენტთა ფუნქციები ასე ნაწილდება: -ნ წარმოადგენს ისეთ ელემენტს, რომელიც თავდაპირველი მნიშვნელობის მიხედვით გამოიყოფა როგორც სუფიქსი-დეტერმინანტი (შდრ.. ერთი მხრივ, ყ უ-ნ, ხოლო, მეორე მხრივ, ზუ—\*ზუ-ნ „მე“, უნ—ჰუ-ნ „შენ“, შე-ნ-ო „ის“. — იხ. ზემ. პირის ნაცვალსახელები). -ხ—ახ მიცემითი ბრუნვის სუფიქსია, ხოლო -ფ(—ფ)—აფ(—აფ) — ნათესაობითისა (იხ. ზემ. სახელთა ბრუნება). მასასადამე, ამ შემთხვევაშიც უნდა გვქონდეს რაღაც ისეთი ფუძე (ყუ), რომელიც ი ბ რ უ ნ ე ის (დაირთავს ნათესაობით და მიცემით ბრუნებათა ნიშანს), ანდა ფ ო რ მ დ ე ბ ა (სახელობითში, ერგატივში) სადეტერმინაციო სუფიქსით<sup>1</sup>.

ამგვარად, გვეძლევა მწყობრი სურათი იმისა, რომ უდიდურ ზმნაში გამოხატული სამივე პირის მარჯამობელი წარმოშობით ბრუნვაცვალებადი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ა.

ამ ბრუნვაცვალებად ნაცვალსახელთა პირის ნიშნად გამოყენების ადგილი ზმნაში ასეთია: 1) სტატიკურ ზმნებში ყოველთვის ბოლოსაა, მაგალითად: ბუ-ნე (არის), არცი-ნე (ზის), არცი-თე-ნე (არ ზის); ბასკი-ნე (წევს); ჩურფი-ნე (დგას)... 2) დინამიკურ (გარდაუვალ და გარდამავალ) ზმნათა ფუძეში გამოიყენება სხვადასხვა ადგილას; მაგალითად, ასე: 1) ბა-ნე-ქსა (არის ხოლმე; ხდება), ჰე-ნე-ბაქსა (გადადის); ე-ნე-სა (მოდის), თე-ნე-ესა (არ მოდის); აშ-ნე-ბსა (მუშაობს), თე-ნე-აშბესა (არ მუშაობს); ყუჰ-ნე-სა (იჭყუნება), ბოხ-ნე-სა (იხარშება), ჩუჰ-ნე-სა (წყდება), აზარუ-ნე-ბაქსა (ავალ ხდება, ავალდება); ანდა; 2) ჩუ-ნე-ქსა (წყვეტს), ბო-ნე-ხსა (ხარშავს), ბი-ნე-ხსა (შობს)... ან კიდევ ასე: 3) ბაქსა-ნე (არის ხოლმე; ხდება და...), ჰებაქსა-ნე (გადადის და...), ესა-ნე (მოდის და...), ესა-თე-ნე (არ მოდის, რომ...); აშბესა-ნე (მუშაობს და..., მუშაობს, რომ...), აშბესა-თე-ნე (არ მუშაობს და..., არ მუშაობს, რომ...); ყუჰესა-ნე (იჭყუნება და...), ჩუჰესა-ნე (წყდება და...), აზარუბაქსა-ნე (ავალდება და...)... როგორც ვხედავთ, პირის ნიშანი არც ერთი ზმნის აბსოლუტურ დასაწყისში არ იხმარება: პრეფიქსად გამოყენების დროს იგი მაინცდამაინც უნდა მოსდევდეს რაღაც სხვა თავკიდურ (მორფემულ) ელემენტს (იხ. პირველი მუხლი

<sup>1</sup> ე. თანხედის აზრით: ყუნ||ყო-ში მონაწილე ყ (ყუ) ელემენტი მრ. რიცხვის სუფიქსია, იგი ეფარდება ქართ. ყუ ნაწილსა და მრავლობითობის აფხაზურ ქჷა, ჰ აფიქსს.

ნიმუშებისა). საინტერესოა, რომ პირის ნიშნის ადგილის ცვლით გარკვეული ჯგუფის ზმნებს ეცვლება გრამატიკული მნიშვნელობა; ეს კარგად ჩანს თუნდაც პირველსა და მეორე მუხლში დასახელებული ნიმუშებიდან; შდრ., მაგალითად: ბოხ-ნე-სა (იხარშება) — ბო-ნე-ხსა (ხარშავს), ბიხ-ნე-სა (იბადება) — ბი-ნე-ხსა (შობს, ბადებს)... ან კიდევ: ბა-ნე-ქსა (არის ხოლმე, ხდება) — ბაქსა-ნე (არის ხოლმე, ხდება და...) ქე-ნე-ბაქსა (გადადის)—ქებაქსა-ნე (გადადის და...); ე-ნე-სა (მოდის) — ესა-ნე (მოდის, რომ...; მოდის და...) და ასე—სხვა შემთხვევებშიც.

როგორც დასახელებული მაგალითებიდანაც ჩანს, კომპოზიტ-ზმნებში პირის ნიშანი ან სულ ბოლოს, სუფიქსად (უფრო სწორად, პოსტპოზიტიურ ელემენტად) გამოიყენება, მაგალითად: აშ-ბესა-ნე, (მუშაობს და...), ეზ-ბესა-ნე (წნავს და...), ეხ-ბესა-ნე (მკის და...), თოგ-დესა-ნე (პყიდის და...), ანდა იგი თავ-კიდურ (სახელურ, ადვერბიულურ) კომპონენტსა და მისი მიმყოფი მეშველი ზმნის ფუძე-ფორმას შუა მოექცევა ხოლმე; მაგალითად: აშ-ნე-ბსა (მუშაობს), ეზ-ნე-ბსა (ხნავს), ეხ-ნე-ბსა (მკის); აზარუ-ნე-ბაქსა (ავად ხდება), ნეპახ-ნე-ესა (ვილს მიდის, იძინებს) და ასე — რთული აგებულების ყველა სხვა ზმნაში.

პირის მაწარმოებელთა ადგილი ყველა კონსტრუქციის ზმნაში ერთნაირია. ყველა ეს ცნობა თუ განმარტება მოცემულია უდიურ. ჩანს ვ ა რ თ ა შ ნ უ ლ ი ც ე ლ ო ს მ ო ნ ა ც ე მ თ ა მიხედვით.

ნიჭურ კილოში ძირითადად ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ვართაშნულში; არის ზოგი თავისებურებაც; სახელდობრ: 1) ქ ო ნ ე ბ ა-ყ ო ლ ი ს გამომატველ ზმნაში. იცვლება რა აქ ვართაშნულში დამოწმებული გენეტიური კონსტრუქცია დატიურით, პირის ნიშანი გამოიყენება ზმნის აბსოლუტურ დასაწყისში: ზ ა ხ-პუ-ზ ა ხ-ბუ (მაქვს); ვ ა ხ-პუ-ვ ა ხ-ბუ (გაქვს); ტ ა ხ-პუ-←ტ ა ხ-ბუ || ტ უ ხ-პუ-←ტ უ ხ-ბუ (აქვს მას); ჯ ა ხ-პუ-←ჯ ა ხ-ბუ (გვაქვს); ვ ა ხ-პუ-←ვ ა ხ-ბუ (გაქვთ); ტ უ ხ-პუ-←ტ უ ხ-ბუ (აქვთ). ნიჭურშიც შესაძლებელია, პირის ექსპონენტმა ადგილი იცვალოს, მოექცეს ბოლოში; შდრ., მაგალ.: ბუ-ზ ა ხ (მაქვს), ბუ-ვ ა ხ (გვაქვს), ბუ-ტ უ ხ (აქვს) და ა. შ. შდრ. ვართაშნული: ბუ-ბ ე ზ ი (მაქვს), ბუ-ვ ი (გაქვს), ბუ-ტ ა მ (აქვს); ბუ-ბ ე შ ი (გვაქვს), ბუ-ე ჟ ი (აქვთ).

ნიჭურის თავისებურება ისიცაა, რომ ამ ზმნის მესამე პირის ტ უ ხ მაწარმოებლის გვერდით (ერთნაირი მნიშვნელობით) იხმარება ტ ა ხ მაწარმოებელიც: ტ უ ხ-პუ || ტ ა ხ-პუ; მაგალ.: მუ-ყაოხ-ტახ-პუ „რქები აქვს“, თე-ტახ-პუ „არა აქვს“. იმაჯი-ტახ-პუ „მამითაი აქვს“!... 2) მრავლობით რიცხვში დასმულ მესამე პირის ვართაშნულ ყ უ ნ მაწარმოებელს ნიჭურში ენაცვლება ტ უ ნ<sup>2</sup>; მაგ.: აშ-ტუნ-ბსა (მუშაობენ), ქარ-ტუნ-ხსა (ცხოვრობენ), ლამან-ტუნ-დსა (ხედებიან ერთმანეთს), ფი-ტუნ (თქვენს), ბოტალ-ტუნ (გაქრიან)... 3) პირველი პირის ზუ|| —ზ მაწარმოებელი საერთოა ვართაშნულსა და ნიჭურში; ამ ორ ვარიანტს ნიჭურში ემატება მეტათეზისისა და ნაწილობრივი რედუქციის შედეგად მიღებული -უზ||—უზ ვარიანტებიც; მაგალითად: აშ-ზუ-ბსა (ვართაშ.)→აშ-უზ-ბსა—|| აშ-უზ-ფსა (ნიჯ.) „ემუაშობ“; ქარ-ზუ-ხსა (ვართაშ.)→ქარ-უზ-ხსა—||ქარ-უზ-ხსა (ნიჯ.), „ეცხოვრობ“, ოწ-ზუ-ქსა (ვართ.)→ოწ-უზ-ქსა—||ოწ-უზ-ქსა (ნიჯ.) „ვერ-

<sup>1</sup> ნიჭურა ტ ა ხ. მაწარმოებელიც, ზემოთ უწყებულ ტ უ ხ, ტ ა მ პირთაშნის მსგავსად, მაწარმოებელი უდიურსავე ტე („ის“) ნაცვალსახელს უკავშირდება.

<sup>2</sup> ტუნ მაწარმოებელიც გენეტურად ტე („ის“) ნაცვალსახელს უკავშირდება.

ცხავ“, „ეცხოვრობ“... 4) მხოლ. რ. მეორე პირის ნუ||—ნ ვართაშნულ მაწარმოებელს ნიჭურ კილოში ენაცვლება უნ||—უნ||—ნ ვარიანტები. შდრ., მაგალითად: ენ-ნუ-ბსა (ვართ.) — ენ-უნ-ბსა—ენ-უნ-ფსა (ნიჯ.) „მკი“; აშ-ნუ-ბსა (ვართ.)—აშ-უნ-ბსა (ნიჯ.) „მუშაობ“; ჩურ-რუ-სა (ვართ.) „სეირნობ“ — ჩურ-უნ-სა (ნიჯ.) „გინდა“, „გსურს“, „გეყვარს“; ე-ნ-სა—ე-უნ-სა—ე-უნ-სა „მოდისა“... 5) მხოლ. რ. მესამე პირის ნე მაწარმოებლის გვერდით ნიჭურში (ამავე მნიშვნელობით) გამოიყენება ოდენ ე ხმოვანი; შდრ., მაგალ.: ტუმპაალაყ-ნე-დული (ვართ.)—დომბალაყ-ე-დული (ნიჯ.) „გადაკოტრიალდა“; კპრპპათ-თე-ბსა—კპრპპათ-ნე-ბსა (ვართ.) — კპრპპათ-ე-ბსა (ნიჯ.) „ცდილობდა“, ტუტტაგ-ნე-ქარება (ვართ.)—ტუტტაგ-ე-ქარე (ნიჯ.) „სალამურს უკრავს“, ნამ-ნე-ბი (ვართ.) -ნამ-ე-ბი (ნიჯ.) „დანამა“, „დაანესტიანა“. 6) ნიჭურის თავისებურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მეორე და მესამე პირის მაწარმოებლის თავიკიდური ნ არ ემსგავსება წინამავალ რ, ლ, დ, თ, ტ თანხმოვნებს, — როგორც ეს ვართაშნულ კილოში ხდება: შდრ., მაგალითად, ქარ-ჩან-ხსა (ვართ.)—ქარ-ნან-ხსა (ნიჯ.) „ცხოვრობთ“, ბიტალ-ლან (ვართ.)—ბიტალ-ნან (ნიჯ.) „დათესათ“, კპრპპათ-თან-ბსა (ვართ.)—კპრპპათ-ნან-ბსა (ნიჯ.) „ცდილობთ“, კატ-ტან-დესა (ვართ.)—კატ-ნან-დესა (ნიჯ.) (აწვეთებთ, აღვენთებთ)...; ბიტალ-ლუ (ვართ.)—ბიტალ-ნუ (ნიჯ.) „დათესავ“, ქარხალ-ლუ (ვართ.)—ქარხალ-ნუ (ნიჯ.) „იცხოვრებ“...

#### მრავლობითი რიცხვის გამოხატვა ზმნაში

უკვე აღინიშნა, რომ უდიურ ზმნაში მრავლობითი რიცხვი სპეციალური აფიქსით არ გამოიხატება (ამ ენაში რიცხვი ოდენ სახელის მორფოლოგიური კატეგორიაა). რიცხვისა და პირის კატეგორიას გამოხატავს პირის მაწარმოებლად გამოყენებული ნაცვალსახელი; მაშასადამე, ერთი და იგივე მორფემა (პირისა) ერთსა და იმავე დროს ორი გრამატიკული ცნების გამოხატველია; სხვანაირად რომ ვთქვათ, უდიურ ზმნაში რიცხვი სემასიოლოგიური კატეგორიაა: პირის მაწარმოებლად გამოყენებული ნაცვალსახელის ფუძის მნიშვნელობაზეა დამოკიდებული, ზმნა მხოლოდობით რიცხვშია დასმული თუ მრავლობითში; შდრ., მაგალითად: ბუ-წ||—ბუ-წუ „ვარ“ (ზუ „მე“) — ბუ-ჩან „ვართ“ (ჩან „ჩვენ“); ბი-წ||—ბი-წუ „ვაკეთე“ (წუ „მე“) — ბი-ჩან „ვაკეთეთ“ (ჩან „ჩვენ“)... ვართაშნულსა და ნიჭურ კილოში ამ მხრივ სხვაობა არ არის.

#### დრო-კილოთა ფორმები. მათი წარმოების პრინციპი. ჭგუფები. მაწარმოებლები

საწარმოებელი (საყრდენი) ფუძის ხასიათის მიხედვით უდიური ზმნის დრო-კილოთა ფორმები იყოფა სამ ძირითად ჭგუფად, რომელიც თავის მხრივ შეიძლება დაიყოს რამდენიმე ქვეჯგუფად.

პირველ ჭგუფში შემავალი ფორმებია აწმყო და აქედან წარმოებული ნამყო უწყვეტელი; ამ დროთა წარმოებისათვის საყრდენ ფუძე-ფორმად გამოიყენება ინფინიტივმასდარი.

მეორე ჭგუფში შედის ორი ქვეჯგუფი. აქედან პირველ ქვეჯგუფს ქმნის: აორისტი I და აქედან ნაწარმოები ნაწილაკოვანი კავშირებითი I (კატეგორიული) და ნაწილაკოვანი კავშირე-

<sup>1</sup> შდრ.: უნ (ვართ.)—ჰუნ (ნიჯ.) „შენ“.

ბ ი თ ი II (პირობით, შესაძლებლობით). დრო-კილოთა ამ ფორმების საყრდენად მიმღეობაა გამოყენებული<sup>1</sup>. მეორე ქვეჯგუფი: მყოფადი I (თხრობითი) და აქედან წარმოებული ნაწილაკოვანი მყოფადი (ატეგორიული, დამაჭერებლობითი, უეჭველობითი). დრო-კილოთა ამ ფორმებსაც საყრდენად მიმღეობა აქვთ<sup>2</sup>.

მესამე ჯგუფში თავს იყრიან დრო-კილოთა ფორმები, რომლებიც იწარმოებიან წმინდა (ნეიტრალურ, პირველად) ფუძეზე დაყრდნობით. ასეთებია: აორისტი II: ბრძანებითი; კავშირებითი პირველი<sup>3</sup>; მყოფადი II (კავშირებითის ხასიათისა)<sup>4</sup>. დრო-კილოთა ყველა ეს ფორმა ქმნის ამ (მესამე) ჯგუფის პირველ ქვეჯგუფს. მყოფად მეორეზე დაყრდნობით იწარმოება ნაწილაკოვანი კავშირებითი III, რომელიც გამოიყოფა (ამავე ძირითადი) ჯგუფის მეორე ქვეჯგუფად.

შენიშვნა: შეიძლებოდა ზმნის ფუძეთა მოდელისა თუ სტრუქტურის ხასიათის მიხედვით დრო-კილოთა კლასიფიკაცია სხვაგვარად მოგვეხდინა. მათი ჯგუფებად დაყოფა ბოლოდან დაგვეწყო; სახელდობრ: პირველ ჯგუფად გამოგვეყო ის ფორმები, რომლებიც იწარმოებიან წმინდა (ნეიტრალურ, პირველად) ფუძეზე დაყრდნობით, ხოლო შემდეგ გარკვეული თანმიმდევრობის დაცვით (ე. ი. მეორე და მესამე ჯგუფებზე) გააკენაწილებინა ნაწარმოებუფუძიანი ფორმები: მეორე ჯგუფში მოგვექცია ინტინიტოვ-მასდარისაგან წარმოებული ფორმები, ხოლო მესამეში (დაგვეყო-რა ეს ჯგუფი ორ ქვეჯგუფად) — მიმღეობისაგან წარმოებული ფორმები... მაგრამ ანგარიში გაეწიარა ტრადიციით მიღებულ წესს, წინ წამოწეულ იქნა ზმნის შინაარსი: პირველ ჯგუფად მიჩნეულ იქნა აწმყო-სა და აქედან წარმოებული ნამყო-უწყვეტელის გამომხატველი ფორმები, რომელსაც მეორე და მესამე ჯგუფის სახით მოსდევენ სხვა ფორმები: აორისტი, მყოფადი და ა. შ. — ისე, როგორც ეს სხვა ენათა მიხედვით უკეთებიათ სხვა გრამატიკოსებს.

დრო-კილოთა ეს ფორმები პარადიგმების სახით ასე გამოიხატება:

- |   |  |
|---|--|
| 1. ბაქეს, ბაქსუნ „ყოფნა“, „არ-<br>სებობა“         | ქებბაქეს, ქებბაქსუნ „გადასულა“         |
| ბაქი „მყოფი“, „ყოფილი“, „არ-<br>სებული“ (საერთოდ) | ქებბაქი „გადასული“, „გასული“ (საერთოდ) |
| ბაქალ „მყოფი (ვინც, რაც არის<br>ან იქნება)“       | ქებბაქალ „გადამსვლელი“, „გადასასვლელი“ |

### I ჯგუფი

- |   |   |
|---|---|
| აწმ. ბაქს-ა-ნე  ბა-ნე-ქს-ა <sup>5</sup> | ქებბაქს-ა-ნე  ქე-ნე-ბაქს-ა <sup>5</sup> |
| ნ. უწყვ. ბაქს-ა-ნე  ბა-ნე-ქს-ა-მ        | ქებბაქს-ა-ნე-მ  ქე-ნე-ბაქს-ა-მ          |

<sup>1</sup> დიუბრატელოვის, ზოგადობის გამომხატველი (ექსტემპორალური) მიმღეობა.

<sup>2</sup> აწყო-მყოფადის მიმღეობა.

<sup>3</sup> ასეთი შინაარსისა: „უნდა იყოს“, „უნდა აეთოს“, „შესაძლებელია, მოვიდეს“, „უნდა მოვიდეს“...

<sup>4</sup> დანიშნულებით ძველი ქართული კავშირებითი მეორის ფარდი.

<sup>5</sup> ნიშნად დასახელებულია მხოლ. რ. მესამე პირის ფორმა.





## II ქვეჯგუფი

### I ქვეჯგუფი

აორ. I. ბი-ნე <sup>1</sup>	აშ-ნე-ბ-ი  აშ-ბ-ი-ნე <sup>1</sup>
ნაწ. კავშ. I. ბ-იყ-ან <sup>2</sup>	აშ-ყ-ან-ბ-ი <sup>2</sup>
ნაწ. კავშ. II, ბ-ი-გი-ნ <sup>3</sup>	აშ-გი-ნ-ბ-ი

### II ქვეჯგუფი

მყოფ. I. ბალ-ლე—ბალ-ნე	აშ-ბალ-ლე—აშ-ბალ-ნე
ნაწ. მყოფ. ბალ-ალ-ლე <sup>4</sup>	აშ-ბალ-ალ-ლე <sup>4</sup>

## III ქვეჯგუფი

### I ქვეჯგუფი

აორ. II ბ-ე-ნე <sup>5</sup>	აშ-ნე-ბ-ე  აშ-ბე-ნე <sup>5</sup>
ბრძან. ბ-ა! ბ-ა-ნან! <sup>6</sup>	აშ-ბ-ა! აშ-ბ-ა-ნან! <sup>6</sup>
კავშ. I. ბა-ნე <sup>7</sup>	აშ-ბ-ა-ნე <sup>7</sup>
მყოფ. II. ბ-ო-ნე <sup>8</sup>	აშ-ბ-ო-ნე  აშ-ნე-ბ-ო <sup>8</sup>

### II ქვეჯგუფი

ნაწ. კავშ. III. ბ-ო-ალ-ლე—ბო-ალ-ნე<sup>9</sup> აშ-ბ-ო-ალ-ლე<sup>9</sup>

სამ ძირითად ქვეჯგუფად დაყოფილ ამ დრო-კილოთაგან

1) აწმყოს, ბრძანებითისა და კავშირებითი პირველის მაწარმოებელია -ა, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ეს (ა) ელემენტი აწმყოს საწარმოებლად დაერთვის -ეს სუფიქსიან ინფინიტივ-მასდარის ფუძე-ფორმას (ბაქ-ეს-ა-ნე—ბაქს-ა-ნე, ანდა: ბა-ნე-ქ-ეს-ა—ბა-ნე-ქ-ს-ა „არის ხოლმე“, „არსებობს“; ბეს-ა-ნე „აკეთებს“...), ბრძანებითისა და კავშირებითის წარმოების დროს კი საყრდენად პირველადი („წმინდა“) ფუძეა გამოყენებული (ბაქ-ა, ბ-ა; ბაქ-ა-ნე, ბ-ა-ნე...); ოღონდ ისე, რომ აქედან პირველს (ბრძანებითს) მხოლოდობით რიცხვში პირის ნიშანი ა რ მოუღდის (შდრ. ბა „აკეთე! — კავშ. I. მხ. რ. III პ. ბ-ა-ნე „აკეთო“...). სხვანაირად რომ ვთქვათ, უდიდური კავშირებითი პირველი სტრუქტურულად პირის ნიშან-დართული ბრძანებითის ფორმაა.

აღნიშნულ დრო-კილოთა (აწმყოს, ბრძანებითისა და კავშირებითი პირველის) საზიარო ა მაწარმოებელთან დაკავშირებით ღებვა ასეთი საკითხი: როგორ

<sup>1</sup> „აკეთა (საერთოდ, ერთთავად)“; „იმუშავა (საერთოდ, ერთთავად, ნიადაგ)“...

<sup>2</sup> „აკეთოს (უთუოდ, უკვევლად)“; „იმუშაოს (უთუოდ, აუცილებლად)“...

<sup>3</sup> „რომ ეკეთებინა“, „ეკეთა“; „რომ ემუშავა“...

<sup>4</sup> „გაკეთებს კიდეც“; „იმუშავებს კიდეც“...

<sup>5</sup> „გაკეთა“; „იმუშავა (უკვე)“.

<sup>6</sup> „გაკეთე!“ „გაკეთეთ!“ „იმუშავე!“ „იმუშავეთ!“

<sup>7</sup> „გაკეთებს (შესაძლავს)“, „უნდა გააკეთოს“.

<sup>8</sup> „გაკეთებს (ვინცობა)“, „გაკეთებს (ვთქვათ-და)“, „გაკეთებს-და“ „იმუშავებს (ვინცობა)“, „იმუშავებს (ვთქვათ-და)“, „იმუშავებს-და“...

<sup>9</sup> „გაკეთებს კიდეც-და...“, „იქნება გააკეთებს კიდეც“; „იმუშავებს კიდეც-და“, „იქნება იმუშავებს კიდეც-და“...

გახდა შესაძლებელი, რომ ყველა ამ ფორმას აქვს ერთნაირი მაწარმოებელი? არის თუ არა ნამდვილად ეს ერთი და იგივე მაწარმოებელი? ამის კვალობაზე შეიძლება დადგეს ამ ფორმანტის თავდაპირველი მნიშვნელობის საკითხიც. აქ თავის მხრივ საინტერესოა, რომ აწმყო დროის გამოსახატავად გამოყენებული ა მაწარმოებელი (რომელსაც მოსდევს პირის ნიშანი) დაერთვის ინფინიტუ-მას-დარის ფორმას; მაგალ.: ბეს-ა-ნე „აქეთებს“, ბაქს-ა-ნე—ბაქეს-ა-ნე „არის“. „ხდება“ (ბეს „აქეთებს“, ბაქეს „ყოფნა“, „გახდობა“, „არსებობა“)...<sup>1</sup> ამგვარად წარმოებული ფორმის გამო კი შეიძლება დადგეს ასეთი საკითხიც: როგორ გახ-და შესაძლებელი, რომ დროისა და ამის მიმყოლი პირის ნიშანი დაერთვის ინ-ფინიტუ-მასდარის ფორმას? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა თავად უდიურა ენობრივი მონაცემების საფუძველზე ვერ ხერხდება. ეს შესაძლებელი ხდება თვისტომ ენათა, კერძოდ, წახური და მუხხალური ენების მონაცემთა მოხმობით. უდიურში აწმყოს საწარმოებლად გამოყენებული ა- ფორმანტი ემთხვევა დასა-ხელებულ ენებში ამავე ფუნქციით გამოყენებულ ა ელემენტს, რომელიც გენე-ტურად უკავშირდება „ა რ ი ს“ მეშველ ზმნას. ეს მკაფიოდ ჩანს, სახელდობრ, მუხხალურში (ცილოებში) ხმარებული აწმყო დროის<sup>2</sup> ფორმიდან, სადაც ბოლო-კიდურ ელემენტად გამოიყოფა ა—ჟ ა—\*ყ ა, რომელიც ამაჟამდ აწმყოს მორ-ფემაა, ხოლო წარმოშობით მეშველი ზმნაა (ასეთი მნიშვნელობით: „არის, იყო-ფება ამაჟამდ“); შდრ., მაგალ.: ჰაღარაა—ჰაღარა-ჟა—\*ჰაღარა-ყა „აქეთებს“ (სიტყვა-სიტყვით: „აქეთებს-რა ა რ ი ს“)... ამის კვალობაზე<sup>3</sup> უდიურის ზმნის აწმყოს ა მაწარმოებელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც „ა რ ი ს“ მეშველი ზმნის ნაშთი, ოღონდ იმ სხვაობით, რომ უდიურში საყრდენ ფუძე-ფორმად ინ-ფინიტუ-მასდარია გამოყენებული, ხოლო აღნიშნულ თვისტომ ენებში—აბსო-ლუტივის ფორმა<sup>4</sup>. ამ შესაძლებლობის მიხედვით, მაგალითად, უდიური ბეს-ა-ნე, ბაქს-ა-ნე—ბაქეს-ა-ნე და მისთანა ფორმათა თავდაპირველი მნიშვნელობა ასე უნდა გავიგოთ და განვმარტოთ: ბეს-ა-ნე—\*ბეს-ჟა-ნე (—\*ბეს-ყა-ნე) „აკე-თებად არის“= „აქეთებს“; ბაქს-ა-ნე—\*ბაქეს-ჟა-ნე (—\*ბაქეს-ყა-ნე) „ყოფნად არის“= „არსებობს“, „არის“, „იყოფება ამაჟამდ“...

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ა (ბა- „აქეთე!“ ბაქ-ა „იყავი!“...) და კავშირებითის (ბ-ა-ნე „ეკეთებინოს“, „უნდა აკეთოს“. ბაქ-ა-ნე „ყოფილიყოს“, „უნდა იყოს“...) ფორმებში კი ა ელემენტი სხვა წარმოშობისა ჩანს, — ამ ფორმათა სა-თავე, სახელდობრ, აბსოლუტივის მნიშვნელობასთან მიდის. ამგვარი ეტიმო-ლოგიური ძიება ეყრდნობა, ერთი მხრივ, თვითონ უდიური ენის რეალიებს, ხო-ლო, მეორე მხრივ, იმავე თვისტომ წახურ და მუხხალურ ენათა მონაცემებთან შედარებას. აქ, საგულისხმებელია აბსოლუტივის ისეთი ფორმები, როგორიცაა.

<sup>1</sup> კომპოზიტ-ზმნებში ეს წესი არ ირღვევა, ოღონდ აქ შესაძლოა ადგილი იცვალოს პირის ნიშანმა — მოექცეს ზმნის ინგრადიენტად გამოყენებულ ორ (სახელურ და ზმნურ) ნაწილს შა-რის; მაგალ.: აშ-ნე-ბეს-ა „მუშაობს (=საქმეს აკეთებს)“...

<sup>2</sup> კონკრეტული აწმყო.

<sup>3</sup> — თუ დავეყრდნობით რწმენას, რომ წახურ-მუხხალური და უდიური თვისტომი ენებია.

<sup>4</sup> საგულისხმა, რომ ამ პრინციპით მათზედებული ზმნის ინფინიტუის ფორმაზე „არის“ მეშველი ზმნის დართობი იწარმოება მყოფადის ფორმაც; შდრ., კერძოდ, მუხხალური (რთუ-ელური) ზმნები ა რ ი ს ი ი — ი ქ ი ს — ა ი — ი ქ ი ს — ა ი ლ ი „ყოფნა+არის=იქნება (ჟაცი, სავანი); რ რ — ი ს ი — რ ი ქის — რ ი — რ ი ქის — რ ი ლ ი „ყოფნა+არის=იქნება (ქალი)“; ვიქისი—ვიქის-ვი—ვიქის-ვი-ლი „ყოფნა+არის=იქნება (ცხველი)“...

მაგალითად, უდიდურშივე ხმარებული ბ-ატან||ბ-ახუნ („კეთებისას“, „კეთების დროს“). ბ-ა-მინ||ბ-ა-მა („კეთებამდე“, „ვიდრე გააკეთებდეს“), ბაქ-ატან||ბაქ-ახუნ („ყოფნისას“, „ყოფნის დროს“, „არსებობის უამს“) და წახურ-მუხადური პაქ-ა („კეთებისას“, „კეთების დროს“) ან კიდევ მუხადური პაქ-ა-მა („კეთებამდე“, „ვიდრე გააკეთებენ“) და მისთ.

საყურადღებოა ისიც, რომ წახურ და მუხადურ ენებში აბსოლუტივის ფორმა გამოიყენება მოდალური (ბრძანებითი კილოს) მნიშვნელობითაც, ეს კი თავის მხრივ უფრო სარწმუნოს ხდის ამ ფორმათა (აბსოლუტივის, ბრძანებითი და კავშირებითი კილოების) ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობას; შდრ., წახ.: პ ა ე ა. მუხად.: პ ა ე ა—პ ა ე—პ ა ე (ბრძანებითი კატეგორიული)<sup>1</sup>; წახ.: პ ა ე ა-შინ—პ ა ე ა-შინ (ბრძანებითი პოტენციური)<sup>2</sup>; მუხად.: პ ა ე ა-მ ე||—პ ა ე ა-მ ე (ბრძანებითი დაყოლიებითი)<sup>3</sup>... მაშასადამე, უდიდური ბრძანებითისა (მაგალ., ბ ა . ბ ა ქ ა... ) და კავშირებითის (მაგალ.: ბა-ნე, ბაქა-ნე...) მაწარმოებელი (ა) და აწმყოს მაწარმოებელი (ა) შეიძლება დახასიათდეს, როგორც სხვადასხვა წარმოებულობის მორფემები.

2) ნამყო უწყვეტელი იწარმოება აწმყოს მზამზარეულ ფორმაზე ა—ი მაწარმოებლის დართვით. ა ელემენტი რომ ი ხმოვნის დასუსტებული ვარიანტია, ეს ჩანს მრავლობითად წარმოდგენილი ამავე ნამყო უწყვეტლის ფუძე-ფორმებ-დან შდრ.. მაგალ., ბეს-ა-ნე-ა (აკეთებდა) — ბეს-ა-ყუნ-ი (აკეთებდნენ); ბაქს-ა-ნე-ა||ბა-ნე-ქს-ა-ა (იყო ხოლმე, მყოფობდა, არსებობდა) — ბა-ყუნ-ქეს-ა-ა, ნაჯრამ: ბაქს-ა-ყუნ-ი (იყვნენ ხოლმე, მყოფობდნენ, არსებობდნენ...)

საგულისხმოა, რომ ა) ეს ა—ი მაწარმოებელი დართვის უდიდურ დრო-კი-ლოთა თითქმის ყველა სხვა ფორმას, რის შედეგადაც იქნება თითოეული ამ ფორმის უწყვეტელობის, დიურატიულობისათუ პერმანენტულობის კატეგორია. შდრ.; მაგალ.: ბა-ქი-ყან (იყოს, იარსებოს...) — ბაქი-ყან-ი (იყოს. იარსებოს ხოლმე), ბაქალ-ლე (იქნება) — ბაქალ-ლე-ა (იქნებოდა ხოლმე. რომ...); ბაქალ-ალ-ლე (იქნება კიდევ) — ბაქალ-ალ-ლე-ა (იქნებოდა ხოლმე. რომ...), ბაქე-ნე, ბა-ნე-ქე (იყო უკვე) — ბაქე-ნე-ა, ბა-ნე-ქე-ა (იყო ხოლმე ოდესღაც); ბაქა-ნე (იქნება ალბათ) — ბაქა-ნე-ა (შესაძლოა იყოს ხოლმე; უნდა ყოფილიყო ხოლმე); ბაქო-ნე (იქნება იყოს; ვინიცობაა, ვთქვამთ და იქნება) — ბაქო-ნე-ა (იქნება იყოს ხოლმე; ვთქვამთ და იქნება ხოლმე)... ბ) რო-გორც ამ ერთმანეთთან შეპირისპირებულ ფორმათა თარგმანიდანაც ვხედავთ, ამ-გვარი მორფოლოგიური პროცესის (ა—ი ელემენტთა დართვის) შედეგად, გარ-და უწყვეტლობის, ერთთავადობის მნიშვნელობისა, წარმოიქმნება სხვა კატე-გორიაც. კერძოდ — ნამყო წინარწარსულისა (ბა-ნე-ქე-ა, ბაქე-ნე-ა „იყო. იარ-სება ოდესღაც“...).

ნამყო უწყვეტელი, რომელიც ი—ა ფორმანტის დართვით აწმყოს ფუძე-ფორმისაგან იწარმოება, არსებითად (წარმოშობით) არის რეინტერპრეტი-რებული (ნამყო უწყვეტელისად გაგებულ-გამოყენებულ) ისტორიული აწმყო. ანუ აწმყო-ზოგადი.

3) ი ნიშანი გამოიყენება აგრეთვე აორისტი პირველისა (იხ. ზემ. დრო-კი-

<sup>1</sup> „კეთე!“

<sup>2</sup> „შეგიძლია, აკეთო!“

<sup>3</sup> „რაც იყო, იყო, აკეთე!“ „ეგებ გააკეთო!“

ლოთა მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფი) და ზოგი სტატიკური ზმნის საწარმოებლად: შდრ., მაგალითად: ბი-ნე (აყეთა), ფ-ი-ნე (თქვა ხოლმე), ბაქ-ი-ნე ბა-ნე-ქ-ი (იყო, იარსება) და ბასკ-ი-ნე (წევს). ჩურფ-ი-ნე (დგას), არ-ი-ნე (ზის)... ან ფორმათა გარშემო ზოგი სხვა ცნობა მოცემული იქნება ქვემოთ (იხ. სტატიკური ზმნები. აორისტი პირველის წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი სხვა განმარტება. ასპექტის საკითხი).

4) როგორც აღინიშნა, დრო-კილოთა მეორე ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში შემავალი ნაწილაკოვანი კავშირებითის ორი ფორმა — ნაწილაკოვანი კავშირებითი პირველი და ნაწილაკოვანი კავშირებითი მეორე — იწარმოება აორისტი პირველის ფუძე-ფორმის გამოყენებით. დასახელებულ ორ ფორმათაგან პირველის საწარმოებლად აორისტის ფორმას დაერთვის ყა ნაწილაკი<sup>1</sup>, ხოლო მეორის საწარმოებლად — ნაწილაკი გი (მნიშვნელობის მხრივ კავშირებითი კილოს ამ ორი ფორმის სხვაობა ნაჩვენებია ზემოთ).

5) მეორე ძირითადი ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში შემავალი ფორმები (მყოფადი პირველი<sup>2</sup> და აქედან წარმოებული ნაწილაკოვანი მყოფადი), როგორც უკვე ითქვა, იწარმოებიან მიმღობის ფორმისაგან; შდრ., მაგალითად: ბა ლ „მკეთებელი“, „საკეთებელი“ — ბალ-ლე—ბალ-ნე „გააკეთებს“, ბალ-ალ-ლე „გააკეთებს კიდევ“; ბა ქა ლ „მყოფი“, „არსებული“ — ბაქალ-ლე—ბაქალ-ნე „იქნება“, „იარსებებს“; ბაქალ-ალ-ლე—ბაქალ-ალ-ნე „იქნება, იარსებებს კიდევ“... საინტერესოა, რომ ამ ფუძე-ფორმასაც (მიმღობას) ამჟამინდელი ბრძანებითის, ხოლო გენეტურად ამსოლუტივის ფორმა უდევს საფუძვლად: შდრ., მაგალითად: ბა (იხ. ზემ.) — ბა-ლ (მიმღ.): ბა-ალ-ლე—ბა-ლ-ნე (მყოფ.): ბა-ქა (იხ. ზევ.) — ბა-ქა-ლ (მიმღ.): ბა-ქა-ალ-ლე—ბა-ქა-ლ-ნე (მყოფ.)...<sup>3</sup>

6) მესამე ჯგუფის ყველა ფორმა (მეორე ქვეჯგუფში მოქცეული ნაწილაკოვანი კავშირებითის გარდა) იწარმოება პირველად („წმინდა“) ფუძეზე ამა თუ იმ ფორმანტის დართვით, სახელდობრ:

ა) -ე მაწარმოებლის დართვით — აორისტი მეორე. ქართულს რომ შეეუპირისპიროთ, ეს ე-ნიანი აორისტი შეეფარდება ნამყო წყვეტილის პრევერბიან (სრული სახის) ფორმას: ბ-ე-ნე — „გააკეთა“, სერარებე—სერ-ნე-ბ-ე „აავა“, „ააშენა“, „გააკეთა“, ეხ-ნე-ბ-ე „მომკა“; ბ) -ა მაწარმოებლის დართვით იწარმოება ბრძანებითისა და კავშირებითი პირველის ფორმები (იხ. ზემ.); გ) -ო მაწარმოებლის დართვით — მყოფადი მეორე, რომელსაც შეუძლია გამოხატოს „კავშირებითი კილოსა და მყოფადის მნიშვნელობა (ბ-ო-ნე „აკეთოს“, „გააკეთოს“, „გააკეთებს“; ბა-ნე-ქ-ო „იყოს“, „იქნეს“, „იქნება“...); დ) ამავე ჯგუფში (მეორე ქვეჯგუფში) შემავალი ნაწილაკოვანი კავშირებითი მესამე იწარმოება წყოფადი მეორის ფორმაზე -ალ („ც“) ნაწილაკის დართვით.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი პარადიგმებიდან ჩანს, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების დრო-კილოთა ფორმები და ამ ფორმათა ჯგუფები არ განს-

<sup>1</sup> რომელიც ეტიმოლოგიურად შეიძლება დაუკავშირდეს უღიურშივე ხმარებულ „და“ კავშირის მნიშვნელობის ყ აიყ ა ნ სიტყვას.

<sup>2</sup> მყოფადი-თხრობითი.

<sup>3</sup> იხ. რომ მიმღობის მაწარმოებლად გამოიყოფა -ლ სუფიქსი და არა -ალ, როგორც ეს უღიურის სხვა მკვლევრებს აქვთ გამოყოფილი (სახელდობრ, ასე: ბ-ალ, ბაქ-ალ...), -ლ სუფიქსის მორფოლოგიურ-ფონეტიკური კორელატებია -ნ, -ნა (წახურში) და -დ, -დჯ (მუხადურში); შდრ., მაგალ.: პაქა-ნ, პაქა-ნა (წახ.), პაქა-დ, პაქა-დჯ (მუხად.) „მკეთებელი“...

ხვადდება ერთიმეორისაგან. ამ მხრივ ერთნაირი მდგომარეობაა უდიური ენის ორსავე დიალექტში; რასაკვირველია, თუ არ ვიკვლისხმებთ ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად მიღებულ სხვაობას.

საგულისხმებელია, რომ საერთო უდიურში ზოგი ზმნის დროთა ფორმების საწარმოებლად გამოიყენება ალტერნაციული ფუძე-ძირები, შდრ., მაგალითად: ე-ნე-სა (მოდის), არი-ნე, არე-ნე (მოვიდა), ელალ-ლე—ელალ-ნე (მოვა); თა-ნე-სა (ნიდის), თა-ნე-ცი, თა-ნე-ცე (წავიდა), თალალ-ლე—თალალ-ნე (წავა); ან კიდევ: ეხ-ნე—ეხ-ა-ნე (ამბობს), ფე-ნე (თქვა), უკალ-ლე—უკალ-ნე (იტყვის)... ასეთი სხვაობა, რა თქმა უნდა, არ არღვევს დრო-კილოთა წარმოებისა და ჯგუფებად დაყოფის საერთო წესს.

ეს საერთო წესი რამდენადმე ირღვევა მხოლოდ ბ უ-ნ ე (არის), ბ უ-ტ ა ე (აქვს) და ფ ე ს უ ნ (თქმა) ზმნათა უღვლილების სისტემაში. სახელდობრ: ბ უ-ნ ე ზმნა დეფექტურია, მას ეწარმოება მხოლოდ ორსავე რიცხვში დასმული სამივე პირის აწმყოსა და აქედან ნაწარმოები ნამყო უწყვეტლის ფორმები (იხ. ქვემ.). ფ ე ს უ ნ ზმნის აწმყოსა და ნამყო უწყვეტლის ფორმათა საყრდენად ინფინიტე-მასდარის ნაცვლად პირველადი („წმინდა“) ფუძე გამოიყენება; სახელდობრ: ე ხ-ნე—ე ხ-ა-ნე (ამბობს), ე ხ-ნე-ა (ამბობდა). ამ (ფესუნ) ზმნას, როგორც აღინიშნა, დრო-კილოთა სხვა ფორმები ალტერნაციული ფუძეების გამოყენებით ეწარმოება: ფი-ნე, ფე-ნე (თქვა), ფი-ყა-ნ (თქვას); ფი-გი-ნ (ეთქვა); უკალ-ლე—უკალ-ნე (იტყვის), უ-ნე-კო (იტყვის, რომ...); თუმცა ამ ზმნის სუბლექტურ ფუძესაც დრო-კილოთა ამა თუ იმ ფორმის საწარმოებლად ის აფიქსი დაერთვის, რაც სხვა (გარდამავალ თუ გარდუვალ) ზმნებს.

### „ა რ ი ს“ და „ა ქ ვ ს“ ზმნები უდიურში

„არის“ და „აქვს“ ზმნები უდიურში მიმღეობური წარმოებისაა, საყრდენად ბოუდის ბუ („მყოფი“), რომელსაც დაერთვის პირის ნიშანი. „არის“ ზმნა, რასაკვირველია, ნომინატიური კონსტრუქციისა და, მაშასადამე, პირის ნიშანიც ამის შესაბამისად დაერთვის, სახელდობრ, ასე: ბუ-ზუ||—ბუ-ზ (ვარ); ბუ--ნუ||—ბუ-ნ (ხარ), ბუ-ნე (არის); ბუ-ჟან (ვართ), ბუ-ნან (ხართ), ბუ-ყუნ (არიან). ეს ფორმები დასახელებულია ვართაშნული დიალექტის მონაცემთა მიხედვით. ნიჯურში მრავლობით რიცხვში დასმული მესამე პირის ფორმა სხვა ნიშნით იწარმოება: ბუ-ტუნ „არიან“ (შდრ. ვართ. ბუ-ყუნ); სხვა ფორმები კი აქაც ისეთივეა, როგორც ვართაშნულში. ეს ზმნა დეფექტურია: ეწარმოება მხოლოდ აწმყოს აღნიშნული ფორმები და ამაზე -ი—ჟ ნიშნის დართვით — ნამყო უწყვეტელი: ბუ-ზუ-ჟ (ვიყავი ხოლმე), ბუ-ნე-ჟ (იყავი ხოლმე), ბუ-ნე-ჟ (იყო ხოლმე); ბუ-ჟან-ი (ვიყავით ხოლმე), ბუ-ნან-ი (იყავით ხოლმე); ბუ-ყუნ-ი (იყვენენ ხოლმე); ნიჯ. ბუ-ტუნ-ი (იყვენენ...). ამ ზმნას პირის ნიშნები, როგორც ვხედავთ, ბოლოს მოუღის. მაგრამ რთული ზმნის ინგრედიენტად (მეშველ ზმნად) გამოყენების დროს პირის ნიშანმა შეიძლება ადგილი იცვალოს — მოქცეს ასეთი (კოპოზიტი) ზმნის შემადგენელ ნაწილთა შორის; შდრ., მაგალითად: თე-ნე-ბუ „არ არის“, ქა-ნე-ბუ „მანდ არის“, „მანდაა“, ბეზი-ნე-ბუ „ჩემი არის“, „ჩემია“, „მე მომეპოვება“, უმუდ-დე-ბუ—უმუდ-ნე-ბუ „იმედი არის“, „იმედია“, შენო-ნე-ბუ „ის არის“. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ფუძისეული ბუ ელემენტი ამოვარდეს და „არის“ მეშველ ზმნიანი ფორმები ასე გამარტივდეს: თე-ნე „არ არის“,

ქა-ნე „მანდაა“, ბეზი-ნე „ჩემია“, უმულ-დე—უმულ-ნე „იმედია“, შენო-ნე „ისაა“... და ასე — ყველა პირში: ზუ ბუ-ზუ||ზუ-ზუ „მე ვარ“, უნ ბუ-ნუ||უნ-ნუ „შენ ხარ“...; მან ბუ-მან || მან-მან „ჩვენ ვართ“; ვან ბუ-ნან || ვან-ნან „თქვენ ხართ“; შენორ ბუ-ყუნ||შენორ-ყუნ „ისინი არიან“...

„აქვს“ ზმნაც იმავე ბუ („მყოფი“) ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება. ო.ლონდ იმ სხვაობით, რომ აქ პირის მწარმოებლად გამოიყენება ა) კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ვართაშნულში) და ბ) მიცემით ბრუნვაში დასმული პირის ნაცვალსახელი (ნიჭურში). თანაც ისე, რომ პირველ შემთხვევაში (ვართაშნულ ვარიანტში) სუფიქსური წარმოება გვაქვს, მეორე შემთხვევაში კი (ნიჭურ ვარიანტში) — პრეფიქსული; შდრ., სახელდობრ:

- ვ ა რ თ ა შ ნ.: ბუ-ბ ე ზ ი||—ბუ-ბ ე ზ „მაქვს (მყოფი-ჩემი)“  
ბუ-ვ ი „გაქვს (მყოფი-შენი)“  
ბუ-ტ ა მ „აქვს (მყოფი-მისი)“  
ბუ-ბ ე შ ი||—ბუ-ბ ე შ „გვაქვს (მყოფი-ჩვენი)“  
ბუ-ე ფ ი||—ბუ-ე ფ „გაქვთ (მყოფი-თქვენი)“  
ბუ-ყ ო მ „აქვთ (მყოფი-მათი)“  
ნ ი ჭ უ რ ი: ზ ა ხ-პუ—ზ ა ხ-ბუ „მაქვს (მე-მყოფი)“  
ვ ა ხ-პუ—ვ ა ხ-ბუ „გაქვს (შენ-მყოფი)“  
ტ უ ხ-პუ—ტ უ ხ-ბუ „აქვს (მას-მყოფი)“  
მ ა ხ-პუ—მ ა ხ-ბუ „გვაქვს (ჩვენ-მყოფი)“  
ვ ა ხ-პუ ← ვ ა ხ-ბუ „გაქვთ (თქვენ-მყოფი)“  
ტ უ ა ხ-პუ ← ტ უ ა ხ-ბუ „აქვთ (მათ-მყოფი)“

რთული ზმნის ინგრედიენტად (მეშველ ზმნად) გამოყენების დროს ამ ზმნაშიც პირის ნიშანმა შესაძლოა იცვალოს ადგილი, — მოექცეს კომპოზიტა-ზმნის შემადგენელ ნაწილთა შუა<sup>1</sup>; მაგალითად: უმულ-ბეზ-ბუ „იმედი მაქვს (იმედი ჩემი არის)“, უმულ-ვი-ბუ „იმედი გაქვს (იმედი შენი არის)“, უმულ-ტა-ბუ—უმულ-ტამ-ბუ „იმედი აქვს (იმედი მისი არის)“. შდრ. ნიჭური: უმულ-ზახ-პუ, (იმედი მაქვს), უმულ-ვახ-პუ (იმედი გაქვს), უმულ-ტახ-ბუ (იმედი აქვს) და ა. შ.

მაშასადამე, აქვს ზმნა უდიუროში ორგვარი კონსტრუქციისა — გ ე ნ ე-ტ ი უ რ ი (პოსესიური)<sup>2</sup> და და ტ ი უ რ ი<sup>3</sup>.

როგორც ითქვა, ა რ ი ს და ა ქ ვ ს ზმნები დეფექტურია. ამ ზმნათა უღვლილების პარადიგმებში ფორმათა ხარვეზის ამოვსება ხდება ბ ა ქ ს უ ნ (ყოფნა) ზმნის სხვა დრო-კილოთა ფორმებით; მაგალითად, ასე: ა) ბა-ნე-ქი, ბა-ნე-ქე (იყო), ბაქალლე—ბაქალ-ნე (იქნება) და ა. შ.<sup>4</sup> ბ) ბა-ბეზ-ქი, ბა-ბეზ-ქე (მქონდა), ბაქალ-ბეზი||—ბაქალ-ბეზ (მექნება) და ა. შ.<sup>5</sup>

<sup>1</sup> იგულისხმება ვართაშნული ვარიანტი. ნიჭურ ვარიანტში პირის მწარმოებელი რჩება თავის ადგილას.

<sup>2</sup> ვართაშნულ დიალექტში.

<sup>3</sup> ნიჭურ დიალექტში.

<sup>4</sup> იხ. ზემ. დრო-კილოთა პარადიგმები და განმარტებები.

<sup>5</sup> იხ. ზემ. პირის ნიშნები.

## სტატიკური ზმნები უდიურში

უდიურს მოეპოვება ორი ტიპის სტატიკური ზმნები: ნიშნიანი და უნიშნო. პირველს მიეკუთვნება<sup>1</sup>: ჩ უ რ ფ ი ნ ე (დგას), ა რ ც ი ნ ე (ზის), ბ ა ს კ ი ნ ე (წევს), ლ ა რ ი ნ ე (ჰგავს), ბ ა რ ი ნ ე (ყრია), ბ ი თ ი ნ ე (გდია) და მისთ., ხოლო მეორე ტიპს — კ ო წ ნ ე (მოხრილია, დაქანებულია, ირიბადაა), მ უ შ ნ ე (ქარია, ქრის), ა ლ ა ნ ე (წვიმა- წვიმს) და მისთ. არის ერთმანეთის პარალელურად სმარებული ნიშნიანი და უნიშნო ფორმებიც: ლ ა ხ ი ნ ე | ლ ა ხ ნ ე (ძევს). ბ უ ე ე ც ი ნ ე | ბ უ ე ნ ე (გაბერილ-გაბლენძილია). ჩ უ ხ ე ც ი ნ ე | ჩ უ ხ ნ ე (შემძვრალია, შერჩილია, გაჩრილია), კ უ წ ე ც ი ნ ე | კ უ წ ნ ე (დასკუპებულია, ჩა-ცუტებულია). ყ უ ჰ ე ც ი ნ ე | ყ უ ჰ ნ ე (შეჰყუნულია, შერჩილია, შეტენილია) და სხვ. ორივე ჯგუფის ამ სტატიკურ ზმნებს ბოლოკიდური -ნე ელემენტი რომ ჩამოეაცილოთ, დაგვრჩება, ერთი მხრივ. -ი ბოლოხმოვნისანი (ჩურფი, არცი, ბასკი, ლარი, ბარი, ბითი; ლახი, ბუეეცი, კუწეცი, ჩუხეცი და მისთ.) ფუძე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ -ი ბოლოხმოვნის უქონელი (მუშ, ალალა, კუწ, კოწ, ყუჰ და მისთ.) ფუძე. ამათგან პირველი ჯგუფის (-ი ხმოვანზე დაბოლოებული) საყრდენი ფუძე ამჟამად ცალკე, პრაქტიკულად, ხმარებული მ ი მ ლ ე ო ბ ი ს ა ნ „ზედსართ. სახელის“ ფორმაა, რომელიც ა რ ა რ ი ს გ ა რ ჩ ე უ ლ ი დ რ ო ი ს ა დ ა გ ვ ა რ ი ს თ ე ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ; მაგალითად: ჩ უ რ ფ ი „მდგარი“, „მდგომარე“, ა რ ც ი „მჭდარი“, „მჭდომარე“, ბ ა ს კ ი „დაწოლილი“, „მწოლარე“, ლ ა რ ი „მსგავსი“, „მგვანი“, ბ ა რ ი „დაყრილი (რაც დაყარეს ან ყრია საერთოდ)“, ბ ი თ ი „დაგდებული (რაც ვინც დააგდეს ან გდია საერთოდ)“, ლ ა ხ ი „დადებული“ (რაც დადეს ან დევს საერთოდ)“ და ა. შ. მეორე ჯგუფის (-ი ხმოვნის უქონელ) საყრდენ ფუძეთაგან ზოგი ცალკე ხმარებული, ცოცხალი, სიტყვაა (სახელის ფუძეა), მაგალითად: მუშ. „ქარი“, ბუე „ამპარტავანი“, „ბლენძი“, ალალა „წვიმა“, კოწ „დახრილი“ და სხვ., ზოგს კი ამჟამად მნიშვნელობა დაკარგული აქვს და, მაშასადამე, დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს აღარ წარმოადგენს, ასეთებია, მაგალითად, ყ უ ჰ, კ უ წ და სხვ.

უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე ჯგუფის საყრდენ ფუძესაც კჷონდა იგივე -ი მაწარმოებელი, რომელიც მას პირველი ჯგუფის (-ი ბოლოელემენტის) ფუძეებს უტოლდება. ამგვარ განმარტებას შეიძლება საფუძვლად დაედოს, ჭერ ერთა, სტატიკურ ზმნათა წარმოების ზემოთ დასახელებული ნარევი ტიპის (-ი მორფე-მიანი ან ამ მორფემის უქონელი) ზმნების ერთმანეთის პარალელურად არსებო-ბა; მეორეც—ის, რომ სახელის წმინდა ფუძეზე ამგვარი ელემენტის გარეშე პი-რის ნიშნის დართვა (საწარმოებელი ფუძის ზმნური მნიშვნელობის საწყისთა საკითხი) აუხსნელი იქნებოდა. მაშასადამე, უდიურში სტატიკურ ზმნათა წარ-მოებისთვის საყრდენ ფუძედ გამოიყენება მ ი მ ლ ე ო ბ ა, რომელიც ამჟამინ-დელი ვითარების მიხედვით ამგვარ ზმნათა ერთ ჯგუფში ცხადად ჩანს, სოლო მეორეში — საძებნია...

მაგრამ აქ დგება ის საკითხიც, თუ როგორ გახდა შესაძლებელი პირის ნიშ-ნის დართვა მიმღებობის ფორმაზე (მიმღებობა ხომ თავად ითვლება ნაზმნარ სა-ხელად!).

საფიქრებელია, რომ დინამიკურ (გარდაუვალ და გარდამავალ) ზმნათა აწმ-ყოს ფორმის მსგავსად აქაც წარმოშობით გვაქვს „არის“ მეშველზმნიანი წარ-

<sup>1</sup> ნიშნულად ყველაგან დასახელებულია მხოლოდითი რიცხვის შესამე პირის ფორმა.

მოება. ამგვარი მეშველი ზმნის ნაშთი უნდა იყოს სწორედ მიძლეობის ბოლო-კიდურ ელემენტად გამოყოფილი - ი ხმოვანი: ბასკ-ი, ჩურფ-ი, არც-ი, ბით-ი... მაგრამ თუ დინამიკურ ზმნათა აწმყოს წარმოების დროს საყრდენად იხმარება ინფინიტივ-მასდარის ფორმა, რომელსაც დაერთვის ა ელემენტი, — წარმოშობით ა—ცა\*—ყა „არის“ ზმნის<sup>1</sup> ნაშთი. სტატიკურ ზმნებს, როგორც დასახელებული ნიშნუშებიდანაც ჩანს, ასეთი საყრდენი არა აქვთ, თანაც საყარაუდოა, რომ მათ საწარმოებლად ოდითვან გამოიყენებოდა აგრეთვე „არის“ მეშველი ზმნის ისეთი ფორმა, რომელშიც მონაწილეობდა - ი ელემენტი, ამასთან ისე, რომ ასეთ მეშველ ზმნას კონკრეტული აწმყოს საპირისპიროდ უნდა ჰქონოდა განუხსნადელი, ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა. ასეთი მეშველი ზმნა უდიურს ამეამად არ მოეპოვება. ეტიმოლოგიური ძიებისათვის ამ შემთხვევაშიც საჭირო იქნება მოვიშველიოთ ზოგი მასალა თვისტომ ენათა არეალიდან. აქ, კერძოდ, საგულისხმებელია „არის“ ზმნის აწმყოს აბსოლუტივის (resp. ექსტემპორალური მნიშვნელობის) ფორმა, რომელიც მოწმდება მუხადურ (რუთულურ) ენაში ასეთი სახით:  $\text{ქი-ჰიცი (I და IV გრ. კლ.)}$ ,  $\text{ქი-რიცი (II გრ. კლ.)}$ ,  $\text{ქი-ვიცი (II გრ. კლ.)}$ .<sup>2</sup>  $\text{ქი}$ , რომელიც თავის მხრივ მიღებულია \*-ყი ფონეტიკური ვარიანტიდან<sup>3</sup>, ამ ენაში კიდევ უფრო მარტივდება და ი ხმოვნამდე — ოდენ ფორმანტამდე<sup>4</sup> დაიყვანება. სრული თუ გამარტივებული სახით ზმნა გამოიყენება სწორედ დიურატიულობის, ერთთვადობის, დროის მხრივ განუსაზღვრელობის გამომხატველ მორფემად — „არის“ მეშველ ზმნად<sup>5</sup>.

თვით სტატიკურ ზმნათა აგებულებისა და შინაარსის ხასიათის მხედვით ამგვარი მეშველი ზმნის ინგრედიენტად გამოყენება სრულიად ბუნებრივია და ლოგიკური. ამას თუ იმასაც დაეუმატებთ, რომ საწარმოებელი ზმნის ფუძე-ფორმაში ოდენ ფორმანტამდე დაყვანილ ან ინკორპორაციის შედეგად მორფემად (ფორმანტად) ქცეული მეშველი ზმნის გამოყენება ჩვეულებრივი გრამატიკული პროცესია უდიურსა და თვისტომ ენებში, სარწმუნო იქნება უდიურ სტატიკურ ზმნათა რთული აგებულების შესახებ აქ მოცემული განმარტებები და სწორად მოგვეჩვენება ამგვარ ზმნათა მაწარმოებლის ეტიმოლოგიური ძიება. ამის კვალობაზე ზემოთ დასახელებული ზმნების თავდაპირველი აგებულება და მნიშვნელობა ასე უნდა გავიგოთ<sup>6</sup>, მაგალითად: ბასკ-ი-ნე \*—ბასკ-ცი-ნე (წოლილი არის საერთოდ — მწოლარე არის — მწოლარეა — წეცს); ჩურფ-ი-ნე — \*ჩურფ-ცი-ნე (დამდგარი არის საერთოდ—მდგარი ან მდგომარე არის — მდგომარეა—დგას); არც-ი-ნე—არც-ცი-ნე (დაჯდომილ არს საერთოდ—ჯდომილ არს—მჯდომარეა—ზის); ბით-ი-ნე—\*ბით-ცი-ნე (გდებულ არს—დაგდებუ-

<sup>1</sup> კონკრეტული აწმყოს.

<sup>2</sup> ზმნის ამ ფორმას აქვს ასეთი შინაარსი: „არის-რა საერთოდ“, „არსებობს-რა საერთოდ“, „არის-რა ნიდაც, ერთთვად“||„არის ხოლმე“, „არის, არსებობს ნიდაც“, „სულ მუდამ არს-ბობს, არის“...

<sup>3</sup> ასეთი ფონეტიკური ვარიანტების დადასტურება შეიძლება ამ ენაზე მოლაპარაკე აულთა მეტყველებაში.

<sup>4</sup> აქ ძირისეული მასალა  $\text{ქი-ყი}$  თანხმოვანი და არა ი, როგორც ამას ა. დირი მიიჩნევს 1911 წელს გამოქვეყნებულ „რუთულურ ენაში“.

<sup>5</sup> ევგ. ჭეიჩიანიშვილი, „წახურ და მუხადურ ენათა ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (საწერ მანქანაზე ნაბეჭდი), 1965, გვ. 865—935; სადოქტ. დისერტ. ავტორეფერატი (რუს. ენ.), გვ. 57—61. შტრა.: ა. დ ი რ ი, „რუთულური ენა“, 1911.

<sup>6</sup> რეკონსტრუირებულ ნიშნუშებში წარმოდგენილია მხოლოდ ამ ზმნათა განვითარების ორი ბოლო საფეხური.



ლია—გღია): ბარ-ი-ნე—\*ბარ-ღი-ნე (ყრილ არს—დაყრილია—ყრია) და ა. შ. ამას თუ დაუვმარტებთ იმასაც, რომ „ყოფნა (ვარ, ხარ, არის...)“ ზმნის მოშველიებით სტატიკურ ზმნათა წარმოება ჩვეულებრივი მოვლენაა სხვა ენებშიც (შდრ., კერძოდ, ქართული ვწე-ვარ, წევ-ხარ; ვდგა-ვარ, დგა-ხარ; ვზი-ვარ, ზი-ხარ; ვსხედ-ვართ, სხედ-ხართ და მისთ.), დამაჩვენებელი იქნება უდიურო სტატიკურ ზმნათა - ი მაწარმოებელში ზმნური საწყისის ძიება. ასეთი ძიების შედეგად კი ცხადი გახდება, ერთი მხრივ ის, თუ რატომ გამოიყენება მიმღეობა აბსოლუტივის მნიშვნელობით და რატომ აქვს მას პრედიკატული დანიშნულება ზუსტიტყევაში, ხოლო, მეორე მხრივ, ნათელი გახდება მიმღეობის ამგვარ ფორმალურ-პირის ნიშნის დართვის შესაძლებლობა.

### სხვა ცნობები ნამყო უწყვეტლისა და აორისტი პირველის მაწარმოებლის შესახებ. ახევეტის კატეგორიის ხაკითხი

ყურადღებას იპყრობს ის, რომ უდიუროში აორისტი პირველი და ნამყო უწყვეტელი იწარმოება ერთი და იმავე ი ელემენტით<sup>1</sup>.

რით უნდა იყოს შეპირობებული ამ ორი ფორმის — აორისტისა და ნამყო უწყვეტლის მაწარმოებლის იგივეობა?

აქ საგულისხმოა შემდეგი: **ქ ე რ ე რ თ ი**—თეად აორისტის ზემოთ აღნიშნული ორი (იწინანი და ეწინანი) ფორმა განსხვავდება ზმნის უ ს რ უ ლ ი და ს რ უ ლ ი სახის გადმოცემით; კერძოდ, ქართულს რომ შევეუპირისპიროთ, ეწინანი აორისტი შეეფარდება ქართული ნამყო უწყვეტლის სრული სახის (პრევერბიან) ფორმას; მაგალითად: ბ-ე-ნე „გააკეთა“, სერებ-ე „ააშენა“, ეზნებ-ე „მოხსნა“, ქ-ე-ნე „შეჰამა“..., ხოლო იწინანი აორისტი გადმოსცემს ნამყო უწყვეტლის უ ს რ უ ლ ი ასპექტის მნიშვნელობას, მაგალითად: ბ-ი-ნე „აკეთა“, სერებ-ი „აშენა“ და ა. შ. **მ ე ო რ ე ე** — საყურადღებოა, რომ უდიურო ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ზმნებიც სწორედ ისე იწარმოებიან, როგორც აორისტი პირველი (საყრდენად მიმღეობის ისეთივე<sup>2</sup> ფორმა აქვთ, როგორიც — აორისტ პირველს): შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ, ბ ი (მკეთებელი, ნაკეთები): ბი-ნე „აკეთა“, ფ ი (მთქმელი, ნათქვამი): ფი-ნე „თქვა“, ხოლო მეორე მხრივ, ა რ ც ი (მჯდომარე, დამჯდარი): არცი-ნე „ზის“, ბ ა ს კ ი (მწოლარე, დაწოლილი): ბასკი-ნე „წევს“ და ა. შ. საინტერესოა ისიც, რომ ი მაწარმოებლიანი მიმღეობა გამოიყენება როგორც ნ ა მ ყ ო, ისე ა წ მ ყ ო-მ ყ ო ფ ა დ ი ღ რ ო ა ს ა ბ ს ო ლ უ ტ ი ვ ა დ ა ც; შდრ., მაგალითად: ტ ი ტ ე რ ი თანეც „გაიქცა-რა წავიდა (გაქცეული წავიდა)“ ტ ი ტ ე რ ი თანესა „მირბის-რა მიდის (გამქცევი. მიმრბენი მიდის), ტ ი ტ ე რ ი თალალე „გაიქცევა-რა წავა (გამქცევი, გასაქცევი წავა)“. ამასთან მნიშვნელოვან-

<sup>1</sup> ეს-ი ფორმანტი უდიუროს შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, გარდა აორისტისა და ნამყო უწყვეტლისა, გამოყოფილია ნამყო წინარე წარსულისა და ნაწილაკიანი კავშირებითის ფორმებში, პირობით-ნატურითში (ა. შ. ი ფ ნ ე რ ი, ვ. ფ ა ნ ჩ ე ო ძ ე). ამასთან აღნიშნულია ისიც, რომ აორისტი პირველისა და ნამყო უწყვეტლის ი მაწარმოებელი ისტორიულად ერთმანეთთან კავშირში უნდა იყოს, მათი ურთიერთობის საკითხი საყურადღებოა და დროთა ჩამოყალიბების ისტორიის ეხება (ვ. ფ ა ნ ჩ ე ო ძ ე). უდიურო ენის პირველი მკვლევარი ა. შაფ-სერი ი ელემენტს იმპარფეტის, განუსაზღვრელი ნამყოსა და პრეტერიტუმის მაწარმოებლად გამოყოფს. ა. დირი ძირითადად ა. შიფნერის მოსაზრებებს ეყრდნობა.

<sup>2</sup> დროის (და გვარის) თვალსაზრისით გაურჩეველი — ექსტემპორალური.

ნია ისიც, რომ **მ** მაწარმოებელი დაერთვის დრო-კილოთა სამივე ჯგუფის რა-  
გინდარა ფორმას და გამოხატავს ამ დროისა და კილოს უწყვეტლობას.  
გ ა ნ გ რ ძ ო ბ ი თ ო ბ ა ს , დ ი უ რ ა ტ ი უ ლ ო ბ ა ს .

როგორც ჩანს, **მ** ფორმანტი ნაწარმოები ნამდვილი ნამყო უდიურს თავ-  
ლაბირველად არ ჰქონია; დღევანდელი მდგომარეობის მიხედვითაც ამ მორფე-  
მით გამოხატული დრო მაინცადამაინც გ ა ნ უ ს ა ზ დ რ ე ლ ო ბ ი ს , უ წ ყ -  
ე უ ტ ლ ო ბ ი ს ცნება უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით აქ საჭირო იქნება  
გვიმეორით ის, რაც **მ** მორფემით წარმოებული ნამყო უწყვეტლის თაობაზე  
წევით ითქვა: ეს ფორმა წარმოშობით და ოდინდელი მნიშვნელობით აწმყო-  
ზოგადის ფორმაა, რაც ამჟამად რეინტერპრეტირებულია ნამყო უწყვეტლის კა-  
ტეგორიად. ამავე **მ** მაწარმოებლის შემცველი აორისტი (ნამყოს ფორმა) კი უნდა  
გაგებულ იქნეს ისე, როგორც ეს ძველ ბერძენ გრამატიკოსებს ესმოდათ: ეს  
ფორმა, მართალია, გამოიყენება ნამყოს მნიშვნელობით, მაგრამ არსებითად  
(თავდაპირველი მნიშვნელობის მიხედვით) ამაში არ აისახებოდა მოქ-  
მედების ლოკალიზაცია დროში; ამ ფორმით გადმოიცემა სწორედ  
ის კომპლექსური, კონცენტრირებული აორისტის მნიშვნელობა, რაც დაკავში-  
რებულია გ ა ნ გ რ ძ ო ბ ი თ ო ბ ი ს , გ ა ნ უ ს ა ზ დ რ ე ლ ო ბ ი ს (a-oristos)  
ცნებასთან. ამის კვალობაზე ზმნის ისეთი უდიური ფორმები, როგორიცაა, მა-  
გალითად, ბ ი ნ ე (აკეთა, ქმნა), ფ ი ნ ე (თქვა), თ ა დ ი ნ ე ი თ ა ნ ე დ ი (მისცა),  
ა ყ ი ნ ე | ა ნ ე ყ ი (იყიდა), ო წ კ ი ნ ე | ო წ ნ ე კ ი (რეცხა, ჭანა), ა რ ი ნ ე (მოვი-  
ცა) და მისთ. უნდა გავიგოთ, როგორც ძვ. ქართული: ყ ვ ი ს (ბინე), თ ქ ვ ი ს  
(ფინე), მ ი ს ც ი ს (თადინე, თანელი), ა დ ი ლ ი ს (აყინე, ანეყი), დ ა ი ბ ა ნ ი ს  
(ოწკინე, ოწნეყი), ვ ი დ ი ს (არინე) და მისთ. მაშასადამე, უდაურში ზმნის ამ-  
გვარი ფორმის ნამყოლ გაგება, ე. ი. დროის მიხედვით მისი კონკრეტიზაცია,  
ნეორეულ, გვიანდელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ისტორიულად ჩვენ აქ საქმე  
უნდა გვეკონდეს ზმნის ე ქ ს ტ ე მ პ ო რ ა ლ უ რ ფორმასთან. სხვანაირად რომ  
ვთქვათ, ძველი მდგომარეობის მიხედვით ამ ფორმით (**მ** მაწარმოებლით) რომე-  
ლიმე კონკრეტული დრო კი არ გამოიხატებოდა, არამედ — ა ს პ ე ქ ტ ი ს კ ა -  
ტ ე გ ო რ ი ა

**უდიური ზმნა გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით. ზმნის  
სინტაქსური კონსტრუქციები. გვარის კატეგორიის ხაკითხი**

უდიური ზმნები ერთმეორისაგან განირჩევიან იმის მიხედვით, ეწყობა თუ  
არა მათ სამოქმედო სახელი (ობიექტი), — ე. ი. ავლენენ თუ არა სინტაქსურად  
ობიექტის არსებობას (უდიურ მონოპერსონალურ ზმნაში, როგორც უკვე ითქ-  
ვა, ობიექტი მორფოლოგიურად არ აისახება). სხვანაირად რომ ვთქვათ: უდიუ-  
რი ზმნები განსხვავდებიან სემანტიკური დაპირისპირებით (ფუძის შინაარსით)  
გამოხატული გარდამავლობისა და გარდაუვალობის მიხედვით.

გარდამავალი ზმნებია; მაგალითად: ბ ე ს უ ნ (კეთება), ფ ე ს უ ნ (თქმა),  
უ ქ ს უ ნ (ჭამა), უ ა ლ ს უ ნ (სმა, დაღევა), ბ ი ხ ს უ ნ (შობა, დაბადება), ბ ო ხ -  
ს უ ნ (ხარშვა), ბ ო ს ტ უ ნ (ჭრა), ბ ი ს ტ უ ნ (თესვა), ბ ი ყ ს უ ნ (პყრობა,  
ჭერა) და სხვ.

გარდაუვალი ზმნებია: ბ ა ქ ს უ ნ (ყოფნა, გახდომა, დაბადება), ბ ა ყ ს უ ნ

(ჩატევა), ბ ის თ უ ნ (ვარდნა), ბ ო კ ს უ ნ (წვა), ბ ი ე ს უ ნ (კვდომა). კ ე ს უ ნ (ჯავსლა) და სხვ.

ყველა დრო-კილოში დასმული გარდამავალი ზმნის ქვემდებარე დაისმის ერგატიულ (მოთხრობით) ბრუნვაში, ხოლო პირდაპირი დამატება — სახელო-ბოთსა და მიცემითში; ირიბი დამატება — მიცემითში, ან სახედლო ბრუნვაში. მაშასადამე, უდიურში გარდამავალი ზმნის სუბიექტისა და ობიექტის ფორმებზე საბოლოოა. მაგალითად: 1) შე ტ ი ნ ბესანე ა ში ა შ ლ ა ხ „ის აკეთებს საქმეს (=მან აკეთებს საქმეს აქმეს აქმეს)“. შე ტ ი ნ ბენე ა ში ა შ ლ ა ხ „მან გააკეთა საქმეს აქმეს აქმეს“. შე ტ ი ნ ბალლე ა ში ა შ ლ ა ხ „ის გააკეთებს საქმეს (მან გააკეთებს საქმეს აქმეს აქმეს)“... 2) თადა შე ტ უ ს ა ისტაქან ხე „მიეცი მას ერთი ქიქა წყალი!“ შე ტ ი ნ ზ ა ლ თ ე -ნე-ცამფე ეკალ „მან მე არაფერი მომწერა (=მან ჩემზე არ დაწერა არაფერი)“...

გარდაუვალი ზმნის სუბიექტი წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით; პირდაპირი ობიექტი, ცხადია, არ იგულისხმება.

საგულისხმოა, რომ ზოგი ზმნა უდიურში შეიძლება გაგებულ იქნეს გარდა მამაკვლად ა ც და გარდა უ ქ ლ ა დ ა ც — resp. შესაძლოა, ერთი და იგივე ზმნა ინმარებოდეს მოქმედებითი გვარისა და ვნებითი გვარის მნიშვნელობით. ასეთებია, მაგალითად: 1) ბ ა თ კ ე ს უ ნ „დაღუპვა“ (ბ ა თ თ ე კ ს ა „იღუპება“); „დაფლვა, ღრმად ჩადება მიწაში“ (ბ ა თ თ ე კ ს ა კომახ „ფლავს, ღრმად დებს მიწაში ქვევრს“); 2) ზ ო მ ბ ა ქ ს უ ნ „სწავლა“ (ზ ო მ ნ ე ბ ა ქ ს ა „სწავლობს yчнтря“, „იწვრთნება“, „ვარჯიშობს“); „დასწავლა“, „მეცადინეობა“. (ზომნებაქსა დასნუხ, ფეშაგახ „სწავლობს გაკვეთილს, ხელობას“); 3) ქ უ რ უ ფ ს უ ნ „სიარული“, „სეირნობა“ (ქ უ რ უ ნ ე ხ ა „დადის“ „სეირნობს“); „ძებნა“, „ძიება“. (ქ უ რ უ ნ ე ხ ა აჩესბიტუხ „ძებნს, ძებნის დაკარგულს“; ქ უ რ უ ნ ე ხ ა ნჰინინახ „ძებნს მიზეზს“)...

ზმნათა ასეთი გაურჩევლობა, ნეიტრალურობა, შეპირობებული უნდა იყოს კვარის მორფოლოგიური კატეგორიის უქონლობით.

თუმცა ამჟამინდელ უდიურს მოეპოვება ამ კატეგორიის ზოგი ჩანასახიც, — აქ მოწმდება ზმნათა მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიხედვით დაპირისპირების ტენდენცია. ამ დაპირისპირებულ კატეგორიათა გამოსახატავად გამოიყენება ა) სემასილოგიური (აღწერით-ლექსიკური) ხერხები, ბ) აფიქსაცია და ა) ფონეტიკურ პროცესთა გრამატიზაცია; სახელობრ:

1) მოქმედებითი გვარის resp. ფაქტიტივ-კაუზატივის გამოსახატავად<sup>1</sup> გამოიყენება ა) მეშველი ზმნა დ ე ს უ ნ (ფონეტიკური ცვლილების შედეგად — ტ ე ს უ ნ — ტ ს უ ნ — ს ტ უ ნ), რომელიც ცალკე არ ინმარება და აღარც რაიმე ლექსიკური შინაარსი აქვს, ხოლო რთული ზმნის ინგრედიენტად (მეშველ ზმნად) გამოყენების შემთხვევაში დაახლოებით ასეთი მნიშვნელობისაა: ჩადენა, მოხდენა, კეთება, შესრულება (შდრ. ბ ე ს უ ნ „კეთება“, „ქმნა“). მაგალითად: 1) ბ ა ს კ ე ს უ ნ „წოლა“: ბ ა ს ნ ე კ ს ა „წევა“ — ბასკეს-დ ე ს უ ნ — ბასკეს-ტ ე ს უ ნ „დაწვენა“: ბასკეს-ნე-ს ტ ა „აწვენს“; უ ქ ს უ ნ „ჭამა“: უ ნ ე ქ ს ა „ჭამს“ — უ ქ ს -ტ ე ს უ ნ „კმევა“: უ ქ ს -ნე-ს ტ ა „აჭმევს“... 2) ა შ ბ ე ს უ ნ „მუშაობა“: ა შ ნ ე ბ ს ა „მუშაობს“ — აშბეს-დ ე ს უ ნ „ამუშავება“.

<sup>1</sup> ზმნის ნეიტრალური ფუძის მანქტიურებლად ან კაუზატივის (კონტაქტის) კატეგორიის ქაწარმოებლად.

„ხმარება“. „გამოყენება“: აშბეს-ნეს-ტა „ამუშავებს“, „ხმარობს“, „იყენებს“, ჰიგსუნ „გარეკვა“, „გალაღა“: ჰინეგსა „რეკავს“, „ლაღავს (ბრუტყვს)“ — ჰიგეს-ლდესუნ—ჰიგესტესუნ „გარეკვინება“, „გალაღვინება“: ჰიგესნეს-ტა „არეკვინებს“, „ალაღვინებს“... დასახელებული ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ აღნიშნული დესუნ—ტესუნ—ტესუნ-სტუნ ზმნა შეიძლება დაერთოს: ა) სხვადასხვა ზმნის მასდარ-ინფინიტივის (-ეს მაწარმოებლიან) ფორმას: აშბეს (მუშაობა) + ტესუნ—დესუნ (კეთება, შესრულება...); ბ) თავად — დესუნ მეშველზმნიან ფუძე-ფორმას: თოგ-დეს-დესუნ—თოგდეს-ტესუნ (ფასი + მოხდენა, კეთება, შესრულება) „გაყიდვინება“.

ბ) -ევ აფიქსი. მაგალითად: 1) ბათკესუნ „დალუპავა“: ბათთეს: „ილუპება“ — ბათ-ევ-კესუნ „დალუპავა“; ბათ-ევ-ნეს-კსა „ლუპავს“. ზერესუნ „მორთვა“, „მოკაზმვა“: ზერრესა „ირთვება“, „იკაზმება“: „უხდება“ — ზერ-ევ-კესუნ „მორთვა“, „მოკაზმვა“: ზერ-ევ-ნეს-კსა „რთავს“, „კაზმავს“; ქესუნ „გასვლა“: ქენესა „გადის“ — ქე-ვ-კესუნ—ქე-ევ-კესუნ „გავლებავა“: ქენესა „ავდებს“ და ა. შ. 2) ბათ-ევ-კესუნ „დალუპავა“ (იხ. ზემ.) — ბათ-ევ-კეს-დესუნ „დალუპვინება“: ბათეკესნესტა „ალუპვინებს“; ქევეკესუნ „გავდება“ — ქევეკესდესუნ „გავდებინება“: ქევეკესნესტა „ავდებინებს“... დასახელებული ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ -ევ აფიქსი უპირატესად -კესსუნ მეშველ ზმნასთან გამოიყენება. ეს ზმნა ცალკე არ იხმარება, რთული ზმნის ინგრედიენტად გამოყენების დროს კი აქვს როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობა — დაახლოებით ასეთი: ყოფნა, გახდომა; კეთება, მოხდენა. ამასთან, -ევ აფიქსი ყოველთვის წინ უსწრებს პირის ნიშანს; მაგალ.: ბათ-ევ-წუნ-კსა „ელუპავა“, ბათ-ევ-წუნ-კსა „ლუპავა“, ბათ-ევ-ნეს-კსა „ლუპავს“... იხმარება აგრეთვე მავტიურებელ დესუნ მეშველ ზმნასთან ერთად: ბათ-ევ-კეს-დესუნ „დალუპვინება“...

2) გვარის resp. გარდამავლობა-გარდაუვლობის თვალსაზრისით ზმნის მნიშვნელობათა დაპირისპირება ხდება ფონეტიკური პარაცესები სგრანატიზაციითაც: პირის ნიშანთა ადგილის ცვლითა და საწარმოებელი ზმნის ფუძის კუმშვა-უკუმშველობით; შდრ., მაგალითად: ა) აყესუნ „აღება“, „აყვანა“; გადატ. „გაკვირება“, „გაოცება“: აყ-ნეს-სა „აიღება“, „აიყვანება“; „უკვირს“, „გაოცებულია“ — ყსუნ „აღება“, „აყვანა“; გადატ. „ყიდვა“: ანესსა „იღებს“, „იყვანს“; „ყიდულობს“; ბ) ბოხესუნ „ხარშავა“: ბოხ-ნეს-სა „იხარშება“ — ბოხსუნ „ხარშავა“; ბო-ნეს-სა „ხარშავს“; გ) ჩუქესუნ „წყდომა“: ჩუქ-ნეს-სა „წყდება“ — ჩუქსუნ „წყვეტავა“: ჩუ-ნეს-სა „წყვეტს“; დ) უქესუნ „კვამა“: უქ-ნეს-სა „იკვება“ — უქსუნ „კვამა“; უ-ნეს-სა „კვამს“; ე) ბიყესუნ „პყრობა“, „პყერა“; „ავება“, ბიყ-ნეს-სა „დაჭერა, პყრობა ხდება“; „აიგება“ — ბიყსუნ „ჭერა“, „პყრობა“; „ავება“: ბი-ნეს-სა „იჭერს“. „იპყრობს“; „ავება“...

როგორც ვხედავთ, ზმნის ფუძეთა სემანტიკური დაპირისპირებისა თუ აღწერით-ლექსიკური საშუალებების გარდა, უდიდურ ზმნაში გარკვეულ ადგილს იჭერს ორგანული წარმოება (აფიქსაცია), ან აფიქსის მაგივრობის გამწვევი საშუალება — ფონეტიკურ ცვლილებათა გრამატიზაცია. ეს კი თავის მხრივ იმას გვიჩვენებს, რომ გვარის კატეგორიის ჩასახვა ამ ენაში შედარებით უფრო ადრე დაიწყო და უფრო მეტადაც განვითარდა, ვიდრე თვისტომ (წახურ, მუხალურ

და სხვა) ენებში, სადაც ეს კატეგორია დღესაც ანალიტიკური წარმოების (ლექსიკური ბერძენის) ფარგლებს არ სცილდება.

ზემოთ ნაჩვენები იყო ზმნის ორი კონსტრუქცია — ნ ო მ ი ნ ა ტ ი უ რ ი (გარდაუვალ ზმნისა) და ე რ გ ა ტ ი უ ლ ი (გარდამავალი ზმნისა). ამ ორი კონსტრუქციის გარდა, უდიდურისათვის დამახასიათებელია აგრეთვე დ ა ტ ი უ რ ი კონსტრუქცია ა) აღქმა-მგრძნობლობის გამომხატველი ზმნისა (ვართაშნულ დიალექტში) და ბ) ქონება-ყოლის გამომხატველი ზმნისა (ნიჭურ დიალექტში): აგრეთვე — გენეროური კონსტრუქცია (პოსესიური წყობა) ქონება-ყოლის გამომხატველი ზმნისათვის (ვართაშნულ დიალექტში).

აქ უნდა მივუთითოთ ერთ თავისებურებაზე, რაც მეღავენდება როგორც ვარცაშნულ, ისე ნიჭურ დიალექტში. ორივე დიალექტში შეინიშნება ქვემდებარის ფორმათა უ ნ ი ფ ი კ ა ც ი ი ს ტენდენცია: ვართაშნულში აღქმა-მგრძნობლობის გამომხატველ ზმნასთან მიცემითის ნაცვლად ერგატიული ბრუნვაც გამოიყენება (ერთმანეთის პარალელურად, ფაკულტატურად). ოღონდ ისე, რომ პირის მაწარმოებლად რჩება ისევე მიცემით ბრუნვაში დასმული ნაცვალსახელური ელემენტი, მაგალითად: შ ე ტ უ აბა-ტუ „მას სცოდნია (იცის)“||შ ე ტ ი ნ აბა-ტუ „მან იცის“. შ ე ტ უ ილარი-ტუ-ბსა||შ ე ტ ი ნ ილარი-ტუ-ბსა „მას აციებს“||.შ ე ტ ან აციებს“. ღ ა აბა-აახს||ღ ა ნ აბა-აახს „ჩვენ ვიცით“ და ასე — ყველა ასეთ ზმნასთან. ნიჭურ დიალექტში უნიფიკაციის პროცესი უფრო შორსაა წასული: აქ ამგვარ ზმნებთან (Verba sentiendi), გარდა იმისა, რომ ქვემდებარე ერგატივშია დასმული, პირის ნიშნებიც ამ (ერგატიული) ბრუნვის შესაბამისად იხმარება; სახელდობრ: შ ე ტ ი ნ ავა-ნე (მან იცის), შ ე ტ ი ნ ილარი-ნე-ბსა (მან აციებს), ღ ა ნ ავა-აან (ჩვენ ვიცით) და ასე — ყველა ამგვარ ზმნასთან.

### მოქმედების ადგილ-მიმართულების გამოხატვა უდიურ ზმნაში. პრევერზის საკითხი

უდიურში ერთი ჭგუფის გარდაუვალი და გარდამავალი ზმნების ფუძე-ფორმათა დასაწყისში გამოიყენება ისეთი ელემენტები, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების ადგილ-მიმართულებას: მიმართულებას ზემოდან ქვემოთ, ქვემოდან ზემოთ, აქედან (მოლაპარაკისაგან) იქით, ან იქიდან აქეთ (მოლაპარაკისაკენ) და სხვ. სახელდობრ:

1) ე-სუნ||ე-ა-სუნ (მოსვლა) — თა-ა-სუნ<sup>1</sup> (წასვლა); ე-ჩეს-უნ (მოტანა, მოყვანა) — თა-შესუნ (წალება, წაყვანა)... 2) ლა-ა-სუნ<sup>2</sup> (ასვლა) — ცი-სუნ (წასვლა); ლა-ხსუნ (დადება), ლა-ფსუნ (ჩაცმა), ლა-ა-ჩესუნ (ატანა, აყვანა) — ცი-ე-კესუნ (ჩატანა), ცი-გსუნ (ჩამოყრა, ჩამოცემა ფოთოლ-ტოტებისა)... 3) ბა-ა-სუნ<sup>3</sup> (შესვლა) — ჭე-სუნ||ჭე-ა-სუნ (გასვლა), ჭე-ბაქსუნ (გადასვლა)<sup>4</sup>, ბა-ა-ჩესუნ<sup>5</sup> (შეტანა, შეყვანა), ბა-საქსუნ (შეგდება) — ჭე-ე-კესუნ (გაგდება, გაძევება, გამოძევება), ჭე-ფ-ტესუნ (გამოვარდნა, გამოძრობა)... 4) ჭა-ა-ესუნ

1 ნიჭურში: თა-სუნ

2 ნიჭურში: ლა-სუნ

3 ნიჭურში: ბა-სუნ

4 ნიჭურში: ჭრ-ბაქსუნ||ჭრ-ვა-ქსუნ.

5 ნიჭურში: ბა-ჩესუნ||ბა-ა-ჩესუნ.

(გაღება, გახსნა), ჯა-ე-ბაქსუნ (დაბრუნება, მობრუნება. უკუ-ყოფნა. უკუ ქვე-ვა) — ჯა-ე-დესუნ (დაბრუნება წაღებულისა, უკუ-ძღვეა)...

აქ ჩამოთვლილი ზოგი ზმნის თავიკიდური ელემენტი გამოძახილს პოულობს უდიურისავე თანდებულის (ლოკატიურ) ბრუნვათა მწარმოებლებსა და ზმნის-სართებში: შდრ., მაგალითად: 1) ლა-ე-სუნ (ასვლა), ლა-ხსუნ (დაღება). ლა-ე-კესუნ (აცმა, ასხმა) — და ადამარ-ა-ლ (ადამიანზე), ისტოლ-ა-ლ (მაგიდაზე). ხოდ-ა-ლ (ხეზე), ოჩალ-ა-ლ (მიწაზე), ე-ა-ლ (შენზე), და მისთ. — შდრ. აგრეთ-ვე: ლ ა ხ ო (ზედ, ზედა), ა ლ ა ხ ო (ზემოდან) ა ლ ა (ზემოთ)... 2) ჭე-სუნ|ჭე-ე-სუნ (გასვლა), ჭე-ე-კესუნ (გამოგდება), ჭე-ბაქსუნ (გადასვლა) — და კუა-ჭ (სახლისკენ), ადამარა-ჭ (ადამიანისკენ), ე-ა-ჭ (შენკენ)... შდრ., აგრეთვე: ქ ო შ (ნიჭ.), ტ ო შ (ვართ.) „გარეთ“, „ქარში“... 3) ზა-ე-სუნ, ზა-სუნ (შესვლა), ზა-საქ-სუნ (შეგდება), ზა-ჭ-ტესუნ (შევარდნა, ჩავარდნა)... და ბ ო შ (შიგ, შიგნით)... 4) ცი-სუნ (ჩასვლა), ცი-ე-კესუნ (ჩამოტანა, ჩამოყვანა) და ცი ნ ა („ქვემოთ, „ქვემო მხარეს“, „ქვემო უბანში“)... 5) ჯა-ე-ბაქსუნ (დაბრუნება, უკუ-ქცევა), ჯა-ე-დესუნ (დაბრუნება, უკუ-ძღვეა), ჯა-ე-სუნ—ჯა-ესუნ (გაღება) — და ჯა (ღია; ღიად), ქ ო შ (უკან, უკუ)...

როგორც ვხედავთ, უდიურში მიმართულების გამომხატველი ელემენტი (ჩვეულებრივ ერთი მარცხლის სახით წარმოდგენილი) ყოველთვის წინ უძღვის ზმნის შედგენილობაში შემავალი ყველა სხვა ელემენტს, — მათ შორის პირის ნიშანს (ისევე, როგორც ეს ქართულშია); შდრ., მაგალითად: ლა-ზ-ხო (და-ე-ღებ), ლა-ნ-ხო (და-ს-ღებ), ლა-ნ-ე-ხო (და-ღებს). ლა-აან-ხო (და-ე-ღებთ), ლა-ნან-ხო (და-ს-ღებთ), ლა-ყუნ-ხო (დასღებენ). ნიჭურ კრლოშიც ასევე: ლა-ნ-ე-ხო (დასღებს), ლა-ტუნ-ხო (დასღებენ)...

ზემოთ შეპირისპირებულ-შეფარდებული მასალიდან ისიც ჩანს, რომ ამ ენაში ზმნის ადგილ-მიმართულების გამომხატველი თავიკიდური ელემენტები. ლოკატიური მნიშვნელობის პოსტპოზიციური ელემენტები (სახელის ფუძე-ფორმებთან შერწყმული თანდებულები) და ზოგი ადვერბი ბგერითად და მნიშვნელობით ემთხვევა ან ეფარდება ერთიმეორეს. ეს ფარდი ელემენტები, როგორც ჰგავს, წარმოსდგებიან ადვერბიალური მნიშვნელობის სიტყვებისაგან. მაშასადამე, ამ ცნობაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ უდიურ ზმნას მოეპოვება პრევერბული მნიშვნელობის ელემენტთა ჩანასახები. ამ მხრივ უდიური ენის დიალექტებში — ვართაშნულსა და ნიჭურში — არსებითი სხვაობა არ არის. ზოგი თავისებურება (ფონეტიკური ხასიათისა) ნაჩვენები იყო გზადაგზა.

### უარყოფის გამოხატვა ზმნაში

უარყოფის გამოსახატავად უდიური ზმნის ამა თუ იმ ფორმასთან იხმარება ასეთი ნაწილაკები: თე (არ), ნუ (არ), მა (ნუ), ნა (რომ არ), ნუთ (არ, არა)¹. ამ

¹ ნუ თ ნაწილაკი რთული აგებულებისაა და იშლება ასე: ნუ-თ, რაც მიღებული უნდა იყოს ნუ და თე ნაწილაკთა კომბინაციით: ნუთ—ნუ-თე. უ ხმოვნის გავლენით ეს ნაწილაკი შეიძლება ასეც იყვალოს: ნუ თ—მუ თ; მაგალითად: ნუ თ ესუნ|მუ თ ესუნ „არ მოსვლა“, „მოუსწავლობა“...

ეს ნაწილაკი სახელთანაც გამოიყენება, ოღონდ — პოსტპოზიციურ ელემენტად; მაგალითად: ნანა-ნუთ (უღედო, უღედოდ), კოჭ-მეც-ნუთ (უსახლკარო, უსახლკაროდ), ქულ-ნუთ (უხელო, უხელოდ) და სხვ. როგორც ამ სიტყვათა თარგმნიდან ჩანს, უდიურ ნუ თ ნაწილაკს ახელო ფუძეებთან გამოიყენების დროს აქვს ქართული უ—ო პრეფიქს-სუფიქსის მნიშვნელობა.

ნაწილაკების გამოყენება ხდება ზოგ შემთხვევაში ზმნის ამა თუ იმ ფორმასთან შერწყმით, ინკორპორაციით, ზოგ შემთხვევაში კი შეურწყმელად, აღწერითი (ახალიტიკური) წარმოების წესით.

ე ა რ თ ა შ ნ უ ლ ი დიალექტის მონაცემთა მიხედვით ამ ნაწილაკთა გამოყენების არე ასეთია:

1) თე ნაწილაკი იხმარება აწმყოს. ნამყო უწყვეტლისა და მყოფადი მეორის ფორმებთან: ამასთან ეს ნაწილაკი შერწყმულია რომელიმე ამ ფორმასთან, — თანაც ისე, რომ იგი ყოველთვის წინ უძღვის პირის ნიშანს (სულ ერთია, ეს ნიშანი დასაწყისში მოუღის ზმნას, თუ ბოლოში). მაგალითად: 1) თე-ზ-ბუ (არ ვარ), თე-ნ-ბუ (არ ხარ), თე-ნე-ბუ (არ არის); თე-მან-ბუ (არ ვართ), თე-ნან-ბუ (არ ხართ), თე-ყუნ-ბუ (არ არიან). ან კიდევ: ბუ-თე-ზ||—ბუ-თე-ზუ (არ ვარ), ბუ-თე-ნ||—ბუ-თე-ნუ (არ ხარ), ბუ-თე-ნე (არ არის) და ა. შ. 2) თე-ზ-ბესა||ბესა-თე-ზ (არ ვაკეთებ), თე-ნ-ბესა||ბესა-თე-ნ (არ აკეთებ), თე-ნე-ბესა||ბესა-თე-ნე (არ აკეთებს) და ა. შ. თე-ზ-ბესა-მ||ბესა-თე-ზუ-მ (არ ვაკეთებდი), თე-ნ-ბესა-მ||ბესა-თე-ნუ-მ (არ აკეთებდი), თე-ნე-ბესა-მ||ბესა-თე-ნე-მ (არ აკეთებდა) და ა. შ. 4) თე-ზ-ბო||ბო-თე-ზ (არ გააკეთებ), თე-ნ-ბო||ბო-თე-ნ (არ გააკეთებ), თე-ნე-ბო||ბო-თე-ნე (არ გააკეთებს) და ა. შ. (და ასე ყველა კონსტრუქციის შემთხვევაში).

2) ნუ ნაწილაკი გამოიყენება მხოლოდ კავშირებითი პირველის ფორმასთან და აქვს ქართული „არ“ ნაწილაკის მნიშვნელობა. იხმარება ზმნასთან შეურწყმელად; მაგალითად: ნ უ ბაქა-ზ „არ ვიყო“, ნ უ ბა-ქან (არ იყო), ნ უ ბაქა-ნე (არ იყოს)...; ნ უ ელა-ზ (არ მოვიდეს), ნ უ ელა-ნ (არ მოხვიდეს); ნ უ ელა-ნე (არ მოვიდეს)...; ნ უ ბა-ზ (არ ვაკეთო), ნ უ ბა-ნ (არ აკეთო), ნ უ ბა-ნე (არ აკეთოს)...

3) მა ნაწილაკი გამოხატავს ქართულ „ნუ“ და „არ“ ნაწილაკთა მნიშვნელობას და იხმარება ორივე რიცხვში დასმული მეორე პირის ბრძანებითისა და მოავლობით რიცხვში დასმული პირველი პირის ბრძანებითის ფორმებთან; იხმარება აგრეთვე ყველა პირის უკუქცევითი ბრძანებითის გამოსახატავად გამოყენებულ ყა-ნაწილაკოვანი კავშირებითის ფორმასთან; მაგალითად: ა) მა ექე (ნუ მოხვალ!). მა ბა (ნუ აკეთებ!); მა ექენან (ნუ მოხვალ!), მა ბა-ნან (ნუ აკეთებ!)... ბ) მა ელენ (ნუ მოვალ!), მა ბენ (ნუ გააკეთებ!)... გ) მა ა-ყან-არი (არ ზოვიდეს!). ფინ მა ა-ყა-ზ-აკი (თვალთ არ ვნახო!), მა ა-ყა-ნ-ბი (არ აკეთოს!)...

4) ნა ნაწილაკი მნიშვნელობით უდრის ქართულ „რომ არ“-ს და გამოიყენება გი-ნაწილაკოვანი კავშირებითის ფორმასთან (შერწყმის თავიკიდური ელემენტის სახით); მაგალითად: ნა-გი-ნ-არე (რომ არ მოსულიყო), ნა-გი-ნ-ბეჲ (რომ არ გაეცებინა)...

ნა ნაწილაკს აქვს აგრეთვე ქართული „არც“, „ნურც“ რთული ნაწილაკების მნიშვნელობა და იხმარება ბრძანებითის ფორმასთან, ოღონდ ისე, რომ ეს ნაწილაკი უშუალოდ არ უძღვის წინ ზმნის აღნიშნულ ფორმას (მათ შორის უთუოდ უნდა იქდეს რაიმე სხვა სიტყვა); მაგალითად: ნა უნ მა ექე, ნა შონო მყანარი (ნ უ რ ც შენ ნუ მოხვალ და ნ უ რ ც ის); ნა ქა ნუთ ელაღუ, ნა ტაა (არ ც მანდ მოვალ, არ ც — იქ)...

5) ნუთ (—ნუ-თე) ნაწილაკის გამოყენების არე უფრო ფართოა: იხმარება ზმნასთან (მყოფად პირველთან, აღ-ნაწილაკოვან მყოფადთან), აგრეთვე — ინ-

ფინიტივ-მასდართან. მიმღობასთან. აბსოლუტივ-გერუნდიუმისა და სუპინუმის ფორმებთან და, როგორც ზემოთაც აღინიშნა, — სახელთან. ამ ნაწილაკს ზმნის პირიან ფორმებთან აქვს ქართ. „არ“ ნაწილაკის მნიშვნელობა. ხოლო დანარჩენებთან — „არ“ ნაწილაკისა და უარყოფის გამომხატველი „უ“ პრეფიქსისა. მაგალითები:

1) ნ უ თ ბალზუ (არ გავაკეთებ). ნ უ თ ჩურკალზუ (არ დაედგები, არ გავჩერდები)...; 2) ნ უ თ ბალ-ალ-ზუ (არ გავაკეთებ კიდევ). ნ უ თ ჩურკალ-ალ-ზუ (არ გავჩერდები კიდევ, არ დაედგები კიდევ)...; 3) ნ უ თ-ბესუნ (არ კეთება, გაუკეთებლობა). ნ უ თ-ესუნ (არ მოსვლა, მოუსვლელობა)... 4) ნ უ თ-ელალ (არ ზომსვლელი, მოუსვლელი). ნ უ თ-ელა-ლა (არ მოსასვლელი); ნ უ თ-არი (არ მოსული, მოუსვლელი)... 5) ნ უ თ-ელახუნ||ნ უ თ-ელატან (არ მოსვლის დროს, მოუსვლელობის შემთხვევაში)...; 6) ნ უ თ-ბესან (არ გასაკეთებლად. რომ არ აკეთოს)...

ნიჭ უ რ დიალექტშიც უარყოფის გამოსახატავად იხმარება ზემოთ დასახელებული თე, შა, ნუ, ნუთ, ნან ნაწილაკები. ოღონდ აქ ზოგი ამ ნაწილაკის გამოყენების არე უფრო ფართოა, ვიდრე ვართაშნულში; კერძოდ:

1) თე ნაწილაკი იხმარება ყველა პოზიციაში და დრო-კილოთა თითქმის ყველა ფორმასთან: მაგალითად: თე-ზ-თაჟსა—თა-თე-ზ-სა (არ მივიდვიარ), თე-ნ-თაჟსა||თა-თე-ნ-სა (არ მიდიხარ), თე-ნე-თაჟ-სა||თა-თე-ნე-სა (არ მიდის)...; თე-ზ-თაჟე||თა-თე-ზ-ე (არ წავედი) და ა. შ. ზუ თე-ზ-ბალ||ბალ-თე-ზუ (არ გავაკეთებ). თე-ნ-ბალ||ბალ-თე-ნუ (არ გააკეთებ), თე-ნე-ბალ||ბალ-თე-ნე (არ გააკეთებს)... თე-ნ-ბო||ბო-თე-ნ (არ გააკეთებ, ნუ გააკეთებ)...

2) შა ბა (არ გააკეთო! ნუ აკეთებ!), შა უქა-ნან||უ-შა-ქა-ნან (არ ქამოთ! არ შეკამოთ!), შა-ყა-ტუნ-ბი (არ აკეთონ!); შა-უფა||უ-შა-ფა (არ თქვა!).

უარყოფის ნაწილაკთა (კერძოდ, შა ნაწილაკის) ასეთი ლოკალიზაცია ვართაშნულშიც შეინიშნება, მაგრამ ისე სისტემატურად არაა, როგორც ნიჭურში. ვართაშნულში ამგვარ ფიქსაციას (უ-შა-ფა...) უფრო სპორადული ხასიათი აქვს, — იხმარება მეტყველების ერთგვარი სტილიზაციის, სათქმელის გაზვიადების დროს.

თე ნაწილაკი, რომელიც ნიჭურში თან ვარიანტივად მოწმდება, საერთო უდიურში გამოიყენება ცალკეც. — ქართული „არა“ ნაწილაკის მნიშვნელობით. მაგალითად: დამუნ ოხხაღა თაღალღუ? — თე! (ვართაშ). — აჟქ ოხხაღა თაღალღუ? — თან (ნიჭ). „ხვალ სანადიროდ წახვალ? — არ ა!“.

### სახელზმნური ფორმები

უდიურს მოეპოვება სიტყვათა ისეთი ფორმები, რომლებსაც ერთსა და იმავე დროს აქვთ როგორც ზმნის, ისე სახელის თვისება. ზმნური თვისება აქვთ, რამდენადაც: ა) გამოხატავენ მოქმედებას ან მდგომარეობას და ბ) როგორც წინადადების წევრები, უტოლდებიან პრედიკატს: მართავენ მათთან დაკავშირებულ სახელთა ფორმას სწორედ ისე, როგორც — ზმნის პირიანი ფორმები, მაგრამ ამავე დროს, არ წარმოადგენენ რა ზმნის პირიან ფორმას, იწარმოებიან სახელისათვის დამახასიათებელი ამა თუ იმ ფორმანტი (მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით), განსაზღვრულ შემთხვევაში შეიძლება იბრუნებოდნენ. იცვალან რიცხვის ფორმაც; — აქ ჩანს სწორედ მათი, როგორც სახელის,



თვისება. ამიტომაც ვამბობთ, რომ უდიდეს მოეპოვება სახელმწიფო  
ფორმაზე.

ფორმათა ამ ჯგუფს მიეკუთვნება: ინფინიტის-მასდარი, სუპი-  
ნუმი, მიმღეობა, აბსოლუტივ-გერუნდიუმი.

### ინფინიტის-მასდარი

უდიდეს მოეპოვება ორი ტიპის — წმინდა ფუძეზე დაყრდნობით წარმო-  
ბული (მარტივ მაწარმოებლიანი) და ამგვარად ნაწარმოებ ფორმაზე აგებული  
(რთულ მაწარმოებლიანი) — ინფინიტის-მასდარი<sup>1</sup>.

პირველი ტიპის ინფინიტის-მასდარი, როგორც ითქვა,  
წარმოება პირველად, ნეიტრალურ ფუძეზე -ეს სუფიქსის დართვით; მაგა-  
ლითად: ბაქ-ეს (ყოფნა), ბეს (კეთება, ქმნა), უქ-ეს (კმა), ფ-ეს (თქმა), ბიხ-ეს  
(შობა), ბიყ-ეს (პყრობა), ბოხ-ეს (ხარშვა), ბით-ეს (ვარდნა, გდება), არ-ეს  
(ჯდომა), ბასკ-ეს (წოლა), ჩურფ-ეს (დგომა), ელ-ეს—ეფ-ეს—ეფ-ეს (მოსვლა)  
და სხვ.

ასეთი ფორმა წინადადებაში გამოხატავს მოქმედების მიზან-მიზეზს, მიზან-  
დასახულებას, მისწრაფებასა და ტენდენციას; მაგალითად: ზა ბაქალთეზა მე  
აშლახ ბეს „მე არ შემიძლია ამ საქმის კეთება, შესრულება“, „არ შემიძლია, ეს  
საქმე ვაკეთო“ (სიტყვა-სიტყვით: მე არ შემიძლება ამ საქმეს კეთება); ბა-  
ეფ-ეს ბაქალთეზა „შეგიძლიათ მანდ ჯდომა“, „შეგიძლიათ მანდ ისხდეთ“;  
უქ ბაეფ-ეს ქაქალთეზა „შენ შეგიძლია ეგ თქვა (სიტყვა-სიტყვით: შენ შეგიძ-  
ლება მაგას თქმა); მელინ ქელ-ეს (ქეეს) ოხარი-თენე „აქედან გასვლა  
ადვილი არ არის“; ევახტ-ვა-ბუყსა უნივერსიტეტა ბაქალ-ეს (ბაეს)? „როდის  
გსურს უნივერსიტეტში შეხვიდე (=რა დროს გინდა უნივერსიტეტში შეს-  
ვლა)?... ინფინიტის-მასდარის აღნიშნულ ფორმას დართვის რამდენიმე  
ბრუნვის ნიშანი, მაგალითად: ფეს (თქმა) — ფეს-ახ (მიცემ.), ფეს-ახ-ო (აბ-  
ლატ.), ფეს-ახ-ო-ლან (კომიტატ.), ფეს-ინ (ინსტრუმ.); ბეს (ქმნა, კეთება) —  
ბეს-ახ (მიც.), ბეს-ახ-ო (აბლატ.), ბეს-ახ-ო-ლან (კომიტატ.); ბეს-ინ (ინსტრუმ.);  
ელ-ეს (მოსვლა) — ეს-ახ (მიც.), ეს-ახ-ო (აბლატ.), ეს-ახ-ო-ლან (კომიტ.). ეს-ინ  
(ინსტრ.)... მაგრამ აქ საგულისხმო ის არის, რომ, მაგალითად, მიცემითში დას-  
მული ინფინიტის-მასდარის ფორმა (ფეს-ახ, ბეს-ახ...) თავისი შინაარსითა და  
ფუნქციით არ განსხვავდება თავად საწარმოებელი (ინფინიტის-მასდარისავე)  
ფუძე-ფორმისაგან: ორივე ეს ფორმა ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხა-  
ტავს: შდრ., მაგალითად: ტევახტა ისუს ქენებაქსა შამატლენა ბიტუნუნ დუზუორ-  
ლოხო; შეტა შევირდუნ ბუსაყუნბაქე ვა ბურყუნჯი სუმბულლოხ ჩუქსახ ვა  
უქსახ „მას ეამსა შინა წარვიდოდა იესუ დღესა შათათსა ყანობირსა მათსა,

<sup>1</sup> სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება: კერ-  
ძოდ, აღნიშნულია, რომ უდიდეს აქვს ინფინიტის, განუსაზღვრელი კილო, რომელსაც აწარ-  
მოებს სუფიქსი სუნ (ა. შიფერი, ა. დირი). მოწოდებულია სხვა ცნობებიც: უდიდეს  
მოეპოვება ორგვარი მასდარი: მასდარი პირველი, რომელსაც აწარმოებს სუფიქსი -ეს  
და მასდარი მეორე — წარმოებული რთული სუფიქსით: ეს-უნ—ს-უნ. ამასთან აღნიშ-  
ნულია ისიც, რომ ორივე მასდარი წარმოადგენს ნაზმწარსახელს, თუმცა ერთი და  
მეორეც „მართავს მასთან შესიტყვებაში მყოფ სახელს იმ ბრუნვაში, რომელიც დასტურდება  
უსაბამისი ზნის პირიელ ფორმასთან (ვ. ფანჯიძე).

ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია, და იწყეს მ უ ს ე რ ა დ თაჲსა კოვილისა და კ ა მ ა დ „ (მათე, 12,1). ხოლო სხვა ბრუნვათა (აბლატივის, კომიტატივის, ინსტრუმენტალისის) ნიშნის დართვით ინფინიტევ-მასდარის ეს ფორმა იძენს აბსოლუტივის მნიშვნელობას; შდრ., მაგალითად, ვაჲ ქაროზნეთასტა ფესინ „და ქადაგებდა და იტყოდა, ვითარ... И проповедываша, г о в о р я (მარკოზი, 1,7). ასევე: ქატუხ ფესახო, შონო შელლე ტაქან ადამარახ „ვიდრე მაგას იტყოდე (მაგის თქმამდე), უმჯობესი იქნება სცემო ადამიანს“. ან კიდევ: მე ხაბარახ ფესახოლან ჭუნეფე იჲ გალახო „ამ ამბის თქმისთანავე (თქმის დროსვე) წამოხტა თავისი ადგილიდან“...

ამგვარად, ინფინიტევ-მასდარის პირველი (-ეს მაწარმოებლიანი) ფორმა ეველა ბრუნვის ნიშანს ვერ იგუებს, ხოლო ბრუნვის ის მაწარმოებლები, რაკ მას შეიძლება დაერთოს, ვერ უკარგავენ პრედიკატის ძალას. რადგანაც ასე უშემთხვევაშიაც ეს ფორმა რჩება ისევე ინფინიტევის (resp. ინფინიტევ-სუბინუმის), ანდა აბსოლუტივის (resp. აბსოლუტივ-გერუნდიუმის) მნიშვნელობის ფარგლებში.

როგორც ითქვა. ინფინიტევ-მასდარის აღნიშნული ფორმა (ყველა ამ მორფოლოგიური ვარიაციით) მასთან შეწყობილ სახელს მართავს ისევე, როგორც ზმნის პირიანი ფორმა; ეს ჩანს თუნდაც ზემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო ნიმუშებიდან; შდრ., აგრეთვე: ბავაქო მე აშლახ ბეს „შეგიძლია ეს საქმე აკეთო“ (სიტყვა-სიტყვით: შეგიძლია ამ საქმეს კეთება). შეტინ ქახახ ბრახ ფესახო, შონო შელე ლალ-ბაქანე „ის (ერგატ.) მაგ ამბის (მიც.) თქმამდე, უმჯობესი იყო დამუნჯებულიყო (ის ვიდრე მაგ ამბავს იტყოდა, უმჯობესი იყო დამუნჯებულიყო“ — სიტყვა-სიტყვით: მან ეგ ამბავს თქმამდე, ის კარგია, მუნჯი გახდეს)...

მაშასადამე, ინფინიტევ-მასდარის პირველ ტიპში მორფოლოგიურად (წარბოების მხრივ) ვლინდება სახელის თვისება (მოუღის ბრუნვის ნიშანი). ხოლო სინტაქსურად — ზმნისა (გამოიყენება შემასმენლად).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თავად ამ ფორმის (-ეს მაწარმოებლიანი ინფინიტევ-მასდარის) ფორმანტიც შესაძლოა ეტიმოლოგიურად მიცემითი ბ რ უ ნ ე ის ნიშანს დაუკავშირდეს. ასეთი მოსაზრება გარდა უდიურისა. გამოთქმულია აგრეთვე წახურ, მუხადურ (რუთულურ), ლეზგიურ, თაბასარანულ. აღულურ, ხუნძურ, დილოურ-ხვარიშულ-კინუხურ, ლაქურ და სხვა ენათა მონაცემების მიხედვით (ა. შ ი ფ ნ ე რ ი. ა. დ ი რ ი. პ. უ ს ლ ა რ ი. ა. ჩ ი ქ ი ბ ა ვ ა, ლ. ყ ი რ კ ი ვ ი, შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ე ი ლ. დ. ი მ ნ ა ი შ ე რ ლ ი, ი. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ა. შ ა პ ო მ ე ტ ო ვ ი, გ. თ ო ფ უ რ ი ა, ე. ჭ ე რ ა ნ ი შ ე ი ლ ი). ასეთი ეტიმოლოგიური ძიება ეყრდნობა იმას, რომ ამ ენებში, ერთი მხრივ, ინფინიტევისა თუ მასდარის, ხოლო, მეორე მხრივ, მიცემითის ფორმანტები ემთხვევა ან შეესატყვისება ერთმანეთს. ამ ხაზით გამოთქმული აქვს ერთი მეტად საინტერესო მოსაზრება პროფ. შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ე ი ლ ს: დარგულში ამ ორი ფორმის მაწარმოებლად -ას, ის (დიალექტებში -აჲ, -იჲ) გამოიყოფა. ამ ენის იმ კილოებში. სადაც ინფინიტევის მაწარმოებლად -ს სუფიქსი გამოიყოფა. მიცემითისაც -ს აქვს, ხოლო იმ კილოებში, სადაც ამის ნაცვლად ინფინიტევის ფორმად -ჲ სუფიქსია ნახმარი, მიცემითისაც ეგვევ -ჲ მოუღის. ამ ორი ფორმის ეს მაწარმოებლები ერთმანეთთან გენეტურ კავშირშია. ამასთან გამოკვლეულია ისიც, რომ:

დარგულსა (წუდახარულ კილოში) და ხუნძურში მიცემითი ბრუნვის ნიშანსა და ინფინიტივის მაწარმოებელს ფონეტიკური ევოლუციის ერთნაირი საფეხურები გაუვლია: დე—ძე—ზე (ხუნძურში). დე—ძე—ზე (დარგული ენის წუდახარულ კილოში)—ს (სალიტერატურო დარგულ ენაში). აღსანიშნავია, რომ უდიურის თვისტომ წახურ ენაშიც დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაა, როგორც დარგულსა თუ ხუნძურში. თუ მაგალითად, წახური ენის წახურულ და მიშლეშურ კილოებში მიცემითისა და ინფინიტივის (resp. ინფინიტივ-სუპინუმის) ერთნაირ მაწარმოებლად -ს ელემენტი გამოიყოფა, ამ ენის გილმიწურ კილოში ამ ორი ფორმის მაწარმოებლად გამოყენებულია -ზ. შდრ., მაგალითად: ჰაჰა-ს (წახურულ-მიშლეშურში)—ჰაჰა-ზ (გილმიწურში) „კეთება“, „კეთებად“, „ქმნა“, „ქმნად“; ადამი-ს (წახურულ-მიშლეშური)—ა დ ა მ ი ე ზ (გილმიწური) „ადამიანს“...

ამჟამინდელ უდიურს, თუ არ ვივლისხმებთ ადესივის ფორმაში შეზღავნულ -ას (-ეს, -ის, -უს, -ოს) ელემენტებს (იხ. ზემ. თანდებულებიან ბრუნვებში). ინფინიტივის -ეს—ს ფორმანტის ფარდი მაწარმოებელი მიცემითი ბრუნვისა არ მოიპოვება. აქ ამ ბრუნვის ნიშანია: -ახ, -ეხ, -იხ, -უხ, -ოხ||—ა, -ე, -ი, -უ, -ო (შესაბამისად). მაგრამ ინფინიტივ-მასდარისა და მიცემითი ბრუნვის მაწარმოებელთა ისტორიულ ურთიერთობასთან დაკავშირებით საინტერესოა სწორედ ის ერთი ფაქტი, რაც ზემოთ აღინიშნა: ეს ფორმა (ინფინიტივ-მასდარი), მართალია, შეზღუდულად, მაგრამ მაინც იბრუნვის: მას დაერთვის. მაგალითად, მიცემითის -ახ ნიშანი, თუმცა ამ შემთხვევაში ფ უ ე ქ ე ი ა არ ი ც ვ ლ ე ბ ა: მი ც ე მ ი თ ბ რ უ ნ ე ა შ ი დასმის დროსაც იგი (-ეს ფორმანტით ნაწარმოები ინფინიტივ-მასდარი) რ ჩ ე ბ ა პრელიკატად — მოქმედების მიზან-მიზეზის გამოხატველ ფორმად. სხვანაირად რომ ვთქვათ: ამ შემთხვევაში მიცემითის -ახ სუფიქსსა და ინფინიტივ-მასდარის -ეს სუფიქსს შორის ფუნქციური სხვაობა არ არის; მაშასადამე, აშკარად ჩანს, რომ მიცემითი ბრუნვის ფუნქციის ფარგლებში რჩება ინფინიტივ-მასდარის მნიშვნელობის გამოხატვა. ეს კი თავის მხრივ ამგარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ინფინიტივ-მასდარის მაწარმოებელი წარმოშობით შეიძლება იყოს მიცემითის ნიშანი.

მეორე ტიპის (რ თ უ ლ-მ ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ი ა ნ ი) ინფინიტივ-მასდარის მოდელი ასეთია: პირველი ტიპის (-ეს მაწარმოებელიანი) მასდარის ფორმა + უნ სუფიქსი. ამგვარად წარმოებული ამ ფორმის მაგალითები ასეთი იქნება: ბეს-უნ (კეთება), ფეს-უნ (თქმა), არცეს-უნ (ჯდომა), ბას-კეს-უნ (წოლა), ჩურფეს-უნ (დგომა); უქს-უნ—უქეს-უნ (ჭამა), ბისხ-უნ—ბიხეს-უნ, ზრცეს-უნ—ბიყეს-უნ (პყრობა, ჭერა), ბოხს-უნ—ბოხეს-უნ (ხარშვა); ესუნ—გესუნ—ელესუნ (მოსვლა), ჰესუნ—ჰეეს-უნ—ჰელეს-უნ (გასვლა), ცისუნ—ციესუნ—ცილეს-უნ (ჩასვლა): ბისთუნ—\*ბითსუნ—ბითეს-უნ (ვარდნა, გდება), ბისტუნ—\*ბიტსუნ—ბიტეს-უნ (თესვა)... ყველა ასეთი ფორმა (ფონეტიკურად სახეცვლილი თუ უცვლელი) იბრუნვის, თანაც ისე, რომ პირველი ტიპის ინფინიტივ-მასდარისაგან განსხვავებით, შეიძლება დაერთოს ყველა ბრუნვის ნიშან-

ნი: მაგალითად: ბესუნ (კეთება). ბესუნ-ენ (კეთებამ. კეთებით); ბესუნ-უნ (კეთებისა), ბესუნ-ახ (კეთებას), ბესუნ-ახ-ო (კეთებისაგან, კეთებიდან) და ა. შ.

ინფინიტევ-მასდარის (სახელთან უფრო ახლოს მდგომი) ამ ფორმის მნიშვნელობა. ერთი მხრივ. ემთხვევა პირველი ტიპის ინფინიტევ-მასდარის მნიშვნელობას, მეორე მხრივ კი. სხვაობს — განსხვავდება იმით. რომ მას აქვთ წმინის (მოქმედების) სახელის შინაარსი; ეს ისეთი ფორმაა. როგორც ქართული მასდარი (საწყისი) ან რუსული нмЯ глагола, თუმცა შესიტყვებაში ანასაც ისეთივე პრედიკატული დანიშნულება აქვს. როგორც—პირველი ტიპის ინფინიტევ-მასდარისა თუ ზმნის პირიან ფორმას; ყველა ეს ფორმა სახელს (და-მატებას) ერთნაირად მართავს; შდრ., მაგალითად: აშაშლა ბესუნ „საქმე || საქმეს კეთება“, მაჰლ || მაჰლ უხ ფესუნ „სიმღერა || სიმღერას თქმა“. ეზიუნ ბესუნ „ხელის ხელს კეთება (ხემა)“, კოზალ || კოზალახ დულსუნ „კოხი || კოხის რტემა. ცემა (კოხით ცემა)“ და არა: „საქმის კეთება“, „სიმღერის თქმა“, „კოხის ცემა“ და მისთ., როგორც ეს ქართულშია. ამ ტიპის მასდარ-ინფინიტევის მაწარმოებელი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშიაცაა აღნიშნული (ა. შიფნერი, ა. დირი, ნ. ტრუბეცკოვი, ვ. ფანჩიძე), შესაძლოა, გენეტურად დაუკავშირდეს ნათესაობითი ბრუნვის უდიურშივე ამაჰმად პრაქტიკულად არსებულ-უნ ნიშანს (შდრ., კოლ-უნ „ზაფხულისა“, დირიგ-უნ „ბოსტინისა“, შკოლ-უნ „სკოლისა“...).

#### სუპინუმი

უდიურს მოეპოვება მოქმედების მიზეზ-მიზნისა თუ მიზანდასახულების გამოხატველი (სუბციალური აფიქსით ნაწარმოები) ფორმა — სუპინუმი (გინდა—სუპინი). ეს ფორმა იწარმოება პირველი ტიპის (-ეს მაწარმოებლით გამოხატული) ინფინიტევ-მასდარის ფორმაზე -ან სუფიქსის დართვით: მაგალითად: ბეს-ან (კეთებად, საკეთებლად), ფეს-ან (თქმად, სათქმელად). ბიყს-ან—ბიყეს-ან (პყრობად, ჰყრად; საპყრობად, საჰყრად), უქს-ან—უქეს-ან (ჰამად, საქმელად), ბოხს-ან—ბოხეს-ან (ხარშვად, სახარშვად), არკეს-ან (ჯდომად, დასაჯდომად), ბასკ-ეს-ან (წოლად, დასაწოლად), ჩურფეს-ან (დგომად, დასადგომად)..., აშბეს-ან (მუშაობად, სამუშაოდ), მაჰლფეს-ან (მღერად, სიმღერად), ცამფეს-ან (წერად, საწერად), ბიეს-ან (კვდომად, სიკუდილად)... წინადადებაში ასეთი ფორმები მიზნის დამატებად გამოიყენებიან; მაგალითად: თასსა ხეთას-ტან (ხე-თა-დეს-ან) „მივდივარ წყლის მისაცემად (მოსარწყავად)“. არრეცე ცამფეს-ან „დაჯდა წერად (საწერად). ევახთე იყობაქი მე ღარი მაჰლნუხ, არიყუნ ჰეჟვანუხ იმუხ-ლახს-ან (—ლახეს-ან) „რა ესმოდის მღერა ყმისა. სმენად (ყურის [გ]დებად) მხეცნი მოვიდიან“!... როგორც ზემოთაუ აღინიშნა, სუპინუმი უდიურ შესიტყვებასა თუ წინადადებაში ევრბალურ-პრედიკატული მნიშვნელობის წევრია: ეს ფორმაც მასთან შეწყობილ სახელს მარ-

<sup>1</sup> საუფლისხმოა უდიური სუპინუმის (-ან მაწარმოებლიანი ინფინიტევ-მასდარის) ამ ფორმისა და ჰვ. ქართულში ამაჰ მნიშვნელობით ნახმარი. ვითარებითი ბრუნვის -ად მაწარმოებლიანი მასდარის ფორმის შორის არსებული ფარდობა თუ მსგავსება: შდრ., მაგალითად: სმე-ინად, წერად, მღერად, და მისთ. (შდრ. ახ. ქართ. მოსასმენ-ად, საწერ-ად, სიმღერ-ად)...

თავს ზმნის პირიანი ფორმის მსგავსად. შღრ., მაგალითად: თასსა ე ზიე ზ ნ უ ხ ზესან „მიედივარ ხ ნ უ ლ ი ხ ნ უ ლ ს კეთებად, ქმნად (მიედივარ სახნავად)“: არ-ყუნცე უ შ მ შ უ შ მ ა ხ უქსან (—უქეს—ან) „დასხდნენ კ უ რ ი ქ უ რ ს კამად (დასხდნენ პურის საკმელად)“, დეე არენე ა დ ა მ ა რ ა ყუჭყვესან „დე-ცი მოვიდა ა დ ა მ ი ა ნ ს ყლაპვად (საყლაპავად)“... შღრ., ქართ. ხ ნ უ ლ ი ს კეთებად (სახენელად), პურის კამად (საკმელად)...

### მიმღეობა

უღიური მიმღეობა ნ ა ზ მ ნ ა რ ი ს ა ხ ე ლ ი ა რ ა რ ი ს — იგი ზმნის ღუძეზე დაყრდნობით არ იწარმოება. ზოგ ასეთ ფორმას, ინფინიტევ-მასდარის მსგავსად, საყრდენად აქვს პირველადი, ნეიტრალური, ფუძე და გარკვეულ შემთხვევაში თვითონ არის ზმნის პოსტულატი<sup>1</sup>; ასეთებია, მაგალითად: ბ-ი (ნაკეთები, მკეთებელი), ფ-ი (ნათქვამი, მოქმელი), უ ქ-ი ქ ა მ — ქ ა ნ-ი (ნა-კამი, მკამელი), ა რ-ი (მოსული), ა რ-ი (მგდომარე, დამჯდარი), ბ ა ს-ი (მწოლარე, დაწოლილი), ჩ უ რ-ი (მდგომარე, მდგარი, დამდგარი) და მისთ. მიმღეობის ამ ფორმათა მაწარმოებელია ბოლოკიდური ხმოვანი -ი, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობის შესახებ ცნობები ზემოთაა მოწოდებული. ეს ბოლოკიდური -ი ეღემენტი რომ ჩამოვაცილოთ, საგვრჩება რაღაც ისეთი ნეიტრალური ფუძე, რომელიც არც ზმნაა და არც სახელი, მაგრამ აღნიშნული (-ი) მაწარმოებლის დართვის შემთხვევაში იქმნება სახელზმნური ფორმა, რომელიც სხვა ენაზე, კერძოდ, ქართულად, მიმღეობის მნიშვნელობით გაღმო-იცემა; ამასთან — მიმღეობის ეს ფორმა დროისა და გვარის თვალსაზრისით არ გამოხატავს რაიმე კონკრეტულ მნიშვნელობას (იხ. ზემ. ნიმუშები და მათი თარგმანი).

ინფინიტევ-მასდარისა და სუბინუმის მსგავსად ეს უღიური მიმღეობა მას-თან შეწყობილ სახელს (ქვემდებარეს, დამატებას) ისევე მართავს, როგორც ზმნის პირიანი ფორმა<sup>2</sup>. მაშასადამე, მას შესიტყვეებაში აქვს ვერბალურ-პრე-დიკატული დანიშნულება. მაგალითები: შე ტ ი ნ ბ ი ა შ „მან ნაკეთები ს ა ქ მ ე (ე. ი. მის მიერ გაკეთებული, შესრულებული საქმე)“. უ ნ ფ ი ხ ა ბ ა რ ქ ე ი ფ ი ხ ა ბ ა რ „შენ (ერგატ.) ნათქვამი ამბავი“ შე ნ ი ნ ა თ ქ ე ა მ ბ ა ვ ი (შენ მიერ ნათქვამი ამბავი, — შენი ნამბობი)“. მ ე ნ ო ბ ე ზ ნ ა ნ ა ნ ა ყ ი კ ა ბ ა ნ ე „ეს ჩემ დე დამ ნაყიდი კაბა -ა (ეს დედა-ჩემის ნაყიდი კაბა)“. ქ ა ნ ო შე ტ ი ნ კ ა წ ფ ი უ შ-ნ ე „ეგ მან დაჭრილი, დააბილი შე-შ ა ა (ეგ მისი დააბილი შეშა)“...

უღიურს მოეპოვება აგრეთვე მიმღეობის ორი ასეთი ფორმა: 1) ბ ა ლ (მკეთებელი), უ ქ ა ლ (მკამელი), ბ ა ქ ა ლ (მყოფი), ე ლ ა ლ მომსგლე-ლი), ბ ა ს კ ა ლ (მწოლი), ა რ ც ა ლ (მგდომი, დამჯდომი), ჩ უ რ კ ა ლ (მდგომი, დამდგომი) და მისთ.; 2) ბ ა ლ ა (საკეთებელი), უ ქ ა ლ ა (შესაქ-მელი), ბ ა ქ ა ლ ა (სამყოფი, სამყოფელი), ე ლ ა ლ ა (მოსასგლელი), ბ ა ს-

<sup>1</sup> იხ. დრო-კილოთა ფორმები.

<sup>2</sup> ასევე აქვს ეს აღნიშნული პროფ. ვ. ფ ა ნ ჯ ე ი ძ ე ს ა ც შრომაში — „მიმღეობის წარ-მოება და ფუნქციები უღურ ენაში“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 11, 1948; მის-ვე, „ნაზმნარი სახელობის მიერ სახელთა მართვა უღურ ენაში“, იბერიულ-კავკასიური ენათ-მეცნიერება, XI, 1960.

კალა (დასაწოლი). არცალა (დასაჯდომი). ჩუკკალა (დასადგომი) და მიათ. როგორც მიმღებობის ამ ფორმათა მნიშვნელობის თარგმანიდანაც ჩანს. უდიურს აქვს. ერთის მხრივ. აწყო-ყოფადის მიმღებობა მოქმედებითი გვარის შინაარსისა. ხოლო. მეორე მხრივ, ყოფადის მიმღებობა ენებითი გვარის მნიშვნელობით: შდრ., მაგალ.: ბალ (მკეთებელი) — ბალა (საკეთებელი), აკესტალ (მაჩვენებელი) — აკესტალა (საჩვენებელი)... ამ ფორმების — მაგალითად: ბალ და ბალა, ბაქალ და ბაქალა, უქალ და უქალა და მისთანების—ერთმანეთთან მიყენებით ცხადი ხდენა, რომ მეორე ჯგუფის (ბალა, ბაქალა...) მიმღებობის წარმოებას საფუძვლად უდევს პირველი ჯგუფის (ბალ, ბაქალ...) მიმღებობა, ხოლო მის საწარმოებლად გამოიყოფა სუფიქსი -ა: ბალ-ა, ბაქალ-ა... ეს სუფიქსი მიმღებობის ასეთ ფორმას შესაძლოა მოეკვეცოს მსაზღვრელად გამოყენების დროს; მაგალ.: აკესტალ (—აკესტალა?) ჩემნიუხ „საჩვენებელი მაგალითები“. თუმცა აქ შესაძლოა, სიტყვის ბოლოში ხმოვნის ოკვეციის შემთხვევა კი არ გვაქვს, არამედ პირველი ტიპის (ბი, ბაქი და მისთ.) მიმღებობის მსგავსად გვარის მიხედვით ფორმათა გაურჩევლობა: უქალ „მოქმელი||სათქმელი“; ბალ „მკეთებელი||საკეთებელი“, აკესტალ „მაჩვენებელი||საჩვენებელი“ და ა. შ.

მიმღებობასთან შეწყობილი სახელი იმართვის სხვა სახელშმნურ ფორმათა მსგავსად; მაგალითად: 1) აშლაშლახ (ანდა — აშნუხ) ბალ „საკმე||საკმეს მკეთებელი“, ხოდხოდახ ქიშკალ „ხეხეს მთელი“, ხეხენახ ზაპკალ „წყალ||წყალის მზიდველი“ და ა. შ.; 2) შეტინ ბალა იშლაშლახ „მან საკეთებელი საქმე“, შეტინ ქიშკალა ხოდხოდახ „მან გასაშლაშინებელი ხე“; შეტინ ზაპკალა ხეხენახ „მან საზიდი წყალ||წყალს“ და ა. შ.<sup>1</sup>—შდრ.: შეტინ ბესანე აშლაშლახ (აშნუხ) „მან აკეთებს საკმეს||საკმეს; შეტინ ბენე აშლაშლახ „მან გააკეთა საკმეს||საკმეს“...

ყურადღებას იპყრობს ბალ, ბაქალ, ელალ და მისთ. მიმღებობის წარმოების საკითხიც. ზმნის დრო-კილოთა ზოგ ფორმასთან დაკავშირებით ზემოთ აღინიშნა, რომ მიმღებობის ამ ფორმის მაწარმოებლად შეიძლება გამოიყოს — სუფიქსი და არა -ალ (როგორც ეს აქამდე იყო გამოყოფილი უდიურის შესახებ არსებულ სპეციალურ გამოკვლევებში). ეს მოსაზრება ეყრდნობა იმას, რომ ამ მიმღებობის საწარმოებლად შესაძლოა წმინდა პირველადი, ფუძე კი არ იყო გამოყენებული, არამედ — აბსოლუტივი (ისევე, როგორც ეს ამჟამად თვისტომ ენებში, კერძოდ, წახურში, მუხანდურში და ამ ჯგუფის სხვა ენებშია გამოყენებული). ასეთად კი უდიურში წარმოშობით ბა, ბაქა, ელა, უქა და მისთ. ფორმები შეიძლება ჩაითვალოს. ეს ფორმები ამჟამინდელ უდიურში ბრძანებითისა და ერთ-ერთი კავშირებითის მნიშვნელობით გამოიყენება (იხ. ზემ. დრო-კილოთა ფორმები), მაგრამ თვისტომ ენათა სათანადო მო-

<sup>1</sup> და არა: „საკმის მკეთებელი“, „ხის მთელი“, „წყლის მზიდველი“, ანდა: „მისი საკეთებელი“, „მისი სათელი“, „მისი საზიდი“ — როგორც ქართულში.

ნაცემებთან შეჯერება-შეფარდება სარწმუნოს ხდის, რომ ზმნის ეს უდიურო ფორმაც ისტორიულად აბსოლუტივი იყო. შდრ., სახელდობრ, წახური: ჰაჲა (არის-რა) აქედან—ჰაჲა-ნ, ჰაჲა-ნა „მკეთებელი, საკეთებელი (ამჟამად)“; მუხადური: ჰაჲა (არის-რა)—ჰაჲა-დ, ჰაჲა-დჲ „მკეთებელი, საკეთებელი (ამჟამად)“.. მაშასადამე, ამის კვალობაზე უდიურო მიმღეობის აღნიშნული ფორმები ასე დაიშლება: ბა-ლ, ბაჲა-ლ, ელა-ლ, უჲა-ლ... და არა: ბა-ლ, ბაჲ-ლ, ელ-ალ, უჲ-ალ... აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული ბა. ბაჲა, ელა, უჲა და მისი. ფუძე-ფორმები გამოიყოფა უდიურისავე გერუნდიუმის ფორმებშიც, რომლის შესახებ ცნობები ქვემოთ იქნება მოწოდებული.

### აბსოლუტივ-გერუნდიუმი

უდიურს მოეპოვება აბსოლუტივ-გერუნდიუმის ასეთი ფორმები: 1) ბა-ს უწიბატან „კეთების დროს“, „კეთებისას“, ბაჲა ხ უწიბატან „ყოფნის დროს“, „ყოფნისას“, „დაბადების დროს“, „დაბადებისას“; უჲა ხ უწიბატან „ჰამის დროს“, „ჰამისას“, ელა ხ უწიბატან „მოსვლის დროს“, „მოსვლისას“ და სხვ. 2) ბამაჲ ბამინ „ვიღრე გააკეთებენ, ან გაკეთდება“. „კეთებამდე“, ბაჲამაჲ ბამინ „ყოფნამდე“, „დაბადებამდე“, უჲამაჲ ბამინ „ჰამამდე“, ელაამაჲ ბამინ „მოსვლამდე“...

ყველა ამ ფორმის საყრდენად გამოყენებულია იგივე ფორმა. რაც — აწმყო-ყოფადის მიმღეობისთვის, სახელდობრ: ბა, ბაჲა, უჲა, ელა. რომლის წარმოშობის (აწმყოს აბსოლუტივთან ეტიმოლოგიური კავშირის) შესახებ ზემოთ ითქვა. ამ ფუძე-ფორმის ჩამოცილების შემდეგ აბსოლუტივ-გერუნდიუმის მაწარმოებლად რჩება: 1) -ბ უწიტან, 2) -ბაჲ-ბინ. აჲ (-მა ფორმანტის გამოკლებით) ანდა გვექნდეს რთული მაწარმოებლები. კერძოდ. -მინ ფორმანტი შეიძლება დაიშალოს ასე: მ-ინ, რომელიც მიღებულ უნდა იყოს -მა ელემენტისა (ბა-მა, ბაჲა-მა...) და -ინ სუფიქსის კომბინაციით. ბოლოკიდური -ინ ელემენტი ბრუნების სისტემიდან უნდა იყოს ნასესხები: ეს ფორმანტი ერგატივ-ინსტრუმენტალისა და ნათესაობითი ბრუნვის საზიარო -ინ ნიშანს ჰგავს. საგულისხმოა, რომ ასეთივე -ინ მაწარმოებელი აქვს ინფინტივ-მასდარის ფორმისაგან ნაწარმოებ გერუნდიუმსაც: ბეს-ინ „კეთება-კეთებით“, ფეს-ინ „თქმით“, „ლაპარაკით“. -ტან მაწარმოებელიც რთული აგებულებისა ჩანს და შეიძლება დაიშალოს ასე: ტ-ან, აქედან ბოლოკიდური -ან ელემენტი სუპინუმის -ან მაწარმოებელს ემთხვევა ფონეტიკურად და ალბათ მნიშვნელობითაც. -მა (→ -მ) და ტ- ელემენტთა თავდაპირველი მნიშვნელობა საკვევია. რაც შეეხება -ხუნ მაწარმოებელს, ესეც, როგორც ითქვა, რთული შედგენილობისაა და მთლიანად ემთხვევა აბლატივ-კომიტატივის უდიურისავე მაწარმოებლის ნიჭურ ვარიანტს; შდრ., მაგალითად: ამდარ-ახუნ (ადამიანი-სავან; ადამიანთან ერთად), ზახუნ (ჩემგან; ჩემთან ერთად)...

აბსოლუტივ-გერუნდიუმის აღნიშნული ფორმებიც სახელს მართავენ სასელზმნური მნიშვნელობის სხვა ფორმათა კვალობაზე, მაგალითად: 1) შეტიინ აშიაშლახ ბახუნშატან „მან საქმეს საქმეს კეთებისას“, შეტიინ

ა მ თ | ა მ თ ა ხ უკახუნე | უკატან „ მ ა ნ ს ი ტ ყ ვ ა | ს ი ტ ყ ვ ა ს თქმისას...“  
2) შე ტ ი ნ ა შ ი ა შ ლ ა ხ ბ ა მ ა | ბ ა მ ი ნ „ მ ა ნ ს ა ქ მ ე | ს ა ქ მ ე ს თქმამდე“...  
შ ე ტ ი ნ ა მ თ | ა მ თ ა ხ უკ ა მ ა | უკ ა მ ი ნ „ მ ა ნ ს ი ტ ყ ვ ა | ს ი ტ ყ ვ ა ს თქმამდე...“

**საერთო ხასიათის შენიშვნები. სახელწმუნურ  
ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებით**

ინფინიტივ-მასდარის, სუპინუმის, მიმღეობისა და აბსოლუტივ-გერუნდიუმის შესახებ ზემოთ მოწოდებული ცნობები საფუძველს იძლევა დავსძინოთ, რომ არც ერთი ამ ფორმათაგანი არ იწარმოება ზმნიდან; ყოველ ამათაგანს საყრდენად აქვს პირველადი, ნეიტრალური, ფუძე, ანდა — აბსოლუტივის ფორმა. მაშასადამე, ეს უდიდური ფორმები ნ ა ზ მ ნ ა რ ს ა ხ ე ლ ე ბ ს კ ი ა რ წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ (როგორც ეს, კერძოდ, ქართულშია); არამედ — ნ ა ა ბ ს ო ლ უ ტ ი ვ ა რ ფ ო რ მ ა ს (ასეთია, მაგალითად, აწმყო-მყოფადის მიმღეობა. გერუნდიუმი), ანდა, ზმნურ ფუძეთა თანაბრად. აქ გვაქვს პირველად-ფუძიანი (ნეიტრალურ-ფუძიანი) წარმოება. პირიქით: უდიდური ზმნის ფორმები (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ნაწილი მინც) იწარმოება ამ სახელწმუნურ ფორმათა გამოყენებით, სახელდობრ, დრო-კილოთა პირველი ჯგუფის ფორმებისათვის საყრდენად ინფინიტივ-მასდარია გამოყენებული, ხოლო მეორე ჯგუფის ფორმებისათვის (აორისტი პირველისა და აქედან წარმოებული სხვა ფორმებისათვის, აგრეთვე მყოფადი პირველისა და აქედან წარმოებული სხვა ფორმებისთვის) — მიმღეობა (იხ. ზემ. დრო-კილოთა ფორმები). თუ ისიც დაემატება, რომ ინფინიტივ-მასდარი, სუპინუმი, მიმღეობა და აბსოლუტივ-გერუნდიუმი ისევე მართავენ სახელთა ფორმას, როგორც ზმნის პირიანი ფორმა (და, მაშასადამე, ამათაც ისეთივე ვერბალურ-პრედიატული მნიშვნელობა აქვთ, როგორიც ზმნის პირიან ფორმებს), საწმუნო იქნება ამ უდიდურ ფორმათა და ქართულ მასაღარ-მიმღეობას შორის არსებული სხვაობა.

ინფინიტივ-მასდარის, სუპინუმის, მიმღეობისა და გერუნდიუმის წარმოებისა და გამოყენების მხრივ ვართაშნულსა და ნიჭურ დიალექტებში არსებით სხვაობა არ არის; შეიმჩნევა მხოლოდ ზოგი ასეთი თავისებურება: ინფინიტივ-მასდარის ფორმაში ხდება ზოგი ფონეტიკური ცვლილება (რედუქცია, ასიმილაცია...); შდრ., მაგალითად, ქარხესუნ (ვართ.)—ქარხსუნ (ნიჭ.) „ცხოვრება“, აშბესუნ (ვართ.)—აშფსუნ (ნიჭ.) „მუშაობა“...; 2) ნიჭურში უპირატესად გამოიყენება -ტან მაწარმოებლიანი გერუნდიუმი; 3) -ან მაწარმოებლიანი სუპინუმი ნიჭურში შემთხვევათა უმეტესობაში შეცვლილია -ტან მაწარმოებლიანი გერუნდიუმით, ანდა კალზატივის („თვის“-თანდებულიან ბრუნვის) ფორმით; შდრ., მაგალითად: ა) დოღრი-ყუნ-ეხა: ბესანალ ქრმაგ, უქსანალ ქრმაგ „მართალს ამბობენ: კეთებადაც (გასაკეთებლადაც) შევლა, ჰამადაც (საქმელადაც) შევლა“, ე. ი. „საპიროა შევლა როგორც მუშაობის, ისე ჰამის დროს“ (ვართაშ.) — დოღრი-ტუნ-ნეხ: ბატანალ ქრმაგ (ნიჭ.), უქატანალ, მართალს ამბობენ: მუშაობისასაც (მუშაობის დროსაც) შევლა უნდა, ჰამისასაც (ჰამის დროსაც)“... ბ) ჩოვალლო კაჭთა ა-ტან სერჟანბე... ყუთი „ბელურებისათვის საკენკის მიცემად (მისაცემად) გავაკეთეთ ყუთი“... (ვართაშ.)—ჩოვალხო კაჭთასტე ანაკ... ყუთი-ჟან-სერბიო „ბელურებისათვის საკენკის მიცემისათვის (მისაცემად) ყუთი გავაკეთეთ“ (ნიჭ.).



თავკიდური უფუნქციო ელემენტები უღიურ ზმნებსა და  
 /სახელზმნურ ფორმებში. კლას-კატეგორიის გაპავავებულ  
 პრეფიქსთა საკითხი

უღიურ ზმნათა და სახელზმნურ ფორმათა ერთ ნაწილში გამოიყოფა ისე-  
 თი თავკიდური ელემენტი, რომელსაც ამჟამად არავითარი ფუნქცია არა აქვს.  
 ფუნქციონირება უფუნქციო შეზრდილი ამგვარი ელემენტები გვხვდება ხმოვნისა-  
 გან ანდა თანხმოვნისა და ხმოვნისაგან შემდგარი მარცვლის სახით. ეს ელემ-  
 ენტები, მაგალითად: ა-, ე-, უ , უჲ-; ბა-, ბი-, ბო-, ბოჲ-, ბუ- და სხვ. ასეთი  
 ელემენტები შეზრდილი აქვს: 1) ი ნ ფ ი ნ ი ე-მ ა ს და რ ს; მაგალითად:  
 ა-ყსუნ (აღება. აყვანა; ყიღება); ე-ქსუნ (შენახვა, მოვლა), უ-ქსუნ (ჰამა);  
 უჲ-ლსუნ (სმა, დაღვევა); ბა-ქსუნ (ყოფნა, დაბადება; შეძლება); ბა-ჯესუნ (მო-  
 პოვნება); ბა-პესუნ (დაწვევა, მიღწევა, მიწვდომა); ბა-ყესუნ (ჩატევა, დატევა.  
 ხოთავსება...); ბე-სესუნ (თხოვნა) ბე-სუნ (კეთება...); ბი-ტესუნ (თესვა),  
 ბი-ხსუნ (შობა, დაბადება); ბი-ყსუნ (პყრობა, ჭერა); ბი-თესუნ (დაცემა, ვარდ-  
 ნა); ბი-ესუნ (კვდომა...); ბო-ხესუნ (ხარშვა), ბო-ტესუნ (ჭრა), ბო-სესუნ  
 (გადადგება), ბო-კესუნ (წვა...), ბო-ყესუნ (კრეფა ხილისა და მისთ.); ბუ-ყ-  
 სუნ (წადილი, სურვილი; სიყვარული...) და მისთ.; 2) ზ მ ნ ი ს ამა თუ იმ პ ი-  
 რ ი ა ნ ფ ო რ მ ა ს, მაგალითად: ა-ნე-ყსა (იღებს), ე-ნე-ქესა (ინახავს) უ-ნე-ქ-  
 ქსა (ჰამს), უჲ-ნე-ლსა (ჰამს); ბა-ნე-ქსა (არის; იბადება); ბა-ტუ-ქსა (შეუძ-  
 ლია); ბა-ნე-ქსა (ეწვევა, აღწევს); ბა-ნე-ყსა (ეტევა); ბი-ნე-ტესა (თესავს),  
 ბი-ნე-ყსა (იჭერს); ბო-ნე-ხსა (ხარშავს); ბო-ნე-ტესა (ჭრის); ბო-ნე-სსა  
 (აღღებს); ბო-ნე-ყსა (იწვის); ბო-ნე-ყსა (კრეფს); ბუ-ტუ-ყსა (ჰსურს.  
 უყვარს); 3) მ ი მ ლ ე ო ბ ა ს; მაგალითად: ა-ყი (აღებული, აყვანილი; ნაყი-  
 დი); ე-ჰი (შენახული), უ-ჰი<sup>1</sup> (ნაჰამი), უჲ-ლი (ნასამი, შესმული), ბა-ჰი  
 (ნამყოფი; დაბადებული...); ბა-ბი (დაწეული, მიღწეული), ბა-ყი (ჩატეული),  
 ბი-ტი (დათესილი), ბი-ხი (ნაშობი, შობილი), ბი-ყი (პყრობილი, დაჭერილი),  
 ბო-სი (გადადებული), ბო-ტი (გაჭრილი), ბო-კი (დამწვარი), ბო-ყი (მო-  
 კრეფილი), ბუ-ყი (მოსურვებული), ბუ-ყალ (მოსურნე, მსურველი...); 4) ს უ-  
 პ ი ნ უ მ ს; მაგალითად: ა-ყსან (ასაღებად), ე-ქსან (შესანახავად), უ-ქსან (საჭ-  
 მელად), უჲ-ლსან (დასაღვეად), ბა-ქსან (სამყოფად, დასაბადებლად, შესაძ-  
 ლებლად); ბა-ქსან (დასაწვეად, მისაღწვეად), ბი-სტან (დასათესად), ბო-  
 -ქსან (დასაწვეად). ბუ-ყსან (მოსასურვებლად, შესაყვარებლად) და ა. შ.  
 5) გ ე რ უ ნ დ ი უ მ ს; მაგალითად: ა-ყახუნ||ა-ყატან (აღებისას, აყვანისას),  
 უ-ქახუნ||უ-ქატან (ჰამისას)...; ბა-ქახუნ||ბა-ქატან (ყოფნისას, დაბადებისას);  
 ბი-ტახუნ||ბი-ტატან (თესვისას), ბო-სახუნ||ბო-სატან (გადადებისას), ბუ-  
 -ყახუნ||ბუ-ყატან (მონდომებისას, როცა კი სურვილია) და ა. შ.

დასახლებულ ა-, ე-, უ-, უჲ-; ბა-, ბე-, ბი-, ბო-, ბოჲ-, ბუ- ელემენტებს,  
 როგორც ითქვა ამჟამად დაკარგული აქვთ მნიშვნელობა, მაგრამ მორფოლო-  
 გიურ ფორმათა დაპირისპირება, თვისტომ ენათა შესაბამის ფუნქცი-ფორმებთან  
 შედარება და ამის კვალობაზე ამ ენებში საერთო მორფემების (ძირების, მაწარ-

<sup>1</sup> ქ ა ე ფორმის პარალელურად.

მოებლების) გამოყოფა იძლევა ფუნქციამოშლალ ამ ელემენტთა ეტიმოლო-  
გიური ძიების შესაძლებლობას. ამგვარი ძიება. რასაკვირველია, სცილდება  
ამ წიგნის ამოცანებს. მაგრამ მოვლენათა კონსტატაციის წესით (ვრცელი ისტო-  
რიულ-შედარებითი ძიების გარეშე) მაინც საჭირო იქნება, აქაც ამ საკითხით და-  
ვინტერესდეთ და ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე: ამ ელემენტებს უდიურ  
ზმნებსა და სახელზმნურ ფორმებში უჭირავთ სწორედ ის ადგილი. რაც — თვს-  
ტომ ენათა შესაბამის ფუძე-ფორმებში გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს - კ ა ტ ე -  
გ ო რ ი ის გამომხატველ პრეფიქსებს: შდრ., მაგალითად: 1) უ დ ი უ რ ო :  
ბა-ქსუნ—ბა-ქ-ესუნ (ყოფნა...): ბა-ნე-ქ-სა (არის), ბა-ნე-ქ-ე (იყო), ბა-ქ-ალ-ლე  
(იქნება); ბა-ქი, ბა-ქალ (ყოფილი, მყოფი...) — მ უ ხ ა დ უ რ ი : მ ი - ქ - ის (ყოფ-  
ნა კაცისა ან ნივთისა, მოვლენისა), რ ი - ქ - ის (ყოფნა ქალისა), ვ ი - ქ - ის  
(ყოფნა, არსებობა ცხოველისა...); დ ი - ქ - ის (ყოფნა მრავალთა: ადამიანთა,  
ნივთთა, მოვლენათა, ცხოველთა); ამის შესაბამისად: მ ი - ქ - ის ი (იქნება კა-  
ცი, ნივთი...), რ ი - ქ - ის ი (იქნება ქალი), ვ ი - ქ - ის ი (იქნება ცხოველი). ა რ ჩ ი -  
ბ უ ლ ი : ვ ი - ქ - ი რ , დ ი - ქ - ი რ , ბ ი - ქ - ი რ , ი - ქ - ი რ , („ყოფნა“—გრამ. კლასების მიხედ-  
ვით): წ ა ხ უ რ ი : ზ ხ - ა მ („ყოფნა კაცისა, ნივთისა — მოვლენისა“); მ ი - ხ - ა მ  
(ყოფნა ქალისა), ვ უ - ხ - ა მ (ყოფნა ცხოველისა); 2) უ დ ი უ რ ი ბ ი - ხ - ს უ ნ —  
ბ ი - ხ - ე ს - უ ნ (შობა); ბ ი - ნ ე - ხ ს ა (შობს), ბ ი - ნ ე - ხ ე (შობა); ბ ი - ხ - ი (ნაშობი), ბ ი - ხ ა ლ  
(წმობელი, დამბადებელი)—წ ა ხ უ რ ი : უ - ხ - ი , მ უ - ხ - ი , ვ უ - ხ - ი (გრამ. კლასების  
მიხედვით); მ უ ხ ა დ უ რ ი : მ უ - ხ - ზ ნ . რ უ - ხ - ზ ნ , ვ უ - ხ - ზ ნ (გრამ. კლასების მიხედ-  
ვით); ლ ე ჳ გ ი უ რ ი : ხ - უ ნ „შობა“... 3) უ დ ი უ რ ი : ბ ო - კ - ს უ ნ — ბ ო - კ -  
- ე ს უ ნ (წვა); ბ ო - ნ ე - კ - ს ა (იწვის), ბ ო - ნ ე - კ - ე (დაიწვა), ბ ო - ნ ე - კ - ო (დაიწვება); ბ ო -  
- კ - ი (დამწვარი) — ა რ ჩ ი ბ უ ლ ი : უ - კ ო - ას , დ ო - კ ო - ას , ბ ო - კ ო - ას („წვა“—გრამ.  
კლასების მიხედვით)... შესადარებლად ჩამოთვლილი ზოგი ეს ფუძე-ფორმაც<sup>1</sup>  
სარწმუნოს ხდის განმარტებას იმის შესახებ, რომ თავდაპირველად ზემოთ და-  
სახელებული (ამჟამად ფუძესთან უფუნქციოდ შეზრდილი) თავკიდური ელე-  
მენტები უდიურშიც წარმოადგენდნენ კლას-კატეგორიის ექსპონენტებს. საინტე-  
რესოა, რომ ამგვარი (გაქვეავებული) თავკიდური ელემენტები გვხვდება უდიურ  
სახელებშიც; შდრ., მაგალითად: ჰ ა ლ ა ნ ყ ო (მაყვალა), ბ ა ჩ (ბრტყელი  
ქვა — ქვევრზე დასაფარებლად), ბ ა ჩ ა (ასი), ბ ა ჯ ო (თხელი, თხიერი),  
ბ ა შ ა (დამპალი); ბ ი ჰ (ეშმაკი, ცულლუტი, გაქსილი), ბ ი ჰ ი (უმბი, მო-  
უმწიფებელი), ბ ი ს ი (ძველი; ჩვარი), ბ ი პ (ოთხი); ბ ე ა ლ (მზე). ბ ე ა ქ (ნემსა);  
ბ ო ყ ო (კომი), ბ ო ხ ო (გრძელი), ბ ო ა ყ (ღორი); ბ უ შ ა ქ ლ ე მ ი , ბ უ ტ (ფა-  
რული, დამალული), ბ უ ე (გაბლენძილი); ბ უ ლ (თავი), ბ უ ქ უ ნ (მუცელი),  
ბ უ რ უ ხ (მთა), ბ ო ა ხ მ ო ა ხ (ცხვირი)... საფიქრებელია, რომ ამ სახელებშიც კლას-  
კატეგორიის გამომხატველი ისეთივე (ან იგივე) პრეფიქსები გამოიყოფა, როგო-  
რიც—ზემოთ უწყებულ ზმნებსა და სახელზმნურ ფორმებში.

<sup>1</sup> ამგვარი შედარებისათვის შეიძლება დაგეისახელებინა სხვა ნიმუშებიც.

<sup>2</sup> ნიმუშები დასახელებულით არ ამოიწურება.

## ფორმალური სიტყვები

უდიურს მოეპოვება ისეთი სიტყვები, რომლებიც არ იცეციან ფორმას: არ იზრუნვიან და არ იუღვლიან; არ ეცელებათ ფორმა რიცხვის ან კლას-კატეგორიის მიხედვით. ასეთი სიტყვებია: ზმნისართი, თანდებული. ნაწილაკი, მაკავშირებელი სიტყვა...

### ზ მ ნ ის ა რ თ ი

#### ზმნისართთა აგებულება. სემანტიკური ჯგუფები

უდიურს მოეპოვება მარტივი, ნაწარმოები და რთული აგებულების ზმნისართები.

მარტივი აგებულების ზმნისართებში უნდა ვიგულისხმოთ ისეთებიც, რომლებიც შესაძლოა შემადგენელ ნაწილებად ამჟამად ვერ დაეშალოთ, მაგრამ ისტორიულად თითოეული მათგანის დაშლა ხერხდებადეს; ასეთია, მაგალითად: შელ (კარგად), გოლზ (ძალიან, ბევრად, ფრიალ); ბეშ (წინ), კოშ (უკან), ბოშ (შიგ), ტოშ (გარეთ)<sup>1</sup>; ცინა (ქვემოთ, ქვემო მხარეს), ბულა (ზემოთ, ზემო მხარეს); ბაას (საღამო, საღამოს)... მარტო ამ ჯგუფის ზმნისართთა ერთი ნაწილის (მაგ., ბოშ, ტოშ, ბულა, ცინა და სხვ.) ერთმანეთთან შედარება (მათში საერთო ელემენტების არსებობა) გვარწმუნებს, რომ აქ გენეტურად ნაწარმოები ან თხზული ფუძეები გვაქვს.

ნაწარმოებულნი ზმნისართებია, მაგალითად: მაა (აქ), ტაა (იქ)<sup>2</sup>, დამნუნ (ხვალ), ბაასუნ (საღამოს), ბლზარუნ (შუადღეს)<sup>3</sup>; ბეშტან (წინიდან), კოშტან (უკნიდან), ტოშტან (გარედან), ბოშტან (შიგნიდან)<sup>4</sup>; ალა (მალა), ოყა (დაბლა, ქვემოთ)<sup>5</sup>.

რთულ ფუძიანი ზმნისართები: ა) ფუძეთა გამეორებით წარმოქმნილები: დამ-დამ (დილას), უსინ-უსინ (ჩქარ-ჩქარა, მალ-მელი), ჯოკ-ჯოკ (ცალ-ცალკე), ტალა-ტალა (იქით-იქით)...; ბ) სხვა რთულფუძიანები: მეხო (აქეთ, ამ მხარეს), ქაჩო (მაგ მხარეს), ტეჩო (იქით, იმ მხარეს), ჰარჩო (ირგვლივ, ყოველმხრივ), ბიჰჩო (ოთხმხრივ, ირგვლივ, გარშემო); ტაა-მაა (აქეთ-იქით, აქა-იქ)...; სა-გალა (ერთად), ჰარ-გალა (ყველგან)...; ჩო-ბა-ჩო (პირდაპირ)...; ტე-თარ (იმგვარად)...

ადგილის ზმნისართები. უდიურს სამი რიგის ადგილის ზმნისართი მოეპოვება: 1) ნაცვალსახელური წარმოშობის ზმნისართები (ამგვარ ზმნისართთა წარმოებისთვის საყრდენად გამოიყენება მითითებითი ნაცვალსახელი და განუსაზღვრელი ნაცვალსახელი). ლოკატიური ფორმით წარმოდგენილ ნაცვალსახელს აქვს ადვერბიალური მნიშვნელობა, სახელდობრ: მაა-მი-ა-მე-ა\* „აქ“, მალა-შე-ლა „აქეთ“ (შდრ. მე „ეს“), ქა-

<sup>1</sup> ნიქერკლოში: კოშ.

<sup>2</sup> შდრ. მე (ეს), ტე (ის).

<sup>3</sup> შდრ. დამ-დამ (დილა, დილა), ბაას (საღამო), ბლზარ (შუადღე).

<sup>4</sup> შდრ. ბეშ (წინ), კოშ (უკან), ტოშ (გარეთ), ბოშ (შიგ, შიგნი)

<sup>5</sup> შდრ. ლახო (ხელ. ზედა: სტოლუნ ლახო „მეიდაზე“); ოყ (ძირი, ფსკერი).

\*ქა—\*ქა-ა „მანდ“ (შდრ. ქა „ეგ“). ტაა—ტი-ა\*—ტე-ა „იქ“. ტალა—\*ტე-ლა „იქით“ (შდრ. ტე „ის“). -ა ლოკატივის საწარმოებლად გამოყენებული ერთ-ერთი ფორმანტია უდიურში. შელაწმელინ „აქედან“. ქალაწმელინ „მანდედან“, ტელაწმელინ „იქიდან“ (შდრ. ზემოთ დასახელებული მე, ქა, ტე ნაცვალსახელები). -ლ-აწმელინ ლოკატივის მრჩობლი მწარმოებელია უდიურში — ერთი ამათგანი (-ლ-) წარმოშობით სუპერესივის (ზე-ბრუნვის) ფორმანტია, ხოლო მეორე (-ინ||-ან) — ნათესაობითი ან მოქმედებითი ბრუნვისა. ზმნისართთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე ტალა (იქით), მალა (აქეთ), ტალა-მალა (იქით-აქეთ). ამ ზმნისართების თავიიდური მდატ (ანდა: მა- და ტა-) ელემენტებიც ნაცვალსახელოური წარმოშობისაა (შდრ., მე „ეს“, ტე „ის“). ადგილის ზმნისართი უდიურში წარმოიქმნება აგრეთვე ნაცვალსახელის არსებით სახელთან შერწყმის გზით; მაგალითები: მეჩო („აქეთ“, „აქეთკენ“), ქაჩო (მანდეთ, მანდეთკენ), ტეჩო (იქით, იქითკენ). შდრ.: მე, ქა, ტე+ჩო „სახე“, „მხარე“...; ქაჩო „ყოველმხრივ“. „ირველივ“, „გარშემო“ (პარ „ყოველი“+ჩო)... 2) ზმნისართები, რომლებიც ისტორიულად ლოკატივის (თანდებულიანი ბრუნვის) გაქვეებული სუფიქსის შემტველ არსებით სახელებს წარმოადგენენ. მაგალითები: ა) კოტელ „ნაპირას“, „ნაპირზე“, „კიიდურზე“, „კიდეზე“ (შდრ. კოტ „ნაპირი“, „კიიდური“), ტოალოალ „თანა“, „გვერდით“, „ვისიმე ან რისამე სიახლოვეს“ (შდრ. ტოალ „გვერდი“, „ფერდი“), ბიხლიალ „შუა“, „შუაში“, „შორის“ (შდრ. ბიხლ „შუა“, „შუათანა“, „შუა წელი“)<sup>1</sup>. აახიხლ „შორს“<sup>2</sup>... ბ) ბულა „ზევით“, „თავში“, „ზემო უბანში“ (შდრ. ბულ „თავი“, „საწყისი“...); ცინა „ქვევით“, „ბოლოს“, „ბოლოში“, „ქვემო უბანში“ (შდრ. ცისუნ „ჩასვლა“, ციფსუნ „დაყრა“, „ჩაყრა“, „დაბნევა“; „დაღერა“; „ჩაყენა“)... ოყა „დაბლა“, „ქვევით“, „ძირს“, „ფსკერზე“ (შდრ. ოყ „ძირი“, „ფსკერი“, „ქვედა მხარე“); ოშა „შემდეგ“ „შომდეგნო ადგილას“ (შდრ. ოშ „ბოლო“, — „ბოლო ნაწილი“, „ბოლო ადგილი, მხარე“). ბოლოკიიდური -ა ელემენტი ყველა დასახელებულ შემთხვევაში მიცემითი ბრუნვის resp. ლოკატივის სუფიქსია. ასევე იწარმოება: ალა „მალა“ და იშა „ახლოს“. ადვერბიალოური მნიშვნელობის ეს ორი სიტყვა უნდა დაიშალოს ასე: ალ-ა, იშ-ა-ა აქაც ლოკატივის მწარმოებელია. შდრ. ოყა, ბულა და მისთ.

3) სხვაგვარი აგებულების ადგილის ზმნისართები: 1) ბოშ „შიგ. შიკნათ“, ტოშ (ნიჭურში: კრშ ← კოშ) „გარეთ“, კოშ „უკან“, ბეაშ „წინ“. ყველა ამ ზმნისართის ფუძეში საერთოა -ოშ, -შ ელემენტი (შდრ. ზემოთ დასახელებული ოშ „ბოლო“, ოშა „შემდეგ“). ამ ფუძესთან ბ-, ტ-, კ-, ჯ-, ჰე თაკვიდური ელემენტების შეზრდით წარმოქმნილია ადვერბიალოური მნიშვნელობის სიტყვები.

<sup>1</sup> -ელ, -ოალ-ოლ-ალ, -იხლ-ილ „ზე“- თანდებულიანი ბრუნვის (სუპერესივის) მწარმოებელია უდიურში. — იხ. ზემ.: სახელთა ბრუნება. თანდებულიანი ბრუნვები.

<sup>2</sup> ეს ზმნისართი უდიურ ნიადაგზე ვერ იშლება: აახ- ფუძე ცოცხალი ილარაა უდიურში. -ი ბ ელემენტი აქ დასახელებულ ზმნისართთა ანალოგიითაა გამოყოფილი. შდრ. ბაღლ-ალ „შუაში“.

4) აღნიშნულ ზმნისართებზე - ტან ელემენტის დართით წარმოიქმნება ზმნისართთა ასეთი სახეობა: ბოშტან „შიგნიდან“, ტოშტან (ნიჟ.: ქოშოხენ) „გარედან“ ქოშტან „უქნიდან“, ბეშტან „წინიდან“ ...

5) გაბაგა „ყველგან“, ყოველ მხარეს“. ეს ადგილის ზმნისართი წარმოადგენს რთულ ფუძეს — მიღებულს „ადგილის“ აღმნიშვნელი გასახელის გარდაგებით და ამ ფუძესთან შერწყმული - ბა-კავშირის გამოყენებით: გა-ბა-გა-ადგოლ და ადგილ. ამ ზმნისართის სინონიმებია: განენ და ჰარ-გალაჰ ჰარ-განუჰ, რომელთაგან პირველი ნაწარმოები (მოქმედებით ბრუნვაში დასმული) ფუძეა: გან-ენ, ხოლო მეორე — რთული ფუძე: ჰარ<sup>2</sup>+გალაჰ-განუჰ „ყველა ადგილას“ (შდრ. ქართ. ყველგან).

ადგილის ზმნისართი თანდებულის ფუნქციით. ადგილის ზმნისართები უდიუროში ზოგჯერ თანდებულადაც გამოიყენება. ამგვარი ზმნისართები, იხმარებიან-რა სახელთან (მოსდევნ მათ. მართავენ სათანადო ბრუნვაში), ფუნქციით სხვა ენათა თანდებულებსა თუ წინდებულებს შეესაბამებიან (იხ. ქვემოთ „თანდებული“).

დროის ზმნისართი. წარმოება-აგებულების მიხედვით უდიუროი დროის ზმნისართები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: 1) დროის ზმნისართები — წარმოქმნილი არსებითი სახელის მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში დასმით (ეს ბრუნვის ნიშნები ამჟამად წარმოადგენენ საწარმოებელი ფუძის შენაზრდებს). მიცემითი ბრუნვის სუფიქსით წარმოებული დროის ზმნისართებია, მაგალითად: ღე „დღეს“: ღე—ღი (დღე)+მიც. ბრ. ნიშანი ა (შდრ. ქართ. დღეს); ღე<sup>ა</sup>ახ „ყოველდღე“: ღე<sup>ა</sup>ახ←ღენ-აახ (შდრ. ღი „დღე“): უსენ<sup>ა</sup>ახ←უსენ-აახ „ყოველწლიურად“, „ყოველ წელიწადს“ (შდრ. უსენ „წელიწადი“. ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსით ნაწარმოები დროის ზმნისართები: ბჟასუნ←ბჟას-უნ „სალამოს“ (შდრ. ბჟას „სალამო“), ბლზზარუნ←ბლაზზარ-უნ „შუადღეს“ (შდრ. ბლზზარ „შუადღე“), იშოუნ←იშო-უნ „შუალამეს“ (შდრ. შოუ „ლამე“), დამენ-უნ „ხვალ“ (შდრ. დამდამ „დილას“); 2) დროის ზმნისართები — წარმოებულნი მიცემითი ბრუნვის ფორმით — ამასთან ისე, რომ საწარმოებელი ფუძე გართულებულია ბაჰ-, ბაჰ-გარ- ანდა სა-მე- თავსართოვანი ელემენტით: ბაჰღენა (←ბაჰ-ღენა) „გუშინწინ“, ბაჰგზრღენა (←ბაჰ-გზრ-ღენა) „გუშინწინისწინ“, სამეღენა (←სა-მე-ღენა) „ზეგ“, „ხვალზევით“. წარმოების ხასიათის მიხედვით „სამეღენა“-ს რიგისაა უდიუროში სამეგზრდაჰსამეგერდა („ზეგისზეგ“; „ხვალზევითის ზევით“): სა-მე-გზრდა—სა-მე-გერდა; ოლონდ ამ ზმნისართის -გზრდა-ჰ-გერდა-კომპონენტიც (რაც უეჭველად თავის დროზე დამოუკიდებელი მნიშვნელობის რაღაც ფუძე უნდა ყოფილიყო) ამჟამად ცალკე აღარაფერს ნიშნავს; 3) ბაჰ-, ან ბაჰ- გზრ—თავსართიანი ელემენტით გართულებული არსებითი სახელის ფუძით ან ამ ფუძის მიცემითში დასმით წარმოქმნილი დროის ზმნისართები: ბაჰუსენ || ბაჰუსენა „მარშანწინ“, ბაჰგზრუსენ || ბაჰგზრუსენა „მარშანწინისწინ“ (შდრ. უსენ „წე-

<sup>1</sup> ნიჟურ დიალექტში ეს ვარიანტი გავრცელებული.

<sup>2</sup> ნასესხები სიტყვაა და ნიშნავს: „ყოველი“, „ყველა“.

ლიწადი“) 1; ეტიმოლოგიურად უსენ სიტყვასთან უნდა იყოს დაკავშირებული ორი ასეთი ზმნისართი: ესენ (შარშან), ეფსენ (წელს); 4) ნამოცემთარი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ნაწარმოები დროის ზმნისართი: ღენახუნ (—ღენ-ახ-უნ) „ღღისით“ 2; ამის სინონიმად უდიურში ასეთი გამოთქმაც იხმარება: ღენეფინ (—ღენეფინ) „ღღისით“ (ეტიმოლ.: „ღღის თვალით“), „ღღისით-მზისით“ 1; 5) ზმნისართები, რომლებშიც მარჯვნივ (მიცემითი ბრუნვის სუფიქსის) გამოყოფა მხოლოდ ანალოგიით ხერხდება. ეს ზმნისართებია: ა) ისა „ახლა“ (შდრ. ოშა „შემდეგ“, ოყა „დაბლა“, ალა „მაღლა“), ჰაგა „გვიან“. — შდრ. ფაქი „ბალს“, „ბალში“, „ბალად“ (ფაქ „ბალი“), ჰალაგა „ტყეს“, „ტყეში“, „ტყედ“ (ჰალაგ „ტყე“); 6) ზმნისართი, რომელშიც სუფიქსურ ელემენტად -ინ გამოიყოფა: უსინ||—უსინ „მალე“, „ჩქარა“: უსინ—უსინ. -ინ ელემენტი წარმოშობით ან ნათესაობითი ბრუნვისაა, ან არადა — მოქმედებით ბრუნვის მნიშვნელობით გამოყენებული ერგატისა (შდრ.: თურ-ინ „ფეხისა“; „ფეხმა“—„ფეხით“, ბ-ინ „თავისა“: „თავმა“—„თავით“...). 7) სხვაგვარი აგებულების დროის ზმნისართები:

ა) ნაახენე „გუშინ“, ბ) ნარზუხ „წუხელ“. ამ სიტყვათა აგებულება მთლად ნათელი არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ზმნისართებიც რთულა შედგენლობისაა და იშლება ასე: ნაახენე, ანდა ნაახენე; ნარზუხ, ანდა: ნარზუხ. ბოლოკიდური -ე (ნაახენე) და -უხ (ნარზუხ) მარცვლი შეიძლება დაუკავშირდეს მიცემითი ბრუნვის სუფიქსს: შდრ. ნაახენე და კახახენე||კახახენე „მინდორს“, „მინდვრად“, „მინდორში“; ნარზუხ||ნარზუ და შუ—შუხ „ვის“ *кому*, ზანგუ—ზანგუ-უხ „ზარს“. ამ ორთაგან -ე ელემენტის კვალიფიკაცია შეიძლება სხვა ვარაუდსაც დაეყრდნოს და იგი (ბოლოკიდური -ე) წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად იქნეს მიხნეული (შდრ. შულე ← შაული „მელიისა“, თურე ← თურე ← თურაი „ფეხისა“) 3, ხოლო ნარზ — ფუქედ: ნარზუხ(!?).

რთულფუძიანი დროის ზმნისართები. ამგვარი ზმნისართები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: 1) მარტივი ფუძის გამეორებით წარმოქმნილი ზმნისართები: ა) ორი მარტივი („წმინდა“) ფუძის შერწყმით მიღებული ზმნისართები; მაგ.: დამდამ (დამ+დამ) „დილას“, „დილით“; ბახახას (ბახ+ბახ) „სალამობით“, „ყოველ საღამოს“... ბ) ერთმანეთთან -ბა- ელემენტით დაკავშირებული ორი მარტივი ფუძისაგან შედგენილი ზმნისართები: ღი-ბ-ღი „ღღით-ღღე“ (ღი „ღღე“), უსენ-ბ-უსენ „წლიდან წლამდე“, „ყოველწლიურად“, „წლითი-წლობით“ (უსენ „წელიწადი“)... გ) ფუძეთა გამეორებით წარმოქმნილი ზმნისართები — ამასთან ისე, რომ პირველი ნაწილი წმინდა ფუძეა,

1 შესაძლოა, რომ ბაა-, ბა-, -გარ თავიკიდურ ელემენტები ოდითგან რაიმე სიტყვის ფუძეს (ან ფუძეებს) წარმოადგენდნენ; დღეს ამ ელემენტებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აღარა აქვთ.

2 საყურადღებოა, რომ -ახ-უნ ფორმანტებით უდიურში იწარმოება გერუნდოშის ძეგლი ფორმაც: ელახუნ „მოსელისას“, ბახუნ „კეთებისას“, უკახუნ „თქმისას“, აკახუნ „ნახვისას“... ამის კვალობაზე უდიური ღენახუნ (ღღისით) სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა ან უნდა განვიხილოთ: \*ღღესთან ერთად, ე. ი. „როდესაც ღღე“ (—„ღღისით“).

3 შდრ. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით წარმოებული ზმნისართები: ბლაზარ-უნ „შუაღღეს“ (=შუაღღისა), ბას-უნ „საღამოს“ (=საღამოსი) და მისთ. (იხ. დროის ზმნისართი — მე-2 პუხლი).

ხოლო მეორეს დართული აქვს აბლატივის ან კომიტატივის მაწარმოებელი; მაგალითად: დამ-დამახო „დილა-ადრინანდ“, დამ-დამახოლან „დილა-ადრინანდე“ (დამდამ „დილა“, „დილას“)... 2) სხვაგვარად თხზული დროის ზმნისართები: ა) ისეთი, რომლის პირველი ნაწილი არსებითი სახელის წმინდა ფუძეა, ხოლო მეორე — მიმღეობა; მაგალითად: დიკურდი „დღე-ჯამოშეებით“ (ღი „დღე“ + კურდი „დაგრეხილი“; გადატ. „გამოტოვებული“)... ბ) ოთულფუძიანი ზმნისართი, რომლის პირველი კომპონენტი არსებითი სახელის ან ნაცვალსახელის ლოკატივი, ხოლო მეორე — ადგილის ზმნისართი; მაგალითად: ქინხიშა „უთენია“, „ალიონზე“ (ქინხ „თენებას“, „თენებაში“ + შიშა „ახლოს“), დეუნახოტადა „დღეის-იქით“, „ამიერიდან“ (დეუნახო „დღეისაგან“ + ტადა „იქით“, „იქითკენ“), ძახოტადა „ამიერიდან“, „შემდგომად-ამისა“ (ძახო „ჩვენგან“ + ტადა „იქით“, „იქითკენ“)... გ) ისეთი ზმნისართი, რომლის პირველი კომპონენტი მითითებითი ნაცვალსახელია, ხოლო მეორე — არსებითი სახელი ან ზმნისართი; მაგალითად: მეშუ „ამაღამ“ (მე „ეს“ + შუ „ღამე“); ტეეახტ „იმ დროს“, „მაშინ“ (ტე „ის“ + ვახტ „დრო“); ტებანტ „წელან“ (ტე „ის“ + ბანტ „უკენ“, „წელან“)... დ) რთული ზმნისართა, რომლის პირველი შემადგენელი ნაწილია რიცხვითი სახელი, ხოლო მეორე — არსებითი სახელი; მაგალითად: სავახტ „ერთ დროს“, „ოდესმე“, „ოდესლაც“; სავემახტ „ერთხანს“ (სა „ერთი“ + ემა „რამდენი“ + ვახტ „დრო“)...

ადგილისა და დროის ზიარი ზმნისართები. ქართული ენის მსგავსად, უდიდესი ზოგიერთი ზმნისართი გამომხატავს როგორც ადგილის, ისე დროის გარემოებას (გარჩევა კონტექსტის მიხედვით ხდება); ასეთებია: ოშა „შემდეგ“, უსუსტა „ზედზედ“, „ზედმიყოლებით“, „დაუყოვნებლად“; ბეაშუწინ“, ბეაშახო „წინათ“, „უწინ“, „ძველად“, ბეაშახოლან „წინათვე“, „უწინვე“, „ძველადვე“, „ოდითგან“, „ძველთაგანვე“; ქოშტან „შემდგომ“, „მომდევნო დროს“, „მას უკან“, „ამას უკან“...<sup>1</sup>

ვითარების ზმნისართი. ამ მნიშვნელობის ზმნისართებიც რამდენიმე ჯგუფად იყოფა: 1) ვითარების გამომხატველი სიტყვები, რომლებიც მიიღებიან ზედსართავი სახელის ადვერბიალიზაციით; მაგალითად: შელკარგად (—შელ „კარგი“: შელ ადამარ „კარგი ადამიანი“); გოლო „ძალიან“, „ბევრად“, „ფრიალ“ (—გოლო „ბევრი“: გოლო ადამარ „ბევრი ადამიანი“)... ადვერბის მნიშვნელობით ეს სიტყვები იხმარება ზმნებთან; შდრ., მაგალითად: შელ ცანენხა „კარგად წერს“, გოლო იღარიტუბსა „ძალიან ციებს“. — შდრ. აგრეთვე: გოლო შელ „ძალიან კარგი“, „ფრიალ კარგი“... 2) ვითარების გამომხატველი სიტყვები, რომლებიც მიიღებიან ა) არსებითი სახელის ან ნაცვალსახელის ფუძეზე რაიმე ფორმანტის, ანდა რომელიმე (საკუთარი თუ ნასესხები) სიტყვის დართვით; მაგალითად: ზორორამინკ „ძალად“, „ძლივს“ (ზორ „ძალა“); შორ (—შე-ორ) შე-თან, ტე-თან, ტე-ჭურა, „ისე“, „იმგვარად“, „იმნაირად“ (ტე „ის“ + თან, ჯურა)... ბ) ფუძის გამოკრებით: გოლო-გოლო „ბევრ-ბევრი“, „ბლომად“; კიწ-კიწი „ცოტ-ცოტა“, „ცოტათი“, „ცოტა-ოდნად“... 3) თავისებურად ნაწარმოები ვითარების ზმნისართი: სავალქი—სავალ „ერთიც“, „სულაც“, „ერთხელაც“,

<sup>1</sup> ზოგი ეს ზმნისართი (ბეაშახო, ბეაშახოლან...) აბლატივის ან კომიტატივის ფორმითაა წარმოდგენილი, ზოგი კი -ტან მაწარმოებით (შდრ. გერუნდუში).

„არც როდის“; „კიდევ“, „კვლავ“, „ერთხელ კიდევ“ (სა „ერთი“ + ალ „ც“ — ნაწილაკი).

უდიურს მოეპოვება აგრეთვე ნასესხები ზმნისართები (resp. აღვერ-ბიალიზებული ზედსართავი სახელები), სახელდობრ: ძავეაშ „ნელა“, „აუჩ-ქარებლივ“; დინჯ „დინჯად“, „მშვიდად“, „წყნარად“; ძეგინ „აჩქარე-ბით“, „სწრაფად“; მეკქამ, მოკქამ, ოსტავარ „მაგარად“, „მჭიდ-როდ“; ყოკქალ, ყოჩჩალ „ყოჩაღად“, „ვეაკაცურად“, „მხნედ“; ფის „ცუდად“, „უნაიროდ“; შავატ (ნიჭურში: შაპატ||შაატ) „ლამაზად“; „მოხდენილად“; ძახეჯარ „გონჯად“, „უშნოდ“. ეს ნასესხები ზმნისარ-თებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნენ რთული ფუძის სახითაც (რედუბლიკა-ციით); მაგალითად: ძავეაშ-ძავეაშ „ნელ-ნელა“, ძეგინ-ძეგინ „ჩქარ-ჩქარა“...

კითხვითი ზმნისართები. ამ ჯგუფის ზმნისართები წარმოიქმნება სხვადა-სხვა ელემენტთა კომბინაციით, სახელდობრ: 1) ე- („რა“) კითხვითი ნაცვალსახე-ლისა და -თარ ელემენტის შერწყმით: ეთარ (ე-თარ) „როგორ“, „ვითარ“... 2) ე ნაცვალსახელის კაუზატივის („თვის“-ბრუნვის) ფორმით: ეტენქ||— ეტენქ||— ეტენქენა (ე-ტენ-კენა) „რატომ“, „რისთვის“, „რის გამო“... 3) ამავე ნაცვალსახელის აბლატივ-კომიტატივის ფორმით: ეტუხო||— ეტუხო, ეტუხოლან||— ეტუხოლან „რატომ“, „რისთვის“, „რისგან“... 4) მა (სად?) სიტყვისა და ჩო (მხარე) სიტყვათა შერწყმით: მაჩო „საით“, „სა-ითყენ“... 5) ეკალხ (რაც) ნაცვალსახელზე მიცემითის -უხ სუფიქსის დარ-თვით: ეკალუხ „რატომ“...

მიზან-მიზეზის ზმნისართი. ამ მნიშვნელობის ზმნისართებია: 1) შეტე— შეტენქ||შეტებახტინქ, ანდა 2) შეტეთე||შეტენქეთე||შეტე-ბახტინქთე „იმიტომ, რომ“; „იმიტომაც“, „იმისთვის“, „რომ“, „იმისთუ-საც“, „იმიტომ, რომ“, „იმისთვის, რომ“, „იმის გულისთვის“. ერთ შემთხვევაში გვაქვს კაუზატივის („თვის“-ბრუნვის) ფორმით წარმოდგენილი მესამე პი-რის ნაცვალსახელი (შდრ. შენო „იგი“ — კაუზატ. შეტენქენა), ხოლო მეორე შემთხვევაში ეგვევ ფორმა გართულებულია თე („რომ“) კავშირის დართვით (შეტე-თე, შეტებახტინქ-თე). როგორც ვხედავთ, მიზან-მიზნის ზმნი-სართი უდიურში ხელოვნურად წარმოქმნილი სიტყვაა.

ეს ცნობები ზმნისართების შესახებ მოწოდებულია ეართაშნული დიალექტის მონაცემთა მიხედვით. ნიჭურ დიალექტში დამოწმებული ზოგი-თავისებურება ასეთი იქნება: 1. აქ ზმნისართთა დიდი ნაწილი გამოიყენება ფონეტიკური ცვლილებებით; შდრ., მაგალითად: 1) ტძა (ვართაშ.) — ტიძა (ნიჯ.) „იქ“; ტოშ (ვართ.) — ჭოშ (ნიჯ.) „გარეთ“; მძა (ვართ.) — მიძა (ნიჯ.) „აქ“; მაჩო (ვართ.) — მაჩუ (ნიჯ.) „საით“; კჭა (ვართ.) — კოძა (ნიჯ.) „შინ“; ტალა (ვართ.) — ტალაძ (ნიჯ.) „იქით“, მალა (ვართ.) — მალაძ (ნიჯ.) „აქეთ“... 2) ისა (ვართ.) — ისა (ნიჯ.) „ახლა“, ოშა (ვართ.) — ოშა (ნიჯ.) „შემდეგ“; ნააძენ (ვართ.) — ნააძნი (ნიჯ.) „გუშინ“, სამეღენა (ვართ.) — სამანა (ნიჯ.) „ხეალზევით“, ზგენა; ბააღენა (ვართ.) — ბააღაინა (ნიჯ.), გუშინწინ, ბააგარღენა (ვართ.) — ბააგარღინა (ნიჯ.) „გუშინწინწინ“; ტებარ (ვართ.) — ტებარ (ნიჯ.) „წელან“; უსინ (ვართ.) — უსუნ — უსუნ (ნიჯ.) „მალე“, „ჩქარა“; ჭვი (ვართ.) — ჭვი (ნიჯ.) „გვიან“; ჰაძს-გარ (ვართ.) —



პ ა მ ს ა - ჯ ა (ნიჯ.) „ეხლავე“... 3) გ ო ლ ო (ვართ.)—გ ე ლ ე (ნიჯ.) „ძალიან“, „ბევრად“... 4) ე თ ა რ (ვართ.)—ჰ ე თ ა რ (ნიჯ.) „როგორ“... 2. მოწმდება ზოგი ლ ე ქ ს ი კ უ რ ი და მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი სხვაობაც. შდრ., მაგალითად: 1) დროის ზმნისართები: ა) დამდამ (ვართ.)—ა მ ჰ ა, ა ჰ უ ჰ ა, ა კ უ ჰ ა (ნიჯ.) „ხვალ“; დამდამახო (ვართ.) — უ შ ე ნ ე ნ ო (ნიჯ.) „დილაადრია-ნად“; დამდამ (ვართ.)—ს ა ე ა ხ ტ ა ნ (ნიჯ.) „დილით“ ...; ბ ე ა მ ა ხ ო (ვართ.) — ტ ო ე ა რ ი ა ხ უ ნ (ნიჯ.) „უწინ“, „დიდი ხნის წინ“<sup>2</sup>; ბ) ბ ა ა - ს უ ნ (ვართ.) — ბ ი ა მ ა ს ო ნ (ნიჯ.) „სალამოს“; ბ ლ ა ზ ა რ უ ნ (ვართ.) — ბ ე რ ე ზ ა რ ე (ნიჯ.) „შუალღეს“... 2) ვითარების ზმნისართი: ა) ს ა კ ი წ ა, ს ა კ ი, ს ა მ (ვართ.) — მ ა ლ - ჯ ა (ნიჯ.) „ცოტათი“, „ოდნავ“, „ოდნა-ვად“... ბ) გ ო ლ ო - გ ა რ (ვართ.) — გ ე ლ ე - ჯ ა (ნიჯ.) „ბევრად“, „ბევრადვე“...

**თანდებულო**

თანდებულები უდიურში ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. შ ე რ წ ყ მ უ - ლ ი (სუფიქსური მნიშვნელობის) თანდებულები, რომლებიც დაერთვიან სა-ხელს; მათ ამჟამად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აღარ აქვთ (იხ. ზემ. თან-დებულებიანი ბრუნვები); 2. შ ე უ რ წ ყ მ ე ლ ი, ც ა ლ კ ე ხ მ ა რ ე ბ უ ლ ი თანდებულები. ამ ჯგუფს მიეკუთვნება 1) თანდებულის მნიშვნელობით გამო-ყენებული ადგილის ზმნისართები; სახელდობრ: ბ ე ა შ (წინ), ქ ო შ (უკან), ტ ო ა ღ ო ა ლ (თან), ბ ო შ (შიგ, შიგნით), ტ ო შ (გარეთ), ო შ ა (შემ-დევ); ჯ ო კ (გარდა)... 2) ისეთი თანდებული, რომელიც წ ა რ მ ო შ ო ბ ი თ ზმნისართს წარმოადგენს; სახელდობრ: -ც ი რ ი კ (-მდე), -ლ ა ხ ო (ზედა, ზედ, -ზე).

ზმნისართული მნიშვნელობის ეს სიტყვები, მოსდევენ-რა სახელს<sup>4</sup>, მარ-თავენ მას ამა თუ იმ ბრუნვის ფორმაში და აქვთ ის მნიშვნელობა, რაც სხვა ენათა (კერძოდ, ქართულ) თანდებულებს. ამ რიგის თანდებულებს შეიძლება ვუწოდოთ ა დ ვ ე რ ბ ი ა ლ უ რ ი (ზ მ ნ ი ს ა რ თ უ ლ ი) თ ა ნ დ ე ბ უ - ლ ე ბ ი.

ეს ადვერბიალური, ანუ ზმნისართული თანდებულები სახელს მართავენ ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი ა ნ ა ბ ლ ა ტ ი ვ - კ ო მ ი ტ ა ტ ი ვ ს ა („გან-ნათესაობით დასუბერეს ივეში“ („ზე“-ბრუნვაში).

მაგალითები:

1. ნათესაობით ბრუნვაში მართვისა:

<sup>1</sup> ნიჭური უ შე ნ ე ნ უნდა დამალოს ასე: უშენ-ენ, რაც ერატივ-ინსტრუმენტალისის ისეთივე ფორმაა, როგორც, მაგალითად, „ზამთრის“ აღმნიშვნელი საერთო უდიური ი ბ ე ე ნ (იბე-ენ).

<sup>2</sup> შდრ. ვართაშნული აბლატივისა და ნიჭური აბლატივ-კომპარატივის (ზ ა ხ ო „ჩემგან“, „ჩემით“, ა დ მ ა რ ა ხ ო „ადამიანისაგან“, „ადამიანით“; ზ ა ხ უ ნ „ჩემგან“, „ჩემით“, „ჩემთან ერთად“; ა მ დ ა რ ა ხ უ ნ „ადამიანისაგან“, „ადამიანით“, „ადამიანთან ერთად“) ფორმები.

<sup>3</sup> შდრ. ვართაშნული ტ ე ბ ა რ „წიდან“, ტ ე ბ ა რ ა ხ ო „წიდანდელს აქეთ“ — სიტყვა-სიტყვით: „წიდანდლისაგან“.

<sup>4</sup> ე. ი. გამოყენებიან სახელთანაც.

კოჯინ ბეშ, „სახლის წინ“, კოჯინ ჯოშ „სახლის უკან“, კოჯინ ტოლოლ „სახლთან“, კოჯინ ბოშ „სახლში“...; კოჯინ ცირიკ „სახლამდე“, კოჯინ ლახო „სახლზე“...

2. თანდებულის ბრუნვაში მართვისა:

ზახო ბეშ (=ჩემგან წინ), ზახოლან ბეშ (ჩემთან წინ) „ჩემ წინ“; კჷალ ცირიკ (სახლზე+მდე) „სახლამდე“, ბურლოლ ცირიკ (მთაზე+მდე) „მთამდე“<sup>1</sup>...

ამ მხრივ ვართამუნულსა და ნიჭურ დიალექტებში თითქმის ერთნაირი მდგომარეობაა; შენიშნული თავისებურება უმთავრესად ფონეტიკური ხასიათისაა; შდრ., მაგალითად: ცირიკ (ვართ.) — ცირი (ნიჭ.) „მდე“<sup>2</sup> ჯოკ (ვართ.) — ჯოხ (ნიჭ.) „გარდა“<sup>3</sup>...

## ნაწილაკი

უდიურს მოეპოვება ნაწილაკების მთელი სერია. ეს ნაწილაკები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: 1) ნაწილაკი. რომელიც იხმარება სახელთან, ზმნასთან, ზოგჯერ — მეტყველების სხვა ნაწილებთანაც; 2) ნაწილაკი. რომელიც მხოლოდ სახელთან იხმარება; 3) ნაწილაკი, რომელიც მხოლოდ ზმნასთან იხმარება. უდიური ნაწილაკები შეიძლება დავაჯგუფოთ სხვაგვარადაც: 1) ნაწილაკი, რომელიც რომელიმე სიტყვასთან შერწყმით იხმარება: 2) ნაწილაკი, რომელიც სხვა სიტყვასთან შეურწყმელად, ცალკე იხმარება. ფონეტიკური შედგენილობის მიხედვით კი უდიური ნაწილაკები ასე ჯგუფდებიან: 1) ოდენ ხმოვნით წარმოდგენილი ნაწილაკები; 2) ერთი ლია ან დახურული მარცვლისაგან შემდგარი ნაწილაკები; 3) ორი ან ორზე მეტი მარცვლისაგან შემდგარი ნაწილაკები.

უდიური ნაწილაკები ფუნქციის მიხედვით. 1) კითხვითი ნაწილაკი -ა. ეს ნაწილაკი გამოიყენება მეტყველების თითქმის ყველა ნაწილთან, სახელდობრ: 1) არსებით სახელთან: ადამარ-ა, ჯოხსამ თუ „ადამიანია, თუ არა?“ ქანო შეტანა ნანა-ა—ტატი „ეგ მისი დედაა, თუ ბებო?“; 2) ზედსართავ სახელთან: ალალუ-ა-ოყალუ „მალალი თუ დაბალი?“ შელ-ა-ფის „უცუდია თუ კარგი?“; 3) გასუბსტანტივებულ მსაზღვრელ სიტყვებთან: მანო-ა „რომელია?“ ბეზიო-ა-ვიო „ჩემია თუ შენი?“ ემო-ა, ყაო-ა „რამდენია?“ „ოცია?“; 4) ნაცვალსახელებთან: ა) კითხვის ნაცვალსახელთან: შუ-ა „კინაა?“ ეკა-ა „რაა?“ ბ) მესამე პირის ნაცვალსახელთან: შენო-ა-თე „ისაა თუ არა?“; 5) ზმნისართებთან: ქა-ა-თე „მანდაა?“ „მანდ ხომ არაა?“ „მანდაა თუ არა?“... მა-ა „სადაა?“ მაჩო-ა-თა-ცე „საით წავიდა?“ მაჩხო-ა-რე „საიდან მოვიდა?“... 6) ზმნასთან. სახელ-ზმნურ ფორმებთან (მასდართან, მიმღეობასთან. გერუნდოუმთან, სუპინუმთან): ა) არე-ა „მოვიდა?“ ფი-ა „თქვა?“ „თუ თქვა?“ შონო ქა ელო-ა „ის მანდ მოვა. განა? ეხ-ა-თე „ამბობს თუ არა?“... ბ) კოჯ გირბი-ა-ბარი „სახლი დალაგებულია,

<sup>1</sup> როგორც ჩანს, უდიურ ენას აქვს ორთანდებულის ბრუნვათა წარმოებას ტანდენცია.

<sup>2</sup> ნიჭურში სპორადულად ცირიკ ვარიანტიც იხმარება.

<sup>3</sup> ამ მნიშვნელობით ნიჭურში სხვა — „ბაშყა“-სიტყვაც იხმარება.

<sup>4</sup> პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელთან კითხვითი -ა ნაწილაკი არ იხმარება უდაურში.

·თუ დაყრილი (დაულაგებელი)?“ გ) ქანო ეკა ფესუნ-ა „ეგ რა თქმაა?“ „ეგ რა სათქმელია?“ „ეგ რას ნიშნავს?“... დ) ელახუნ-ა-ფე, თალახუნ „მოსვლისას თქვა ოთუ წასვლისას?“ ქატუ ბატან-ა-დლდე, ოშა „მაგის კეთებისას დაარტყა, თუ შემღევე?“ ქატუ ესქან-ა-თაიცი, ფეს ბაქალ-თე-ზა „მაგის მოსატანად წავიდა, თუ არა. თქმა არ შემოძლია?“...

ა ნაწილაკი უდიურ ენაში მიინცდამინც მხოლოობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირთან იხმარება; პირველ და მეორე პირთან (არც მხოლოობითსა და არც მრავლობითში) იგი არ გვხვდება; არ გვხვდება აგრეთვე მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმასთან. -ა ნაწილაკის გამოყენების დროს პირის ნიშანი (ნე) არ დაერთვის ზმნას. იკავებს-რა მესამე პირის ბინის ადგილს, ეს ნაწილაკი განსაზღვრულ შემთხვევაში „არის“ ზმნის ნიშნულსა და გამოხატავს; შდრ., მაგალითად: ბუ-ნე? = ბუ-ა „არის?“ შენო თუ-ა „ის ვინ არის?“ „ის ვინაა?“ არე-ნე-თე||არე-ა-თე „მოვიდა თუ არა?“ შენო მზა-ა. მზა-ა „ის აქაა? სადაა?“ ლე ხაშნა ემო-ა „დღეს თვისა რამდენია (რა რიცხვია)?“...

2. უ ა რ ყ ო ფ ი ს ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი : -თე (არ), ნუ (არ), მა (ნუ, არ), ნა (რომ, არ), ნუთ (არ). — ამ ნაწილაკთა გამოყენების შესახებ იხ ზემოთ: უარყოფის გამოხატვა ზმნაში. აგრეთვე — ნაწარმოები ფუძეები (სახელთა წარმოქმნა).

3. მ ო დ ა ლ უ რ ო ბ ი ს გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ა კ ი „ყა“ (იხ. ზემ. დრო-კლოთა ფორმების წარმოება). ეს ნაწილაკი გამოიყენება აგრეთვე მაკავშირებელი სიტყვის მნიშვნელობით.

4. ნ ა წ ი ლ ა კ ი „აღ“. ეს ნაწილაკი მნიშვნელობით ქართული -ცა ნაწილაკის ფარდია; გამოიყენება არსებით სახელთან, ნაცვალსახელთან, რიცხვით სახელთან. გასუბტანტივებულ მსაზღვრელ სიტყვებთან, ზმნისართთან; გამოიყენება ზმნისთანაც. მაგალითები: ადამარად „ადამიანიც“, ადამარეგალ „ადამიანმაც“, „ადამარახალ „ადამიანსაც“, ადამარილ „ადამიანისაც“... ადამარუხალ „ადამიანებიც“, „ადამარლონალ „ადამიანებმაც“... ზუალ „მეტ“, უნალ „შენც“. შონოალ „ისიც“, შონორალ „ისინიც“; იჩალ „თვითნაც“, იჩილ „თაერისც“; ბეზილ „ჩემიც“, ვილ „შენიც“, ბეშილ „ჩვენიც“...; ვიწალ „ათიც“ ზაჩალ „ასიც“...; შელოალ „კარგიც“, ფისოალ „ცუდიც“, ალუნოალ „ზემოთაც“... მალ „აქაც“, ტალ „იქაც“...

როგორც დასახელებული ნიმუშებიდანაც ჩანს, -აღ ნაწილაკი ყოველთვის ბოლოში მოუდის სიტყვას (ამ ნაწილაკის ზმნასთან გამოყენების შესახებ იხ. ზემოთ: დრო-კლოთა ფორმები).

5. ნ ა წ ი ლ ა კ ი „მა“. ეს ნაწილაკი იხმარება სხვა სიტყვებთან (ჩვეულებრივ — მითითებით ნაცვალსახელთან, ზმნისართთან...) შერწყმითაც და შეზღუდულად. პირველ შემთხვევაში იგი დასაწყისში მოუდის სიტყვას, მეორე შემთხვევაში კი — ბოლოს. ამასთან: შერწყმით გამოყენების დროს ეს ნაწილაკი გამოხატავს კატეგორიულობას, დადასტურებას, ექვიპოტანლობას და აქვს ასეთი მნიშვნელობა: „მინცადამინც“, „სწორედ“, „აი“; შდრ., მაგალითად: მენო (ეს) — ჰამენო (აი ეს, სწორედ ეს...); ქანო (ეგ) — ჰამენო (აი ეგ, სწორედ ეგ...). შენო (ის) — ჰამენო (აი ის, მინცადამინც ის...); მზა (აქ) — ჰამმა (სწორედ აქ, აი აქ...), ქა (მანდ) — ჰამქა (მინცადამინც მანდ...), ტმა (იქ) — ჰამტმა (სწორედ იქ...); მეთარ (ასე) —

3) ამ ეთარ (აი ასე, სწორედ ასე) და ა. შ. მეორე (ბოლოს გამოყენების) შემთხვევაში ხმოვანი გრძლად. ვაბმით წარმოითქმის და გამოხატავს ემოციურ-რობას (დადებით ან უარყოფით ემოციებს): მაგალითად: ენლო, კან! „უნდა მოხვიდე. კან! „უნდა მოხვიდე, იცოდე, თორემ!“... დინჯ ჩურთა, ტაპზუყო, კან?... „წყნარად იდექი. გეშ. იცოდე!“ ექე, კან! „პა, მოლი!“... „მოლი, მე ვიცი და რამეს გახლები ჩემთან!“...

6. ნაწილაკი „ნე“. ამ ნაწილაკის გამოყენების არე განსაზღვრულია: რმარება მხოლოდ ბრძანებითის ან ბრძანებითად გამოყენებული კავშირებითი კოლოს ფორმასთან (ბოლოში) და აქვს ის მნიშვნელობა, რაც — ქართულ „რა“. „რალა“, „და“ ნაწილაკებს. შდრ., მაგალ.: ექე! „მოლი!“ — ექე-ნ ე! „მოლი-რა!“ უფა „თქვი!“ — უფა-ნე! „თქვი-რა!“, „თქვი რალა!“...

7. სხვა ნაწილაკები. უდიურს ზოგი სხვა (საკუთარი და ნასესხები) ნაწილაკებიც მოეპოვება, სახელობრ: 1) ვა „გინდ“: ვა უნ, ვა შენო... — „გინდ შენა და გინდ ისა“; 2) ბ უ რ ი მ „თურმე“: მა უფა ბურიმ „თურმე ნუ იტყვი...“; 3) გ ე ნ ა „კი“: ზუ გ ე ნ ა არე-ზ „მე კი მოვედი“; 4) კ ე ნ ა „კით“: ვა კ ე ნ ა ადამარ... შენსავით (შენნაირი) ადამიანი...“; 5) მ ი გ ი ლ ა „აი“: მი გ ი ლ ა ეჭურაზ ოწყესა... „აი, როგორ ვრეცხავივიბან...“; 6) პ ო მ „მაშ“, „მაშა“: ეზლო, პოა!... მოვალ, მაშ!...“; 7) დ ე „დაე“, „პა“: ექე დე! „პა, მოლი!“... დე ბიყან „დაე აკეთოს“...; 8) გ ა მ „ხან“: გ ა მ უქა, გ ა მ ათთა... „ხან კამე, ხან ილაპარაკე“; 9) გ ა რ „გე“: ტა-გარ „იქვე“, შელ-გარ „კარგად-ვე...“; 10) და-დასტურებითი ნაწილაკი: პ ო — „პო“, „კი“, „დიად“: პო, ელალე? — პო! „მაშ მოვა? — პო! კი! დიად!... 11) სა „ერთი“: სა მეტუ ბელა „ერთი, ამას უყურე!“... თ ა მ ქ ს ა „ოლონდ“: თამქსა უნ ქატუ ბა „ოლონდ ეგ შენ გააკეთე და...“; 12) ბ ა რ თ ა „დაე“, „გაუშვი“: ბართა ფიყან! „დაე გაუშვი, თქვას!“

ეს ცნობები მოწოდებულია ვ არ თ ა მ ნ უ ლ ი დიალექტის მონაცემთა მიხედვით. ნ ი ზ უ რ დიალექტშიც ეგვე ნაწილაკები ინმარება; არის ზოგი თავისებურებაც: ა) ფონეტიკური ხასიათისა; შდრ., მაგალითად: თ ა მ ქ ს ა (ვართ.) — თ ა მ ქ ი (ნიჯ.): თამქი დავა მყანბი „ოლონდ არ იხუბოს!“ თამქი უნ ირპიზიბა-ჟან „ოლონდ შენ კმყოფილი იყო!“ ბ) ჰა — ჰ ნაწილაკის გამოყენება სცილდება ზემოთ (ვართაშნულის მიხედვით) დასახელებულ სიტყვათა ფარგლებს. ნიჯურში ეს ნაწილაკი ინმარება, მაგალითად, „რა“ კითხვით ნაცვალსახელთანაც; შდრ. სახელობრ: ე კ ა (ვართ.) — ჰ ი კ ა — ჰეკა<sup>1</sup>.

ჩამოთვლილი ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ უდიურს აქვს ნამდვილი (დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი) ნაწილაკები და ნაწილაკად გაგებულ-გამოყენებული სრული მნიშვნელობის სიტყვები.

#### აავიზის გამოხატავი სიტყვაბი

უდიურს მოეპოვება კავშირის გამომხატველი საკუთარი და ნასესხები სიტყვები, რომელთა უმეტესობა წარმოქმნილია ხელოვნურად — საკუთარი ან ნასესხები სიტყვებისა თუ ნაწილაკების კომბინაციით. ეს სიტყვები ფუნქციის მიხედვით ასე უნდა განვალაგოთ: 1) მ ა ე რ თ ე ბ ე ლ მ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ე ლ ი (ქართ. „და“ კავშირის მნიშვნელობის) სიტყვები: ყა||ყან (ზუ ყან უნ||ზუ ყა უნ „მე და შენ“...), ვა || ვა (უქა ვა || ვა მა ათთა „კამე და ნუ ლაპარა-

<sup>1</sup> ი. ზემ. კითხვითი ნაცვალსახელი „რა“.

კობ!"), ბა (ჩო-ბა-ჩო „პირდაპირ“...); 2 მ ა ქ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ე ლ ი : თე „რომ“ (უნ არენ, თე... „შენ მოხვედი, რომ“...; უნ თე არენ „შენ რომ მოხვედი...“), ქა „რომ“ (შეტინ ფენე, ქი... „მან თქვა, რომ...“); მანო-თე „რომელიც“ (=რომელი+რომ: მანო „რომელი+თე „რომ“)¹, ეკა-თე „რაც“ (=რატომ: ეკა „რა“+თე²); მა-თე „სადაც“ „სადაც-კი“ (=სად+რომ: მა „სად“+თე), შუ-თე „ვინც“ (=ვინ+რომ: შუ „ვინ“+თე), ევახთე-ე+ვახთ+თე „როდესაც“ „როცა“ (ევახტ „როდის+თე)³; მალ||მწლ—მა-ალ „სადაც“ (მა „სად“+ალ „ც“)⁴; 3) შ ე მ ა პ ი რ ო ბ ე ბ ე ლ ი : აგანამ, აგარ „თუ“, „თუკი“; აოხსამ „თორემ“ (აგანამ||აგარ უნ ქა აშლახ ბან... „თუ შენ მაგ საქმეს გააკეთებ...“; ექე, აოხსამ... „მოდი თორემ...“); 5) მ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ე ლ ი : აა, აე „ან“, „ანდა“ (აე მა უფა, აე მა ბა „ან ნუ იტყვი, ანდა ნუ გააკეთებ...“), აე-გენა „ან-კი“ (აეგენა ეკალუნხუბესა „ან კი რატომ აკეთებ“), აე-თე, აა-თე „ან არა-და“ (აე-თე ეკალუხ გარაგ ბან „ან არა-და, რატომ უნდა გააკეთო“), ამა „მაგრამ“ (თაქე ლაშკონა, ამა გროლ ნუ უფან „წადი ქორწილში, მაგრამ ბევრს ნუ დაღეე! ...). ჩამოთვლილთაგან საკუთარი მკაცვშირებელი სიტყვებია: ა) მარტივი აგებულების უა||ყან; თე; ბ) რთული აგებულების მანო-თე, ეკა-თე, შუ-თე; მა-ალ. ყველა დანარჩენი ან ნასესხებია⁵ (ქი, ვა || ვაა, ბა; აგანამ, აგარ, აოხსამ, აა, აე, ამა), ანდა — ნასესხებისა და საკუთარის კომბინაციით მიღებული (ევახ-თე, აა-თე, აე-გენა...). ერთი ნაწილი კი წარმოქმნილია საკუთარი ნაწილაკოვანი სიტყვისა და სრული მნიშვნელობის სიტყვის შერწყმით (მანო-თე, ეკა-თე, შუ-თე. მა-ალ...).

ნი ქ უ რ დ ი ა ლ ე ქ ტ შ ი, თუ არ ვიგულისხმებთ ზოგიერთ ფონეტიკურ ცვლილებას, გამოიყენება იგივე მკაცვშირებელი სიტყვები, რაც — ვ ა რ თ ა შ ნ უ ლ შ ი (ზემოთ ცნობები ამ კილოს მიხედვითაა მოწოდებული). შდრ., მაგალითად: ა გ ა ნ ა მ (ვართ.)—ა ა მ მ (ნიჯ.) „თუ“, „თუკი“; ა ო ხ ს ა მ (ვართ.)←ა ო ხ ს ა (ნიჯ.) „თორემ“; ვ ა , ვ ა ა (ვართ.)←ვ ე (ნიჯ.), „და“; ა ა ე (ვართ.)—ა ა (ნიჯ.) „ან“, „ანდა“⁶. ვართაშნულისაგან განსხვავებით, ნიქურში მოწმდება ერთი ასეთი მკაცვშირებელი სიტყვა: ა ა ხ უ ტ („ანდა“, „თუ“): ზანაქ შაპარ ა ა ხ უ ტ ა ა ხ ს ა ნ ე — „ჩემთვის“ ქალაქი ან სოფელი (ქალაქი თუ სოფელი) სულ ერთია...“

1 მაგალ.: ადამარ, მანოთე... „ადამიანი, რომელიც...“

2 მაგალ.: ბუთუნ, ეკათე ვი ქენე... „ყველაფერი, რაც შენ ხელშია...“

3 მაგალ.: ტე უსენა, ევახთე უნ ბანქე... „იმ წელს, როდესაც შენ დაიბადე...“

4 მაგალ.: თაღენ, მალ ვა ბუეაყსა „წაიღეთ, სადაც შენ გასურს“...

5 თურქულ-აზერბაიჯანულიდან ან სპარსული და არაბული ენებიდან.

6 ყველა ეს სიტყვა თურქულ-აზერბაიჯანულიდანაა ნასესხები და თითოეული ამათგან წარმოითქმის გამსესხებელი ენის ფონეტიკური შესაძლებლობის კვალობაზე.

## ს ი ნ ზ ა ქ ს ი

### წინადადების წევრები

უღიური წინადადების წევრებია: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება (პირდაპირი, ორიბი, უბრალო), მსაზღვრელი, გარემოებთა გამომხატველი სიტყვები (ადგილის, დროის, ვითარების, კითხვის, მიზან-მიზნისა), მაკავშირებელი სიტყვები.

### კვანძობა

უღიური ქვემდებარის ფორმებია: 1) ნო მ ი ნ ა ტ ი ვ ი (ერთპირიან გარდაუვალ ზმნასთან), 2) ე რ გ ა ტ ი ვ ი (გარდამავალ ზმნასთან), 3) დ ა ტ ი ვ ი (აღქმა-მგრძობელობის გამომხატველ ზმნასთან), 4) გ ე ნ ე ტ ი ვ ი (კუთვნილების გამომხატველ ზმნასთან). ქვემდებარის ეს კონსტრუქციები სტაბილურია. ქვემდებარე, როგორც წესი, წინ უძღვის შემასმენელს, ეთანხმება რიცხვში, მართავს პირში. მაგალითად: შე ნ ო არე-ნე „ის მოვიდა“, — შე ნ ო რ არე-უნ „ისინი მოვიდნენ“; შე ტ ი ნ ბე-ნე „მან გააკეთა“, შე ტ ლ ო ნ ბე-უნ „მათ გაკეთეს“; შე-ტუ აბა-ტუ „მან იცის (=მას იცის)“, შე-ტლო აბა-ყო „მათ იციან“; შე-ტაბ ბუ-ტაბ „მას აქვს (=მისი მყოფია)“, შე-ტლო ბუ-ყო „მათ აქვთ (=მათი მყოფია)“... თუ წინადადება შეიცავს აბსოლუტივის ამა თუ იმ ფორმას, ქვემდებარე წინ უძღვის მას (აბსოლუტივს) და იმართვის მისგან ბრუნვაში: სხვანაირად რომ ვთქვათ: თუ ზმნის პირიანი ფორმა გარდაუვალი ზმნაა, ხოლო მისი წინამავალი წევრი გარდამავალი ზმნის აბსოლუტივი, ქვემდებარე ამ უკანასკნელის შესაბამისად დაისმის ერგატიულ ბრუნვაში და პირშებრუნებით, თუ ზმნის პირიანი ფორმა გარდამავალი ზმნაა, ხოლო მის წინ გარდაუვალი ზმნის აბსოლუტივია, მაშინ ქვემდებარე ამ აბსოლუტივის შესაბამისად სახელობით ბრუნვაში დაისმის. თუმცა ეს წესი ამეამად ზოგჯერ ირღვევა, რადგანაც არის შემთხვევები, როდესაც ქვემდებარის ფორმის მმართველად აბსოლუტივი კი არ გამოდის, არამედ — მისი მომდევნო შემასმენელი (პირიანი ფორმა ზმნისა). მაგალითად: მე ამათა შე ტ ი ნ უ კ ა ხ უ ნ, ბიესანე — „ამ სიტყვის თქმისას ის (ერგ.) კვდება (=ამ სიტყვას იგი (მან) ამბობს-რა, კვდება)“. შე ნ ო მელის თალახუნ, ოანეხეხაბ „ის აქედან წასვლისას ტიროდა (ის, აქედან, მიდიოდა-რა, ტიროდა)“, შე ტ ი ნ ა ლ ა ყ ი არესცა „ისიც (მანაც) იღებს-და ჯდება“; შე ტ ი ნ მეტუხ ფ ი თანესა „ის (მან), ამას ამბობს-რა, მიდის“... ზოგჯერ ქვემდებარე წინადადების ცალკე წევრად არ გამოიყოფა: იგი შეერწყმის შემასმენ-

ნელს (ზმნის ფუძეს), იქცევა ამ უკანასკნელის შემადგენელ ნაწილად; ამას შედეგად წარმოიქმნება „უქვემდებარო“ (ამათან — რთულშემასენელიანი) წინადადება.

### შემასენელი

შემასენელი ჩვეულებრივ მოსდევს ქვემდებარეს, ეთანხმება რ ი ც ხ ე შ ი, მართავს მის ფორმას (ბრუნვას) და იმართვის მისგან პირის მიხედვით. შემასენელი მართავს აგრეთვე დამატების ფორმასაც: თუ შემასენელი გარდამავალი ზმნაა, ან გარდამავალის ტიპის (კერძოდ, აღქმა-მგრძნობელობის გამომხატველი) ზმნა<sup>1</sup>, მისი პირდაპირი დამატება დაისმის სახელობითსა და მიცემით ბრუნვაში, ირავი დამატება—მიცემითში.

უდიურს მოეპოვება ორგვარი აგებულების შემასენელი — მ ა რ ტ ი ვ ი და რ თ უ ლ ი. მარტივი აგებულებისაა, მაგალითად, ბ ე ს ა ნ ე (აკეთებს), ე ხ ნ ე (ამბობს), ე ს ა ნ ე ი ნ ე ს ა (მოდის), ბ ი ე ს ა ნ ე (კვდება), ბ ა ნ ე ქ ს ა (ხდება, არის) და მისთ., ხოლო რთულია: ა შ-ბ ე ს ა ნ ე, ა შ-ნ ე ბ ე ს ა (მუშაობს, საქმეს აკეთებს), მ ა ლ-ნ-ე-ხ ა (მღერის, სიმღერას ამბობს), ნ ე პ ა ხ-ნ ე-ს ა, ნ ე პ ა ხ-ნ ე ს ა ნ ე (იძინებს, ძილს მიდის) და მისთ. გარდა ამ ტიპის (სახელისა და მეშველო ზმნისაგან შედგენილი) რთული შემასენელისა, უდიურს მოეპოვება აგრეთვე თხზული შემასენელი, რომელიც შედგება ორი ან რამდენიმე ერთმანეთთან შერწყმული ზმნის ფუძე-ფორმისაგან, ოღონდ ისე, რომ ფუძეთა ამგვარი შერწყმის დროს პირის ნიშანი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, ჩვეულებრივ, ბოლოდან პირველს აქვს, უფრო სწორედ — ბოლოდან პირველსა და მეორე ფუძე-ფორმას შორისაა მოქცეული; ორი ზმნური ფუძე-ფორმის შერწყმის შემთხვევაში პირის ნიშანი მათ შუა მოექცევა ხოლმე. მაგალითები: შენო ეს ა-ბ ე ღ ს ა-ნ ე-თ ა ხ ს ა — „ის მოდის, უყურებს და მიდის“; შეტინ მე ხუპახ უ ქ ს ა-ნ ე-მ ა რ ტ ე ვ ე კ ე ს ა — „ის (მან) ამ ფლავს ქამს-და-ათავებს“; მე თამბაღენ უ ქ ა ლ-ბ ო შ ა ლ-ბ ა ს კ ა ლ ლ ე — „ეს ზარმაცი (ზარმაცმა) შექამს-გაძღება-და წამოწეება“; ტე ხინარენ ბეაღი-ბეაღი-ნე-თ ა ც ი — „იმ ქალმა უყურა-უყურა და წავიდა“... რთული შემასენლის ინგრედიენტი შეიძლება იყოს აგრეთვე საგარემოებო ან მსახლვრელი სიტყვა, სუბინუმი, გერუნდიუმი. რომელიც — ფორმათაგანი წინ დაერთვის ზმნის პირიან ფორმას — ამასთან ისე, რომ პირის ნიშანი აქაც მოექცევა ხოლმე შერწყმულ ფუძე-ფორმათა შორის. მაგალითად: 1) შეტინ კ ი წ ი-ნე-აშბე „მან ც ო ტ ა იმუშავა“; სალდათახო : დ ე-ნე-არე „გარიდან დღეს-მოვიდა (დაბრუნდა)“; 2) ლევეტახ ე შ ქ ა ნ-ნე-თავე „ქვანის (მიცემ.) მოსატანად წავიდა“; ა რ ც ი-ნე-ქაჟ „დაჯდა და შექამა“; მე ხაბარახ კუა ე ღ ა ხ ე-ზუ-უკო „ამ ამბავს შინ მოსვლისას ვიტყვი“...

სხვანაირად რომ ვთქვათ, უდიური რთული შემასენლის რაობისთვის ნიშანდობლივია, ერთი მხრივ, სახელისა და ზმნისართის, ხოლო, მეორე მხრივ, სახელზმნურ ფორმათა (ინფინიტივ-მასდარის, მიმღეობის, სუბინუმისა და გერუნდიუმის) შერწყმა, ინკორპორაცია ზმნის პირიან ფორმასთან. ამის კვალობაზე შეიძლება ვთქვათ, რომ უდიურს მოეპოვება რთული შემასენლის

<sup>1</sup> შდრ., მაგ.: მე ა შ ლ ა ატუსა ხ ა ბ (— ხ ა ხ) „ამ ამბავს (საქმეს) ხელავს ძალი (ძალს)“; ღარა ბუტუსა ხ ი ნ ა რ ა ქ ი ხ ი ნ ა რ ა ვაჟს უყვარს ქ ა ლ ი შ ე ი ლ ს ქ ა ლ ი შ ე ი ლ ი ... — ამ დამატების ფორმა ისეთია, როგორც — ჩვეულებრივ გარდამავალ ზმნასთან.

ასეთი სახეობა: 1) ს უ ბ ი ე ქ ტ შ ე რ წ ყ მ უ ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი (მაგალ.: აღაღ ა-ნე-სა—აღაღ ა-ნე-ესა „წვიმა მოღის“, „წვიმს“); 2) ო ბ ი ე ქ ტ შ ე რ წ ყ მ უ ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი (მაგალ.: აშ-ნე-ბესა „საქმეს აკეთებ“.. „მუშაობს“); 3) ა დ ი ე ქ ტ ი ვ - r e s p . ა დ ე რ ბ შ ე რ წ ყ მ უ ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი (მაგალ.: აზარუ-ნე-ბაქსა „ავად ხდება“.. „ავადყოფი ხდება“: შელ-ლე-ბესა—შელ-ნე-ბესა „კარგად ხდის“, „არჩენს“); 4) ი ნ თ ი ნ ი ტ ი ე შ ე რ წ ყ მ უ ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი (მაგალ.: აშ ბ ე ს-ნე-დესა „ამუშაებს.. მუშაობა აკეთებინებს“), 5) მ ი მ ლ ე ო ბ ა - r e s p . ა ბ ს ო ლ უ ტ ი ვ შ ე რ წ ყ მ უ ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი (მაგალ.: არ ი-არ-რე-ცესა „მოსული (მოღის-რა) ჯდება“.. 6) ს უ პ ი ნ უ მ შ ე რ წ ყ მ უ ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი (მაგალ.: ხაბარახ ფესა ნ-ნე-არე „ამბის (მიცემ.) თქმად (სათქმელად) მოვიდა“; 7) გ ე რ უ ნ დ ი უ მ შ ე რ წ ყ მ უ ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი (მაგალ.: ქატუხ ელახუნ-ნე-ფე||ელა-ტან-ნე-ფე „ეგ მოსვლისას თქვა“)..

უდიური შემასმენელი შეიძლება გართულდეს რაიმე ნაწილაკის დართვითაც; მაგალითად; აღაღა თე-ნე-ესა „წვიმა არ მოღის“, შენო კჷა მ ა-ყახ-აოი ის შინ არ მოვიდეს („ნუ მოვა“)..

## დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება უდიურშიც სამია: პირდაპირი, ირიბი და უბრალო.

პირდაპირი დამატება გამოიხატება ორი — სახელობითი და მიცემითი — ბრუნვის ფორმით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელობითი ბრუნვით გადმოიციება ამ დამატების განუსაზღვრელი ფორმა, ხოლო მიცემითით—განსაზღვრული (პ. შუხარათი). მართლაც, თითქოს ზოგჯერ მიცემითი ბრუნვის ფორმით გამოიხატება კონკრეტული, განსაზღვრული პირდაპირი ობიექტი, ხოლო სახელობითით — არაკონკრეტული, განუსაზღვრელი; მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ადგილი უჭირავს ამ დამატებას — მოსდევს თუ წინ უსწრებს იგი შემასმენელს; როდესაც პირდაპირი დამატება შემასმენელს წინ უსწრებს და დასმულია მიცემით ბრუნვაში, გვეძლევა ამ დამატების განსაზღვრული ფორმა; მაგალითად: შეტინ აშლახ ბენე „მან საქმე (მიცემ.) აკეთა“ — ის „საქმე“, რაზედაც უკვე იყო ლაბარაკი; შეტინ ბონეზე ზუპახ „მან ფლავი (მიცემ.) მოხარშა“—ის „ფლავი“, რაზედაც უკვე იყო ლაბარაკი; უსტან კჷახ სერრებე (ალანებე) „ოსტატმა სახლო (მიცემ.) ააგო“—ის „სახლი“, რაზედაც უკვე ითქვა.. მაგრამ, როდესაც შემასმენელს მოსდევს პირდაპირი დამატება, იგი ფაკულტატურად დაისმის სახელობითსა და მიცემითში, ამასთან ისე, რომ ასეთ შემთხვევაში ამ ორი ბრუნვის ფუნქცია არ განსხვავდება ერთიმეორისაგან: პირდაპირი დამატების ფორმა მაინცდამაინც არ უკავშირდება განუსაზღვრელობისა თუ განსაზღვრელობის ცნებას. თანაბრად ითქმის: შეტინ ბენე აშლაშლახ „მან ფაკეთა საქმე||საქმეს“, შეტინ ბონეზე ხუპ||ხუპახ „მან მოხარშა ფლავი||ფლავს“, „უსტან სერრებე (ალანებე) კოჟ||კჷახ „ოსტატმა ააგო სახლი||სახლს“.. მაშასადამე, პირდაპირი დამატებისათვის სახელობითისა და მიცემითის გამოყენება განუსაზღვრელობისა და განსაზღვრელობის ცნების გამოხატვით კი არ არის შეპირობებული, არაჲედ—წინადადების წევრთა ადგილით, — ე. ი. იმით, პირდაპირი დამატება მოსდევს თუ წინ უძღვის შემასმენელს. თუმცა ამგვარი განლაგება მაინცდამაინც



არ არის დაკავშირებული რაიმე კანონზომიერებასთან; ეს რომ ასე იყოს, მაშინ აღნიშნულ შემთხვევაში პირდაპირი დამატება სახელობითისა და მიცემითის ფორმით არ იქნებოდა ფაქტობრივად გამოსატული. აქ საგულისხმოა ამ ორი ბრუნვის ფუნქციური ტოლობა და ზოგჯერ შეტყვევების სტილიზაცია. (სათქმელს ხაზგასმით აღნიშვნა).

გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ უღიურს პირდაპირი დამატების გამოსახატავად, სახელობითის გარდა, მოეპოვება ბრალდებითი ბრუნვა — აქ უხატვი. ასეთად მიჩნეულია სწორედ ზემოთ უწყებულებული მიცემითის ფორმა.

შენიშვნა: უკვე ითქვა, რომ ა. დირმა ხაზგასმით პირველმა აღნიშნა: ახ, -ოხ, -უხ, -იხ ბრალდებითი ბრუნვის სუფიქსებიანო. შემდეგ ეს აზრი განვითარებულია ამნაირად: „მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი დამატება დაისმის ბრალდებით ბრუნვაში“. ა. დირი ამ ცნობებს საილუსტრაციოდ ურთავს ასეთ მაგალითს: ნანან თენე-სრემიშბესაი მარიამაზ „დედას არ უყვარდა მარიამი“ („უღიური ენის გრამატიკა“, 1903, გვ. 16-17). თუ რატომ არის ამ ბრუნვის ფორმა აკუზატივი, ამისი არგუმენტაცია ა. დირს არ წარმოუდგენია. ზემოთ ისიც აღნიშნა, რომ ა. შიფნერი ამ ბრუნვას აფექტივს უწოდებს, თანაც აღნიშნავს, რომ ეს „აფექტივი იკავებს სხვა ენათა აკუზატივის ადგილს“ („ცდა უღიური ენის გამოკვლევისა“, 1863, გვ. 17, 40). არც ა. შიფნერს მოუცია რაიმე განმარტება იმისა, თუ რას გულისხმობს აღნიშნული ბრუნვისათვის შერჩეულ ამ ტერმინში. პ. შუხართმაც მიაქცია ყურადღება ამ ბრუნვის ფორმას და აღნიშნა: ფრ. მიულერი და რ. ერკერტი აფექტივს უწოდებენ აკუზატივს და მართებულა, რომ იგი მეტწილ შემთხვევაში ჩვენი (იგულისხმება ინდო-ევროპული ენები — ე. წ.) აკუზატივით გადმოიცემა, მაგრამ მრავალ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია იგი მიცემითი ბრუნვის ფორმით გადმოვიღოთ-ო. ამის ნიმუშად ასახელებს კერძოდ: ზახ ფინე „მე (მიც) მითხრა“... („კავკასიურ ენათა გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ“, 1895, გვ. 31...). ი. მესჩანინოვი შენიშნავს: „ა. დირი მიუთითებს უღიურ ენაში ბრალდებითი ბრუნვის არსებობაზე, რაც არ არის ნიშანდობლივი ერგატიული კონსტრუქციის ენისათვის. ა. დირის ეს მითითება უნდა შემოწმდეს“ („ენის შესახებ ახალი მოძღვრება“, 1936, გვ. 184.). უღიური ენის ორივე კილოს — ვართაშნულისა და ნიჭურის მონაცემების მოხმობით ეს საკითხი საგანგებოდ შეისწავლა ვ. ფანჩიძემ, რომელმაც დაასკვნა, რომ „...-ახ ბრუნვა წარმოადგენს იმ ავემიცემითს,.... ის იჩენს მიცემითის საერთო თვისებებს“... („აკუზატივის გენეზისისათვის უღიურ ენაში“—ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 150). ამ სრულიად მართებული დასკვნის შემდეგ უცნაური ჩანს ის, რომ ვ. ფანჩიძემ ამ შრომის სხვა ადგილას და უფრო გვიანდელ შრომებში ამ ბრუნვას, თუმცა ბრჭყალებში, მაგრამ მაინც აკუზატივს უწოდებს („აკუზატივი“), ხან—„ე. წ. აკუზატივის“, ხან კი—„მიცემით მეორეს“, მაშინ როდესაც თვითონვე აღნიშნავს: სინტაქსურად ამ ბრუნვასა და მიცემითს ერთი და იგივე ფუნქციონირება აქვს: ორივე ბრუნვა გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი

დამატების გამოსახატავადო (დასახელ. შრ., გვ. 151). საკვირველია, რაღა რჩება ამის იქით, რომ ძირითად ბრუნვათა პარადიგმაში მარცხ ცალკე გამოყოფს ამ ფორმას(!): უდიურს არც ორი მიცემითი აქვს და არც აკუზატივად ქცეული მიცემითი.

**ირიბი დამატება.**—ეს დამატება, როგორც წესი, გამოიხატება მიცემითი ბრუნვის ფორმით (სხვა ენათა შაბლონი), ზოგჯერ — სუპერესივიის (-„ზე“ თანდებულის ბრუნვის) ფორმითაც; ამ ფუნქციით გამოიყენება აგრეთვე **ლახო** („ზე“, „ზედა“) ადვერბიალური თანდებულისა და მის მიერ მართული ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი. მაგალითები ირიბი დამატების ა) მიცემითი ბრუნვის ფორმით გამოხატვისა: თაღა ზა (ზახ) საისტაქან ხე „მომეცი მე (მიც.) ერთი ჭიქა წყალი!“ ზუვა (ვახ) ფე-ზ, თე... „მე შენ (მიც.) ვითხარი, რომ...“; უნ შეტუ (შეტუხ) ეკალ მა უფა „შენ მას არაფერი უთხრა...“ ბ) სუპერესივის ფორმით გამოხატვისა: თაქა... ჩურალ ლარინე „ჩიხვი ფურს (ფურზე) ჰგავს“, ქაღარ იხ ბაბალ ლარინე „ეგ ბიჭი თავის მამას (მამაზე) ჰგავს“, ქატინ ზალ ეკალ თე-ნე-ეხა „ეგ მე (ჩემზე) არაფერს მეუბნება“... გ) **ლახო** („ზე“, „ზედა“) ადვერბიალური თანდებულისა და მის მიერ მართული სახელით გამოხატვისა: უნ ბეზ ლახო უსინ-უსინ ქალღუ-ცამფა „შენ მე (ჩემზე) ხშირ-ხშირად მომწერე (დაწერე) წერილი“... **უბრალო დამატება** გამოიხატება სამი თანდებულის ბრუნვის ფორმით — აბლატივით, კომიტატივითა და კაუზატივით. ამ დანიშნულებიან გამოიყენება აგრეთვე ნათესაობითში დასმული სახელი, რომელსაც მოსდევს ბახტინკ-|| ბახტინკენა („თვის“, „გულისთვის“) სიტყვა. მაგალითად: ა) ბეზვიჩეხო საბარრაეუე „ჩემი ძმისაგან ამბავი მოვიდა“; ბ) ახენვახოლ დოდმა ვიჩიმუხ-დან „ჩვენ შენთან (ჩვენ და შენ) ღვიძლი ძმები ვართ“, გ) ბეშ აპტეკენკ აოდ-ყუნ-ეჩერე „ჩვენი აფთიაქითვის იოდი მოიტანეს“...; დ) ვი ბახტინკ კაბა-ზ-აყე „შენთვის კაბა ვიყიდე“; ე) ეტაბახტინკ-ნუ-ბესა ქატუნ-„რისთვის აკეთებ მაგას?“ — ვი ბახტინკენა „შენი გულისთვის“...

### მსაზღვრელო

უდიურისთვის ნიშანდობლივია ფორმათუცვლელი მსაზღვრელი, რომელიც ყოველთვის წინ უძღვის საზღვრულს. მაგალითად: ალალუ კოჯ (მალალი ზახლი), ალალუ კოჯენ (მალალმა სახლმა), ალალუ კოჯინ (მალალი სახლის), ალალუ კუხან (მალალ სახლს); ალალუ კოჯრუხ (მალალი სახლები), ალალუ კოჯროლი (მალალმა სახლებმა) და ა. შ. ან აიდევე: შელ ადამარ (ჯარგი ადამიანი). შელ ადამარენ (ჯარგმა ადამიანმა)...; შელ ადამარუხ (ჯარგი ადამიანები) და ა. შ.

შენიშვნა: მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილის შენაცვლებით წარმოიქმნება კომპოზიტები; შდრ., მაგალითად: ფულჰელალ ყოჯში (თვალ-ამოსავარდნი მეზობელი), ფულჰელალ ყოჯშინენ (თვალამოსავარდნმა მეზობელმა) და ა. შ. — მაგრამ: ყოჯში-ფულჰელალ (სახელობ.), ყოჯში-ფულჰელალენ (ერგატ)...

### გარიგობა

უდიურს აქვს ადგილის, დროისა და ვითარების გამომხატველი საგარე-ყოებო სიტყვები, რომლებიც ინმარებიან შემასქნელის წინ, ხან კი მოსდევენ

<sup>1</sup> ეტიმოლოგიურად — „ბედისთვის“.

მას. ადგილის გარემოების გამომხატველი სიტყვებია ადგილს ზმნისარაზებან ლოკატივის ამა თუ იმ ფორმიანი არსებითი სახელი (იხ. ზემ. ადგილის ზმნისარათი. თანდებულთ. თანდებულთან ბრუნვები). დროის გარემოების გამოსახტავად იხმარება დროის ზმნისართი (იხ. ზემ. დროის ზმნისართი). ვითარების გარემოების მნიშვნელობით გამოიყენება ვითარების ზმნისართი, რომლის ადგილი წინადადებაში მაინცაღამაინც ფიქსირებული არ არის, თუმცა უპირატესად შემასმენლის წინ იხმარება.

შენიშვნა: შემასმენლის წინ შეიძლება იხმარებოდეს სხვა საგარემოებო სიტყვებიც (ადგილის გარემოება, დროის გარემოება). საგულისხმოს არის, რომ ასეთი სიტყვები შეერწყმის შემასმენელს, რის შედეგად წარმოიქმნება თხზული („გარემოება-შერწყმული“) პრედიკატი; შდრ., მაგალითად: არე-ნე შენო ქაშშენო ქა-ნე-არე „ის მანდ მოვიდა“; ყონალუხ თაყუნცე უსინწყონალუხ უსინ-ყუნ-თაცე „სტუმრები მალე წავიდნენ“; უნ ცამუნხა შელლუნ შელ-ლუ-ცამეხა „შენ კარგად წერ“... (იხ. ზემ. შემასმენელი).

## წინადადების წმკრთა შემანხმება-მართვის საკითხი

### შემანხმება

ეს მომენტი საგულისხმებელია უდიური წინადადების ორ-ორად აღებული წევრის (სინტაგმის) — ქვემდებარე-შემასმენლისა და მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთდამოკიდებულების ხაზით (სხვა ენათა შაბლონი). ქვემდებარისა და შემასმენლის შემანხმება ხდება რიცხვის მიხედვით; მაგალითად: ადამარქარ-რე-ხსა ბაჩა უსენ „ადამიანი ას წელიწადს ცოცლობს — ადამარუხქარ-ყუნ-ხესა „ადამიანები ცოცლობენ, ცხოვრობენ“; უსტან სერ-რე-ბსა „ოსტატი აშენებს“ — უსტაღონ სერ-ყუნ-ბესა „ოსტატები აკეთებენ“...

უდიურში შეინიშნება ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობის ასეთი ფაქტებიც: ფაქი ბელეუხ-ნე-ბუ „ბაღში საქონელია (პირუტყვი)“ — და არა: ბელეუხ-ყუნ-ბუ (პირუტყვები არიან); ბეში ყონალუხ-ნე-ბუ „ჩვენ სტუმრები გვევანან (= ჩვენი სტუმრები არის) შდრ., ბეშ კუა ყონალუხ-ყუნ-ბუ „ჩვენსა სტუმრები არიან“...

როგორც ზემოთაც აღინიშნა, უდიურში მსაზღვრელი და საზღვრული არეთანხმება ერთიმეორეს არც რიცხვისა და არც ბრუნვის მიხედვით (იხ. მსაზღვრელი). გარდა ამისა, როდესაც მსაზღვრელად რიცხვითი სახელია გამოყენებული, საზღვრული არ დაისმის მრავლობით რიცხვში (ქართულისებრ): მაგალითად: ვიწკოჯ (ათი სახლი), ხიბვიჩი (სამი ძმა), ყაუსენ (ოცი შელი). ეს წესი ზოგჯერ ირღვევა; იტყვიან, მაგალითად: გოლო ადამარგოლო ადამარუხ (ბევრი ადამიანი|ბევრი ადამიანები); კუაბუ-ბეშმულ უქალოშულ უქალორ (შინ მყავს რვა მკამელი|მკამენი, — ე. ი. რვა სარჩენი, კმაყოფაზე მყოფი)...

### მართვა

უდიური შემასმენელი (ზმნა) მართავს ქვემდებარისა და დამატების ფორმას (ბრუნვას), ხოლო მისი (შემასმენლის) პირი იმართვის ქვემდებარის მიერ (იხ..

ქვემდებარე შემსემენელი დამატება). უღიურ შესიტყვებაში ქვემდებარესა და დამატების ფორმათა მმართველი წევრებია სახელმწიფო ფორმებიც. იე, რომ. უღიურ წინადადებაში პრედიკატული მნიშვნელობის წევრება როგორც ზმნის პირიანი ფორმა, ისე ინფინიტუ-მასლარი, მიმღობა, სუბიანქო, აპლო-ლუტიე-გერუნდოეპი.

### წინადადება შინაარსის მიხედვით

უღიური წინადადება შინაარსის მიხედვით ასე ჭგუფდება: 1) თხრობი-თი. მაგალითად: აბრაამენ ბინეხე ისაკან „აბრაამ შვა ისაკ“...; ყურთენ კალღესა წირიკღონ „კრუხი ეხახის წიწიღებს“. ეექ კოჯინ ჰეფანენ „ცხენი შინაური ცხოველია“... 2) კითხვითი. მაგალითად: შენო ეახო ქალა-ა-იწქე „ის შენზე უფროსია თუ უმცროსი?“ ვი ბაბა ე ფეშაგუნ კონჯუხს-ა „მამა-შენი რა ხელობის პატრონია?“ ქა-შუ-ა-არცი „მანდ ვინ ზის?“... 3) კითხვით-გაკვირვებითი. მაგალითად: მარქმარიტ შუ-ტუ-აბა მა-ა-ტიტრეე „მარგარიტა ვინ რისი, სად გაიქცა?!. ავკსა, ე აღამარუხ-ა-ბუ მე ღუნდანუნ ჩოელ „ხედავ, რა აღამიანები არიან ამ ღელამიწის ზურგზე!“ 4) ბრძანებითი. მაგალითად: თავარას აყა, თაქე უშ-კაწფესან! „ცული აიღე, წადი შეშის საჭრელად!“ თაქე არღოქ, გამ-ექე „წადი ცეცხლისკენ, გათბი!“

### წინადადება აგებულების მიხედვით

უღიურისთვის ნიშანდობლივია მარტივი გავრცობილი და მარტივი გაუვრცობელი წინადადებები. რთული წინადადებების ესა თუ ის სახეობა უღიურში ახალი წარმონაქმნია, — შისი განვითარების პროცესი ახალდაწყებულა.

### მარტივი წინადადების სახეობა

#### მარტივი გაუვრცობელი წინადადება

ამ სახის წინადადება უღიურში რაიმე თავისებურებით არ ხასიათდება. აქ ევაქეს ერთწევირიანი (ოღენ შემასმენლ : ა ნ ი), ანდა ორწევრიანი (ქვემდებარე-შემასმენლისაგან შემდგარი) მარტივი წინადადება.

#### ერთწევრიანი მარტივი წინადადება

აქ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი წინადადება, როგორიცაა მაგალითად: ცივ-არრეხა || ხოხონეხა „ცრის (წვიმა)“, ალაღანესა „წვიმს“, იაჟ-ნესა „თოვს“, თნგარრესა „სეტყავს (ისეტყვება)“, გურუნესა „ქუხს“, „გრგეინავს“, ლიპლიპნეხა, „ელავს“. რომ ვთქვათ, ამჟამად ერთი შემასმენლისაგან შედგენილი ასეთი წინადადება წარმოშობით ორწევრიანია, რამდენადაც აქა გვაქეს სახელის ფუძე და მასთან შერწყმული ზმნა. პირველი ამ კომპონენტთაგანი სუბიექტია, ზოგჯერ—ობიექტი, ხოლო მეორე — ზმნური ფორმა, პრედიკატი; სახელდობრ: ცივარ-რე-ხა—ცივარ-რე-ე ხა—ცივარ-ნე-ეხა||ხო-ხონეხა—ხოხო-ნე-ხა—ხოხო-ნე-ეხა „ცრა ხდება resp. ცრას ამბობს, ახდენს =

ცრის“; ალაანესა—აღაღა-ნე-ესა — „წემა მოდის=წემს“ (ალაღა „წვი-  
მა“). იაენესა ← იაე-ნე-ესა — „თოელი მოდის=თოეს“ (იაე „თოელი“); თა-  
გარესა—თაგარ-რე-სა—თაგარ-ნე-ესა „სეტყვა მოდის=სეტყვავს, ისეტყვე-  
ბა“ (თაგარ „სეტყვა“); გურუნესა—გურუნ-ნე-ხა—გურუნ-ნე-ესა — „ქუხილს ამ-  
ბობს=გრავინვას, გრივალს ახდენს, ამბობს=„გრავინავს“. ქუხს“...; ლილიპხე-  
ნა—ლილიპ-ლიპ-ნე-ესა „ელვას ამბობს, აკეთებს=ელავს“...

ამ სახელთა და ზმნათა შერწყმით წარმოიქმნება შედგენილი შემასმენელი  
(კომპოზიტი-ზმნა), რომელიც ამჟამინდელ უდიურში ერთნებნიანი სიტყვებია.  
საჯანაირად რომ ვთქვათ, ზმნასთან შერწყმულ სახელურ ფუძეს დაკარგული  
აქვს ქვემდებარის მნიშვნელობა, გადაქცეულია რა იგი ზმნის (შემასმენლის)  
რგურეიდენტად. მასასადამე, უდიური ენის ახლანდელი მდგომარეობის მიხედ-  
ვით დასახელებულ შემთხვევაში, ე. ი. ცივარება || ხობონება, ალაანესა, იაენე-  
სა, თაგარესა, გურუნესა, ლილიპნება და მისთანათა სახით გვაქვს ერთწევრი-  
ანი. ე. ი. მხოლოდ შემასმენელის resp. რთული (შედგენილი) შემასმენელის  
შეპყველი წინადადება.

### ორწევრიანი წინადადება

უდიური წინადადების ამ სახეობაში უნდა ვიგულისხმოთ: ა) ნამდვილად  
ორი წევრისაგან — ქვემდებარისა და შემასმენლისაგან შემდგარი წინადადება.  
მაგალითად: მოზინენ ბოლოანება „ხბო ბლავს“, აზარუ ბას-  
კინე „ავადმყოფი წევს“, „ავადმყოფი მწოლარეა“, უსენუხ ქენებაქ-  
სა „წლები გადიან“... და ბ) ორწევრიანი წინადადება, რომელიც ისტორიულად,  
წარმოშობით სამწევრიანი წინადადებაა. ამგვარ წინადადებაში მესამე წევრი  
ახლანდელი ვითარების მიხედვით აღარ შეიცნობა წინადადების ცალკე წევრად,  
იგი შერწყმულია შემასმენლის (პირიანი ზმნის) ფუძე-ფორმასთან. შემასმენლის  
რგურეიდენტად ქცეული ასეთი წევრი თავდაპირველი მნიშვნელობის მიხედვით  
წარმოადგენს 1) დამატებას, 2) საგარემოებო სიტყვას ან 3) განსაზღვრებას.  
მაგალითად: 1) ირპატენ ეხ-ნე-ბესა „გლები მკის — გლები სამკალს აკეთებს“  
(ირპატენ „გლებმა“, ეხ „სამკალი“-ნე-ბესა ← ბესა-ნე „აკეთებს“). ბეაღენ  
ხაშ-ნე-დესა „მზე ანათებს=მზე სინათლეს აკეთებს“ (ბეაღენ „მზემ“, ხაშ  
„სინათლე“-ნე-დესა ← დესა-ნე „აკეთებს“). აშულ-ყარიბენ მაღ-ნე-ხა „აშულ-  
ყარიბი მღერის=აშულ ყარიბი სიმღერას ამბობს (აშულ-ყარიბენ „აშულ-  
ყარიბმა“, მაღ „სიმღერა“, -ნე-ხა ← ნე-ესა ← ეხა-ნე „ამბობს“) ... 2) აზარუ შელ-  
ლე-ბაქსა „ავადმყოფი რჩება, იკურნება=ავადმყოფი კარგად (კარგი) ხდება  
(აზარუ „ავადმყოფი“, შელ „კარგად“, „კარგი“, ლე-ბაქსა-ნე-ბაქსა-ბაქსა-ნე  
„ხდება“), ზუ აპინახ-ზუ-ბაქე „მე ვავოფლიანიღი=მე ოფლიანი გავხდი (ზუ  
„მე“, აპინახ „ოფლიანი“, -ზუ-ბაქე-ბაქე-ზუ „გავხდი“), შენორ ნეპარ-ყუნ-ეცე  
„მათ დაიძინეს=იანი ძილს მოვიდნენ“ (შენორ „ისინი“, ნეპახ „ძილს“, ყუნ-  
ეცე „მოვიდნენ“)...

### მარტივი გავრცობილი წინადადება

უდიური შეიტყვეების ეს სახეობაც რამდენიმე ჯგუფად იყოფა: 1) წინა-  
დადება, რომელშიც, გარდა ძირითადი წევრებისა (ქვემდებარისა და შემასმენ-

ლისა), შეიძლება გამოიყოს დამატება (პირდაპირი, ირიბი...), განსაზღვრება, საგარემოებო სიტყვები. მაგალითად: შეტინ შელ მახლნება „ის კარგად მღერის“. უნ შვაჯტ ცაჰნუხა „შენ ლამაზად წერ“. დამნუნ ექე ბეჟ კუა „ხვალ მოღო ჩვენს სახლში“. თჳქჳ ქორარესა ალაღუ ბურლოლ „ჯოხვი ცხოვრობს ჰალალ მთაზე“, შულ ბაანეცე კოკოწუნ-კუა „მელა შევიდა საქათმეში“... 2) მარტივი გავრცობილი წინადადება, რომელიც შეიცავს თხზულ შემასმენელს. რომლის ინგრედიენტიცაა დამატება, ან საგარემოებო სიტყვა თუ განსაზღვრება, ამასთან — ისე, რომ ამგვარ წინადადებაში ტ ა ე ტ ო ლ ო გ ი უ რ ა დ მონაწილეობს ცალკე აღებული იგივე დამატება, საგარემოებო სიტყვა თუ განსაზღვრება: მაგალითად: ოყონუნ ა დ ლ უ ხ მ ა ა დ-ბიყა „ძმრის სუნს ნუ უსუნებ, ნუ ყნოსავ (ოყო-ნუნ „ძმრისა“, ა დ ლ უ ხ „სუნს“ მა „არ“, „ნუ“, ა დ „ს უ ნ ი“, ბიყა „იქერ“. „ჩაველებ“). ბეჟ ჰჳქუმენ შ ე ლ შ ე ლ-ლე-ბესა ჩემი ექიმი კ ა რ გ ა დ არჩენს. ჰქურნალობს (ბ ე ზ-ბეჟი „ჩემი“, ჰჳქუმენ „ექიმმა“, შ ე ლ „კარგი“, „კარგად“; შ ე ლ-ლე-ბესა—შელ-ნე-ბესა „კარგად ხდის“, „კურნავს“, „არჩენს“)... 3) მარტივი გავრცობილი წინადადება, რომელშიც მონაწილეობს მიმღეობა (აბსოლუტივის ფუნქციით), გერუნდიუმი, სუპინუმი, ამასთან—ისე, რომ ეს ფორმები შესაძლებელია წინადადების ცალკე წევრადაც იხმარებოდეს და შემასმენელთან რეკორპორაციითაც ან სულაც (მეორე სახეობის მარტივი გავრცობილი წინადადების მსგავსად) — ორივე სახით, ერთმანეთის გვერდით ტაეტოლოგიურად. მაგალითად: 1) ა რ ი არეცე „მოსული (მოვიდა-რა) დაქდა“; ტ ი ტ ე რ ი თანესა „გაქცეული (მირბის-რა) მიდის“; ბ ო ხ ი ჩინეჩესა „მობარშული, მხარშავი (ხარშავს-რა) გამოაქვს“; თ ა ც ი ფინე, თე... „წასული (წავიდა-რა) თქვა, რომ...“; 2) კტახო თა ლ ა ხ ე ნ ჰაბა შუქნუხ „სახლიდან წასვლისას ჩააქერ სინათლე“; შუქნუხ კტახო თალახუნ-ნუ ჰაბო „სინათლეს სახლიდან წ ა ს ვ ლ ი ს ა ს ჩააქრობ“; ბ ა ტ ა ნ ა ლ ჰრმანგ, უ ჰ ა ტ ა ნ ა ლ ჰრმანგ „ე თ ე ბ ი ს ა ს ა ც (კეთება-მიც, შრომამიცი) შევლა, ჰ ა მ ი ს ა ს ა ც (ჰამამიცი) შევლა“... 3) თაყუნცე ჩალო-ნახ ბ ი ყ ს ა ნ||ჩაწინახ ბ ი ყ ს ა ნ-ყუნ-თაცე „წავიდნენ თევზის საჰქერად“. კოვალახ ალანებე დ უ ლ ს ა ნ||კოვალახ დ უ ლ ს ა ნ-ნე-ალაბე „ჯოხი ასწია დ ა -ს ა რ ტ ყ მ ე ლ ა დ“...

ყველაფერი ის, რაც აქ ამა თუ იმ სახეობის მარტივი გავრცობილი და მარტივი გაუფრცობელი წინადადების შესახებ ითქვა, წარმოადგენს უდიდური სინტაქსის სპეციფიკას, ამ ენის შესიტყვებისათვის დამახასიათებელ მოვლენას. ყოველივე ეს, რასაკვირველია, თანაბრად ეხება როგორც ვარაუდნულ. ისე ნიჟურ დიალექტს.

**რთული წინადადება**

როგორც ითქვა, რთული წინადადება უდიდურში შედარებით უფრო ახალ-წარმონაქმნია. საგულსხმოა, რომ ამგვარი წინადადების შედგენისათვის საჭირო მკაცრპირებელ სიტყვათა მეტი ნაწილი ხელოვნურადაა წარმოქმნილი, ან სხვა ენიდანაა ნასესხები. ასეა თუ ისე, უდიდური რთული წინადადება ორ ჯგუფად ნაწილდება — თანწყობილ და ქვეწყობილ (დაქვემდებარებულ) წინადადებად. პირველის ნიმუში იქნება: ნიკალაენ ქარარესა, სერგინენ გოლოშნენსა „ნიკალა უკრავს, სერგი ცეკვავს“. ბაბან ტოშ-ნე აშბესა, ნანან კტახუნ გორბესა „მამა გარეთ მუშაობს, ღედა სახლს ალაგებს“. ლე სოონე მისუნ ვაჰ სოონე დჳაჟოდ-

ლუნ „დღეს პირველია მაისისა და პირველია გაზაფხულისა (=დღეს პირველი  
ჰაისია და პირველი გაზაფხული)“. მეორე სახეობის (ქვეწყობილი) წინადადების  
ნიმუშებია: შეტინ ზა ფენე, თე მეშუ ექ კჷა ელაღზუ „მან მე მითხრა, რომ ამა-  
ღამ თქვენა მოვალ“. თაქე არცა, მათე გა-ნე-ბუ „წადი დაჯეკი, სადაც ადგალი  
ნახო (წადი დაჯეკი, სადაც ადგილი არის)“. ბუყოყი ექსკურსინა თალაყუნი, ამა  
ფაჰ ლინეჲ. თაღეს თეყობაქე „უნდოდათ, ექსკურსიაზე წასულიყვენენ, მაგრამ  
ცუდი ამინდი (=ცუდი დღე) იყო, წასვლა ვერ შეძლეს“...

ნიმუშები დასახელებულია ვართაშნული დიალექტის მიხედვით. ნიჭური დია-  
ლექტი ამ მხრივ არსებითად არ განსხვავდება ვართაშნულისაგან.

ქალის მამა. მამის მამა





ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი — ქრესტომათია; შედგენილია ასე: ჯერ მოცემულია სავარჯიშო (სასაუბრო) მასალა, ხოლო შემდეგ — საკითხავი ტექსტები. სავარჯიშო მასალა დაყოფილია პარაგრაფებად (§§1-32); თითოეულ პარაგრაფს ახლავს ლექსიკონი, რომელშიც შეთავსებულია სიტყვა მოცემული ტექსტში არსებული ფორმით; თანაც ისე, რომ თუ ეს სიტყვა (უკეთეს იგი სახელია ან ზმნა) მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, გვერდით უზის მრავლობითი რიცხვის ფორმა (იმავე ბრუნვაში; იმავე პირში) და — პირშებრუნებით. აღნიშნულია აგრეთვე ზოგი სხვა (ძირითადი) ფორმაც. საკითხავ ტექსტებს ლექსიკონი არ ერთვის, სამაგიეროდ მოცემულია პარალელური ქართული თარგმანი თავისებურ სიტყვათა და გამოთქმათა განმარტებებით. სავარჯიშო მასალა მთლიანად უდიურო ენის ვართანული (ვართაშნულ-ოქტომბრული) დიალექტის კუთვნილებაა. ქრესტომათიის მეორე ნაწილში — საკითხავ ტექსტებში კი ვართაშნულის პარალელურად მოცემულია ნიჭური ტექსტებიც. ავთენტურ (ერთი და იმავე შინაარსის) ტექსტთა ამგვარი განლაგებით მკითხველი უფრო მარჯვედ შეამჩნევს დიალექტურ თავისებურებებს.

უდიურო-ქართული და ქართულ-უდიურო ლექსიკონი შედგენილია უდიურო ენის ვართაშნული (ვართაშნულ-ოქტომბრული) დიალექტის მონაცემებზე დაყრდნობით; გზადაგზა გათვალისწინებულია აგრეთვე ამ ენის მეორე დიალექტის — ნიჭურის თავისებურებანიც (ლექსიკური, ფონეტიკური-მორფოლოგიური). ამ ლექსიკონის შედგენის ხასიათი ზოგჯერ სცილდება თარგმნითი ლექსიკონებისათვის მიღებული წესების ფარგლებს: ზოგ შემთხვევაში თარგმანთან ერთად მოცემულია განმარტებები, ეტიმოლოგიური ხასიათის ექსკურსები და სხვა (უმთავრესად ივლისხმება ეთნოგრაფიულ ცნებათა გამომხატველი სიტყვა-სტატები). ავტორი ამგვარ გადახვევებს შეგნებულად აკეთებს იმისათვის, რომ სიტყვათა თუ გამოთქმათა მნიშვნელობა უკეთ ან ზედმიწევნით სწორად იყოს გაგებული. ლექსიკონის ხასიათი (ტიპი) ყოველი მისი ნაწილის დასათაურებამა (მთავარ სათაურსა და ქვესათაურებშია) განსაზღვრულფიქსირებული: იგი თემატურ-ბუდობრივია; მაშასადამე, ყველა სიტყვა-სტატია შეიცავს სემანტიკურად და წარმოება-კომპოზიციით ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფს. ლექსიკონში საკუთარ სიტყვებთან ერთად შეტანილია ნასესხებიც — უმთავრესად ამგვარ სიტყვათა ის ნაწილი, რომელიც ძველთაგან შეუზარდა ამ ენის ლექსიკურ მარაგს: ეს ლექსიკონი, რა თქმა უნდა, სრული არ არის (აკი სათაურშიცა აღნიშნული: მოკლე ლექსიკონია); მაგრამ მასში თავმოყრილია უდიურო ლექსიკონის ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ცოდნა აუცილებელია ამ ენის შესწავლით-დაინტერესებულ პირათთვის. უდიურო-ქართული ლექსიკონის სიტყვა-სტატები უფრო ვრცლად, მასალის მეტი სიუხვითაა შედგენილი, ვიდრე ქართულ-უდიურო ლექსიკონისა, რომელსაც უდიურო-ქართულ ლექსიკონში მოცემული სიტყვისა-

თუ გამოთქმის „საძიებლის“ დანიშნულება უფრო აქვს, ვიდრე „ცალკე“ ლექსიკონისა.

ლექსიკონის ზოგ სიტყვა-სტატიაში ფრჩხილებში უთარგმნელადაა აღნიშნული ესა თუ ის სიტყვა: ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამჟამად ცალკე არ იხმარება, მისი მნიშვნელობა ცოცხლდება მხოლოდ ამა თუ იმ რთული ზმნის კომპონენტად გამოყენების შემთხვევაში. ის სიტყვა, რომელსაც ვარსკვლავი უზის, არქაულია, — მოწმდება მხოლოდ დროულ ადამიანთა მეტყველებაში ანდა ფიქსირებულია ისეთ ტექსტებში, რომელიც ადრეა (ვთქვათ, მე-19 საუკუნის მეორი ნახევარსა თუ ბოლოს, ან მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე) ჩაწერილი.

### შემოკლებულ სიტყვათა განმარტება

ანატ. — ანატომია, ანატომიური

არქ. — არქაული

ატრიბ. — ატრიბუტიური (შაზღვრული) სახელი

ახ. — ახალი

ბოტან. — ბოტანიკა, ბოტანიკური

ბრ. — ბრუნვა

ბრძან. — ბრძანებითი

გადატ. — გადატანითი, გადატანითი

გასუბტ. — გასუბტანტიკებული

დამციარ. — დამციარებითი

ეფემ. — ეფემერიზმი, ეფემერი

ეთნ. — ეთნოგრაფია, ეთნოგრაფიული

ერგ. — ერგატივი, ერგატიული ბრუნვა

ვართ. — ვართაშნული

ველგარ. — ველგარული

ზმნ. — ზმნისართა

თანდ. — თანდებული

ირონ. — ირონიული

იშვ. — იშვიათად იმარებული

იხ. — იხილეთ

კავშ. — კავშირი

კრებ. — კრებითი

ლანძღ. ხლანძღ. — სალანძღაო სიტყვა

მიც. — მიცემითი

მოფერ. — მოფერებითი

მოქ., მოქმ. — მოქმედებითი

მრ. — მრავლობითი

მრ. არ იხმ. — მრავლობითში არ იხმარ

მხ. — მხოლოდითი

ნათ. — ნათესაობითი

ნახეხს. — ნახეხებითი

ნიჭ. — ნიჭური

სახელობ. — სახელობითი

ხინონ. — ხინონიმი, ხინონიშეი

უბრ. — უბრუნველი (არ იბრუნვის)

უპირატ. — უპირატესად

ფიგურ. — ფიგურალური

ფრინვ. — ფრინველი

შდრ. — შეადარე

შორისდ. — შორისდებული

ჩვეულ. — ჩვეულებრივი

ხმაბაძვ. — ხმაბაძვითი

# I

## საგარეო მასალა ლექსიკონითურთ

### § 1.

ადამარ. მუზ. ადამარი მუზ. უდი. უდინ მუზ. გურჯი. გურჯინ მუზ. ურუზ. ურუზუნ მუზ. ნანა. ნანა მუზ. დსა. კალკალ. კალკალ ზელ. კალკალ დსა. ქლგზ. კალკალო. შელ კალკალო. ზომბალო ყა კალკალო.

ადამარ (ნათ. ადამარი, მრ. ადამარუხ) ადამიანი.

ადამარი (მრ. ადამარლოფ) ადამიანისა.

მუზ (ნათ. მუზნაფ; ერგ. მუზენ; მიც. მუზნუხ, მუზენ; მრ. მუზრუხ) ენა.

უდნ (ნათ. უდინ, ერგ. უდინენ. მიც. უდინახ; მრ. უდიუხ) უდი. უდინ მუზ უდის ენა, — უდიური ენა.

გურჯი (ნათ. გურჯინ, ერგ. გურჯინენ, მიც. გურჯინახ; მრ. გურჯიუხ) ქართველი. გურჯინ მუზ ქართველის ენა, — ქართული ენა.

ურუზ (ნათ. ურუზუნ; მრ. ურუზუხ) რუსი. ურუზუნ მუზ რუსის ენა, — რუსული ენა.

ნანა (ნათ. ნანაფ, ერგ. ნანან, მიც. ნანახ; მრ. ნანახ) დედა. ნანა მუზ დედის ენა, — დედაენა.

დსა (ნათ. დსნაფ, ერგ. დსენ, მიც. დსნუხ; მრ. დსარუხ) გაკვეთილი.

